

ISSN 1512-0597

# ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის  
ჟურნალი



№ 11

2003

# **Ճ Ո Յ Ճ Ա Ն Ո**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის  
ჟურნალი**

**№ 11**

## **D Z I E B A N I**

**The Journal  
of the Centre for Archaeological Studies  
Georgian Academy of Sciences**

**Tbilisi**

**2003**

**თბილისი**

63.4 (2Г)  
902/904 (479.22)  
д531

მთავარი რედაქტორი: გ. ჯაფარიძე  
Editor-in-Chief: V. Japaridze

სარედაქციო საბჭო: გ. ლიჩელი, ირ. ჯალაძენია,  
გ. კვირკველია, გ. ნარიმანიშვილი,  
გ. მინდიაშვილი, ა. ჭყონია, დ. ბაქრაძე

Editorial council: V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirkvelia,  
G. Narimanishvili, G. Mindiashvili, A. Chqonia,  
D. Bakradze

სარედაქციო პოლეგია: გ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე),  
გ. კვირკველია (მოადგილე),  
დ. კაჭარავა (პასუხისმგებელი მდივანი),  
ნ. მიწიშვილი, მ. კვაჭაძე, ა. ჭანტურია

Editors of the volume: V. Japaridze (editor-in-chief),  
G. Kvirkvelia, D. Kacharava,  
N. Mitsishvili, M. Kvachadze,  
A. Chanturia

# შინაგარსი

## Contents

### სტატიები

#### Articles

გ. მინდიაშვილი. კვლევის მეთოდის გამო .. . . . .	5
G. Mindiasvili. Apropos the Method of Scientific Research (Summary) .. . . . .	7
გ. ნარიმანიშვილი. სარიტუალო გზები თრიალეთის ყორდანებთან .. . . . .	9
G. Narimanishvili. Ritual Roads at Trialeti Barrows (Summary) .. . . . .	12
ჯ. აფაქიძე. თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობის ერთი ნიმუშის შესწავლისათვის ..	23
J. Apakidze. Towards the Study of One Specimen of Jewellery of Trialeti Culture (Summary) ..	25
†თ. ლორთქიფანიძე. ახალგორის განძი (დათარიღებისა და ისტორიული ინტერპრეტაცი- ის ცდა) .. . . . .	28
†O. Lordkipanidze. The "Akhalgori Hoard" (Attempt at Dating and Historical Interpretation) (Summary) .. . . . .	43
დ. ახვლედიანი. ძვ.წ. IV-III სს-ის კოლხეთის ისტორია კერამიკული დამდების მიხედვით	72
D. Akhvlediani. History of Colchis in the 4 <sup>th</sup> -3 <sup>rd</sup> cent. B.C. as Seen in Clay Stamps (Summary)	75
თ. შალიკაძე. ბერძნულწარწერიანი მინის სასმისები გონიო-აფსაროსიდან .. . . . .	80
T. Shalikadze. Drinking Vessels Bearing Greek Inscriptions from Gonio-Apsaros (Summary)	82
მ. საგინაშვილი. მინის ჭურჭელი დედოფლის გორის სასახლიდან (ახ. წ. I ს. ქართლის სამეფოს საგარეო-ეკონომიკური კონტაქტებისათვის) .. . . . .	83
M. Saginashvili. Glass Vessels from the Palace of Dedoplis Gora (Summary) .. . . . .	87
ი. ცუხიშვილი. მედალიონი სამთავროდან .. . . . .	93
I. Tsukhishvili. A Golden Medallion from Samtavro (Summary) .. . . . .	93
დ. მინდორაშვილი. დარიალის გზის ისტორიიდან .. . . . .	95
D. Mindorashvili. The Darial Route (Summary) .. . . . .	99

## ა რ ქ ე თ ლ თ გ ი ი ს ი ს ტ ი რ ი ძ

### History of Archaeology

მ. მუმლაძე. ვანის აღმოჩენები XIX საუკუნის ქართულ პრესაში .....	101
M. Mumladze. Finds from Vani According to the 19 <sup>th</sup> -cent. Georgian Press .....	101

## პ ი ლ თ ც ვ ა

### Congratulations

რამინ რამიშვილი 75 წლისაა .....	106
Ramin Ramishvili – 75 .....	106

## ქ რ თ ნ ი კ ა

### Chronicle

ი. ჯალაგანია, ხ. ჯორბენაძე, ა. ჭყონია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2002 წელს	108
I. Jalaghania, Kh. Jorbenadze, A. Chqonia. The Centre for Archaeological Studies in 2000	108
თ. კობახიძე. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 2002 წელს	119
T. Kobakhidze. The Library of the Centre for Archaeological Studies in 2002 .....	119

შემოკლებათა განმარტება .....	120
Abbreviations .....	120

სტატიები  
ARTICLES

გიორგი მინდიაშვილი

პოლიტიკური მეთოდის გამო

1980 წელს, ბატონ ტარიელ ჩუბინიშვილის მხარდაჭერით,<sup>1</sup> საშუალება მომეცა დამესტამბა ჩემი მოსაზრება აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის გორაქის თეორიასთან დაკავშირებით. ამ წერილის დაბეჭდვას ჩემთვის, როგორც მკვლევარისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან სწორედ მან მომცა საშუალება მეორე ჩემი კვლევის მთავარი თემა არქეოლოგიაში, რომელზე მუშაობასაც მე ასევე იმხანად პალეოკონომიკით გატაცებულ ბატონ ტარიელს კუმადლი. იმ შემთხვევაში ბატონი ტარიელის მხარდაჭერა წერილის კრიტიკული ხასიათის გამო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

წერილში, რომლის სათაურიცა „გორა ნამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის“ [4] მე არ გავიზიარე აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება სოციალური ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინის – გვარის – გორა ნამოსახლართან დაკავშირების თაობაზე, რომლის მიხედვითაც რელიეფის ამსახველი ტერმინი „გორი“, სოციალურ ტერმინ გვარიდან//გორიდან უნდა ყოფილიყო წარმოებული [2, გვ. 171-172; 3, გვ. 23-60].

ჩემდა საბედნიეროდ, ბატონი ნიკოს მოწაფეების უმეტესობამ, სხვა წამყვან ისტორიკოსებთან ერთად, სწორად გაიგო იმ წერილის პათოსი, რომელიც უახლესი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებაზე იყო დამყარებული. თუმცა, ამ წერილს რაიმე ბეჭდური სახის გამოხმაურება იმ ხანად, სამწუხაროდ, არ მოჰყოლია.

მხოლოდ 1988 წელს, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მრომების VIII ტომში, რომელსაც „გარეჯი“ ჰქვია, დაისტამბა მ. ბერძენიშვილის წერილი „მთა როგორც მითოსური წესრიგის დაყარების ფენომენი და აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის გორის ტიპის შესაბამისი ძეგლები“, რომლის ერთ შენიშვნაში გვითხულობთ, რომ 1980 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში არქეოლოგმა გ. მინდიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, სადაც არ გაიზიარა ნ. ბერძენიშვილის შეხედულება გორების

სამოსახლოდ არჩევის შესახებ, რაც დამოკიდებული უნდა ყოფილიყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრულ ეტაპთან. მაგრამ, მისი ნაშრომიც იმ მეთოდოლოგიურ საფუძველზეა აგებული, რომელსაც ის აკრიტიკებდა და რომელი მეთოდითაც კვლევა ძველი საზოგადოებების შესწავლის მიმართ გაუმართლებელი უნდა იყოს [1, გვ. 165].

იმის გამო, რომ მეთოდი კვლევის საფუძველს წარმოადგენს და მე კი დღესაც იმავე მეთოდით ვმუშაობ, საჭიროდ მიმართა მცირე კომენტარი გაუსკოთ ამ შენიშვნას. მითუმეტეს, რომ შენიშვნა ბატონი ნიკო ბერძენიშვილის იმ დებულებასთან არის გაკეთებული, რომელსაც მე ყოველთვის ვიზიარებდი. რაც შეხება მეთოდოლოგიურ მხარეს თუ მეთოდს, რომელსაც თითქოს მე ვაკრიტიკებდი, რბილად რომ ვთქვათ, ეს აზრი არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან არავითარი მეთოდოლოგიური წინააღმდეგობა აკად. ნ. ბერძენიშვილთან იმ წერილში მე საერთოდ არც გამომიხატავს და არც მიგულისხმია. ჩემი წერილის დასაწყისში აღნიშნულია, რომ არქეოლოგიური მასალის ახალმა ნაკადმა შესაძლებელი გახადა ზოგი მოვლენისა და ვარაუდის ახლებურად გააზრება და ამდენად, წერილიც მხოლოდ არქეოლოგიური ფაქტების განსხვავებულ ინტერპრეტაციას ისახავდა მიზნად [4, გვ. 175]. რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ საქმე ეხებოდა ბატონი ნიკოს დიდ ავტორიტეტს, მე ვალდებული ვიყავი ჩვეულებრივზე მეტი სიფრთხილით მოვალეობოდი წყაროებს და მათ შორის, ბატონი ნიკოს მიერ მოხმობილ არგუმენტებსაც. მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით კი, დღესაც იმ აზრზე ვდგავარ, რომ არქეოლოგის, ისე როგორც ნებისმიერი ისტორიკოსის მოსაზრება და მითუმეტეს ის ვარაუდი, რომელიც საზოგადოების სულიერი მხარის შესწავლასთანა დაკავშირებული, მხოლოდ სათანადო წყაროების სკრუპულობურ კრიტიკულ ანალიზს უნდა ემყარებოდეს. მხოლოდ ამგვარად შესწავლილი წყაროების მონაცემთა სისტემურ კავშირს შეუძლია მოვცეს მოვლენათა რეკონსტრუქციის მყარი საფუძველი. მხოლოდ საფუძვლიანად დათარიღებული არქეოლოგიური ნივთების, ძეგლების, როგორც

<sup>1</sup> სტატია მოხსენების სახით წარმოდგენილი იყო პროფესორ ტარიელ ჩუბინიშვილის ხსოვნისადმი მიღვნილ სესიაზე.

იტყვიან, არტეფაქტების რიგებმა შეიძლება მოგცეს განზოგადების უფლება, ადამიანის მსოფლმხედველობითი წარმოდგენების რეკონსტრუქციის საშუალება. ამიტომ, ჩემი აზრით, როდესაც გვინდა აზროვნების განვითარების დონე, მათ შორის მითოსურ ეტაზზე მდგომი ადამიანის რწმენა-წარმოდგენა, მაინცამაინც მთასთან ან გორასთან დავაკავშიროთ, რასაც ცდილობს ბ-ნი მ. ბერიაშვილი, მაშინ, ალბათ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ისეთ ძეგლებს, რომელიც ქრონოლოგიურადაც და მორფოლოგიურადაც უფრო შეესაბამებიან მათ, ანუ, ამ შემთხვევაში, წარმოადგენენ გარკვეულ დროს წარმოქმნილ ხელოვნურ მთას ან გორას, ე.ი. გორა ნამოსახლარს, გორა სამარხს და გორა სამლოცველოს. რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე გამოვა, რომ ჩვენთვის აზრს დაკარგავს არქეოლოგიური ნივთისა თუ ძეგლის ასაკი და ფორმა, რითაც შესაძლებელი გახდება ნებისმიერი ფორმის ძეგლში ჩვენთვის სასურველი, ნებისმიერი შინაარსის ჩადება, რასაც, ჩემი აზრით, ადგილი აქვს მ. ბერიაშვილის ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში [1, გვ. 174-175, 192]. ამიტომ, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მეოთხოვიას თუ მეთოდს ემყარება მეცნიერის კვლევა – იდეალისტურს, თუ მატერიალისტურს, მან აუცილებლად უნდა დაიცვას პრინციპი – გარკვეულ ფორმასთან გარკვეული შინაარსისა და პირიქით, შინაარსთან ფორმის შესაბამისობისა.

ვფიქრობთ, უდავოა ისიც, რომ არქეოლოგიაში, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია წერილობითი ინფორმაცია, სწორედ ფორმის მიხედვით შეიძლება შინაარსზე მსჯელობა და არა პირიქით, და ამას არ ეწინააღმდეგება არც მ. ბერიაშვილის მიერ მოტანილი ფ. დ. კულანუსეული ისტორიის დანიშნულების განსაზღვრა, რომ „ისტორია სწავლობს არა მხოლოდ მატერიალურ ფაქტებსა და დაწესებულებებს: მისი შესწავლის ჭეშმარიტი საგანი ადამიანის სულია: ისტორია მიისწავლის იმის ცოდნისაკენ, თუ რა სჯეროდა, რას ფიქრობდა, რას გრძნობდა ეს სული ადამიანის, გაარის სხვადასხვა ეპოქებში“ [1, გვ. 166].

რაღა თქმა უნდა, რომ ადამიანის სულიერი მდგომარეობის, მისი რწმენა-წარმოდგენების თავისებურებათა გარკვევის გარეშე მცდარი ან, ყოველ შემთხვევაში, ნაკლული იქნება ჩვენი ნებისმიერი მცდელობა ძველი საზოგადოებების მთლიანობაში გააზრებისა, მაგრამ ეს როდი უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ადამიანის სულიერი სამყარო შეიძლება ვიკლიოთ მის მიერ შექმნილ მატერიალურ ღირებულებათა გარეშე,

მათგან მოწყვეტით. ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება იქამდე მიგვიყვანის, რომ ძველი საზოგადოების წევრთა წწმენა-წარმოდგენები ნებისმიერად დავაკავშიროთ რაგინდარა კულტურის ნებისმიერ მატერიალურ ნაშთებთან, ჩავდოთ საგნებსა და ძეგლებში ის შინაარსი, რომელიც მათ არასდროს არ ჰქონიათ.

1965 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, განავითარა რა 1963 წლის მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება მტკვარ-არაქსული საზოგადოების პატრიარქალური ბუნების თაობაზე, ტ. ჩუბინიშვილმა, ქართულ და, შესაძლოა, საბჭოთა არქეოლოგთაგან პირველმა, გადალახა ის ფსიქიკური ბარიერი, რომელიც ისტორიული მეცნიერების გზაზე აღმართა საბჭოურმა იდეოლოგიამ. მან გამოთქვა ვარაუდი, „რომ ყველა ტიპის საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ცალკე თავისი მარაგი გააჩნდა, გვარისაგან გამოყოფილ პატარა თუ „მონოგამურ“ ოჯახს მიეკუთვნებოდა“ [6, გვ. 84-85; 7, გვ. 79-80, 125]. ჩემი აზრით, აღრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურასთან დაკავშირებით ამგვარი აზრის გამოთქმა იმ დროისათვის მეცნიერული გმირობის ტოლფასი იყო, რადგან ე.წ. მარქსისტული გაგება საზოგადოების განვითარებისა, მონოგამური ოჯახის არსებობის დაშვებას მხოლოდ სახელმწიფოს აღმოცენების პარალელურად მიიჩნევდა შესაძლებლად. ეს უკანასკნელი კი, იმავე დოგმებიდან გამომდინარე, მხოლოდ მონათმფლობელური შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამრიგად, ბატონმა ტარიელმა, მართალია წინწკლების მოშველიებით, მაგრამ მაინც დაარღვია ე.წ. მარქსისტული იდეოლოგიის ტაბუ და ამით გზა გაუხსნა მომავალ მკვლევარებს აღნიშნული საკითხის თავისუფალი შესწავლისაკენ და, რაც მთავარია, ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმაში ბ-ნი ტარიელისათვის ხელი არ შეუშლია კვლევის მატერიალისტურ მეთოდოლოგიას.

ბ-ნი ტარიელისათვის ოჯახის მონოგამურობის საკითხში, როგორც ვნახეთ, მსჯელობის დასაყიდებს დამოუკიდებელი საარსებო მარაგის შექმნა წარმოადგენდა, რაც გვარიდან ოჯახის გამოყოფაზე უნდა მიგვანიშნებდეს. და მართლაც, იმ ნიშნებიდან, რომლებიც მონოგამიური ოჯახის დასტურად შეიძლება გამოდგეს, მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა ერთ-ერთი ყველაზე არსებითია. ამაზევე მიგვითითებს საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციაც, რასაც ასევე საგანგებოდ უსვამდა ხაზს ბატონი ტარიელი ამირანის გორის ზოგი სამარხის ინტერპრეტაციისას [6, გვ. 84-85, 96, 97].

საერთო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების სტრუქტურის რეკონსტრუქცია კომპლექსურ მიღომას საჭიროებს. ამის კარგ მაგალითს იძლევა თავად ბ-ნი ტარიელის დამოკიდებულება კონომიკის საკითხების კვლევისადმი. რადგან მხოლოდ სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობა აძლევს ცალკეულ ოჯახებს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მოიპოვონ საარსებო საშუალებები.

ამ კუთხით განსაკუთრებით ფასეულია ბ-ნი ტარიელის პოზიცია მტკვარ-არაქსის მეტალურგიის ერთმანეთისაგან დაშორებულ რამდენიმე ცალკეულ ოპერაციად დაშლის თაობაზე, რადგან ამ დარგის დანაწევრება სამთო-მომპოვებელ, გადამდნობ და ჭედვა-ჩამოსხმის ეტაპებად მაღალი დონის პროფესიონალების არსებობაზე მიგვანიშნებს.

ამგვარი პროფესიონალი ხელოსნების არსებობა კი იმაზე მიგვითითებს, რომ საზოგადოებაში ადგილი ჰქონდა ზედმეტი პროდუქტის წარმოებას, რაც თავის მხრივ ქონების დაგროვებისა და ქონებრივი დიფერენციაციის სტაბილურ საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, შესაძლოა, სწორედ ამით ავხსნათ ჩეგნში მდიდრული ყორდანების გამოჩენა, რადგან სწორედ ზედმეტი პროდუქტის წარმოება აძლევს საზოგადოებას იმის საშუალებას, რომ შეინახოს არამწარმოებლური საქმით დაკავებული მმართველთა ფენა, რაც სახელმწიფოს სტრუქტურის ჩასახვასა და განვითარებას იწვევს [6, გვ. 185-198].

სწორედ ამიტომ აქვს ბატონი ტარიელის მიერ გამოქმულ აზრს მტკვარ-არაქსული ოჯახის მონოგამიურობაზე ასე დიდი მნიშვნელობა და, ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვრცლად არ მსჯელობდა ამ საკითხზე, ეს მოსაზრება ქართული ისტორიოგრაფიის მეტად მნიშვნელოვან ახალ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს.

## G. Mindiashvili

### APROPOS THE METHOD OF SCIENTIFIC RESEARCH (Summary)

The paper is a report delivered at a scientific session dedicated to the memory of Professor T. Chubinishvili, thanks to whom I had an opportunity to publish in 1980 a critical article dealing with the concept of "goraebi" (settlement-hills), advanced previously by the late Acad. N. Berdzenishvili.

The need for the present publication was prompted by the necessity of clarifying my conjectures, misunderstood by M. Beriashvili, as seen in his article "Hill as a phenomenon of establishment of mythical order and corresponding sites of the Bronze Age from Eastern Georgia" [1, pp. 164-194]. It is stressed in the notes of the cited paper that my criticism of the theory proposed by Berdzenishvili is based on the same erroneous methodology, which, according to Beriashvili did not prove to be valid in application to ancient societies.

Firstly, it should be noted that I did not aim at criticising the approaches worked out by Berdzenishvili. My task was to analyse once more certain processes and revise some suggestions concerning the analysis of social processes occurring in the societies inhabiting settlement-hills ("gorebi" in Georgian) on the grounds of recent archaeological data. Consequently, my interpretations of archaeological and linguistic elements, initially selected to substantiate N. Berdzenishvili's sociological reconstructions, prove to be somewhat different.

As for the method of research, I follow the approaches advanced by Berdzenishvili – erroneously labeled as inconsistent by Beriashvili.

As I still apply the method mentioned above, it seems rational to clarify its basic provisions, namely the following: only well datable series of artefacts can be used in the process of reconstruction of social relations in general. At the same time, it is necessary to rely on objective evidence and not conjectures or interpretations while juxtaposing morphological characteristics of sites. In cases when a hilly shape of sites offers a decisive clue for their interpretation, the researcher must prove whether they actually belong to settlement-hills ("goras"), without trying to impart to them the shapes most convenient for the substantiation of his own theories, as unfortunately our opponent has demonstrated in his paper, identifying common non-barrow burials and sanctuaries not even located on hills with barrows or settlement-hills.

Such methodological approach seems absolutely unacceptable to me as any interpretation in archaeology must be based on material remains revealing a certain shape (consistence, structure), according to which it becomes possible to evaluate them since we deal with the case when

the context may be ascertained only by means of the discovered article and its environment. Otherwise, we might have imposed on any form a content actually not characteristic of it, thereby distorting the objective situation.

Chubinishvili was the first Soviet archaeologist to overcome the ideological barrier while developing his assumption about the patriarchal nature of the society of Kura-Araxes culture in his monograph published in 1965 and suggesting that a dwelling house of any type which had a separate food stock, must have belonged to a small “monogamic” family separated from community [6, pp. 84-85; 7, pp. 79-80, 125]. Juxtaposition of material obtained from different burials of Amiranis Gora testifying the existence of property differentiation in society further validates this assumption [6, pp. 84-85, 96, 97]. Suggesting the emergence of professional artisans, I, *pace* Chubinishvili, admit the possibility of manufacturing the surplus product - a phenomenon accounting for material stratification of society.

Thus, it can be conjectured that it is the extent of development of economy that accounts for the emergence of richly furnished barrow burials in the South Caucasus, as only manufacturing of surplus products affords a society to support the social layer responsible for administration, i. e. engaged in waste labour.

On the above grounds, the assumption advanced by Chubinishvili about the emergence of monogamic family in the period of Kura-Araxes culture can be regarded as a new stage in the study of ancient societies of the Southern Caucasus.

#### ლიტერატურა

1. ბერიაშვილი ქ. მთა როგორც მითოსური წესრიგის დამყარების ფენომენი და აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის გორის ტიპის შესაბამისი ძეგლები. – გარეჯი, კაეშ, VIII, თბ., 1988, გვ. 164-194.
2. ბერძენიშვილი ნ. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. – სიგპ, I, 1960, გვ. 171-172.
3. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.

4. მინდიაშვილი გ. გორა ნამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის. – მაცნე, № 4, 1980, გვ. 175-186.

5. მინდიაშვილი გ. მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის. – მაცნე, № 1, 1983, გვ. 185-198.

6. ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა. თბ., 1963.

7. ჩუბინიშვილი ტ. მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა. თბ., 1965.

## გოდერძი ნარიმანიშვილი

### სარიტუალო გზები თრიალების ყორდანებათან

XX ს-ის 30-იან წლებში სამხრეთ საქართველოში (ტაბ. I), თრიალეთის ზეგანზე, ზღვის დონიდან 1600-2000 მ სიმაღლეზე, პროფ. ბ. კუფტინმა მრავალი საყურადღებო ძეგლი შეისწავლა. მათ შორის გამოიჩევა რამდენიმე ათეული ყორდანი, რომლებშიც მანამდე უცნობი, მდიდრული და უნიკალური მასალა აღმოჩნდა. ახალ კულტურას ბ. კუფტინმა „თრიალეთის ყორდანების ბრწყინვალე კულტურა“ უწოდა [11], რომელიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში თრიალეთის კულტურის სახელითაა ცნობილი.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად თრიალეთის კულტურის არეალი სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილით შემოიფარგლა.

უკანასკნელ წლებამდე თრიალეთის კულტურა ძირითადად გრანდიოზული ყორდანებით იყო წარმოდგენილი, რომელთა დასაკრძალავ დარბაზებში მეტად მრავალფეროვანი და მდიდრული ინვენტარი (ოქროს და ვერცხლის სამკაულები, შტანდარტები, ჭურჭელი, ვერცხლის და ბრინჯაოს იარალი, შავპრიალა და მოხატული კერამიკა) აღმოჩნდა (ტაბ. IX) [7; 8; 11; 12; 15], რაც ახლად აღმოჩნდა ნამოსახლარებთან [6; 9; 13, გვ. 20-22] ერთად ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მაღალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ყოფისა და კულტურის მაჩვენებელია.

თრიალეთში, წალკის პლატოზე უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა სამუშაოებმა ყორდანებთან დაკავშირებული ახალი სტრუქტურები გამოავლინა [5, გვ. 47-51], რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი წარმოდგენები თრიალეთის კულტურაზე.

1999-2000 წლებში წალკის წყალსაცავის დონემ საგრძნობლად დაიწია. წყლისაგან განთავისუფლდა რამდენიმე კვადრატული კილომეტრი, რამაც გამოიწვია იმ ველის გაშიშვლება, სადაც ბ. კუფტინი აწარმოებდა ძირითად სამუშაოებს. გამოვლინდა წყლის მოქმედების შედეგად „პრეპარირებული“ ნამოსახლარები, სამაროვნები და ყორდანები, მათ შორის ბ. კუფტინის მიერ გათხრილი I, II, IV-IX და XV-XVIII ყორდანები (ტაბ. II).

წყალსაცავის ფსკერზე გამოვლენილი ახალი არქეოლოგიური ძეგლების ფიქსაციისას ერთეულ გაუთხრელ ყორდანთან (XLVII – ბ. კუფტინის ნუმერაციის გაგრძელება) ქვით მოკირწყლული გზა დადასტურდა (ტაბ. III<sub>3</sub>).

ყორდანი სოფ. სანთის სამხრეთით, I ყორდანის (ბეიუკ-თეფე) დასავლეთით 500 მ-ის დაცილებით მდებარეობს. იგი ქვაყრილიანია. მისი დიამეტრია 60 მ, სიმაღლე – 1,2-1,5 მ. მკაცრად

აღმოსავლეთის მხრიდან, ყორდანის სარტყელზე მიღებულია ქვებით მოკირწყლული გზა, რომლის ნაპირებიც დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა შემაგრებული. გზის დაფიქსირებული სიგრძე 356 მ-ია, სიგანე – 6 მ. ყორდანის გარშემო სხვადასხვა ზომის და ტიპის ყორდანი დადასტურდა, რომელთა შორის ორი გზიანია. აქეეშენება თოხეულთა ნაგებობების კონტურები და სხვადასხვა ეპოქის სამარხი ქვაყოფები. ერთ-ერთი გაუთხრელი გზიანი ყორდანი (XLVIII) I ყორდანის სამხრეთით 50 მ-ის დაცილებით მდებარეობს (ტაბ III<sub>1</sub>).

რამდენადაც სამხრეთ კავკასიაში გათხრილ ყორდანებთან ასეთი სტრუქტურები დაფიქსირებული არ ყოფილა, ახლად გამოვლენილ ყორდანებთან დაკავშირებულმა გზებმა მრავალი კითხვა წარმოშვა. პირველ რიგში უნდა გარგვეულიყო ამ ტიპის ყორდანების თარიღი და არეალი.

წყალსაცავის დაცლამ ბ. კუფტინის მიერ ამ ტერიტორიაზე გათხრილი ყველა ყორდანის ნახვის უნიკალური შესაძლებლობა მოგვცა. გაირკვა, რომ ასეთივე გზები აქვთ ბ. კუფტინის მიერ გათხრილ III, VI, VIII, XV, XVII ყორდანებს,<sup>2</sup> რომელიც ზოგადად ძვწ. II ათასწლ. პირველი ნახევრით თარიღდებიან [11, გვ. 78-99; 2, გვ. 38-39; 15, გვ. 14-28]. ამდენად, გზიანი ყორდანების თარიღი შეუძლიანი ბრინჯაოს ხანით განისაზღვრა.<sup>3</sup>

დასახელებული ყორდანები სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი [2; 8; 11; 15], ამიტომ მხოლოდ მათ მოკლე აღწერილობას მოვიტან.

**III ყორდანი.** ოვალური ფორმის (18-24 მ), ქვაყრილიანი ყორდანია,<sup>4</sup> რომელსაც აღმოსავლეთის მხარეს, ყრილის კიდეიდან მიუვებდობა 7 მ სიგრძის და 5 მ სიგანეს „უკიკ შლეიფ ვ ვ ე ა ლ ე“, რომლის ნაპირებზეც დიდი ქვები ეწყო. იგი არ შედიოდა ყორდანის ყრილში X[15, გვ. 15, ტაბ. 9<sub>3</sub>]. შემოწმების შემდეგ გაირკვა,

<sup>2</sup> X ყორდანის აღმოსავლეთით, მოხნულ მინდორში 350-400 მ-ის სიგრძეზე და 5-6 მ-ის სიგანეზე განსხვავებული ნიადაგი შეინიშნება, რაც შეიძლება ამ ადგილზე გზის არსებობას მიუთითებდეს. ანალოგიური სიტუაცია XXVI (თოფ-კარი № 1) და XLV (თოფ-კარი № 2) ყორდანებთან.

<sup>3</sup> სტატიის დაწერის შემდეგ გაითხარა L ყორდანის ნაწილი. დაფიქსირდა ქვით მოკირწყლული გზა. აღმოჩნდილი მასალების მიხედვით, ყორდანი ბედენური კულტურის ეპოქას განეკუთვნება. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ გზიანი ყორდანები უფრო აღრე ჩნდება.

<sup>4</sup> ქვემოთ განხილული ყველა ყორდანი ქვაყრილიანია.

რომ იგი წარმოადგენს 41 მ სიგრძის გზას (ტაბ. IV<sub>2</sub>).

**VI კორლანი** 1,5 მ სიმაღლისა და აბსოლუტურად მრგვალი (დიამ. 55 მ) ფორმისაა [15, გვ. 16-17, ტაბ. 97]. მას 160 მ სიგრძის და 6 მ სიგანის გზა აქვს (ტაბ. IV<sub>3</sub>).

**VIII ყორდანი** 1,5 მ სიმაღლის, აბსოლუტურად მრგვალი (დიამ. 40 მ) ფორმისაა. დასაკრძალავი მოედნის ცენტრალური ნაწილი ყორდანის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს [11, ტაბ. LXV; 15, გვ. 18-19, ტაბ. 7]. გზის სიგრძე 210 მ, სიგანე 5 მ-ია (ტაბ. IV<sub>4</sub>).

**XV კორდანს** თავისებური, კუთხეებმომრგვალებული (ტაბ. VIII<sub>1-2</sub>) ოთხკუთხედის ფორმა (35×45 მ) პქონია [11, გვ. 80; 15, გვ. 20].<sup>5</sup>

აღმოსავლეთის მხრიდან ყორდანს ჰქონდა  
მსუბუქი დაქანება, დანარჩენი მხარეები ამაღ-  
ლებული იყო. ორმოს თავზე ყრილის სიმაღლე  
1,5-2 მ-ს უდრიდა [11, გვ. 81, 83, ტაბ. XIV-  
XVI, LXXII; 15, გვ. 20, ტაბ. 7<sub>3,4</sub>]. დღე-  
ისათვისაც ყორდანის აღმოსავლეთი მხარე თა-  
ნაბრადაა დაქანებული. ეს ნაწილი წყლის მოქ-  
მედების შედეგად მიწითაა დაფარული, რის გა-  
მოც გზის მიმართება ყორდანთან მთლად ნა-  
თელი არ არის. ოუმცა 264 მ სიგრძის და 4,5 მ  
სიგანის გზა მკაცრად აღმოსავლეთიდან ყორდა-  
ნის დრომოსისაკენ მიემართება (ტაბ. III<sub>2</sub>).

**XVII** ყორდანი 1,5 მ სიმაღლის, მრგვალი ფორმისაა (დიამ. 32 მ). [11, გვ. 79, 83, ტაბ. X, LXVII, XVIII; 15, გვ. 21, ტაბ. 8, 9<sub>8</sub>, 15<sub>2</sub>]. ყორდანის ყრილს აღმოსავლეთიდან 116 მ სიგრძის და 4,5 მ სიგანის გზა უკრთდება (ტაბ. IV).

ამდენად გაირკვა, რომ ქვით მოკირწყლული გზები წალკის ზეგანზე გათხრილ სხვა ყორ-ლანებსაც ანასიათებთ.

ამ ტიპის ძეგლების კვლევის შემდგომი ეტაპი მათი არეალის გარკვევასთანაა დაკავშირებული. მნიშვნელოვანი იყო პროფ. ო. ჯაფარიძის მინიჭნება ზურტაკეტში მის მიერ გათხრილ ყორდანებთან მსგავსი სტრუქტურების არსებობის შესახებ. გომარეთის პლატოზე, რომელიც წალკის პლატოს ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს, პროფ. ო. ჯაფარიძის მიერ გათხრილია ცხრა ყორდანი [7; 8]. სამი (№№ 3,4,6) მათგანი „ორთაშუას“ ველზე მდებარეობს. სამივე მათგანთან დაფიქსირდა ქვით მოკირ-წყლული გზები.

**№ 3 ყორდანის** დღამეტრი 100 მ-ია, სიმაღლე – 8 მ [8, გვ. 24-38]. 160 მ-ის სიგრძის და 4,5 მ სიგანის გზა უშუალოდ დრომოსის დასაწყისამდე მიდის (ტაბ. V<sub>2</sub>).

**№ 4 კორდანის** სიმაღლე 8 მ, დიამეტრი 100 მ-ია [8, გვ. 39-44]. დრომოსთან დაკავშირებული გზის სიგრძე 300 მ, სიგანე 7 მ-ია (ჭაბ. V<sub>1,3</sub>).

**№ 6 ყორდანის** დიამეტრი 84 მ, სიმაღლე 7 მ უდრის [8, გვ.45-48]. საფეხურებიანი ყორდანია. პირველი, ქვედა საფეხურის სიმაღლე 3 მ-მდეა [8, გვ. 45, სურ. 38]. გზის სიგრძე 400 მ. სიგანე 6,2 მ-ია (ტაბ. V, VI, VII). გზა დადასტურდა ერთ-ერთ გაუთხრელ ყორდანთანაც.

თრიალეთში დაფიქსირებული გზების ზუსტი  
ანალოგიები სხვა რეგიონებიდან დღეისათვის  
ცნობილი არ არის. ყურადღებას იქცევს გ. გო-  
ბეჯიშვილის მიერ თრიალეთის ზეგანის გაგრძე-  
ლებაზე, ბეჭენის პლატონთან დადასტურებული  
„ვიწრო ბილიკებაფენილი“, რომელიც „ზოგჯერ  
სწორად, ზოგჯერ ხვეულებით“ რამდენიმე ყორ-  
ლანს აკავშირებდა. ასეთი სიტუაცია მას კუშ-  
ჩის, საბიძალჩას და ზურტაკეტის ყორდანებ-  
თანაც აქვს დაფიქსირებული [1, გვ. 8].

პროფ. ვ. ორტმანმა ჩვენთან საუბარში გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია მის მიერ ანანაურში გათხრილ ყორლანსაც [17] ჰქონდეს ასეთი გზა. გზის ნაშთები თითქოს ტაშირის № 5 [3, გვ. 88] და ტყვიავის [4, გვ. 32. ტაბ. V] ყორლანებთანაც შეინიშნება. სამწუხაროდ, ამ „გზების“ არც ნახაზი და არც ფოტო არ ახლავს კუბლიკაციებს. ამდენად ჭირს მათზე საუბარი.

რაც შეეხება გ. გობეჯიშვილის მიერ დაფიქ-  
სირებულ „ბილიკებს“, ასეთი ელემენტები მარ-  
თლაც ახლავს ყორღანებს და არა მხოლოდ და-  
სახელებულ ჟუნქტებში. უნდა აღინიშნოს, რომ  
როგორც „ბილიკები“, ისე „სარიტუალო გზები“  
ყორღანებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მათ  
სხვადასხვა ფუნქცია გააჩნიათ. თუ „ბილიკები“  
ყორღანთა გარკვეული ჯგუფის „დამაკავში-  
რებლად“ შეიძლება მივიჩნიოთ, „სარიტუალო  
გზა“ კონკრეტული სამარხი ნაგებობისათვისაა  
განკუთვნილი. როგორც ჩანს, ყორღანების კონ-  
ცენტრაციის ადგილები საკულტო-სარიტუალო  
არეს წარმოადგენენ, სადაც ყორღანების გარდა  
სხვა არქიტექტურული ფორმებიც გვხვდება.  
შეიძლება ამის მაგალითს წარმოადგენდეს სა-  
რიტუალო გზების დასასრულს, ყორღანების  
ყრილზე მიდგმული ოთხხუთხა ნაგებობები (თრი-  
ალეთის XV, XLVII, XLVIII და ზურტა-  
კეტის ყორღანები). დღეისათვის არცერთი ასე-  
თი ნაგებობა გათხრილი არ არის და ამიტომ  
ჭირს მათ ფუნქციაზე საუბარი. ასეთი სტრუქ-  
ტურების რამდენიმე ყორღანთან დადასტურება

<sup>5</sup> დღეისათვის მას მეტ-ნაკლებად მრგვალი ფორმა აქვს (ტაბ. V), რაც, ალბათ, ბ. კუფტინის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგია. გათხრის შედეგად მის ქვეშ დრომოსი (ტაბ. VIII<sub>3</sub>) დადასტურდა [11, გვ. 8]. როგორც ჩანს, დრომოსის სახურავის ჩაქცევის შედეგად წარმოიქმნა ეს დაქანება. არ არის გამორიცხული, რომ სხვა ყორდანების დრომოსიც გადახურული იყო.

შეიძლება მათ თანადროულობაზე და ურთიერთ-კავშირზე მიუთითებდეს.

ასევე საყურადღებოა ზურტაკეტის № 3 და № 4 ყორლანებთან არსებული მრავალსქნაკიანი ნაგებობებიც (ტაბ. V.). ისინი თავის დროზე არ იქნა დაკავშირებული ყორლანებთან და მათი თარიღი შეუ საუკუნეებით განისაზღრა [7, გვ. 71-72]. პროფ. ო. ჯაფარიძემ ჩვენთან საუბარში არ გამორიცხა ამ სტრუქტურების ყორლანებთან კავშირი.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ხელთ არსებული მწირი მასალები საშუალებას არ იძლევა უფრო კონკრეტულად განვიხილოთ ყველა ის საკითხი, რაც სარიტუალო გზების აღმოჩენამ წარმოშვა. მომავალი გათხრები და კვლევა-ძიება, ალბათ მრავალ საკითხს მოჰყენს ნათელს.

შემდეგი კითხვა, რომელიც ახალი სტრუქტურების აღმოჩენამ წარმოშვა, გზების და ყორლანების კონსტრუქციულ ურთიერთობიმართებას ეხება.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ყორლანთან ქვით მოკირწყლული გზა უშუალოდ ყორლანის ყრილს აღმოსავლეთიდან ებჯინება (ზურტაკეტის ყორლანებთან ოდნავი გადახრა შეინიშნება). მის უშუალო გაგრძელებას, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს გრძელი დრო-მოსი, რომელიც გზის დასასრულს, ყორლანის ყრილიდან იწყება და სამარტ ნაგებობაში შედის (თრიალეთის XV, XXXVI, XLVII, XLVIII და ზურტაკეტის №№ 3, 4, 6 ყორლანები). ყორლანთა ნაწილს დრომოსი არ გააჩნია (თრიალეთის III, VI, VIII, XVII, XLV ყორლანები).<sup>6</sup>

ჩვენს მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ ქვით მოკირწყლული გზები ყორლანთა ორგანული ნაწილია. ისინი, როგორც ჩანს, მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული და საპროცესიო მსვლელობისათვის იგებოდა. დაკრძალვის რიტუალის აღდენა, დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, რთულია. ო. ჯაფარიძე წერს – „რა თქმა უნდა, ახლა ძნელია იმის აღდენა, თუ როგორ მარხავდნენ ჭომთა ბელადებს, როგორი იყო დაკრძალვის რიტუალი და სხვ... როგორც ჩანს, თრიალეთის ყორლანებში მიცვალებულს ზოგჯერ ეტლთან ერთად ასაფლავებდნენ. ზოგიერთ ყორლანებში შენიშნულია ეტლის ნაკვალევა. მათგან ორში ... კარგად დაცული ოთხთვალა ეტლიც აღმოჩნდა.... საფიქრებელია, რომ თრიალეთის როგორც ორმოან,

ისე „დასაკრძალავ დარბაზიან“ დიდ ყორლანებში მიცვალებულებს აგრეთვე ეტლით ასაფლავებდნენ“ (8, გვ. 68; 11, გვ. 81).

გზები უმტკესწილად განსაკუთრებულ, ხელოვნურ სუბსტრუქციებზეა დაფუძნებული, რომლებიც ზოგ შემთხვევაში, ალბათ ნიადაგის ნიველირების, ზოჯერ კი მიწის თანადროული ზედაპირიდან გამოყოფის მიზნით კეთდებოდა. მათი მაქსიმალური სიმაღლე 1,0 მ-ს უდრის. გზის ქვეშ მოქცეული სუბსტრუქცია უფრო დიდი ზომის ქვებითაა შედგენილი, ვიდრე გზის ზედაპირია მოგებული, და რამდენიმე ფენას შეიცავს. სარიტუალო გზების გამართვის ეს ტექნიკა საინჟინრო ხელოვნების მაღალ დონეზე მეტყველებს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „თრიალეთის როგორც ორმოან, ისე „დასაკრძალავ დარბაზიან“ დიდ ყორლანებში მიცვალებული..., ან მისი ფერფლი, ალბათ დრომოსით, უკვე გადახურულ „დასაკრძალავ დარბაზში“, ეტლში შებმული ხარებით შექმნდათ“ [8, გვ. 63, 68]. ალბათ, ეტლი [11, გვ. 81] სარიტუალო გზაზე პროცესიასთან ერთად მიემართებოდა. როგორც ჩანს, ეს ეტლები ერთჯერადი გამოყენების იყო და „სპეციალურად დასაკრძალავად იყო განკუთვნილი“ [8 გვ. 76].

თრიალეთის ყორლანების სამშენებლო საქმის და საინჟინრო ხელოვნების შესწავლა სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენ არ შევუდგებით ამ საკითხების განხილვას, მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით შემოვიფარგლებით.

პირველ რიგში აღსანიშნავია შეუ ბრინჯაოს ხანის საკულტო არქიტექტურის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე, რაზეც ყორლანთა აგების ტექნიკა, იღეურ-ესთეტიკური მსარე და მათი არქიტექტურული სახე მიუთითებს. ასკეტური ფორმებით გამოჩენულ ყორლანებში კარგადაა შეხამებული მასტება, მასა და პროპორციები, მკვეთრადა გამოხატული ფუნქციური და ტექტონიკური ლოგიკა. ასეთი დიდი მასტება კომპლექსების მშენებლობა დიდ დროს, სახსრებსა და მუშახელს მოითხოვდა. ო. ჯაფარიძე ზურტაკეტის ყორლანების შესახებ წერს: „მ სამარტი ნაგებობების მშენებლობა... შესაძლოა წლების განმავლობაში გრძელდებოდა“ [8, გვ. 66]. როგორც ჩანს, ასეთი ყორლანის შენება მასში დაკალულის სიცოცხლეშივე იწყებოდა.

დიდი ყორლანი წინასწარ იყო გადახურული [8, გვ. 68], როგორც ჩანს, გადახურული იყო დრომოსის დიდი ნაწილიც. გამოქვეყნებული [2; 7; 8; 11; 12; 15] და საარქივო მასალების (ბ. კუფტინის 1936-40 და 1947-48 წწ. დღიურები) მიხედვით, შევეცადეთ აღვევდგინა ზოგიერთი ყორლანის არქიტექტურული ფორმა (ტაბ. VII<sub>1</sub>, VIII<sub>2</sub>) და კონსტრუქცია (ტაბ. VI<sub>2</sub>, VII<sub>2</sub>,

<sup>6</sup> ჩამოთვლილი ყორლანების აღწერილობიდან ჩანს, რომ მხოლოდ III ყორლანია ნამდვილად უდრომოსო. სხვა ყორლანებს, როგორც ჩანს, ხით ნაგები, მიწისზედა დასაკრძალავი მოედნები პქნდათ, რომელთაგანაც მხოლოდ მცირე ნაშთები შემორჩა [11, გვ. 83; 15, ტაბ. 7]. გამონაკლისს წარმოადგენს XVII, ორმოანი ყორლანი.

VIII<sub>1,3</sub>).<sup>7</sup> ბ. კუფტინის მიხედვით, ყორლანების გადახურვისათვის გამოიყენებოდა 30-35 სმ დიამეტრის მუხის ძელები [11, გვ. 81; კუფტინი, 1936]. დღიური, გვ. 109; 15, გვ. 14, ტაბ. 9]. ზურტაკეტის ყორლანების აღწერისას აღნიშნულია, რომ „ხის სვეტებით „დასაკრძალავი დარბაზი“ გრძივად სამად იყოფოდა... დარბაზის ძირზე აღმოჩენილი ბრტყელი ქვები.... ხის სვეტების ძირებს წარმოადგენ.... ზოგჯერ ისინი ერთ ხაზზე და ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით (ოთხ-ოთხი მეტრით) არის დაცილებული [8, გვ. 60-62]. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზურტაკეტის „სამივე დიდი ყორლანის „დასაკრძალავი დარბაზის“..... კედლების სიმაღლე დაახლოებით 6,0 მ აღწევ“ [8, გვ. 60]. ამასთან №№ 3, 4 ყორლანების სიმაღლე 8,0 მეტრია [8, გვ. 24, 39], № 7 ყორლანისა 7,0 მ [8 გვ. 45], ასევე, თუ გავითვალისწინებთ ბ. კუფტინის დღიურებს, გამოქვეყნებულ ნახაზებს [2; 7; 8; 11; 15] და იმასაც, რომ გადახურვის კონსტრუქციას მხოლოდ განსაზღვრული მასის გაძლება შეეძლო, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამარხი კამერის გადახურვის თავზე ყორლანის ქვაყრილის სისქე 1,0-1,2 მ-ს უდრიდა. დღეოსათვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები ყორლანთა კონსტრუქციის და მათი გარეგნული ფორმის უფრო ზუსტად აღდგენის საშუალებას არ იძლევა. შემდგომი კალება და არქეოლოგიური გათხრები, აღბათ, დააზუსტებს და მრავალ კორექტივს შეიტანს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ რეკონსტრუქციებში.

თრიალეთის ყორლანებთან დაკავშირებულ სარიტუალო გზებს ყორლანული კულტურების არეალში ანალოგი არ მოეძებნება. ისინი დიდ მსგავსებას იჩენენ ძველ სამყაროში დადასტურებულ სარიტუალო-საპროცესიო გზებთან [16, გვ. 17-18; 14, გვ. 132-136], რომელთაგან განსაკუთრებულ სიახლოესეს ეგვიპტის პირამიდებთან არსებულ „აღმავალ გზებთან“ ამჟღავნებენ [18, გვ. 123-126, 136-138, 150, 152, 157, 166, 170, 178, 189, 191, 198, 209-214, 231, სურ. 42-43, ნახ. 29, 52, 53, 57, 67, 68; 10, გვ. 111, 285, 290, 295, 296, 313, 325].

ყორლანთა სარიტუალო გზები თრიალეთის კულტურის საზოგადოების ორგანიზაციის და სოციალური სტრატიფიცირების ახლებურ ახსნასაც ითხოვს. თუნდაც ის ფაქტი, რომ გვერდიგვერდ მდებარე, თანადროულ ყველა ყორლანს, მათ შორის დიდი ზომისას, არა აქვს სარიტუალო გზა, მათში დაკრძალულთა განსხვავებულ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს. განსხვავება უნდა იყოს ორმოიან, უორმო და „დასაკრძალავ დარბაზიან“ იმ ყორ-

ლანებში დაკავშირებულთა სოციალურ მდგომარეობას შორისაც, რომელთაც სარიტუალო გზები აქვთ. ყორლანთა ასეთი დიფერენციაცია არის-ტოკრატიული წრის იერარქიაზე მიუთითებს.

შეიძლება ითქვას, რომ ყორლანთა არქიტექტურულ სახეში თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოების უძალესი, ან მთელი საზოგადოების წამყვანი იდგა გამოიხატა.

## G. Narimanishvili

### RITUAL ROADS AT TRIALETI BARROWS (Summary)

In southern Georgia, on the Trialeti Plateau, Professor Boris Kuftin studied many significant sites, among which there are dozens of barrows containing unique, hitherto unknown materials, rich in cultural information. He coined the name, the "Brilliant Barrow Culture of Trialeti" to describe this newly-identified culture.

In recent years, on the basis of works carried out in Trialeti, at Barrows 3, 6, 8, 15, 17, which were excavated by Kuftin, and at some additional unexcavated barrows, Nos. 47-50, ritual-processional roads were revealed. Similar roads were discovered at Zurtaketi in barrows 3, 4, and 6. Stone-paved roads were also found in an eastward configuration adjacent to barrow mounds or dromoi.

The ritual roads connected to the Trialeti Barrows find no counterpart in the area of Barrow Culture. They are reminiscent of the ritual-processional roads known in the Ancient World, especially similar to the "ascending roads" leading to the Egyptian pyramids.

## ლიტერატურა

1. გობეჯიშვილი გ. ბედენის გორასამარხების კულტურა. თბ., 1981.
2. გოგაძე ე. თრიალეთის ყორლანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.
3. განიანი კ. ღლიღღაშვილი ე. ტაშირის № 5 ყორლანული სამარხი. — დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 88-107.
4. მაკალათია ს. ტყვიავის ყორლანული სამარხების გათხრები. თბ., 1943.
5. ნარიშენიშვილი გ. ძვ. წ. II ათასწლეულის სარიტუალო გზები თრიალეთში. — ძიებანი, № 4, 2000, გვ. 47-51.

<sup>7</sup> ნახაზები შესრულებულია არქიტექტორ შ. მელიქიძის და მხატვარ გ. ტატიშვილის მიერ.

**6.** ფიცხელაური პ. იორ-ალაზნის აუზის ბრინჯაო-რკანის ხანის ნამოსახლართა ტოპოგრაფიის პრინციპები. – ქაეშ, VI, 1984, გვ. 8-18.

**7.** ჯაფარიძე ო. 1962-1963 წლების თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. – თსუ შრომები, 107, 1964, გვ. 65-76.

**8.** ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.

**9. Алиев В. Г.** Культура эпохи средней бронзы Азербайджана. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора ист. наук. Тб., 1983.

**10. Замаровский В. Г.** Их величества пирамиды. М., 1986.

**11. Куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

**12. Куфтин Б. А.** Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тб., 1948.

**13. Кушнарева К. Х.** Ранние комплексные общества Южного Кавказа. – Древние общества Кавказа в эпоху палеометалла (ранние комплексные общества и вопросы культурной трансформации). Санкт-Петербург, 1997, стр. 11-42.

**14. Маккуин Г.** Хетты и их современники в Малой Азии. М., 1983.

**15. Жоржикашвили Л. Г., Гогадзе Э. М.** Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974

**16. Neve P.** Hattusa Stadt der Götten und Tempel, neue Ausgrabungen in der Hauptstadt der Hethiter. Mainz am Rhein, 1996.

**17. Ortmann W., Picxelauri K., Qvavadze D.** Ausgrabungen in Ananauri 1997. – Georgica, 21, 1998, S. 21-27.

**18. Stadelmann R.** Die Ägyptischen Pyramiden. Kulturgeschichte der Antike Welt, Band 30. Mainz am Rhein. 1991.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – თრიალეთის გეოგრაფიული მდებარეობა.

ტაბ. II – თრიალეთი. წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე გამოვლენილი ყორღანების განლაგება.

ტაბ. III – 1. თრიალეთი. XLVIII ყორღანი. გეგმა; 2. თრიალეთი. XV ყორღანი. გეგმა; 3. თრიალეთი. XLVII ყორღანი და მიმდებარე ტერიტორია. გეგმა.

ტაბ. IV – 1. თრიალეთი. XVII ყორღანი. გეგმა; 2. თრიალეთი. III ყორღანი. გეგმა; 3. თრიალეთი. VI ყორღანი. გეგმა; 4. თრიალეთი. VIII ყორღანი. გეგმა.

ტაბ. V – 1. ზურტაკეტი. ყორღანი № 4. გეგმა, დეტალი; 2. ზურტაკეტი. ყორღანი № 3. გეგმა; 3. ზურტაკეტი. ყორღანი № 4. გეგმა; 4. ზურტაკეტი. ყორღანი № 6. გეგმა.

ტაბ. VI – 1. ზურტაკეტი. ყორღანი № 6. გეგმა, დეტალი; 2. ზურტაკეტი. ყორღანი № 6. რეკონსტრუქცია, ჭრილი.

ტაბ. VII – 1. ზურტაკეტი. ყორღანი № 6. რეკონსტრუქცია; 2. ზურტაკეტი. ყორღანი № 6. დასაგრძალვი დარბაზი, რეკონსტრუქცია.

ტაბ. VIII – 1. თრიალეთი. XV ყორღანი. გეგმა და ჭრილი; 2. თრიალეთი. XV ყორღანი. რეკონსტრუქცია; 3. თრიალეთი. XV ყორღანი. რეკონსტრუქცია, დეტალი.

ტაბ. IX – 1. წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე გათხრილ გზიან ყორღანებში მდმოჩენილი ინვენტარის ნაწილი (1-3 მოხატული კერამიკა; 4-6 საბრძოლო და სარიტუალო იარაღი; 7-9 ძვირფასი ლითონის ნაწარმი). ბ. კუფტინის მიხედვით.

## Description of the plates

Pl. I – Geographical location of Trialeti.

Pl. II – Trialeti. Arrangement of barrows revealed on the territory of the Tsalka water storage.

Pl. III – 1. Trialeti, barrow XLVIII, plan; 2. Trialeti, barrow XV, plan; 3. Trialeti, barrow XLVII and adjacent territory.

Pl. IV – 1. Trialeti, barrow XVII, plan; 2. Trialeti, barrow III, plan; 3. Trialeti, barrow VI, plan; Trialeti, barrow VIII, plan.

Pl. V – 1. Zurtaketi, barrow No. 4, plan, detail; 2. Zurtaketi, barrow No. 3, plan; 3. Zurtaketi, barrow No. 4, plan; 4. Zurtaketi, barrow No. 6, plan.


Pl. VI – 1. Zurtaketi, barrow No. 6, plan, detail; 2. Zurtaketi, barrow No. 6, reconstruction, section.

Pl. VII – 1. Zurtaketi, barrow No. 6, reconstruction; 2. Zurtaketi, barrow No. 6, burial chamber, reconstruction.


Pl. VIII – Trialeti, barrow XV, plan and section; 2. Trialeti, barrow XV, reconstruction; 3. Trialeti, barrow XV, reconstruction, detail.

Pl. IX – 1. Part of the inventory found in barrows with roads excavated on the territory of the Tsalka water storage, after B. Kuftin: 1-3. painted pottery; 4-6. weapons; 7-9. items of luxury.


ტაბ. I




ঘোষণা




ঘোষ. III



1



2




3

გაბ. IV




0 12 მ

1




0 6 მ

2




3





0 30 მ

4


ტაბ. V




გაბ. VI



გაბ. VII





1




2


ঘোড়া. VIII



1




2



3

Գած. IX




## ჯონი აფაქიძე

### თრიალეთის კულტურის მარმარილობის ერთი ნიმუშის უსტავლისათვის

თრიალეთის კულტურის № 17 ყორდანის ოქროს თასი არაერთხელ გამხდარა სპეციალისტთა კვლევის საგანი [1, გვ. 37, ტაბ. 5; 7, გვ. 185, ტაბ. XXX; 11 გვ. 39-43, ტაბ. VI; 16, გვ. 92-93, ტაბ. XCIII; 20, გვ. 97-98, ტაბ. 89; 22, გვ. 518-520, ნახ. 7-10; 31, გვ. 85, 238, ნახ. 67]. წინამდებარე სტატიაში გვინდა მოკლედ წარმოვადგინოთ ამ თასის კედლებსა და ქუსლზე ჩასმული სხვადასხვა ფერადი ქვების ინტერპრეტაცია.

№ 17 ყორდანი 1938 წელს გათხარა ბ. კუჭ-ტინმა [20, გვ. 21]. იგი მდებარეობდა ყოფილ სოფ. შეპაიკიდან<sup>8</sup> (წალკის რაიონი) 0,5 კმ-ის მოშორებით ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. მდიდრულ სამარხში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩენილ იქნა ოქროსაგან დამზადებული, ნახევრადგირფასი ფერადი ქვებით შემკული თასი (სურ. 1), რომელიც ძვ. წ. XVIII-XVII ს-ითაა დათარილებული [3, გვ. 95, 104; 31, გვ. 85]. მისი სიმაღლეა 7,3 სმ, წონა – 230 გრ. ბუდეებში ჩასმული ქვების დიამეტრი 0,4-0,6 სმ შორის მერყეობს. თასის კედლებზე თავიდანვე 131 მოძრგვალო ფორმის სხვადასხვა ჯიშის ქვა ყოფილა ჩასმული. ამჟამად ქვების ერთი ნაწილი ამოვარდნილი და დაკარგულია. სულ ზედა პორიზონტალურ რიგში თავდაპირველად 30 ფერადი ქვა ყოფილა ჩასმული. სარდიონის სამ ქვას სამი ღურჯი (თუ ცისფერი) ქვა ენაცვლება. ზედა რიგის ქვეშ მოთავსებულია ხუთი ვოლუტა. თითოეულ მათგანში თორმეტი ქვაა ჩასმული. აქ რვა ვარდისფერ ქვას ოთხი ღურჯი ქვა ენაცვლება. ვოლუტების ქვეშ კიდევ ორი პორიზონტალური რიგია განლაგებული. ზედა რიგში 24 თვალი იყო ჩასმული სამი სარდიონისა და ორი ღურჯი ქვების თანმიმდევრობით, ქვედა რიგში კი – სულ 17 ქვაა, რომლებიც მხოლოდ სარდიონის ქვებია. თასის ქუსლის შუა ნაწილში ჩასმულია ქარვის ერთი ქვა, რომელსაც ჯვარედინად უერთდება ორი ვარ-

დისფერი და ორი მოლურჯო ფერის ქვა. ამგვარად, მოლურჯო-მოცისფრო და მოვარდის-ფრო-მოყვითალო ქვები გარკვეული თანმიმდევრობითაა განლაგებული: 3 და 3, 8 და 4, 3 და 2 [11, გვ. 40-41; 20, გვ. 97].



სურ. 1

პროფ. ალ. ჯავახიშვილის უშუალო ხელშეწყობით 1996 წელს მოგვეცა შესაძლებლობა თრიალეთის თასზე ჩაგვეტარებინა სპეციალური დაკარგვებები და გავცნობოდით გ. ლემლეინის მიერ 1945 წელს ჩატარებული მინერალოგიური კვლევის შედეგების მანამდე გამოუქვეყნებელ აქტს, რომელსაც ხელს აწერენ გ. ლემლეინი და ალ. ჯავახიშვილი<sup>9</sup>. აქტის მე-7 გვერდზე სხვა ანალიზებთან ერთად მითითებულია თრიალეთის თასის მინერალოგიური კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც თასი შემკული ყოფილა სარდიონის, (გიშრის), ქარვის, ლაჟვარდისა და ქერამიკული მასის ქვებით. გ. ლემლეინის თანახმად, ღურჯი ქვები ცისფრად შეღებილ „კერამიკული მასის“ თვლებს წარმოადგენენ. ჩვენი აზრით, კერამიკული მასის ქვეშ,

<sup>8</sup> სოფელი შეპაიკი ამჟამად არ არსებობს. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს ის უზარმაზარი წყალსაცავის ქვეშ მოექცა, მოსახლეობა კი სხვაგან იქნა გადასახლებული. სოფ. შეპაიკის დარჩენილი ტერიტორია ორ სოფელს, კერძოდ, ბეშთაშენსა და ხადიკს შორის იქნა გადანაწილებული. ის ადგილი, სადაც 1938 წელს მე-17 ყორდანი იქნა შესწავლილი, ამჟამად სოფელ ბეშთაშენს ეკუთვნის (იქ ამჟამადაც წყალსაცავია). ეს ცნობა მოგვაწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელმა გ. ნარიმანიშვილმა, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვახსენებთ.

<sup>9</sup> ანალიზის აქტი დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. აქტის ნომერია: 156. ც3-283. ეს აქტი 1999 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ კრებულ Studia Troica-ში [22, გვ. 519, სურ. 9].

ალბათ, ცისფერი პასტა<sup>10</sup> ან მინისებრი პასტა უნდა ვიგულისხმოთ, რომელსაც დროთა ვითარებაში კოროდირება უნდა განეცადა. ეს საკითხი შემდგომ სპეციალურ დაკვირვებასა და მინერალოგიურ გამოკვლევას ითხოვს. მითუმეტეს, რომ ამ საკითხში ერთიანი აზრი დღემდე არ არსებობს<sup>11</sup>. ზოგიერთი ავტორი ლურჯ ქვებს ფირუზის ქვებად მიიჩნევს.

თასის კედლებზე სადღეისოდ შერჩენილი ერთი ლურჯი ფერის ქვა ლაუგარდია. იგი ერთ-ერთი კოლუტის ბუდეშია ჩასმული. თუ გავითვალისწინებთ ქვების ფერების მიხედვით განლაგების სიმეტრიას, მაშინ ლაუგარდის ქვები უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თასს სადღეისოდ თვლების გარეგეული რაოდენობა აკლია და ჩვენ ზუსტად ვერ დავასახელებთ იმას, თუ რამდენი ლაუგარდის ქვით იყო შემკული თრიალეთის თასი. ამ თასის შერჩენილ ქვებზე დაკვირვებისას ალ. ჯავახიშვილთან ერთად დაგრწმუნდით, რომ ლაუგარდის ქვა მხოლოდ ერთია.

თრიალეთის ოქროს თასს წინა აზიაში პირდაპირი პარალელები არ ეძებნება. სპეციალის-

<sup>10</sup> საგულისხმოა, რომ სამარხში აღმოჩენილია ცისფერი პასტის ერთი და თეთრი პასტის თერთმეტი ცალი წვრილი მძივი (იოტი) [20, გვ. 98].

<sup>11</sup> ე. გოგაძე გერმანიაში 1995 წელს გამოქვეწებულ კატალოგში ახსენებს სარდიონისა და „Fritte“-ს თვლებს [31, გვ. 238]. ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმებიან ის თვლები, რომლებსაც გ. ლემლეინი თავის აქტში „კერამიკული მასისაგან“ დამზადებულად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ამგვარი თვლები ცისფრად ყოფილა შეღებილი. საგულისხმოა, რომ 1991 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ო. ჯაფარიძე ასახელებს სერდოლიკის, ლაუგარდისა და კერამიკული მასის მრგვალ თვლებს [7, გვ. 185], ხოლო 1994 წელს გამოქვეწებულ ნაშრომში კი – სერდოლიკისა და ფირუზის თვლებს [12, გვ. 90]. ლ. ურუჟიაშვილი და ე. გოგაძე ადრე გამოცემულ ნაშრომში ახსენებენ არა „კერამიკული მასის“, არამედ ფირუზის თვლებს [20, გვ. 97]. ბ. კუფტინი ლურჯ-ცასფერ ქვებს ფირუზის ქვებად თვლილა [16, გვ. 92]. თუ რას წარმოადგენენ „კერამიკული მასის თვლები“ საბოლოოდ ახალი მინერალოგიური გამოკლევა დაადგენს. დღეს მის ქვეშ სამი რამ შეიძლება ვიგულისხმოთ: ცისფრად შეღებილი კერამიკული მასის თვლები, კორიდირებული მინისებური პასტა ან ფირუზის თვლები. გვინდა შეგნიშნოთ, რომ თასზე შერჩენილი თითოეული ქვის თვალი ცალკალკე უნდა იქნას გამოკვლეული, რათა საბოლოოდ განისაზღვროს არა მარტო მათი ზუსტი მორფოლოგიური კლასიფიკაცია, არამედ ისიც. თუ რა სახის მინერალისაგანაა თითოეული ქვა დამზადებული და თითოეული მათგანი რა ძირითადი კომპონენტებს შეიცავს. ასეთი კომპლექსური მიდგომა ხელს შეუწყობს იმის დადგენას, თუ საიდან, რომელი საბადოდან მომდინარეობს სამკაულის დასამზადებლად გამოყენებული მინერალები.

ტები მიიჩნევენ, რომ ის ადგილზე უნდა იყოს დამზადებული, მითუმეტეს რომ თასის სპირალისხმებრ დეკორს ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმზე დატანილ დეკორთან ეძებნება პარალელები [7, გვ. 185; 11, გვ. 43; 12, გვ. 90; 16, გვ. 93; 29, გვ. 68; 31, გვ. 85].

ბუნებრივია, თუკი თასი ადგილობრივი წარმომავლობისაა, მაშინ მის შესამკობად გამოყენებული ქვებიც ადგილზე უნდა დაემზადებინათ. ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით სწორედ აქ ვაწყდებით უაღრესად საინტერესო და მრავალმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებსაც შორეული კონტაქტებისა და კულტურული კავშირურთიერთობების აღიარებამდე მივყავროთ. საკუთრივ კავკასიასა და საქართველოში ლაუგარდის საბადოები არ მოიპოვება. ლაუგარდი, რომელსაც ჩვენთან ზოგჯერ ლაზურიტს ან ლაზურს უწოდებენ, ადვილად მსხვრევადი და ძალზე „ნაზი“ ქვაა. მისი სიმაგრის ხარისხი მხოლოდ 5,5-6,0-ია [32, გვ. 330]. განასხვავებენ სხვადასხვა ხარისხის ლაუგარდის ქვებს. უმრავლესობას ყვითელი ოქროსფერი ხაზები (ჩანართები) მიუყვება, რაც ამ ქვას დიდ სილამაზეს აძლევს. ძველ დროში ლაუგარდის სამკაულები განსაკუთრებით დიდ პატივში ყოფილა ეგვიპტესა და მესოპოტამიაში [25, გვ. 58, 61; 26, გვ. 29-54; 33, გვ. 75-76, 88-92; 35, გვ. 222-228; 36, გვ. 199-205, ნახ. 38-39], თუმცა ტრია II-ის ლაუგარდის ცულები [23, გვ. 76; 24, გვ. 375, ნახ. 326; 28, გვ. 232; 40, გვ. 242, № 6058; 41, გვ. 20; 42, გვ. 46; 43, გვ. 152, სურ. 169], მაიკოპის კულტურის ცნობილ ყორდანში [14, გვ. 81], ნოვოსკობორნაიას № 1 ყორდანის პირველ დოლმენსა [18, გვ. 243] და სტარომიშასტოვსკის განმში [18, გვ. 225; 19, გვ. 194, ნახ. 48; 30, გვ. 26] აღმოჩენილი ლაუგარდის მძივ-სამკაულები, მიუთიერებენ ჯერ კიდევ აღრებრინჯაოს ხანაში ამ ქვის ფართო გავრცელებაზე.

ძველ მსოფლიოში ლაუგარდის საბადოები ცნობილია მხოლოდ ავღანეთსა (ბადახშანი) [26, გვ. 21-22, ნახ. 1; 39, გვ. 13, 15, რუკა; 34, გვ. 309; 33, გვ. 37, 85-87; 35, გვ. 221; 36, 208, ნახ. 40] და პამირის მთებში [27]. შესაბამისად, კავკასიასა და წინა აზიაში ლაუგარდის სამკაულებისათვის საჭირო მინერალები შეიძლებოდა მხოლოდ ცენტრალური აზიიდან შემოსულიყო. არანაკლებ მნიშვნელოვანია თრიალეთის თასზე დატანილი ქარვის ქვების წარმომავლობის საკითხის გარკვევა. საქართველოში ქარვის საბადოები არ არის ცნობილი [6, გვ. 74]. კავკასიაში ერთადერთი ქარვის საბადო ცნობილია აზერბაიჯანში მდ. ყარაჩაის ხეობაში [6, გვ. 74], თუმცა ამ საბადოს გამოყენების შესახებ ისტორიული ცნობა თუ რამებ სხვა სახის მონაცემი არ არსებობს [6, გვ. 75]. ქარვის ძველი საბადოები ცნობილია ბალტიისპირეთში.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში სულხან-საბა ორბელიანი წერდა: „ქარვა ესე არს ნივთი რამე ყვითელი, რომელი გამოიღების ლიტოვის ზღვიდამე. ვიდრე წყალთა შინა არს, ლბილ არს და რა გამოიღების, განიფარცხების...“ [სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (ი. აბულაძის რედაქციით), 1965]. ავღანეთისა და ბალტიისპირეთის საბალოები თრიალეთის კულტურის არეალიდან დაახლოებით 2500 კილომეტრის საჰაერო ხაზით არის დაშორებული<sup>12</sup>. თუ დღეს ჩენ თრიალეთის კულტურის არეში ლაუგვარდის შემოსვლის გზა შეგვიძლია ვივარაუდოთ ცენტრალური აზიიდან თურქენეთის სტეპებისა და კასპიის ზღვის (ან მის სამხრეთით) გავლით, ბალტიისპირეთიდან ამგვარი გზების მითითება დღეს ჭირს. მაგრამ არა გვგონია, რომ უფრო მართებული იყოს ქარვის ბირმიდან სპარსეთის გავლით იმპორტის შესაძლებლობის აღიარება<sup>13</sup>.

რაც შეეხება სარდიონისა და გიშრის თვლებს, ჩვენი აზრით, მათი ადგილზე მოპოვება დიდ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. კავკასიაში და მათ შორის საქართველოში კვარც-აქატ-ქალცედონის საბალოები და მათი გამოსავლები მრავალ ადგილსაა მიკვლეული [6, გვ. 52-66, 95-98; 10, გვ. 179-182; 15, გვ. 227-231]. გიშრის საბალოები<sup>14</sup> საქართველოში მრავალ ადგილასაა დადასტურებული [6, გვ. 68; 10, გვ. 60]. მათ შორის განსაკუთრებით კარგადაა ცნობილი ოკრიბისა და სართიჭალა-უჯარმის გამოსავლები და საბალოები, რომლებსაც, როგორც ვარაუდობენ, ძველ დროშიც იყენებდნენ [4, გვ. 14-15; 6, გვ. 68-72]. დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, მიკვლეულია გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის საწარმო-სახელოსნოები, სადაც ნახევრადვირფასი ქვების (სარდიონი, აქატი, იასპი, გიშრი) მძივ-სამკაულებს აწარმოებდნენ [8, გვ. 8-11, 44-48; 9, გვ. 231-234]. დადგენილი და მიკვლეულია კვარც-აქატ-ქალცედონის და იასპის გამოსავლები ანუ საბალოები და წყაროები, სადაც აღნიშნულ ხანაში ამ სახელოსნოებისათვის სამძივე მინერალების მოპოვება ხდებოდა. დადგენილია, რომ მდ. ოჩხომურისა და მისი შენაკადების

<sup>12</sup> გამოთვლები მიღებულია კომპაიუტერზე დატანილი სატელიტური რუკების მეშვეობით. ამ სამუშაოს ჩატარებაში დამეხმარა ჩემი გერმანელი მეგობარი, ჟურნალისტი და მწერალი ჰარტმურტ შიეკერტი რისთვისაც მას გულითად მაღლობას მოვახსენებ.

<sup>13</sup> [6, გვ. 75].

<sup>14</sup> აღსანიშნავია, რომ „...საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებობენ გაგატ-ლიგნიტის ტიპის ჰატარ-ჰატარა ბუდობები, რომლებიც, აღბათ წარსულში პოპულარული იყო“ [7, გვ. 68].

(დიჭყე, ბუმე და ჭოლაწყარი) მიერ ჩამოტანილი სამძივე მინერალები გვიანბრინჯაოს ხანაში ფართო მოხმარების საგნებს წარმოადგენდნენ ოჩხომურის საწარმო-ხამოსახლარზე მდებარე მძივების დასამზადებელი სახელოსნოებისათვის [6, გვ. 92-95]. უსათუოდ საყურადღებოა მე-17 ყორლანის სამარხში აღმოჩენილი სარდიონისა და გიშრის თითო მძივის აღმოჩენა [20, გვ. 98]. ეს მონაპოვრები არაპირდაპირი მოწმობაა იმისა, რომ ამგვარი მძივები ადგილობრივი წარმომავლობისაა და, შესაბამისად, თრიალეთის თასის სარდიონისა და გიშრის თვლები ადგილობრივ საწარმო-სახელოსნოებშია დამზადებული, ისევე როგორც ლაუგვარდის, ქარვისა და „კერამიკული მასის“ თვლები.

თრიალეთის თასის თასის ადგილობრივი დამზადების შესაძლებლობას მხარს უჭერს არა მარტო მისი დეკორი, არამედ ის ფერადი ქვებიც, რომლებითაც შემკულია მისი კედლები და ქუსლის ძირი. თუ სარდიონიბ გიშერი და ფირუზი ადგილობრივი წარმომავლობის შეიძლება იყობ ლაუგვარდიბ ქარვა და „კერამიკული მასა“ (გ. ლემლეინის ტერმინოლოგიით) შორეული ქვეყნებიდან (ავღანეთიდან პამირიდან და ბალტიისპირეთიდან) უნდა შემოეტანათ. ყოველ შემთხვევაში უფრო უახლოესი წყაროები ძველ სამყაროში კავკასიის მახლობლად ჯერჯერობით მანც არ ჩანს. შუაბრინჯაოს ხანაში თრიალეთის კულტურის ასეთი კავშირები კიდევ ერთხელ ადასტურებს თრიალეთის საზოგადოების მაღალ სოციალურ და კულტურულ დონეს განსაკუთრებით ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში. ეს ასევე მიუთითებს თრიალეთის კულტურის მნიშვნელოვან როლზე ცენტრალური და წინა აზიის კულტურების ერთმანეთთან დაკავშირების საქმეში. არ არის გამორიცხულიბ რომ სწორედ თრიალეთზე გადიოდა ცენტრალური აზიიდან მომავალი ერთ-ერთი გზა წინა აზიაში რომლითაც სხვა საქონელთან ერთად ალბათ მძივ-სამკაულის დასამზადებელი ლაუგვარდის მინერალებიც გადაჰქონდათ.<sup>15</sup>

## J. Apakidze

### TOWARDS THE STUDY OF ONE SPECIMEN OF JEWELLERY OF TRIALETI CULTURE (Summary)

The paper deals with the study of the semi-precious stones represented on the foot and body of the well known drinking cup coming from kurgan № 17 of Trialeti culture. The 7.3 cm high drinking cup, weighing 230 g dates from the 18<sup>th</sup>-

17<sup>th</sup> cent. B.C. The diameter range of the stones placed in sockets is 0.4-0.6 cm.

One of the preserved blue stones still attached to the cup is a lapis-lazuli, being fixed to a volute. Mineralogical analysis of this stone was undertaken by G. Lemlein and the results are stored in the archaeological *fonds* of State Museum (statement № 7, test number 156. II3-283). Taking into account the symmetry of distribution of stones according to their colour, it may be conjectured that more lapis-lazulis must have been attached to the cup. Unfortunately, a certain amount of stones initially present on the Trialeti drinking cup are now missing, making it impossible to calculate the precise number of lapis-lazuli stones.

The fact of adornment of the Trialeti cup with lapis-lazuli and amber is especially noteworthy from the point of study of historical, cultural and international relations. Outlets of lapis-lazuli were attested in the Ancient World only in Badakhshan and the Pamyr Range. Accordingly, this mineral - used for jewellery - was supplied to the Caucasus and Western Asia only from Central Asia. The problem of the provenance of the amber stones adorning the Trialeti cup is no less important. There are no outlets of amber in Georgia. The only amber outlet in the Caucasus is located in the Qarachai river basin (Azerbaijan), though no historical or other evidence on its exploitation exists. Ancient outlets of amber were known in the Baltic region. The distance between the mineral outlets of Badakhshan and the Baltic littoral on the one hand, and the area of spread of Trialeti culture on the other, amounts to 2500 km as the crow flies. Whereas today we may suggest the way of penetration of lapis-lazuli into the area of Trialeti culture via routes running from Central Asia to the steppes of Turkmenistan, across the Caspian Sea (or south of it), it is not possible to suggest any route connecting the Trialeti culture area with the Baltic littoral. The author even doubts the rationality of suggesting transportation of amber from Burma via Persia.

As for cornelian stones, lavishly adorning the cup, they were undoubtedly obtained and treated on the spot, since outlets of quartzite-agate-chalcedony were found in Georgia as well as in the Caucasus. Some of them (e. g. outlets of the river Ochkhomuri) were already exploited in the Bronze Age. The same can be said about jet stones, since outlets of these minerals were located in Georgia and some of them functioned in ancient times.

## ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1971.
2. აფაქიძე ჯ. ფერადი ქვისა და მინის მიკვების წარმოების საკითხისათვის ძველ კოლხეთში. — სმამ, გ. 123, №3, 1986, გვ. 657-660.
3. გოგაძე ე. თრიალეთის ყორდანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.
4. ზადიკაშვილი ლ., გერესელიძე ლ. საქართველოს გიშერი. — მეცნიერება და ტექნიკა, 5, 1981, გვ. 14-15.
5. ზაქარაძე პ., ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ. კოლხეთის სამეფოს ცენტრისა და ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქის ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევის ბოლო წლების გათხრების შედეგები. — კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I, მოხსენებათა მოქლე შინაარსები, თბ., 1998, გვ. 16-17.
6. მგელიძეშვილი თ. საქართველოს გეორგეოლოგია. თბ., 1991.
7. ჯაფარიძე თ. საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა). თბ., 1991.
8. აპაკიძე დ. ბ. Центральная Колхида в эпоху поздней бронзы - раннего железа. Тб., 1991.
9. გოგაძე ე. მ. Новые памятники по истории колхидской культуры. — Местные этно-политические объединения Причерноморья в VII-IV вв. до н. э. Материалы IV Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья (Цхалтубо-Вани 1985.), Тб., 1988, с. 231-234.
10. გორბუნოვ ს. აგატ. — Природные ресурсы Грузинской ССР, Том II, М., 1958, с.179-185.
11. ჯაპარიძე ნ. օ. იუველირное искусство эпохи бронзы Грузии. Тб., 1988.
12. ჯაპარიძე օ. მ. Триалетская культура. — Археология СССР. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. М., 1994, с. 75-92.
13. იესსენ ა. კ вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. — ИГАИМК, вып. 120, 1935, с. 7-237.
14. იესსენ ა. კ хронологии больших кубанских курганов. — СА, XII, 1950, с. 157-200.
15. კაზახაშვილი თ. ქვარც საქართველო. — Природные ресурсы Грузинской ССР, Том II, М., 1958, с. 227-231.
16. კუფტინ ბ. ა. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.
17. ლორქიპანიძე օ. დ. Наследие древней Грузии. Тб., 1989.

- 18. Мунчаев Р. М.** Кавказ на заре бронзового века. М., 1975.
- 19. Мунчаев Р. М.** Майкопская культура. – Археология СССР. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. М., 1994, с. 158–225.
- 20. Жоржиашвили Л. Г., Гогадзе Е. М.** Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974.
- 21. Твалчелидзе А.** Гагат Грузии. – Природные ресурсы Грузинской ССР, Том II, М., 1958, с. 60.
- 22. Apakidze J.**, Lapislazuli-Funde des 3. und 2. Jahrtausends v. Chr. in der Kaukasusregion – ein Beitrag zur Herkunft des Lapislazuli in Troia, Studia Troica, Band 9, 1999, S. 511–525.
- 23. Blegen K. W.**, Troy and the Trojans. Ancient Peoples and Places. London, 1963.
- 24. Dörpfeld W.**, Troja und Ilion. Ergebnisse der Ausgrabungen in den vorhistorischen und historischen Schichten von Ilion 1870–1894. Athen, 1902.
- 25. Growfoot Payne J.**, Lapis Lazuli in Early Egypt. – Iraq, 30, 1968, p. 58–61.
- 26. Herrmann G.**, Lapis Lazuli: The early phases of its trade. – Iraq, 30, p. 21–57.
- 27. Hiebert F. T., Shishlina N. I.**, Between Lapis and Jade. Ancient Cultures of Central Asia, in: Hiebert, Frederik T. – Nicola di Cosmo (Hg.), Anthropology and Archaeology of Eurasia, 1996, p. 5–12.
- 28. Korfmann M.**, Der Schatzfund in Moskau – ein erster Eindruck. – Antike Welt, 25/4, 1994.
- 29. Lordkipanidze O.**, Archäologie in Georgien. Von der Altsteinzeit zum Mittelalter. Quellen und Forschungen zur prähistorischen und provinzialrömischen Archäologie 5. Weinheim, 1991.
- 30. Markovin V. I., Muntschaev R. M.**, Kunst und Kultur im Nordkaukasus. Seemann Beiträge zur Kunsthistorischen Wissenschaft. Leipzig, 1988.
- 31. Miron A., Orthmann W.**, (Hg.), Unterwegs zum Goldenen Vlies. Archäologische Funde aus Georgien. Ausstellungskatalog. Saarbrücken, 1995.
- 32. Mohs F.**, Grund-Riß der Mineralogie. Zweiter Teil: Physiographie. Dresden, 1824.
- 33. Moorey P. R. S.**, Ancient Mesopotamian Materials and Industries. The Archaeological Evidence. Oxford, 1994.
- 34. Muhly J. D.**, Copper and Tin. The Distribution of Mineral Resources and the Nature of the Metals' Trade in the Bronze Age. Hamden, CONN, 1973.
- 35. Pinnock F.** The Lapis Lazuli trade in the third millennium B.C. and the Evidence from the Royal Palace G of Ebla. – *Bibliotheca Mesopotamica* 21, 1986, p. 221–228.
- 36. Poots T. D.**, Mesopotamia and the East. An Archaeological and Historical Study of Foreign relations ca. 3400–2000 BC. Oxford, 1994.
- 37. Poots T. D.**, Mesopotamian Civilization. The Material Foundations. London, 1997.
- 38. Saherwala G., Goldmann K., Mahr G.**, Heinrich Schliemanns „Sammlung trojanischer Altertümer“. Beiträge zur Chronik einer großen Erwerbung der Berliner Museen NF 7. Berlin, 1993.
- 39. Sarianidi V. I.**, The Lapis lazuli Route in the Ancient East. – *Archaeology*, 24/1, 1971, p. 12–15.
- 40. Schmidt H.**, Heinrich Schliemanns Sammlung trojanischer Altertümer. Berlin, 1902.
- 41. Schliemann H.**, Bericht über die Ausgrabungen in Troia im Jahre 1890. Leipzig, 1891.
- 42. Siebler M.**, Troia. Geschichte. Grabungen. Kontroversen. Zaberns Bildbände zur Archäologie 17. Mainz, 1994.
- 43. Tolstikow W. P., Trejster M. J.**, Der Schatz aus Troja. Schliemann und der Mythos des Priamos-Goldes. Katalogbuch der Ausstellung in Moskau 1996/97. Stuttgart – Zürich, 1996.

### სურათის აღწერილობა

სურ. 1. – თრიალეთის კულტურის № 17 ყორდანში აღმოჩენილი ოქროს თასი. თასი შემ-კულია ნახევრადგვირფასი ქვებით (სარდიონი, გიშერი, ლაჟვარდი, ფირუზი, ქარვა და „კერამიკული მასა“). ძვ. წ. XVIII–XVII სს. ლაჟვარდის თვალი საგანგებოდაა მონიშნული. ნახატი შესრულებულია ჰანს იოანიშ ფრაის მიერ (ტიუბინგენის უნივერსიტეტი) ვასილ ვა-სილის ძე შუტოვის (თბილისი) ფოტოს მი-ხედვით.

### Description of the Figure

Fig. 1. – Golden drinking cup found in kurgan № 17 of Trialeti culture. The cup is decorated with semi-precious stones (cornelian, jet, lapis-lazuli, emerald, amber and “ceramic mass” ). The lapis-lazuli dating from the 18<sup>th</sup>–17<sup>th</sup> cent. B.C. is specially marked. Drawing by H. Frye (Tübingen University) according to a photo by V. Shutov (Tbilisi).

†თოთარ ლორთქიფანიძე  
ახალგორის განძი  
(დათარიღებისა და ისტორიული ინტერპრეტაციის ცდა)

ეგძღვნება გამოჩენილი  
მეცნიერისა და მოქალაქის  
ექვთიმე თაყაიშვილის  
ნათელ ხსოვნას

„ახალგორის განძი“ უწოდებენ არქეოლოგიური არტეფაქტების კომპლექსს (150-ზე მეტი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთი), რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა 1908 წელს სოფელ სამეგურის მახლობლად (ამჟამად ახალგორის რაიონი: სურ. I, 1), მდ. ქსნის (მტკვრის მარცხნა შენაკადის) ხეობაში. \* ანტიკურ ხანაში ეს რეკინონ შედიოდა აღმოსავლურ-ქართული სამეფოს შემადგენლობაში, სამეფოსი, რომელსაც ძველ-ბერძნული და რომაული წერილობითი წყაროები იძერის სახელით იხსენიებენ<sup>15</sup>.

„განძის“ აღმოჩენისთანავე მისი შემადგენელი ნივთების გაყიდვა დაიწყო და ისინი სხვა-დასხვა ადამიანების ხელში აღმოჩნდა (როგორც ადგილობრივი გლეხების, ასევე რუსეთის სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების). მაგრამ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის და არქეოლოგის ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1952) დიდი ძალის ხმელეთი გაფანტული არქეოლოგიური ნივთების შეგროვება მოხერხდა და ისინი იმდროინდელ ქავკასიის მუზეუმს (თბილისი) გადაეცა<sup>16</sup>. 1921 წელს, წითელი არმიის მექრ საქართველოს ანექსიის დროს ახალგორის განძი ეროვნული ისტორიული საგანძურის სხვა ნივთებთან ერთად საფრანგეთში ემიგ-

\* ნაშრომი დაწერილია კონსტანციის უნივერსიტეტის, მანცის რომაულ-გერმანული მუზეუმისა და ბერლინში გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში მუშაობისას, სადაც ბატონი ოთარ ლორთქიფანიერი იმყოფებოდა როგორც პუბლილტის პრემიის ლაურეატი. ინგლისურ ენაზე სტატია გამოქვეყნდა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ეპრაზის განვითარების შურნალში Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, 33, 2001, გვ. 143-190.

<sup>15</sup> Strabo, I, 3, 21; X, 2, 17; XI, 1, 5; XI, 2, 4-5; XI, 2, 15; XI, 2, 17-18; XI, 3, 1-5; XI, 4, 2; XI, 7, 3; XI, 8, 9; XI, 14, 1 და 4-7; Plutarch, Pompey, XXXIV-XXXVIII; ibid., Lucullus, XXVI; Dio Cass., XXXVIII, 1-3; XLIX, 2; LVIII, 26; Appian, Mithr., 103-117; Claud. Ptolem., Geogr., V, X, 3; Jos. Flav., Jud., I, 122-125; XII, 419-421; Arr., PPE, 14; Plin., NH, VI; Tacit., Annal., VI, 32-34; XI, 8-9; XII, 44-51. – იხ. [77, გვ. 146-147; 80, გვ. 76-97, 135-140, 208-222, 269-275].

<sup>16</sup> განძის აღმოჩენისა და შემდეგ მისი შემადგენელი ნივთების შეგროვების ისტორია, რომელიც დატექტიური მოთხოვნის ფაბულად ივარგებდა, იხ. [38, გვ. 139-146; 37, გვ. V-VI].

რიჩებულმა საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ თან წაიღო. ბედმა ისევ ექვთიმე თაყაიშვილს არგუნა წილად ამ ძირიფასეულობაზე ზრუნვა. მანაც, უმძიმესი ეკონომიური პირობებისა და ხანგრძლივი ემიგრაციის ტანჯვა-წვალების მიუხედავად, ყველა ნივთი შეინარჩუნა და 1945 წელს საფრანგეთის მთავრობის და პირადად გენერალ შარლ დე კოლის ხელშეწყობით საქართველოს საგანძური სამშობლოში უპარ ჩამოიტანა<sup>17</sup>. ამჟამად „ახალგორის განძი“ თითქმის სრული სახით ინახება თბილისში, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში<sup>18</sup>, მხოლოდ რამდენიმე ნივთია დაცული შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში<sup>19</sup>.

1909 წლიდან ახალგორის „განძის“ შესწავლას შეუდგა აღმოსავლური ტორევტიკის ერთერთი საუკეთესო მცირენე, რუსი ხელოვნებათმცოდნე იაკობ სმირნოვი, თუმცა მან თავის სიცოცხლეში ამ განძის კალევის შედეგების გამოქვეყნება ვერ მოასწრო. 1934 წელს ცნობილმა ქართველმა ხელოვნებათმცოდნემ, პროფესორმა გიორგი ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა ი. სმირნოვის ნაშრომი ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ლევინგრადში (ამჟამად კვლავ სანკტ-პეტერბურგი), სახელმწიფო ერმიტაჟში ინახებოდა [37, გვ. XI-XII].

ი. სმირნოვის ნაშრომმა, რომელიც ერთდროულად გამოიცა რუსულ და გერმანულ ენებზე [37], მაშინვე მიიქცა საეციალისტების ყურადღება და ახალგორის განძი თუ მისი ცალკეული ნივთები სულ უფრო და უფრო ხშირად განიხილებოდა გამოკვლევებში, რომლებიც ეძღვნებოდა როგორც საქართველოს ძველ ისტორიას, ასევე აქემენიდური სამყაროს კულტურის ისტორიას.


<sup>17</sup> 1921 წელს საქართველოდან საფრანგეთში გატანილი ისტორიული საგანძურის სამშობლოში დაბრუნებისა და ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დგაწლის შესახებ იხ. [21].

<sup>18</sup> ინვ. №№ B-344 (ს [სმირნოვი] 31); B 554-578 (= ს 1-64).

<sup>19</sup> საგანძურის განვითარება: №№ 7-9 (= ს [36] 8-20); 19-22 (= ს 36; 38), 30 (- ს 5); 33 (= ს 48); 35 (= ს 60), 36-49 (= ს 44; 42-43; 39-41; 45-46; 50; 6; 21-22); 53 (= ს 66); 55-72 (= ს 66; 75-77; 28; 27; 71-74; 78; 79; 81; 85; 83; 94; 69; 70; 68); 76-82 (= ს 98; 67; 63; 64; 23 a. b; 24; 82).

ზოგადად ყველა მკვლევარმა გაიზიარა ი. სმირნოვის მიერ განძის ძვ.წ. VI-V საუკუნეებით დათარიღება და აქემენიდური კულტურის წრის ძეგლებისადმი მიკუთვნება.

ჯერ კიდევ 1967 წელს მე გავბედე გამომეთქმა ჩემი მოსაზრება ახალგორის განძის ზოგიერთი ნივთის უფრო მოგვიანო თარიღის შესახებ [17, გვ. 16-17]. უფრო მოგვიანებით, ვანში



სურ. 1. ტექსტში მოხსენიებული პუნქტების რუკა: 1. ახალგორი; 2. ვანი; 3. დაბლაგომი; 4. იოხვისი; 5. საირხე; 6. ტახტიძიძი; 7. ციხიაგორა; 8. ყანჩაეთი; 9. ყაზბეგი; 10. შავსაყდარა; 11. ალგეთი (წინწყარო)

მხოლოდ ა. მ. ტალგრენმა მიაწერა ახალგორის განძი მიდიურ-ასირიულ კულტურას და დაათარიღა ძვ.წ. VII საუკუნით [116, გვ. 265]. მაგრამ ამ მოსაზრებას აბსოლუტურად არავითარი მხარდაჭერა არა ჰქონია: ი. სმირნოვის კვალდაკვალ თითქმის ყველა მკვლევარი განძს აქემენიდური ხანისა და აქემენიდური კულტურის პროდუქტად მიიჩნევდა. ზოგიერთი მკვლევარი ზოგადად ათარიღებდა განძს ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით [7, გვ. 112; 3, გვ. 267], მკვლევართა უმრავლესობა კი მთლიანად განძს [2, გვ. 71 (არაუგიანეს ძვ.წ. V საუკუნისა); 27, გვ. 28-29; 5, გვ. 69 და შემდ., განსაკუთრებით გვ. 77] ან მის ცალკეულ ნივთებს ძვ.წ. V საუკუნეს მიაკუთვნებს.<sup>20</sup> განძის თარიღს იშვიათად ათავსებენ აქემენიდური ხანის მიწურულში: ძვ.წ. IV საუკუნეში, უფრო ზუსტად, მის პირველ ნახევარში [62, სურ. 322: შდრ. 103, გვ. 153, № 108.171, № F.106; 112, გვ. 176 („ძვ.წ. IV საუკუნის წყვილი საყურე ახალგორიდა“); 70, გვ. 17, №№ 27, 36-42].

<sup>20</sup> პ. ლუშეი ახალგორის განძის ფიალას ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულით - V საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს [81, გვ. 50]; პ. ამანდრი სინოპში აღმოჩენილ ფიალას, რომელიც ახალგორის ცალის ანალოგიურია, ათარიღებს „ძვ.წ. V საუკუნით, ან შესაძლოა, მისი მეორე ნახევრით“ [43, გვ. 260]. ბრენტჯესი თვლის, რომ „განძი აქემენიდური ხანისა“, ხოლო ოქროს საყურებს „ძვ.წ. V საუკუნით“ ათარიღებს [48, გვ. 136]. ბ. მუშე ახალგორის ოქროს საყურებს ძვ.წ. V საუკუნისად მიიჩნევს [95, № 3.4.6].

ძვ.წ. IV-III საუკუნეების მდიდრული სამარხების ახალი აღმოჩენების ფონზე, რომლებიც შეიცავდნენ „ახალგორის ტიპის“ ნივთებს, მე ვივარაუდე, რომ ახალგორის განძი პოსტ-აქემენიდურ ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს (ვიგულისხმე რა მისი ჩაფლვის ხანა) [77, გვ. 154, 200, შენ. 875]. მოგვიანებით ზოგიერთმა სხვა მკვლევარმაც შეამჩნა განძის ზოგიერთი ცალკეული ნივთის (კერძოდ, ხატისულლებისა და სამაჯურების) მსგავსება ძვ.წ. IV-III საუკუნეების ძეგლებთან [8, გვ. 165; შდრ. 19, გვ. 57].

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, რომ შეძლებისდაგვარად დავასაბუთოთ ახალგორის განძის თარიღი და განვსაზღვროთ მისი ისტორიული მნიშვნელობა კავკასიის იძერის ისტორიისათვის (იხ. ზემოთ, შენ. 1).

### განძი თუ სამარხი?

სანამ შევუდგებოდეთ ახალგორის განძის დასათარიღებლად შესაძარებელი მასალის მოტანას, აუცილებლად მიგვაჩნია იმის გარკვევა, თუ რასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში – განძთან, ე.ი. ცალკეული ნივთების კომპლექსთან, რომელთა შეგროვება ხანგრძლივი დროის მანძილზე ხდებოდა მათი მატერიალური ფასეულობის პრინციპით და, შესაბამისად, განძი შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა პერიოდის ნივთებს, თუ ჩვენს წინაშეა სავსებით ჩამოყალიბებული სამარხეული კომპლექსი, მეტ-ნაკლებად თანადროული ნივთების შემცველი? (ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული

ცალკეული უფრო ადრეული ნივთების არსებობა.)

ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ ძევლი ტორევტიკის ამ შესანიშნავი ნივთების გადარჩენას და ჩვენამდე მოღწევას, ამტკიცებდა: „ფაქტობრივად, ეს განძი კი არ არის, არამედ მდიდრული სამარხი ცხენითა და ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და თინის ნივთებით“ [38, გვ. 142] (შდრ. 37, გვ. VI)]. იაკობ სმირნოვმა, რომელმაც ყველა ნივთის ფუქციონალური ანალიზი ჩაატარა გამოწვლილვით, არაუთვაროვანი მოსაზრება გამოსთქვა: „(...) როგორც არქეოლოგიური თვალსაზრისით ღირსშესანიშნავი აღმოჩენების სხვა მსგავს შემთხვევებში, ის, რასაც გვამცნობენ მათი მპოვნელები, სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დარწმუნებით ვიმსჯელოთ მათ პირვანდელ მნიშვნელობაზე: ეს სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა სახის შეწირულობანი იყო, მიტანილი რაიმე წმინდა ადგილას; თუ ვისიმე განძი იყო, საგანგებოდ ჩაფლული ან შემთხვევით დაკარგული მტრის შემოსევის დროს; დაბოლოს, ხომ არ იყო ყველა ეს ნაირნაირი ნივთი სამარადისოდ ჩადებული რომელიმე წარჩინებული პირის სამარხში? ეს უკანასკნელი ვარაუდი ყველაზე მისაღებად გვეჩვენება, თუ მსედველიბაში მივიღეთ ნაპოვნი ნივთების დანიშნულებას. მაგრამ სჯობს, რომ ამაზე ვიმსჯელოთ მთელი განძის განხილვის შემდეგ. ახლა კი შემოვიფარგლებით იმ შენიშვნით, რომ თბილისში და ადგილზე შეგროვილ ნივთებს შორის, რომლებიც მომდინარეობენ აღწერილი აღმოჩენიდან, შეიარაღებასთან დაკავშირებული არც ერთი ნივთის არარსებობა იმაზე მუთითებს, რომ სავარაუდო სამარხი ქალს ეკუთვნოდა“ [37, გვ. 1]. სამწუხაროდ, დაპირებული საბოლოო „მოსაზრებები“ ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ იაკობ სმირნოვის ნაშრომში არ არის. ზემოთ მოტანილი „წინასწარული შენიშვნის“ საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მკვლევარი უპირატესობას აძლევდა ამ აღმოჩენის სამარხად განსაზღვრას, თუმცა სიტყვა „განძი“ ხშირადაა ნახმარი მის ტექსტში.

ფუქციონალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ „ახალგორის განძის“ ნივთების მთელი კოლექციის შედგენილობა სრულიად გარკვეულ პრინციპს ემორჩილება, რაც არ არის დამახასიათებელი განძებისათვის, მაგრამ აღმოჩენილი ნივთების ამგვარი ჯგუფები ტიპიურია სამარხეული ინვენტარისთვის: ა) თავსამკაული, ბ) ხელების სამკაული, გ) ტანსაცმლისა და სუდარის მოსართავები (აპლიკაციების სახით), დ) შეწირულობანი რიტუალური ნივთების სახით, ე) საკვები, ვ) ცხენების სამარხები მათი აკაზმულობით.

### ა) თავსამკაული

1. დიადემა ან შუბლის სამკაული (სურ. 2): ოქროს გრეხილი რკალი კავისებური შესაკრა-

ვებით [37, გვ. 6, № 4]<sup>21</sup>.

2. სასაფეთქლები, რომლებიც, შესაძლოა, დიადემაზე იყო ჩამოკიდებული (სურ. 2<sub>2</sub>; 3<sub>2</sub>): ოქროს ორი ცხენი, რომელთა უნაგირზე ბრტყელი ფირფიტაა, შემცული ვარდულითა და ცვარათი. სრულიად უეჭველია, რომ ეს ნივთი განსახილველი კომპლექსის ოქრომჭედლობის ძეგლთა შორის ყველაზე გამორჩეულია [37, გვ. 24, № 26]<sup>22</sup>.

3. საყურები: ორი წყვილი ოქროს საყურე<sup>23</sup> (სურ. 2<sub>3,4</sub>; 3) [37, გვ. 21, №№ 24-25].

4. ხატისუღლები<sup>24</sup>: ოქროს ორი ხატისუღლელი (სურ. 4) [37, გვ. 3-4, №№ 2-3, ტაბ. 1].

5. ყელსაბამები: მძივებისა და საკიდების ტიპების შესაბამისად, ი. სმირნოვმა აღადგინა 5 ყელსაბამი (სურ. 5<sub>1-5</sub>) [37, გვ. 7-23, №№ 5, 9, 11-20, ტაბ. 2]. ყელსაბამების აწყობის ზოგიერთი დეტალი შესაძლოა სადაცო იყოს, მაგრამ ცხადია, რომ ოქროს, ვერცხლის, ქვისა და

<sup>21</sup> ი. სმირნვი ამ ნივთს განსაზღვრავს, როგორც ხატისუღლს ან საესრუ რგოლს. ძევლ აღმოსავლეთში გავრცელებული ხატისუღლები [იხ. 95, გვ. 130], როგორც წესი, ღია ტიპისა იყო და არა შეკრული (განსხვავებით ლატენის ხანის კელტური, და საერთოდ ევროპული, ნიმუშებისგან: შდრ. [91, გვ. 72, ტაბ. 1, 15, 26, 62-71, 97]. ამავე დროს კავებიანი გრეხილი რკალი, რომელიც გვხვდება როგორც კავკასიაში (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში [შდრ. 96, გვ. 54 და შემდ., ტაბ. 5<sub>1,2</sub>; 6<sub>1-4</sub>; 42; 68; 71]), ასევე ირანში (ჯემდეტ-ნასრის პერიოდის ვერცხლის ხატისუღლები თევე გიანში [შდრ. 67, გვ. 146, ტაბ. 3]; ღურისტანის ბრინჯაოს ხატისუღლები [შდრ. 63, გვ. 63, ტაბ. 26<sub>7,8</sub>]), ზოგჯერ განსაზღვრულია როგორც ხატისუღლი. მე კი მეჩვენება (ყოველ შემთხვევაში ახალგორის ნიმუშის შემთხვევაში), რომ ესაა რედუცირებული ფორმა იქროსა და ვერცხლის დადაგებისა, რომლებიც არაერთზეის არის დადასტურებული კოლხეთის მდიდრულ სამარხებში ძვ.წ. V-IV საუკუნეებში. მათაც გრეხილი რკალი აქვთ, მაგრამ ბოლოვდებიან რომბისებური ფირფიტებით და შესაკრავებით [შდრ. 73, გვ. 261, სურ. 2-3]. ახალგორის კავებიანი, გრეხილი რკალი რომ ნამდვილად დიადემაა, ამას მოწმობს ხატურის ნაცარგორის ძვ.წ. IV-III საუკუნეების ერთ-ერთ სამარხში ადამიანის თავის ქალაზე მსგავსი რგოლის აღმოჩენა (ეს აღმოჩენა გამოუქვენებულია).

<sup>22</sup> არსებითად ასეთივე სასაფეთქლე, ეტლში მდგარი ორი მსედრის სახით, აღმოჩენილია ვანის ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში [26, გვ. 27-30, 104, № 16, სურ. 8].

<sup>23</sup> ორი ან მეტი წყვილი საყურე ხშირად ჩნდება ძვ.წ. V-IV [73, გვ. 268 და შემდ.] და ძვ.წ. IV-III [15, გვ. 26-27] საუკუნეების მდიდრულ სამარხებში კოლხეთში. როგორც ჩანს, ერთი წყვილი ყურებზე იყო ჩამოკიდებული, დანარჩენი კი დასაკრძალავ ძლვებში შედიოდა.

<sup>24</sup> ხატისუღლები ძვ.წ. IV-III საუკუნეების სამარხების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია კოლხეთშიცა და იბერიაშიც [15, გვ. 18].

მინის მძივები და საკიდები იმთავითვე ყელ-საბამების ნაწილებს წარმოადგენდნენ. ოქროს მილაკები და საკიდები, აგრეთვე სამკუთხედის ფორმის, ერთმანეთთან მირჩილული ოქროს ბურთულებისაგან შედგენილი საკიდები (სურ. 5<sub>6</sub>) [37, გვ. 3-4, № 10, ტაბ. 2] ასევე ყელ-საბამის შემაღენელ ელემენტებს უნდა შეადგენდნენ<sup>25</sup>. ამრიგად, შეიძლება ვივარაულოთ, რომ ექვსი ყელსაბამი იყო ამ კომპლექსში<sup>26</sup>.

ბ) ხელის სამკაული

1. სამაჯურები: ოქროს ორი სამაჯური (სურ. 6<sub>1</sub>) [37, გვ. 3, № 1].

2. საბეჭდავი-ბეჭდები: ოქროსა და ვერცხლის ოთხი ბეჭედი (სურ. 6<sub>2-3</sub>) [37, გვ. 29, №№ 27-30].

გ) ტანსაცმლისა და სუდარის სამკაული

1. ოქროს ორნამენტირებული დასაკერებელი ფირფიტები (სურ. 7<sub>2</sub>) [37, გვ. 30-34, №№ 33-45, ტაბ. 2].

2. ოქროს სარტყელი (სურ. 7<sub>4</sub>) [37, გვ. 39, № 52, ტაბ. 5] და სარტყლის მოსართავები: ოქროს ოთხუთხა ბალთები, შემცული გრიფონებისა და პალმეტების გამოსახულებით (სურ. 7; 16<sub>1</sub>) [37, გვ. 37-38, № 51, ტაბ. 4].

დ) სამარხეული შეწირულობა

I. ჭურჭელი: 5 ვერცხლის ფიალა (სურ. 8-11) [37, გვ. 44-46, №№ 61-65], ჭურჭელი და ფლაკონი [37, გვ. 47, №№ 66-67], ამფორა (?) [37, გვ. 49, № 69, ტაბ. 10]<sup>27</sup>, ბრინჯაოს დოქი და ქვაბი [37, გვ. 63-64, №№ 97, 100], თიხის ჭურჭელი [37, გვ. 64].

II. რიტუალური ნივთები (სურ. 12), როგორიცაა: 1. ბრინჯაოს ფიგურული ნივთი მხედრებისა და ცხოველების სტილიზებული გამოსახულებებით (სურ. 12) [37, გვ. 59-62, №№ 89-93, ტაბ. 4], პირობითად შტანდარტის ნაწილად მიჩნეული, რომელსაც ანალოგიები ეძებნება საქართველოს მდიდრული სამარხების ინვენტარში [5, გვ. 43-47]; 2. ბრინჯაოს 65 ზარაგი

<sup>25</sup> ი. სმირნოვის აზრით, ეს საკიდებიც შეიძლება ყელსაბამად გამოიყენებოდა, მაგრამ ის უპირატესობას ანიჭებს იმ ვარაუდს, რომ სამკუთხა საკიდები ტანსაცმელზე დასაკერებელი სამკაული იყო. მაგრამ ანალოგიური ოქროს სამკუთხა საკიდები, როგორც ყელსაბამის ნაწილები (სურ. 20), აღმოჩნდა საირნის № 1 მდიდრულ სამარხში [20, გვ. 86, ტაბ. 34, 2]. ამგვარი ყელსაბამები, შედგენილი გრანულირებული ბურთულებისგან, მეტად ზმირად გვხვდება წინააზიურ სამკაულებში, მათ შორის აქემენიდურ სამყაროში [54, გვ. 22, № 41, გვ. 24, № 45].

<sup>26</sup> აღსანიშვნავია, რომ სუზაში ქალის მდიდრულ სამარხში, რომელიც იქ აღმოჩნდილი მონტების საფუძველზე მც. IV საუკუნის შუახანებით თარიღდება, ასევე ექვსი ყელსაბამი აღმოჩნდა [92, გვ. 49. 51 და შემდ. ტაბ. 5, 6; 6. შდრ. 114, გვ. 177, შენ. 56].

<sup>27</sup> ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს ჭურჭლის, ალბათ, აქემენიდური ამფორის, ყურის ორნამენტი.

(სურ. 12<sub>2</sub>) [37, გვ. 59, № 94], რომელთაც, როგორც ფიქრობენ, მაგიური დანიშნულება ჰქონდათ (ბოროტი სულების განდევნა). ამგვარი ზარაკებიც სამარხეული ინვენტარის ერთ-ერთი ყვალაზე ხშირად დადასტურებული ნაწილია [დაწვრ. იხ. 5, გვ. 50-51].

III. ცხენის აკაზმულობა საკმაოდ მრავალ-ფეროვანია: ლაგამი (სურ. 13<sub>1-4</sub>) [37, გვ. 53-56, № 86] – 6 ცალი, რამაც ი. სმირნოვს მისცა საფუძველი, რომ სამარხში ექვსი ცხენის არსებობა ევარაუდა [37, გვ. 53]<sup>28</sup>. აქვე აღმოჩნდა ვერცხლის ბალთები (სურ. 13<sub>5</sub>) [37, გვ. 51, № 75, 77, ტაბ. 12], ვერცხლის ნახევარმოვარისებური საკიდი (სურ. 13<sub>6</sub>) – ცხენის აკაზმულობის მოსართავი [37, გვ. 57, №№ 87, 88]. ცხენის აკაზმულობის ნაწილად არის მიჩნეული აგრეთვე ოქროს ორნამენტირებული ბალთები (სურ. 14; 15; 16<sub>2,4</sub>) [37, გვ. 39, №№ 54-59, ტაბ. 5-7]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოქროსა და ვერცხლის ნივთებთან ერთად ცხენის ძვლების აღმოჩნდაც მიუთითებს ცხენების სამარხების არსებობაზე [37, გვ. 64].

ე) საკვები

ცხოველთა ძვლები (ხარის, ცხვრის და სხვა განუსაზღვრელი ცხოველების), რომლებიც, თვითმხილველთა ცნობით, აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთებთან ერთად [37, გვ. 60], ასევე მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ საქმე ვაკებს სამარხის ნაშთთან: ძვლები დაუფეშხოვებელი ნაკლავისა, რომელსაც ატანდნენ მიცვალებულს იმქეყნიური ცხოვრებისთვის, მრავალგზის არის დადასტურებული, განსაკუთრებით მდიდრულ სამარხებში, მათ შორის ძვ. V და IV-III საუკუნეების სამარხებში [78, გვ. 365; 75, გვ. 289].

### დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი ნივთების ერთობლიობა საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ე.წ. ახალგორის განძი ფაქტობრივად წარმოადგენს მდიდრული სამარხის ნაშთს; შესაბამისად, ეს სამარხი წარჩინებული პირის კუთვნილია, რომელიც დაკრძალეს მის ოქროს სამკაულებთან ერთად (დიადემა, სასაფეთქლებები, საყურეები, საკისრე რგოლები, ყელსაბამები, საბეჭდავი-ბეჭდები), ოქროს ორნამენტირებული დასაკერებელი ფირფიტებით მდიდრულად შემაული ტანსაცმლითა და სუდარით; მას ჩატანების მრავალრიცხოვანი სამარხეული შესაწირავი (ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი, ხელისუფლების ინსიგნიები, შტანდარტის ნაწი-

<sup>28</sup> ცხენების, მათ შორის აკაზმულობით, ჩატანება სამარხში ხშირად დასტურდება საქართველოს ძვ.წ. IV-III საუკუნეების მდიდრულ სამარხებში [5, გვ. 79; 15, გვ. 22-23; 11გ, გვ. 25-27, სურ. 103-104].

ლები)<sup>29</sup>, მაგიური საგნები (ბრინჯაოს ზარაკები) და საკვები მომავალი ცხოვრებისათვის. ექვსი მდიდრულად დარახტული ცხენი იყო დაკრძალული მიცვალებულთან ერთად. საფიქრებელია, რომ ეს ქალის სამარხი იყო, მმართველი ზედაუნის ოჯახის წარმომადგენლის<sup>30</sup>.

### დათარიღებისათვის

„ახალგორის განძის“ 150-ზე მეტი ნივთიდან, რა თქმა უნდა, ყველა ვერ თარიღდება მეტნაკლები სიზუსტით, რადგანაც მათ არ მოეპოვებათ პირდაპირი ანალოგიები ჩემთვის ცნობილ მასალებს შორის. ამიტომ შემოვიფარგლები დათარიღების თვალსაზრისით შედარებით სანდო ნივთებით.

**ოქროს წრიული („თავგახსნილი“) საყურები.** ორი წევილი მრგვალი საყურე ახალგორიდან (სურ. 2<sub>3,4</sub>; 3<sub>1</sub>) მიეკუთვნება აქემენიდურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ყურის სამკაულს, რომლისთვისაც დამახასიათებელია: ა) ფუყე, წრიული რგოლი, რომელიც თავგახსნილია ყურის ბიბილოსათვის და ბ) თავისებური დაბოლოება სახსრიანი ღერაკით, რომელიც ჩემულებრივ რკალისებურია, გადის ბიბილოში და მაგრდება მეორე ბოლოზე არსებულ შესაბამის რგოლიან-ქინძისთავიან საკეტში<sup>31</sup>.

<sup>29</sup> გარდა ზემოთ აღნიშნული ნივთებისა, „განძი“ შეიცვდა ოქროს კიდევ სხვა სამკაულებს, მაგ. 10 ოქროს მძივს, რომელთაც სარდიონის მრგვალი საკიდები აქვთ [37, გვ. 36, № 48, ტაბ. 4]. მათი დანიშნულება კაურკვეველია. ი. სმირნოვის აზრით, ისინი ამკობდნენ „რაღაც, ვერტიკალურად დაკიდებულ თასმას“. მაგრამ ასეთი ნივთების არსებობა სულაც არ გამორიცხავს მთელი კომპლექსის სამარხეულ ინვენტარად განსაზღვრას.

<sup>30</sup> ამაზე შეიძლება მიუთითობდეს იარაღის არარებობა. იარაღი კი გვხვდება მამაკაცის ძვ.წ. IV-III საუკუნეების მდიდრულ სამარხებში [შდრ. 11a, გვ. 211, №№ 25-84; 11b, გვ. 68-78]. „ახალგორის განძის“ ქალის სამარხად განსაზღვრას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ მასში საკისრე რგოლებია აღმოჩენილი. ერთის მხრივ, წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე, საკისრე რგოლები ითვლება უფრო ტიპიურად მამაკაცის სამარხებისთვის [95, გვ. 277], განსაკუთრებით კელტურ სამყაროში, მაგრამ მეორეს მხრივ, თვით კელტებში ლატენის ხანაში საკისრე რგოლები მხოლოდ ქალების სამარხებში გვხვდება ძვ.წ. 300 წლის მახლობელ ხანებში [91, გვ. 72-73]. ძვ.წ. III საუკუნის როგორც მამაკაცის, ასევე ქალის რენინისა და ბრინჯაოს ფიგურები განიდან შემკულია ოქროს ხატისუღლით [14; 78, გვ. 382, ფერადი ტაბულა 8<sub>1,2</sub>].

<sup>31</sup> წრიული („თავგახსნილი“) საყურების ამ ტიპის ზოგადი დახასიათება იხ. 113, გვ. 38-39; 86, გვ. 268-269; 85, გვ. 114-116; 90, გვ. 82; 103, გვ. 270-274 ("scheibenartige Ohrringe"); 95, გვ. 145-146 ("Kragenhohrringe"); 106, გვ. 89-93.

ასეთი საყურები (ოქროსი და ვერცხლის) რამდენიმე სახეობით არის წარმოდგენილი და გავრცელებულია მთელს აქემენიდურ სამყაროში და მის მიმდებარე ოლქებში. წრიული საყურების ერთი ნაწილი მომდინარეობს ირანის (სუზა,<sup>32</sup> პასარგადი<sup>33</sup>), მესოპოტამიის (ბაბილონი,<sup>34</sup> ნიპური<sup>35</sup>), სირიის (ნეირაბი,<sup>36</sup> დევე-ჰუიუ-კი<sup>37</sup>), დასავლეთ ანატოლია-ლიდიის (სარდინი<sup>38</sup>), ცენტრალური აზიის (ოქსუსი<sup>39</sup>), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის (ნიმფეიონი<sup>40</sup>) და სა-

<sup>32</sup> მდიდრული სამარხი, გამართული ბრინჯაოს სარკოფაგში, რომელშიც არადოსას მონეტებია აღმოჩენილი (ძვ.წ. 350-332 წწ.) [92, გვ. 50-51, სურ. 1<sub>28</sub>, ტაბ. 4<sub>3,4</sub>; F. Tallon in: 65, გვ. 242-243, სურ. 54; 250 № 178].

<sup>33</sup> განძი, მოთავსებული თიხის ჭურჭელში და ჩაფლული დაახლ. ძვ.წ. 331-330 წწ. სამეფო ბაღების ერთ-ერთ ნაგებობაში, მისი გამოხრელის მიერ ზოგადად ძვ.წ. V-IV საუკუნეებით თარიღდება [114, გვ. 168-178, განსაკუთ. 168-169 (№№ 2-4), 176, სურ. 85, 1-3, ტაბ. 148-150a].

<sup>34</sup> ვერცხლის ნივთებისა და მონეტების განძი, რომელთაგან ყველაზე გვანდელები მოჭრილია ძვ.წ. 400-385 წწ. [104, გვ. 44-48, ტაბ. 24-25; 85, გვ. 114, სურ. 3; 102, განსაკუთ. გვ. 80, № 25, ტაბ. 3a; 83, № 42, ტაბ. 4, g; 95, გვ. 271 (6.1.2.1); 103, გვ. 168, F.85].

<sup>35</sup> [87, ტაბ. 74, 10; 103, გვ. 168, F.84].

<sup>36</sup> „ნეობაბილონური ან ადრე-სპარსული“ ხანის სამაროვანი [51, გვ. 210, № 106, ტაბ. 54; 40, გვ. 194, სურ. 2, ა-ც, ტაბ. 55, b; 56, c; შდრ. 95, გვ. 271 (6.1.2.2), 274 (6.4.2)].

<sup>37</sup> სასაზღვრო სამხედრო ნაწილების ჯარისკაცთა სამაროვანი (დევე-ჰუიუკი II), რომელიც ზურქიონირებდა დაახლ. 480-380 წლებში [90, გვ. 7-10]; საყურების შესახებ იხ. [120, ტაბ. 23, 5, 7; 90, გვ. 82, № 300, სურ. 13].

<sup>38</sup> მდინარე პაქტულუსის დასავლეთ ნაპირზე ძეგბარე სამაროვანი, გათხრილი პირველი ექსპედიციის მიერ და დათარიღებული ზოგადად აქემენიდური ხანით [შდრ. 88, განსაკუთ. გვ. 105; დათარიღების სიძნელეების შესახებ იხ. 106, გვ. 92, № 18; 54, გვ. 28-31, №№ 63-64, 67, 70, ტაბ. 7, სურ. 1-2, 5-9].

<sup>39</sup> 57, გვ. 116, № 156, ტაბ. 21. ამუ-დარიის (ოქსუსის) განძის დათარიღებაც არაერთგვაროვანია [31, განსაკუთრებით გვ. 23, 28-30, შდრ. 100, გვ. 70; 106, გვ. 92-93, № 31].

<sup>40</sup> სკვითი ქალის მდიდრული სამარხი № 2, რომელიც სხვა ნივთებს შორის შეიცვდა ორ ატიკურ წითელფიგურულ ასკოსს და შავფიგურულ სკიფოსს, დათარიღებულს ძვ.წ. V საუკუნის მიწურულით [118, გვ. 10, 38, ტაბ. 6, d]. ავტორი მას განსაზღვრავს, როგორც საკინძე: „ეს უჩვეულო ნივთები აღმოჩენილია მიცვალებულის მხრებთან და ჩათვლილია, შესაძლოა სამართლიანად, ტანსაცმლის შესაკრავებად“. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ისინი მიცვალებულის ყურებიდან ჩამოვარდნილიყო მხრებზე!

ქართველოს აღქეოლოგიურად შესწავლილი კომპლექსებიდან<sup>41</sup>.

აქემენიდური წრიული საყურეების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცნობილია კერძო კოლექციებიდან ან შეძენილია ხელოვნების ნაწარმოებების ბაზრებზე. როგორც წესი, ამ უკანასკნელებს არ გააჩნიათ რაიმე სანდო მითითება მათი აღმოჩენის ადგილისა და პირობების შესახებ<sup>42</sup>. ცნობილია აგრეთვე როგორც მამაკაცების [106, გვ. 91 და შენ. 23, 32, 36], ასევე ქალების გამოსახულებები, შემცული წრიული საყურეებით [112, გვ. 43, სურ. 1a].

ახალგორში აღმოჩენილი წრიული საყურეების ორი სახეობა გვაქვს. პირველი წყვილი თითქმის ერთმანეთის იდენტურია (სურ. 2<sub>4</sub>; 3) და შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: ა) მთავარი, წრიული დაღარული ღერაკი; ბ) ჭვირული ჩარჩო სპირალისებური თხელი მავთულისა; გ) სფეროსებური მძივები, დასმული მილისებურ ღეროზე საყურეების კიდის გაყოლებაზე, დაბოლოს, ე) ცენტრში – „მედალიონი“ (მრგვალი ბალთა – ვარდული), რომელიც ბორბლის მანქანის მსგავსი თხელი ფირფიტებით (ეს უკანასკნელი შემცულია თევზიფური ორნამენტით) უკავშირდება მთავარ რგოლს.

თითოეული აღნიშნულ თვისებათაგანი ცალკალება დამახასიათებელია აქემენიდური ოქროსა და ვერცხლის წრიული საყურეების სხვადასხვა ტიპისთვის.

დაღარულდეროიანი წრიული საყურეები ცნობილია სარდისიდან (ორი წყვილი)<sup>43</sup>, ნიმფე-

<sup>41</sup> საქართველოს ტერიტორიაზე წრიული ოქროს საყურეები აღმოჩენილია საირჩეში (სურ. 20<sub>8</sub>) [20, გვ. 72, ტაბ. 34] და შავსაყდარაზე (სურ. 21<sub>1</sub>) [19, გვ. 18, 56, ტაბ. 11<sub>5</sub>, 24<sub>4</sub>].

<sup>42</sup> შეუძლებელია მათი სრული ნუსხის მოცემა. გამოქვეყნებული ან ლიტერატურაში მითითებული ნიმუშების შესახებ იხ. [52, გვ. 206, ტაბ. XLII (ნივთებს შორის, რომლებიც შეტანილია "Epoque byzantine et post-byzantine"-ში); 62, გვ. 323-324; 86, ტაბ. 259 (შდრ. [103, გვ. 167, F 77]; [82, ტაბ. 69, 2 (შდრ. 103, 169, F 94); 85, გვ. 110, ტაბ. I (შდრ. 103, გვ. 169, F 93); 68, გვ. 473, N 415 (შდრ. 103, გვ. 167, F. 73); 97, გვ. 32, № 10, ტაბ. 10 (შდრ. 103, გვ. 162, F. 75); 45, № 45, ტაბ. 12 (შდრ. 103, გვ. 167, F.81); 34, N 46-47, ტაბ. 12 (შდრ. 103, გვ. 167, F.74); 103, გვ. 166-171, F 68, 76, 80, 99, 103, 104; 106, გვ. 83-93, №№ 16-20. ძალიან გამოსადეგია აგრეთვე ნუსხა – 106, გვ. 92, №№ 19, 27, 33; 59, გვ. 66, № 172 (შდრ. 106, გვ. 61, № 19).

<sup>43</sup> იხ. [54, გვ. 29, N 64, ტაბ. 7, სურ. 2] – № 921 სამარხიდან, რომელშიც ოქროს ყელსაბამი (№ 22) და საყურე („წურბელისებური“) აღმოჩნდა [54, გვ. 31, № 69, ტაბ. 7, 8 a, b]. მეორე წყვილი მომდინარეობს № 75 სამარხიდან, რომელშიც გარდა ამისა აღმოჩნდა: ყელსაბამი სფეროსებური საკიდებით [54, გვ. 24, № 44, ტაბ. 4, 2], რომლებიც ძალიან ემსგავსებიან ახალგორის საყურეების გარეთა

იონიდან (I)<sup>44</sup>, ამუდარიის (ოქსუსის) განძიდან (I) [57, N 156, ტაბ. 21], აგრეთვე ჰელენ სტათატოსის კოლექციიდან (I) [52, 3, 1963, გვ. 289, N 206, ტაბ. 42]<sup>45</sup>. ყველა საყურე ოქროსია, მაგრამ ახალგორულებისაგან განსხვავებით, მათ არა აქვთ დამატებითი მხატვრული გაფორმება. მთავარი რგოლის ჭვირული ჩარჩო თხელი მავთულის სპირალის სახით აქვს აქემენიდურ ოქროს საყურეს, რომლის ცენტრალურ ნაწილში ადამიანისთვის მედალიონია [103, გვ. 169, F.95, სურ. 122]<sup>46</sup>. მსგავსი სპირალი აქვს ვერცხლის საყურეს, რომელიც, შესაძლოა, ჩრდილოეთ სირიიდან მომდინარეობს და გამოქვეყნებლის მიერ ძვ.წ. V-IV საუკუნეებით თარიღდება [97, გვ. 33, N 45, ტაბ. 12]. სპირალიანი ოქროს საყურე ინახება ბრიტანეთის მუზეუმში (მისი აღმოჩენის ადგილი უცნობია) [103, გვ. 167, F. 80, სურ. 115]. ეს უკანასკნელი საყურე ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ ჭვირული ორნამენტი, წარმოლგენილი თხელი მავთულის სპირალით, ახალგორის საყურეების მსგავსად შემოჩარჩოებულია ბურთისებური მძივებით.

საყურეები, რომელთა გარეთა კიდე შემცულია ღერაკიანი ბურთულებით, საკმაოდ ხშირად გვხვდება აქემენიდურ ხანაში. მათ შორის ყველაზე მეტად გამოიჩევა ოქროს საყურე ბესის გამოსახულებით ლუვრიდან, რომელსაც რ. გირშმანი ძვ.წ. V-IV საუკუნეებით ათარიღდებს [62, სურ. 323; 112, გვ. 43, ტაბ. 22; შდრ. 103, გვ. 169, F. 92]<sup>47</sup>.

ვერცხლის საყურე ბაბილონიდან, აღმოჩენილი განძში, რომელიც შეიცავს ძვ.წ. V-IV საუკუნეების მონეტებს, რომელთაგან უადრესი თარიღდება ძვ.წ. 400-385 წწ., შეიძლება ითქვას, რომ შედარებით უფრო ახლოსაა ახალგორის ნიმუშთან გარეთა კიდის ბურთულებით შემკობით [104, გვ. 44-45, ტაბ. 24, 25; 102, გვ. 80, № 25, ტაბ. 3a]. ასევე ცნობილია ვერცხლის საყურეები, რომელთა გარეთა კიდე შემცულია ღერაკიანი სფერული მძივებით.

რგოლს; აქვე აღმოჩნდა ლომის ოქროს ფაგურები (№ 86) და ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი (№ 89). სამწუხაროდ, ეს ნივთები დამათარიღდებლად ვერ გამოდგება. ითვლება, რომ ოქროს სამკაულები სარდისიდან მთლიანობაში თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით [106, გვ. 89, N 6, შდრ. 88, გვ. 105 და შენ. 34]. ნივთები № 75 სამარხიდან არ გაერთიანებულა „აღრე საპარსული ხანის“ ნივთებთან.

<sup>44</sup> იხ. შენ. 26.

<sup>45</sup> შდრ. ზემოთ, შენ. 28.

<sup>46</sup> აღმოჩენის ადგილი უცნობია.

<sup>47</sup> მითითება, რომ საყურე „მომდინარეობს სუზადან, SB 2764 სამარხიდან“, შეცდომა უნდა იყოს.

<sup>48</sup> მაგალითად, პერსეპოლისიდან [110, გვ. 79, № 27 ტაბ. 45<sub>27</sub>]; ხორსაბადიდან; დევე-ჰუიუკიდან [90, გვ. 82, N 300]; ნიაზრიდან [87, ტაბ. 74<sub>10</sub>]; კიშიდან [53, გვ. 108, ტაბ. 18<sub>6</sub>].

დაბოლოს, კიდევ ერთი სტილისტური ნიშანი ახალგორის განსახილველი საყურებისა – ვარდულის გამოსახულებიანი მედალიონი საყურის ცენტრში – ახლოსა დგას ნეირაბში აღმოჩენილი ვერცხლის საყურების ორნამენტთან [40, გვ. 194, სურ. 2a, ტაბ. 56, ც (შდრ. 95, გვ. 274; 6.4.2); 103, გვ. 146, 167, F.78].

ამრიგად, ახალგორში აღმოჩენილ ზემოთ განხილულ საყურებში (სურ. 2<sub>4</sub>; 3<sub>1</sub>) შერწყმულია სტილისტური ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ძვ.წ. V-IV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული აქემენიდური თავგახსნილი საყურების განსხვავებული ტიპებისათვის.

ახალგორის წრიული საყურების მეორე წყვილი (სურ. 2<sub>3</sub>) გამოიჩინევა პირველ რიგში მდიდრული გრანულაციით. მთავარი მილაკისებრი რგოლი მთლიანად დაფარულია წვრილი ცვარათი, რომელიც თითქოს კონცენტრული წრების სამ რიგს წარმოშობს. ამას მოსდევს სერია მომრგვალებული ღრუ ბურცობებისა, რომლებიც რელიეფურად გამოიკვეთებიან მთლიანად გავრსით დაფარულ ზედაპირზე. საყურების გარეთა კიდე შემოჩარჩოებულია ბურთულების რიგით. თითოეულ ბურთულაზე თითო პატარა ცვარა არის მირჩილული. საყურების შუაგულში ძირითად რგოლზე ჩამოკიდებულია ორი, სხვადასხვა ზომის ნახევარმთვარისებური საკიდი. ეს საკიდები შემკულია ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით, რომლებიც ერთმანეთისევნ წვეტიანი ბოლოებით არიან მიმართული (სწორედ ისე, როგორც ახალგორის სასაფეოქლებზე – შდრ. სურ. 2<sub>2</sub>; 3<sub>2</sub>).

ჩემთვის არ არის ცნობილი ისეთი აქემენიდური მრგვალი საყურები, რომელთა მილაკისებური რგოლები მთლიანად არის დაფარული ცვარათი, როგორც ეს ახალგორულებზეა. ჩვეულებრივ მათი რგოლები შემკულია წვრილი ცვარასგან გამოყვანილი კონცენტრული წრების ერთი ან ორი რიგით [106, გვ. 88, N 20A], ზოგჯერ ამას სამკუთხედებიც ემატება [86, ტაბ. 78-79, შდრ. 82, ტაბ. 69,2; 103, სურ. 121 F.94 და სურ. 130 F.103].

3. ლუშეი ახალგორის საყურების პარალელს ხედავს მის მიერ ძვ.წ. V ან IV საუკუნით დათარიღებულ ჩინგეულ ოქროს საყურები, რომელიც თითქოს პერგამონში უნდა იყოს აღმოჩენილი და რომელიც შემკულია მდიდრული გრანულაციით და ცენტრში ძერის – ჰორუსის (სინათლის ღვთაების) პერსონიფიკაციის – გამოსახულებით [82, გვ. 258]. მაგრამ, ჩემი აზრით, გრანულაციით გამოყვანილი ორნამენტი (მხოლოდ სამკუთხედები) და გარეთა კიდის გაფორმება მკვეთრად განასხვავებს ამ საყურეს ახალგორულებისაგან.

დ. სტრონახი თვლის, რომ მის მიერ სუზაში აღმოჩენილი გვიანა-აქემენიდური თავგახსნილი, ლაჟვარდის საკიდიანი ოქროს საყურე ახლოსა დგას ახალგორის საყურებთან [114, გვ. 176].

მაგრამ სუზის ეს საყურები, რომლებიც უხვადაა შემკული ფილიგრანით, ასევე განსხვავდება ახალგორის ნიმუშებისაგან (გარეთა კიდის გაფორმებითაც). მათ ერთმანეთთან თითქოს აახლოვებს საყურის შუა ნაწილის სამკაული. მაგრამ განსხვავებულია ამ სამკაულის დამაგრების ტექნიკა: ახალგორულ საყურებზე ნახევარმთვარისებრი საკიდები ჩამოკიდებულია მარტუჭებზე, რომლებიც მირჩილულია მთავარ რგოლზე, მაშინ როცა სუზის საყურებზე ბროწეულის ფორმის საკიდები (ორ ზედა რიგში) და ბრტყელი დისკოსებრი საკიდები კოპიანი ღერაკით უკავშირდება რგოლს.

ჩემი აზრით, ახალგორულ განსახილველ საყურებთან მთავარი რგოლის მოგავარსების თვალსაზრისით ყველაზე ახლოსა დგას ელექტრუმის საყურე, რომელიც თითქოს „მცირე აზიდან მომდინარეობს“. მას გამომქვეყნებული ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით ათარიღებს [97, გვ. 32, № 40, ტაბ. 10]. ამ საყურის მხოლოდ ქვედა ნაწილია დაფარული მთლიანად გრანულაციით, ხოლო ზედა ნაწილი – არა. მაგრამ გარეთა კიდის შემკულობა ზუსტად იგივეა: შედარებით დიდი ბურთულები, რომლებზეც უფრო მცირე ბურთულებია მირჩილული<sup>49</sup>. ახალგორის საყურების მსგავსი ნახევარმთვარისებური საკიდები, შემკული ცვარას სამკუთხედებით, აქემენიდურ წრიულ საყურებზე არ გვხვდება<sup>50</sup>. აქემენიდური ოქრომჭედლობის ნიმუშებზე მევერც ისეთი ორანმენტული სახე მოვიძიე, როგორიცაა ერთმანეთთან წვეტიანი კუთხებით მიმართული სამკუთხედები, გამოყვანილი ცვარათი ეს უკანასენელი ქმნიან სხვადასხვაზომის რომბული მოყვანილობის სიცარიელეებს).

## დასკვნა

ზემოთ განხილული ახალგორის წრიული საყურები მათი ტიპოლოგიური და სტილისტური ნიშნებით ადგილს პოულობენ როგორც

<sup>49</sup> დიდ ბურთულებზე უფრო პატარა ბურთულების ასეთივე რიგი არის ბერძნულ ნახევარმთვარისებურ საყურებზე ტარენტუმიდან, რომლებიც მდიდრულადაა ორნამენტირებული პალმეტებითა და ყვავილებით [84, გვ. 179, № 1657, 1658, ტაბ. 30]. აღსანიშავია აგრეთვე ბერძნული ვერცხლის ნახევარმთვარისებური საყურები, რომელთა გარეთა კიდე ასევე შემკულია ბურთულებით, რომლებზეც პატარა მძივებია დასმული [45, გვ. 183, № 296, ტაბ. LXXV]. ეს საყურები აღმოჩენილია კურიუმში (კვარისზე). გამომქვეყნებული მათ ათარიღებს ძვ.წ. V საუკუნის დასასრულით.

<sup>50</sup> ოქროს წრიულ საყურეს სტამბოლის მუზეუმიდან, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია და რომელიც არ არის ორნამენტირებული, აქეს ერთი ნახევარმთვარისებური საკიდი, ჩამოკიდებული რგოლებზე გამოცემელი მართებულად თავს იკავებს მისი დათარიღებისაგან [59, გვ. 66, № 172].

ქვ. წ. V, ასევე ქვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრის აქემენიდურ ყურის სამკაულს შორის.

**ფიალები.** ლითონის ჭურჭელს შორის, რომელიც გვევლინება აქემენიდი მეფეებისა და წარჩინებულთა ფუფუნების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებლად, რაც ასე ხატოვნადა აღწერილი ბერძნი ავტორების მიერ [Hdt., IX, 80, 82-83], ახალგორის მონაპოვარში გვხვდება ვერცხლის ხუთი ფიალა. კარგადაა ცნობილი ის სიძნელები, რაც ახლავს ლითონის, ისევე როგორც მინის, იმ ფიალების დათარიღებასა და წარმოების ცენტრების განსაზღვრას, რომელიც აქემენიდური ფიალების სახელითაა ჩვეულებრივ ცნობილი. ჩვენამდე მოღწეული ფიალების უმეტესობა არ მომდინარეობს მეტ-ნაკლებად სანდო არქეოლოგიური კომპლექსებიდან. ბევრი მათგანი შემთხვევითაა აღმოჩენილი ან შეძნილია სიძველეთა ბაზარზე; გვხვდება ყალბი ცალებიც (ზოგჯერ საქმაოდ მაღალხარისხვიც) [93, გვ. 157; 41, გვ. 91]. მიუხედავად ამ უკასპირტო ნივთების უკველი სამეცნიერო ღირებულებისა (მხატვრულ-სტილისტური და ტიპოლოგიური თვალსაზრისით), ისინი ვერ გამოდგებიან დათარიღების საფუძლად. აქემენიდური ფიალების ფორმები და დეკორი არ გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. ისინი საქმაოდ კონსერვულებია და კარგა ხანს განაგრძობენ არსებობას პოსტ-აქემენიდურ ხანაშიც. გარდა ამისა, ქვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან მოყოლებული, ომფალოსიანი ფიალები მზადდება ბერძნულ სამყაროშიც [81, გვ. 31 f., 144; 115, გვ. 55 f.]. ეს უკრნასკნელნი ზოგჯერ აქემენიდური ფიალების არა მარტო ფორმას იმეორებენ, არამედ მათ დეკორსაც. ამავე დროს დეკორში ახალი, ბერძნული ელემენტები იჩენს თავს, განსაკუთრებით აღმოსავლურ-ბერძნულ ტორევტიკაში. ზოგჯერ ისინი გადაჯაჭვულია აქემენიდურ ელემენტებთან. ეს გარემოება კი, სანდო ქრისტიანური კონტექსტის არარსებობის პირობებში, კიდევ უფრო ართულებს ცალკეული ფიალების დათარიღებასა და მათი საწარმოო ცენტრების დადგენას. ყველაფერი ეს, მიუხედავად ლუშების კლასიკური ნაშრომისა და აბგა'ი-ხავარის ძალიან სასარგებლო სტატიისა, გასაგებს ხდის როგორც აქემენიდური ფიალების მწყობრი ქრისტიანულ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა და მათი არეალის კარტოგრაფირების არარსებობას, ასევე საწარმოო ცენტრების განსაზღვრის სიძნელეს. ახალგორში აღმოჩენილი ფიალები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფორმითაც და ორნამენტითაც.

**არაღრმა ფიალები.** მომრგვალებულ კალთებიან არაღრმა ფიალას სადა პირის კიდე აქვს (სურ. 8, 2) [37, N 65 (= 41, გვ. 114 F3a6)]. მსგავსი, ომფალოსიანი და ორნამენტირებული, ბრინჯაოს ჩამოსხმული ფიალები შედარებით ხშირად იჩენს თავს დევე-ჰუიუკში [90, გვ. 31,

NN 79-82], სადაც ისინი ძირითადად ქვ. წ. V საუკუნით თარიღდება; უახლოეს ანალოგიას წარმოადგენს ბრინჯაოს ფიალა, აღმოჩენილი აკლდამების მე-11 ჯგუფში, რომელიც შავლა-კიანი კილიკით კარგად თარიღდება ქვ. წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით [120, გვ. 118, ტაბ. 21, 7; 90, გვ. 31, N 82]<sup>51</sup>. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ამ ტიპის ფიალები უფრო დიდხანს მზადდებოდა, რასაც, მაგალითად, მოწმობს მათი ძალიან ხშირი აღმოჩენა ქვ. წ. V-IV საუკუნეების სამაროვანზე კამიდ-ელ-ლოზში (თანამედროვე ლიბანის ტერიტორიაზე)<sup>52</sup>.

**ომფალოსიანი ფიალები.** ორ ომფალოსიან ფიალას ახალგორიდან აქემენიდური ფიალების-თვის დამახასიათებელი ფორმა აქვს: მომრგვალებული ტანი გარეთ გადმოხრილი პირით და ბრტყელი ძირი. ეს განხილულია ლუშების სადისერტაციო ნაშრომში – შესანიშნავ გამოკვლევაში ფიალების შესახებ.

**პატარა თასი** (სურ. 8), ომფალოსიანი; შემკული რვა მომრგვალებული ბურცობით, რომლებიც ერთ რიგადაა განლაგებული გარეთა კიდეზე (დიამეტრი 14,7 სმ; სიმაღლე 4,7 სმ) [37, გვ. 47, № 64, ტაბ. 12]<sup>53</sup>. ლუშეი მას ათავსებს თავის EB (Phialen mit einreihigen Buckeln) ჯგუფში [81, გვ. 61, N 4]. მაგრამ ლუშეის მიერ გამოყოფილი ეს ჯგუფი სრულიადაც არ არის ერთგვაროვანი. მასში გაერთიანებული ფიალები ზოგჯერ განსხვავდება ერთმანეთისაგან არ მარტო ბურცობების ფორმით, არამედ საერთოდ ჭურჭლის მოყვანილობით და მისი ორნამენტით. მათი ქრონლოგიური ჩარჩოები ასევე უართოა. ფასალები, რომელთაც დიდი რელიეფური ბურცობების ერთი რიგი აქვთ, აღმოსავლეთში ჩნდება ჯერ კიდევ ასურულ ხანაში [81, გვ. 62], არსებობს მთელი აქემენიდური ხანის მანძილზე<sup>54</sup> და ფართოდაა გავრცელებული სახეშეცვლილი (ძი-

<sup>51</sup> კილიკისათვის იხ. [120, ტაბ. 27, 1]; კილიკის თარიღისთვის იხ. [90, გვ. 23, N 58]: „კილიკი იმ ტიპს განეკუთვნება, რომელიც საბერძნეთში მოდიდან გამოდის ქვ. წ. 480 წლის მახლობელ ხანებში“. მითითებულია [111, გვ. 91, ტაბ. 19, ტიპი C].

<sup>52</sup> [101, გვ. 88 („სამარხი 15“), N 9, ტაბ. 12, 15/2; 101 („სამარხი 37“), N 1, ტაბ. 16, 37/2; 126 („სამარხი 79“), N 1, ტაბ. 23, 79/3]. ყველა ფიალა ომფალოსიანია.

<sup>53</sup> აბგა'ი-ხავარი ამ ფიალას მიაკუთვნებს ბრტყელი ტიპის ფიალებს, რომელთა სიმაღლე დიამეტრის ერთი-მესამედის ტოლია ან მასზე ნაკლებია – F.I.C.14.

<sup>54</sup> შდრ. მაგ. ბრინჯაოს ფიალა კამიდ-ელ-ლოზშის სამაროვნიდან (დაახლ. ბკ. წ. 450/40-370/60 წწ.) [101, გვ. 90 („სამარხი 17“), № 3, ტაბ. 13, 17/2]. სამაროვნის დათარიღების შესახებ, შავლა-კიანი ლეკითოსს, ეგვაპტური სკარაბის, საბეჭდავებისა და სიღონური მონეტების საფუძველზე, იხ. [101, გვ. 69-70].

რითადად პროპორციების თვალსაზრისით) სახით ძვ.წ. IV-III საუკუნეებში<sup>55</sup>.

ლუშეიმ აღნიშნა განსახილველი ფიალის გარკვეული მსგავსება („gewisse Verwandtschaft“) ყაზბეგში აღმოჩენილ გერცხლის ფიალასთან [81, გვ. 65]<sup>56</sup>. თუკი საერთოდ შეიძლება ამ ორი ფიალის მსგავსებაზე საუბარი, ეს მხოლოდ მათი ერთგვაროვანი ფორმით შემოიფარგლება. უფრო არსებითია სხვაობა მათ შორის: ყაზბეგის ფიალას, რომელზეც არამეული წარწერაა დატანილი, უფრო ნაკლებად გამობერილი, ნუშისყბური ფორმის ბურცობები აქვს. ამ ბურცობებს შორის კი ორნამენტია, კერძოდ, ფრიზი, რომელზეც ორი-ორი გედის თავი და მათ შორის ორმაგი პალმეტებია გამოსახული; ახალგორის მოცემული ფიალა კი ყოველგვარ დეკორს მოკლებულია<sup>57</sup>. აქედან გამომდინარე, ფიალის დათარილება ყაზბეგის ფიალასთან ანალოგით (ეს უკანასკნელი ძვ.წ. V საუკუნითაა სარწმუნოდ დათარილებული)<sup>58</sup>) ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისით [5, გვ. 73] და მითუმეტეს VI საუკუნით [41, გვ. 106] მე დასაბუთებულად არ მიმჩნია.

ჩვენი ფიალა, თავისი მძიმე ფორმით, მრგვალი ბურცობების მცირე რაოდენობით მართლაც ემსგავსება აღრე-აქემენიდურ ნიმუშებს, მაგრამ შეიძლება დათარილდეს ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრით ან IV საუკუნის პირველი ნახევრით (ისევე როგორც კამილ-ელ-ლოზის ბრინჯაოს ფიალა<sup>59</sup>). სამწუხაოდ, ჩემთვის ძალიან ძნელია უფრო მეტად დამაჯერებული რამის თქმა ფიალის თარიღის შესახებ.

**კვერცხისებურ ბურცობებიანი ფიალა.** მეორე ჭურჭელი წარმოადგენს ფიალას (დიამეტრი 15,5-16,5 სმ, სიმაღლე 4,3-4,7 სმ), რომელსაც ომფალოსი და ცხრა კვერცხისებური ბურცობი აქვს; ბურცობებს შორის ცხრა ფორმისებური ბურცობია [37, გვ. 46-47, № 63, ტაბ. II; 41, გვ. 118, ტიბი F1c15] (სურ. 9).

<sup>55</sup> როგორიცაა ბრინჯაოს თასი ტელ-ფარადან სამხრეთ პალესტინაში, შდრ. [81, გვ. 55, 326; 99, გვ. 51, 228 (KaB 142: "Frühes 4. Jh. v. Chr."); შდრ. 41, გვ. 130 B1c.5].

<sup>56</sup> ყაზბეგის ფიალა ინახება მოსკოვში, სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში [შდრ. 116, გვ. 116ff., სურ. 4; რამდენიმე ჰუბლიკაცია, გარდა ლუშეისთან მითითებულისა, იხ. აგრეთვე 50, გვ. 37, 137, ტაბ. 7, 1].

<sup>57</sup> ამის საფუძველზე ლუშეი იმ დასკვნამდევ კი მივიდა, რომ „... kann auch für ein unfertiges Exemplar der durch die Schale mit gegenständigen Buckeln vertretenen Gattung gelten“ [81, გვ. 66].

<sup>58</sup> ზუსტად ასეთი ფიალა, შემკული გედების თავებით, რომელიც იმავე ხელოსანს თუ არ მიეკუთვნება, იმავე სახელოსნოში მაინც უნდა იყოს დამზადებული, აღმოჩნდა იალისოსში, როდოსზე ძვ.წ. V საუკუნის სამარხში [71, გვ. 28, 179, სურ. 168, 169]. ამ საფუძველზე ყაზბეგის ფიალა ასევე მიეკუთვნა ძვ.წ. V საუკუნეს [81, გვ. 65; 50, გვ. 37].

<sup>59</sup> შდრ. ზემოთ, შენ. 40.

ლუშეის კლასიფიკაციის მიხედვით, ეს ფიალა ორნამენტის ხასიათით მიეკუთვნება ფიალების ტიპს, რომელთა ბურცობები ერთმანეთის პირისპირაა განლაგებული [81, გვ. 41, N 24 ('Phialen mit gegenüberst ndigen Buckeln' = GB)].

ფიალები, რომელთაც ზემოთ მითითებული ორნამენტი აქვთ, ჩნდება ჯერ კიდევ ასურულ ხანაში [81, გვ. 45; 69, გვ. 68-69 (ნიმუში B2), ტაბ. 3,2]<sup>60</sup>. ამგვარი ფიალები ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული ფორმა იყო აქემენიდური, ისევე როგორც პოსტ-აქემენიდური, ტორევტიკისა. ლუშეი თვლის, რომ ახალგორის ფიალა ერთ-ერთი უადრესია პოსტ-ასურულ ნიმუშებს შორის, მიუთითებს რა, რომ ის ახლოსა დგას ევფრონიუსის ვაზაზე გამოსახულ ფიალასთან [81, გვ. 43, 58].

ამის საფუძველზე ლუშეი ახალგორის ფიალის თარიღს ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულით განსაზღვრავდა [81, გვ. 50]. ეს დათარილება გაიზიარა აბკა'ი-ხავარიმაც [41, გვ. 106]. მე მიჭირს იმისი თქმა, მართლაც ზუსტი ასლია ახალგორის ფიალა ევფრონიუსის ვაზაზე გამოსახულისა თუ არა [66, ტაბ. 20, 22]. საერთო ფორმით და დიდი რელიეფური ბურცობებით ის მართლაც ძალიან ემსგავსება ახალგორის ფიალას, მაგრამ ევფრონიუსის ფიალაზე კარგად არ გამოიკვეთება ორნამენტი, შემდგარი ერთიმეორის მოპირდაპირედ განლაგებული ბურცობებისაგან, არც სამწურცელა ყვავილი, რაც ჩვენი ფიალისთვის არის დამახასიათებელი.

ახალგორის ამავე ფიალას ლუშეი აახლოვებს მუშოვიცას (დუგანლი, ბულგარეთი) ვერცხლის ფიალასთან, რომელიც სამარხის კომპლექსის მიხედვით თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით [81, გვ. 58]. მაგრამ ლუშეი თვითონვე აღნიშნავს, რომ ეს ფიალები ერთმანეთისგან განსხვავდებიან კონტურით, ზომებით და ორნამენტის დეტალებითაც კი [81, გვ. 58].

ამანდრი ახალგორის ფიალას მიუთითებს, როგორც ანალოგს ჰელენ სტათატონის კოლექციის ფიალისა. თვილება, რომ ეს ფიალა სინოპეშია აღმოჩენილი. ამანდრი ამავე ჯგუფს მიაკუთვნებს ფიალებს სომხეთიდან და კვიპროსიდან, აგრეთვე ირანიდან, მათ შორის ვერცხლის ფიალასაც, რომელზეც არტაქსერქსეს წარწერაა [43, გვ. 260-262, სურ. 156, 157a-d]. მაგრამ ეს უკანასკნელი ფიალა<sup>61</sup> მისი უფრო დაბრტყელებული ფორმის გამო, ჩემი აზრით,

<sup>60</sup> ბრინჯაოს ფიალა აშურიდან, რომელზეც აშურტაკლაკის სახელია წარწერილი, ყველაზე აღრეულ ნიმუშად ითვლება: აშურტაკლაკი მიჩნეულია ძვ.წ. 805 წლის ეპონიმად [81, გვ. 45-46; 64, გვ. 3, სურ. 2b].

<sup>61</sup> გარკვეული სკეპტიციზმი არტაქსერქსეს წარწერიანი ვერცხლის ფიალის ავთენტურობის მიმართ, რომელიც უკვე 4 კოპიოთია ცნობილი [89, გვ. 183-184, № 18]; 94, გვ. 33; 55, გვ. 14], იმედია მალე გაქარწყლდება ახალი ტექნოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე [56].

არ შეიძლება მოვიტანოთ როგორც ანალოგია ახალგორის განსახილველი ფიალისა. იმასაც აღვნიშნავ, რომ ახალგორის ფიალის ნახატის მსგავსება ამანდრის მიერ ნახსენებ ფიალებთან (განსაკუთრებით სტათატოსის კოლექციის ფიალასთან) არ გამოდგება დამაჯერებელ საბუთად ახალგორის ფიალის ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებისათვის [43, გვ. 220]<sup>62</sup>.

ახალგორის ფიალის დათარიღების მთავარი სიძლე იმაში მდგომარეობს, რომ ფორმაც და დეკორიც (ერთიმეორის საპირისპიროდ მიმართული ბურცობების სახით) ყველაზე ფართოდ გავრცელებული ნიშანია როგორც აქემენიდური, ასევე პოსტ-აქემენიდური ხანის ფიალებისა. ბრინჯაოს ასეთი ფიალები წარმოდგენილია დევეკურისა [120, ტაბ. 21; 90, გვ. 35, №№ 93-96, სურ. 6]<sup>63</sup> და კამილ-ელ-ლოზის [101, გვ. 58 („სამარხი 9“), № 8, ტაბ. 9, 21] სამარვნებზე. ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ძვ. წ. IV საუკუნის ვერცხლის ფიალა გრადნიციდან [83, 326 A, 9, სურ. 4].

ვერცხლის ეს ფიალები, ისევე როგორც ადრე განსხილული ფიალა ახალგორიდან, უეჭველად მიეკუთვნებიან ტიპიური აქემენიდური ნიმუშების კატეგორიას, რომლებიც შესაძლოა დამზადებული იყო ძვ.წ. V საუკუნეში და იქნებ IV საუკუნეშიც კი (ისევე როგორც ზემოთ ნახსენები ფიალა გრადნიციდან) [83, 326 A, 9, სურ. 4].

**ბრტყელი ფიალები.** ორი ბრტყელი ფიალა დიდად განსხვავდება ზემოთგანსხილულთაგან ფორმითაც და ორნამენტითაც (სურ. 10, 11) – დიდი (დიამეტრი 21,6 სმ), თითქმის თევზისებური (სიმაღლე 3,2 სმ) თასი, ომფალოსანი, შემკული 24 ნუშისებური ბურცობით გარედან, რომელთა შორის სამფურცლიანი ყვავილია წარმოდგენილი. შიდა ზედაპირზე, ბურცობებს ქვემოთ ორი კონცენტრული წრე არის გამოყვანილი, რომელთა შორის მცენარეული ორნამენტია დატანილი: ფრიზი, შედგენილი ურთიერთმონაცვლე ხუთფურცლიანი ყვავილებითა და კოკრებით, რომელთაც ზეაწეული ღერაკი აქვთ (სურ. 10) [37, გვ. 45, № 62, ტაბ. 9, 10].

ლუშეი ახალგორის ამ ფიალას აქემენიდური ხანით ათარიღებს, უფრო ძვ.წ. V საუკუნის

<sup>62</sup> თვითონ ავტორი მიუთითებს, რომ იგივე არქეოლოგიური კომპლექსი, რომლიდანაც მომდინარეობს ეს ნივთი, შეიცავს უფრო გვიანდელ ნივთებსაც, მაგ., ონოხონას (176). ონოხონის ყურზე ხბოს თავის გამოსახულება სტილისტურად თითქმის იდენტურია ვუნის (კვიპროსი) სამაჯურებზე არსებული თავებისა, რაც უფრო ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისშეც კი, მიუთითებს [43, გვ. 268; შდრ. 42, გვ. 13-14].

<sup>63</sup> კიდევ ერთი ბრინჯაოს ფიალა არის ცნობილი „ჩრდილოეთ სირიიდან“.

შუახანებით [81, გვ. 50, 66-68]<sup>64</sup>. ამავე დროს ის მიუთითებს არსებითად ახალ ელემენტებზე (ბრტყელი ფორმა, ბურცობების დიდი რიცხვი, მცენარეული ორნამენტი) რაც კიდევ შეიძლება გაგრძელდეს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ლუშეი აღნიშნავს ახალგორის ფიალის სიახლოეს 18-ბურცობიან ფიალასთან, რომელიც ტუხ ელ კარამუსშია (ეგვიპტე) აღმოჩენილი. ეს უკანასკნელი ნაპოვნია მონეტებთან ერთად, რომელთაგან ყველაზე გვიანდელი თარიღდება ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულით ან III საუკუნის პირველი ნახევრით [81, გვ. 61, № 8]<sup>65</sup>. აბკა-ი-ხავარიც ამსგავსებს ფორმით ახალგორის ფიალას კიდევ ერთ ვერცხლის ფიალასთან იგივე ტუხ ელ კარამუსის განძიდან და ორივეს პოსტ-აქემენიდური ხანით ათარიღებს [41, გვ. 102]<sup>66</sup>.

ახალგორის ჩვენთვის საინტერესო ფიალა მთელი რიგი ნიშნებით აშკარად გამოიჩინება ძვ.წ. V საუკუნის აქემენიდური ფიალების რიგისგან. ეს ნიშნებია: ჭურჭლის ბრტყელი, თითქმის თევზისებური მოყვანილობა – სიმაღლისა და დიამეტრის შეფარდება 1:7-თანაა; ნუშისებური მოყვანილობის, სტილიზებული მცენარეული ორნამენტით შემოჩარჩოებული ბურცობების დიდი რაოდენობა (24!); გრავირებული შემკულობა ფიალის შიდა ზედაპირზე. ეს ნიშნები მოგვიანო თარიღზე უნდა მიუთითებდეს (უფრო მოგვიანოზე, ვიდრე ძვ.წ.). V ან თუნდაც IV საუკუნის დასაწყისია), კერძოდ, გვიან აქემენიდურ ხანაზე ან შესაძლოა პოსტ-აქემენიდურზეც კი. ბრტყელი ფიალები, რომელთა შორის არტაქსერქსეს წარწერიანი ნიმუშები ყველაზე ადრეულად შეიძლება ჩაითვალოს, ყველაზე პოპულარული ხდება გვიანაქემენიდურსა და ადრეულინისტურ ხანაში. დიდი რაოდენობით ნუშისებური ბურცობები, რომლებიც შემოსაზღვრულია სტილიზებული ყვავილებით, ასევე ძვ.წ. IV და მომდევნო საუკუნეებში ხდება ფართოდ გავრცელებული [99, გვ. 83]. დაბოლოს, აქემენიდური ხანის დასასრულს ჩნდება ორნა-

<sup>64</sup> ლუშეის ეს თარიღი გაიზიარა პფრომერმა [99, გვ. 77, შენ. 422].

<sup>65</sup> ტუხ ელ კარამუსის განძის შესახებ იხ. [99, გვ. 142 და ლიტ.], ვერცხლის ფიალის შესახებ იხ. [99, 268 KTK, 19, ტაბ. 22a] – „ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევარი“. ახალგორისა და ტუხ ელ კარამუსის ფიალები მართლაც ერთმანეთის მსგავსია ფორმითა და დიდი რაოდენობით ბურცობებით შემკობით. მაგრამ ტუხ ელ კარამუსის ფიალას შიდა ზედაპირი არა აქვს ორნამენტირებული.

<sup>66</sup> საქმე ეხება ფიალა F3c10-ს [81, გვ. 61 EB, 9; 99, გვ. 268, KTK 13, ტაბ. 17a – „წინარეელინისტური“; 49, გვ. 45, სურ. 4 – ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისი“]. მაგრამ ამ ფიალის ახალგორულთან სიახლოეზე თუ კისაუბრებთ, მხოლოდ ფორმა და ნუშისებური ბურცობები იქნება მხედველობაში მისაღები, რომელთა რაოდენობა 18-ს აღწევს. ახალგორულისაგან განსხვავებით ტუხ ელ კარამუსის ფიალას როზეტი-მედალიონი აქვს ბურცობებს მორის.

მენტი ფიალების შიდა ზედაპირზე. სუზის ბრინჯაოს სარკოფაგში აღმოჩენილი ვერცხლის ფიალა, რომელიც ძვ.წ. 388-322 წლებში მოჭრილი არადუსის მონეტებით თარიღდება, ყველაზე ადრეულად ითვლება მათ შორის [92, გვ. 43, ტაბ. 3; 81, გვ. 125 B2; 41, გვ. 126 F3c20]. ახალგორის ფიალასთან ძალიან ახლოსა დგას ბრტყელი ფიალა არდაბილიდან [41, გვ. 126 F3c21] და პოლონების ყორლანიდან [41, 1988, გვ. 126 F3c16]<sup>67</sup>, რომელიც პოსტ-აქემენიდურ ნივთებადაა მიჩნეული [41, გვ. 109, აგრეთვე გვ. 107]. დეკორის საფუძველზე აბკა- ხავარი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ახალგორის ფიალა ელინისტური ხანით დაათარიღოს, ისევე როგორც მეორე, უფრო მცირე ზომის ფიალა (დამეტრი 19 სმ, სიმაღლე 34 სმ), რომელსაც გარეთა ზედაპირის ძირზე მედალიონი აქვს (სურ. 11) [41, გვ. 106].

ეს უკანასკნელი ფიალა განხილული პქონდა ლუშებისაც, რომელიც მას Blütenkelchphialen-ის ჯგუფს მიაკუთხნებდა (ეს ჯგუფი ასევე ძალიან არაერთგვაროვანია არა მხოლოდ ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, არამედ ქრონოლოგიურითაც) [81, გვ. 97, N 18]. მან ეს ფიალა ძვ.წ. V საუკუნის შუახანების მახლობელი პერიოდით დაათარიღდა [81, გვ. 50]. ძალიან მნიშვნელოვანია ლუშების დაკვირვება იმის თაობაზე, რომ ეს ფიალა ფორმით ემსგავსება ფიალას სუზადან, რომელიც გვაინი აქემენიდური ხანით თარიღდება მასთან ერთად აღმოჩენილი არადუსის მონეტების საფუძველზე. შემდეგ ლუშები ყურადღებას ამაზილებს spitzblätteriges Blütenornamentის განვითარებაზე, მოიხსენიებს რა ამასთან კავშირში ახალგორის ამ ფიალას ძვ.წ. IV საუკუნის ფიალებს შორის (ისევე როგორც კულ-ობის ფიალას) [81, გვ. 99].<sup>68</sup> აბკა-ხავარი იქითებს იხრება, რომ ეს ფიალა ელინისტური ხანისაა [41, გვ. 106].

ახალგორის ფიალის ყველაზე საყურადღებო თავისებურება მისი ძირის გარეთა ზედაპირზე არსებული მედალიონია, რომელსაც ოთხი ნუშისებური ბურცობი ამკობს, მოთავსებული გრძელ მუთაქსებურ ორნამენტულ სახეზე. ბურცობებს შორის ფოთლებია. ფაქტობრივად საქმე გვაქს გაყოფილ მედალიონთან მრავალფურცლიანი გარდულისა (ან მარაოსებურ ენებთან).

<sup>67</sup> ფიალას, რომელიც ძვ.წ. IV-III საუკუნის სამარხში აღმოჩნდა, არამეული წარწერა აქვს [105, გვ. 123-124, ტაბ. 24, 1; 81, გვ. 61 EB 7].

<sup>68</sup> „ეს წაწვეტებულფოთლიანი მცენარეული ორნამენტი ჩნდება მხოლოდ რამდენიმე ატიკურ თიხის ფიალაზე, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 500 წლით თარიღდება, შემდეგ ისევ ჩნდება ძვ.წ. IV საუკუნეში (II – კულ-ობა, 18 – ახალგორი) და დიდ როლს თამაშობს კალესის ტიპის კერამიკაში ელინისტურ ხანაში“.

ჩემთვის უცნობია ამგვარი მედალიონის ზუსტი ანალოგია აქემენიდურ ლითონის ფიალებზე. ჭურჭლის ძირის შემკობა მედალიონით ფართოდ ვრცელდება ადრეელინისტური ხანიდან მოყოლებული. ახალგორულთან ყველაზე ახლოსა დგას მედალიონი კულ-ობის ოქროს თასზე [99, გვ. 97 და შემდ., ტაბ. 55].

განა ეს კიდევ ერთი საბუთი არ არის იმისა, რომ ახალგორის განხილული ფიალა პოსტ-აქემენიდურ ხანას მივაკუთვნოთ?

#### დასკვნები

სამი ვერცხლის ფიალა ახალგორიდან (სურ. 8, 9), როგორც ჩანს, ჯდება იმ ფიალების რიგში, რომელიც ფართოდაა გავრცელებული აქემენიდურ ხანაში და ისინი შეიძლება დაათარიღდეს როგორც ძვ.წ. V საუკუნით, ასევე IV საუკუნის მეორე ნახევრით. რაც შეეხება, ორ ბრტყელ, თევზისებურ ფიალას (სურ. 10, 11), ისინი უფრო პოსტ-აქემენიდური ხანისკენ მიიღიტვიან და შესაძლოა მათი მიკუთვნება ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულისთვის ან III საუკუნის დასაწყისისთვის.

#### „ახალგორის ტიპის“ ნივთების შემცველი სამარხები

ამჟამად საქართველოს ტერიტორიიდან ცნობილია გარკვეული რაოდენობა სამარხებისა, რომელიც შეიცავს ერთ ახალგორის განაში აღმოჩენილი ნივთების მსგავს საყურებებს, ხატისულებებს, ტანსაცმელზე დასაკერებელ ფირფიტებს, ცხენის აკაზმულობის ნაწილებს. ეს სამარხები მეტად მნიშვნელოვანია „ახალგორის განისა“ და მასში შემავალი ნივთების თარიღის დასადგენად. ქვემოთ განხილული ზოგიერთი სამარხი (უპირატესად დასავლეთ საქართველოდან) სანდოდაა დაათარიღებული თანმხლები ბერძნული იმპორტით. სამარხების მეორე ჯგუფი კი შეიძლება დაათარიღდეს იმ ნივთებით, რომელიც ანალოგიურია ბერძნული კერამიკით დაათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილებისა.

ვანში აღმოჩენილი მდიდრული სამარხების სერიას (სურ. 1), რომელიც III ფაზას მიეკუთვნება (დაახლოებით ძვ.წ. 350-250 წწ.), განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ახალგორის ტიპის“ ნივთების შემცველი სამარხების დაათარიღებისათვის. სამარხი № 9 (ესაა ე.წ. წარჩინებული კოლხი მეორის სამარხი, სურ. 17) [76, გვ. 177-184; 78, გვ. 380-386] მასში აღმოჩენილი ფილიპე II-ის სტატერით, ატიდური შავლაცაინი კანთაროსით (სურ. 17)<sup>69</sup>, I ქრონოლოგიური ჯგუფის ასტინომურდამლიანი სინოპური ამფორის და ე.წ. სოლოხა-I ტიპის

<sup>69</sup> შდრ. [111, გვ. 286, NN 698, 699, ტაბ. 29].

<sup>70</sup> დამდაზე გამოსახულია არწივი დელფინზე, ფარიგანტია Iστიაიօ-ი, ასტინომი – KΦიი-ი. სინოპური ამფორების I ქრონოლოგიური ჯგუფის ასტინომური დამდების (ბ. გრაკოვის კარგად ცნობილი კლასიფიკით) თარიღის შესახებ სხვადასხვა აზრია

ამფორის [22, გვ. 87; 23, გვ. 19, №№ 38, 39] საფუძველზე ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით თარიღდება [11ა, გვ. 203-211; 73, გვ. 284-288; 79, გვ. 51-58]. სწორედ ეს სამარხი გახდა ამოსავალი სამარხების მთელი წელის დასათარიღებლად, რომლებიც შეიცავდნენ მსგავს ნივთებს.

ვანის № 16 სამარხი (სურ. 18) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ახალგორის განძის“ ნივთების დასათარიღებლად. ის აღმოჩნდა იმ მონაკვეთზე, რომელიც შეიცავს ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულის - III საუკუნის პირველი ნახევრის სამარხებს. საკმაოდ მრავალრიცხვანი და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარი სხვა ნივთებთან ერთად შეიცავდა სინოპტურ ამფორას, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულით ან III საუკუნის დასაწყისით თარიღდება (სურ. 18<sub>5</sub>)<sup>71</sup>, ოქროს ჭირულ ბიკონუსურბურთულიან საყურეს (სურ. 18<sub>8</sub>), რომელიც № 9 სამარხის ანალოგიურია (სურ. 17<sub>3</sub>), აღრელინისტური ტიპის საკიდებს და კოლხურ თეთრს - 80 ჩეველებრივი ტიპის ტრიობოლს, რომლებიც ძვ.წ. IV-III საუკუნეებს მიეკუთვნება; ამის საფუძველზე ეს სამარხი თარიღდება ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით [15, გვ. 25]. ე.წ. ახალგორის ტიპის ნივთებიდან ეს სამარხი შეიცავს: ბრინჯაოს ხატისულელს, რომელიც ახალგორის ოქროს ხატისულელის ანალოგიურია [37, № 3, ტაბ. 1], ვერცხლის ნახევარმთვარისებურ საკიდს (სურ. 18<sub>9</sub>), რომელიც ახალგორულის მსგავსია (სურ. 13<sub>6</sub>) [37, № 72, ტაბ. 10], ბრინჯაოს ლაგამს (სურ. 18<sub>3</sub>), რომელიც ასევე მსგავსია ახალგორის ლაგმისა (შდრ. სურ. 13<sub>2</sub>) [37, № 86, სურ. გვ. 53-ზე], აგრეთვე ვერცხლის კონუსური მოყვანილობის ბალთებს, რომლებიც ცხენის აკაზმულობის ნაწილებადაა მიჩნეული [5, გვ. 60-61, №№ 56-58] (სურ. 18<sub>4</sub>). ეს ბალთებიც ანალოგებს ახალგორის ნივთებს შორის პოულობენ (სურ. 13<sub>5</sub>) [37, № 77, ტაბ. 12].

კრამიტსახურავანი მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან (სურ. 1<sub>3</sub>; 19) ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით თარიღდება. მისი დათარიღების საფუძველია სინოპტური დამღიანი კრამიტები, რომელთა დამღებზე I და III ქრონოლოგიური ჯგუფის ასტინომების სახელებია დატანილი [4, გვ. 53-54, №№ 44-46], სინოპტური ამფორები (სურ. 19<sub>1,2</sub>), თიხის უნგვენტარიუმები (სურ. 19<sub>1,12</sub>), ბერძნული ვერცხლის კილიკი (სურ. 19<sub>3</sub>), ატიკური შავლაკიანი კერამიკა (სურ. 19<sub>9,10</sub>), ბრინჯაოს პატერა [12, გვ. 79-90; 39, გვ. 48-54]. ტანსაცმელზე დასაკერებელი ოქროს რომბისებური ფირფიტები (სურ. 19<sub>8</sub>), რომლებიც ძალიან ახლოსა დგას ახალგორის ნიმუშებთან

გამოთქმული, მაგრამ ისინი თავსდება ძვ.წ. 370/360-320 წლებში [4, გვ. 51, № 10, იქვეა ლიტ.].

<sup>71</sup> მსგავსი ამფორების შესახებ იხ. [35, გვ. 168-169 (Ic), 150].

[12, სურ. 97, ზედა რიგში მარჯვენა]<sup>72</sup>, აგრეთვე „ახალგორის ტიპის“ ვერცხლის კონუსური ბალთები არის აღმოჩენილი ამ სამარხში<sup>73</sup>.

საირნის № 1 სამარხი (სურ. 1<sub>5</sub>; 20) შეიცავდა ადრეელინისტური ხანის კოლხური ქავერსამარხებისთვის დამახასიათებელ კერამიკას, რამდენიმე სამკაულს, ბრინჯაოს საბეჭდავბეჭდებს, ფიბულას და სხვა ნივთებს, რომლებიც ტიპიურია ძვ.წ. IV-III საუკუნეების კომპლექსებისთვის [20, გვ. 72-73, ტაბ. 34<sub>8</sub>]. მაგრამ მათ გვერდით სამარხში აღმოჩნდა „ახალგორის ტიპის“ წრიული ოქროს საყურე (სურ. 20<sub>8</sub>) [20, გვ. 68-79, ტაბ. 34<sub>2</sub>], სამკუთხა საკიდები, შედგენილი ერთმანეთთან მიღწილული მძივებით - ყელსაბამის ნაწილები (სურ. 20<sub>1</sub>, შდრ. ახალგორის ნიმუში - სურ. 5<sub>6</sub>) [20, გვ. 78-79, ტაბ. 37], ბრინჯაოს ლაგამი (სურ. 20<sub>7</sub>, შდრ. სურ. 13<sub>1,2</sub>) [20, გვ. 77-78, ტაბ. 35<sub>10</sub>] და ცხენის აკაზმულობისთვის განკუთვნილი კონუსური ბალთები (სურ. 20<sub>2</sub>) [5, გვ. 60-61, №№ 56-58].

ითხვისის სამარხი № 2 (სურ. 1<sub>4</sub>) შეიცავს ისეთი ნივთებს, რომლებიც ანალოგიურია ვანის № 9 სამარხში აღმოჩენილი მასალისა. ასეთებია, მაგალითად, მსხლისებურტანიანი დოქი, მოხატული წითელი შევრონებით თეთრ ფონზე. ითხვისის ამ სამარხში, რომელიც ადრეელინისტურ ხანას განეკუთვნება, აღმოჩენილია „ახალგორის ტიპის“ ცხენის აკაზმულობის რამდენიმე ნივთი (ვერცხლის კონუსური ბალთები).<sup>74</sup>

ტანტიძირის ახლახან აღმოჩენილი სამაროვანი აღმოსავლეთ საქართველოში (სურ. 1<sub>6</sub>), რომელიც ალექსანდრე მაკედონლის სტატერის, ბერძნული შავლაკანი ჭურჭლისა და თიხის სანელსაცხებლების აღმოჩენის საფუძველზე ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებით - III საუკუნის შუახანებით თარიღდება, ასევე შეიცავს ახალგორის ტიპის ბრინჯაოს ლაგამს [6, გვ. 32].

ოქროს ორამენტირებული ფირფიტა, რომელიც მსგავსია ახალგორული ნივთისა (სურ. 15<sub>2</sub>; 16<sub>2</sub>), აღმოჩნდა ციხიაგორის ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე (სურ. 1<sub>7</sub>; 21<sub>2</sub>) [121, გვ. 96-97, სურ. 20].

წრიული ოქროს საყურები, რომლებიც ახლოს დგას ახალგორულებთან, აღმოჩნდა შავსაყდარას ადრეელინისტური ხანის მდიდრულ სამარხში (სურ. 1<sub>20</sub>; 21) [19, გვ. 18, 56, ტაბ. 1<sub>5</sub>; 24].

საგანგებოდ უნდა შევტერდეთ აღრე აღმოჩენილ ყანჩაეთისა და აღგეთის (წინწყაროს)

<sup>72</sup> ვანისა და ახალგორის ოქროს მცირე ზომის ზოგიერთი სამკაულის სტილისტური მსგავსების შესახებ იხ. [8, გვ. 164].

<sup>73</sup> დეტალებისთვის იხ. [20, გვ. 75-79].

<sup>74</sup> ითხვისის ეს სამარხი არ არის გამოქვეყნებული. ის იხახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (არქეოლოგ. ფონდები 26-65: 1799) - [შდრ. 15, გვ. 23, შენ. 115, 116; 20, გვ. 78, შენ. 306].

მდიდრულ სამარხებზე, რომლებიც შეიცავენ „ახალგორის ტიპის“ ნივთებს.

ყანჩაეთის მდიდრული სამარხის ინგენტარი-დან (სურ. 1; 22; 23) ბრინჯაოს ლაგამი და კონუსისებური ვერცხლის ბალთები, რომლებიც ასევე ცხენის აკაზულობის ხაწილება, და აგრეთვე ვერცხლის ფიალა (სურ. 22<sub>1</sub>) მი-ეკუთხებიან „ახალგორის ტიპის“ ნივთებს. ამ ნივთების საფუძველზე ყანჩაეთის სამარხი და-თარიღდა ძვ.წ. V საუკუნის შუახანებით [5, გვ. 69-97, სურ. 20], თუმცა ეს თარიღი იმთავითვე იწვევდა ეჭვს [17, გვ. 16, შენ. 17]. როგორც აშკარა გახდა ზემოთ ნათქამიდან, ჩამოთვლი-ლი ნივთები დამახასიათებელია ადრეელინის-ტური ხანის სამარხებისათვის და ჯერჯერობით არ არის დადასტურებული უფრო ადრეულ (ძვ.წ. V-IV საუკუნის პირველი ნახევრის) კომ-პლექსებში. ყანჩაეთის სამარხის ვერცხლის ფი-ალის დათარიღება ძვ.წ. V საუკუნით ასევე არ გვეჩვენება დამაჯერებლად<sup>75</sup>.

მდიდრული სამარხი აღეცილდან (წინწყარო: სურ. 1<sub>1</sub>) აგრეთვე შეიცავს „ახალგორის ტიპის“ ბრინჯაოს ლაგმებს (სურ. 24). ეს სამარხი ასე-ვე დათარიღებულია ძვ.წ. V და IV საუკუ-ნებით [33, გვ. 34-41] ვერცხლისა და მინის ფიალების საფუძველზე (სურ. 24<sub>2,4</sub>) [9, გვ. 145-146]. მაგრამ კანელურებიანი ფიალები ლოტო-სის ფოთლებით (სურ. 24<sub>1,2</sub>) უფრო ტიპიურია ადრეელინისტური ხანისათვის [108, გვ. 7-8, სურ. 1]. მინის ფიალის ორნამენტს – ფოსოები მედიალურქედიან ლოტოსის ფოთლებს შორის (სურ. 24<sub>4</sub>) – ბევრი ანალოგი მოეპოვება ადრე-ელინისტურ ხანაში [98, გვ. 12]. ასეთია, მა-

<sup>75</sup> ფორმის მიხედვით ის მიეკუთვნება აქემენიდური ღრმა ფიალების ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ტიპს, რომელიც წარმოდგენილია ჯერ კიდევ აპადანას რელიეფზე გამოსახულ ძღვენს შორის [119, ტაბ. 1-13, 17 და სხვ.]. ამ ტიპის თასები (ლითონისა თუ მინის) ცნობილია აქემენიდური ხანის სხვადასხვა ძეგლებით (შდრ. [44, გვ. 18-19; 90, გვ. 37; 41, გვ. 128, T1c, განსაკ. T1c13; 130 B1c14; 58]. მაგრამ ეს ფორმა საქმაოდ პოპულარული ჩანს გვანაქემენიდურსა და ადრეელინისტურ პერიოდშიც (შდრ. მაგ. [99, გვ. 267, KTK 5-6, ტაბ. 10; 44, გვ. 19-20, იქვე ლიტ.]). ყანჩაეთის ფიალის დეკორი ტი-პაურია ფოსოებით შემცული აქემენიდური ფიალე-ბისთვის. ზოგიერთი ნიშანი, კერძოდ, ქედიანი ფიოთ-ლები და შედარებით მცირე ზომის ფოსოები, რომლებიც დასმულია ფოთლების შეერთების ადგილებზე, პარალელს პოულის ნილოსის დელტაში აღმოჩენილ ვერცხლის ფიალასთან (ე.წ. ნიუ იორკის კომპლექსი, ინვ. № 18.2.17], რომელიც დათარი-ღებულია ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით [99, გვ. 169, FK2; შდრ. 81, 42 GB13], ან ადრეპტო-ლემაიოსების ხანითაც კი [115, გვ. 99]. აქემენი-დური როზეტი ყანჩაეთის ფიალაზე არ არის უცხო აქემენიდური და ადრეელინისტური ფიალებისთვის (შდრ. 46; 98, გვ. 12-13, სურ. 9; 44, გვ. 19-20; 99, გვ. 78; 247 KBk 5; 241 KaBP 31, ტაბ. 47, c-d].

გალითად, ძვ.წ. 300 წლით დათარიღებული არამეულწარწერიანი ვერცხლის ფიალა, რომე-ლიც სიძველეთა ბაზარზეა შეძენილი [46; 115, გვ. 99, ტაბ. 25a; განსაკუთრებით 98, გვ. 12-13, სურ. 9]. ამიტომაც აღგეთის წინწყაროს მდიდ-რული სამარხი უნდა დათარიღდეს ადრეელი-ნისტური ხანით [შდრ. 8, გვ. 159, 165]<sup>76</sup>.

ამრიგად, ე.წ. ახალგორის განძის ნივთების გარკვეული რაოდენობა, კერძოდ, ოქროს ხა-ტისულები (სურ. 4), დასაკერებელი ფირფი-ტების ზოგიერთი ტიპი (სურ. 15-16), ვერცხლის კონუსისებური ბალთები (სურ. 13<sub>5</sub>) და ბრინ-ჯაოს ლაგმები (სურ. 13<sub>1,2</sub>) თავსდებიან ადრე-ელინისტური ხანის ნივთებს შორის. ეს ნივთები არ არის ცნობილი უფრო ადრეული პერიოდის (ძვ.წ. V-IV საუკუნის პირველი ხახევრის) კარ-გად დათარიღებული კომპლექსებიდან.

### დასკვნა „ახალგორის განძის“ თარიღის შესახებ

ახალგორის განძი ფაქტობრივად წარმო-ადგენს ერთ სამარხეულ კომპლექსს, რომლის ინვენტარი შედგება ორი ქრონოლოგიური ჯგუ-ფის ნივთებისაგან: ა) ძვ.წ. V საუკუნის-IV საუკუნის პირველი ნახევრის, ე.ი. აქემენიდური ხანის. ამ პერიოდს მიეკუთვნება ოქროს სამკა-ულის დიდი ნაწილი, მათ შორის მრგვალი საყურები (სურ. 2<sub>3-4</sub>; 3), ისევე როგორც ზო-გიერთი ვერცხლის ფიალა (სურ. 8<sub>9</sub>); ბ) ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის - III საუკუნის დასაწყისის, ე.ი. პოსტ-აქემენიდური ხანის. ოქ-როს ზოგიერთი დასაკერებელი ფირფიტა (სურ. 15-16), ოქროს ხატისულელი (სურ. 4<sub>2</sub>), ვერც-ხლის თევზისებური ფიალები (სურ. 10-11), ბრინ-ჯაოს შტანდარტი (სურ. 12<sub>1</sub>) და ცხენის აკაზ-მულობის ვერცხლისა და ბრინჯაოს დეტალები (სურ. 13) მიეკუთვნებან მეორე ჯგუფს. ამრი-გად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ წარჩინებულთა წრის წარმომადგენლის სამარხი, რომლის ინვენტარი დღეს „ახალგორის განძის“ სა-ხელითაა ცნობილი, ძვ.წ. IV საუკუნის დასას-რულით ან III საუკუნის დასაწყისით უნდა და-თარიღდეს.

### ისტორიული ინტერპრეტაციის ცდა

„ახალგორის განძის“ ზემო შემოთავაზებუ-ლი თარიღი ბუნებრივ შეკითხვას იწვევს: რო-გორ შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნის პირველი ნახევრის აქე-მენიდური კულტურის შესანიშნავი ქმნილებანი, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნოს ე.წ. სასახ-ლის სტილის წრეს, აღმოჩნდა ძვ.წ. IV საუ-კუნის დასასრულის - III საუკუნის დასაწყისის

<sup>76</sup> აღსანიშნავია, რომ ორნამენტის სტილისტური მსგავსება შეიმჩნევა, ერთის მხრივ, აღგეთის ბრინ-ჯაოს ქინძისთაგასა და, მეორე მხრივ, ვანის № 6 სა-მარხის სამაჯურებს შორის.

სამარხში? გარდა ზემოთ განხილული მშვენიერი საყურებებისა, „სასახლის სტილის“ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს საკიდი, რომელზეც გამოსახულია ორი ერთიმეორის პირისაბირ მჯდომი სფინქსი – ადამიანის თავიანი ფრთისანი ლომები, რომელთაც თავზე ციდინდრული ფორმის თავსაბურავი ახურავთ და პერალდიკურად არიან გამოსახული (სურ. 7<sub>3</sub>; 16<sub>3</sub>) [37, გვ. 35-36, N 47]. ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნას ე.წ. სამეფო სფინქსებად, რომელთა გამოსახულებები ცნობილია პერსეპოლისის ქვის რელიეფზე და აგურის პანელზე, აგრეთვე ოქროს ფირფიტებზე და საბეჭდავებზე აქემენიდური სასახლის სტილისა [65, გვ. 229-230, N 157; 47, გვ. 34]. ოქროს საბეჭდავი-ბეჭდები (სურ. 6<sub>2-3</sub>); ასევე აქემენიდური ტიპისაა [37, გვ. 30, N 29-30, ტაბ. 3; 16, გვ. 25-36].

### ალტერნატიული ახსნა-განმარტებანი

1. სამარხი მიეკუთვნება კავკასიის იბერიის აქემენიდი მმართველების შთამომავალს და ე.წ. სასახლის სტილის ბრწყინვალე ქმნილებანი მათი საოჯახო საკუთრება იყო; ანდა ეს ნივთები დამზადებული იყო პოსტ-აქემენიდურ ხანაში, აქემენიდური კულტურული ტრადიციების ძლიერი გავლენის ქვეშ, რომლებიც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ამ რეგიონში. ორივე შემთხვევაში ეს გულისხმობს აქემენიდების მძღვრ და ხანგრძლივ პოლიტიკურ არსებობას კავკასიის იბერიის ტერიტორიაზე, ე.ი. თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოში. თუმცა დღემდე ამის დამამტკიცებელი არავთარი პირდაპირი საბუთი არ გავაჩნია. ტერიტორია, რომელზეც მოგვიანებით განვითარდა იბერიის სახელმწიფო [180, გვ. 67-75; იხ. აგრეთვე შენ. 1], არ შესულა აქემენიდურ სატრაპიებში, რომელთაც ჩამოთვლის პერიოდოტე [შდრ. Hdt., III, 92-95]. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სახელწოდება „იბერია“ პირველად დადასტურებულია ბერძნულ ლიტერატურაში მხოლოდ გვიანელინისტური ხანაში<sup>77</sup>; ისიც ადსანიშნავია, რომ ძალიან ძნელია პერიოდოტეს მიერ ნახსენები სატრაპიების თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ლოკალიზება, განსაკუთრებით მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც აღმოჩნდა „ახალგორის განძი“<sup>78</sup>. კიდევ მეტი, პლუტარქეს

მიხედვით, „იბერები არ დამორჩილებიან არც მიდიოლებსა და არც სპარსელებს, ის კი არა მაკედონელთა ბატონობასაც გაარიდეს თავი (Plut., Pompey, XXXIV)<sup>79</sup>.

არ გაგვაჩნია არც რაიმე პირდაპირი ან სანდო არქეოლოგიური მონაცემი აქემენიდთა პოლიტიკური არსებობისა ჩვენთვის საინტერესო რეგიონში (ე.ი. თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის ჩრდილოეთი). როგორც ვნახეთ, სამარხეული კომპლექსები, რომლებიც შეიცავენ პრესტიულ აქემენიდურ ნივთებს, პოსტ-აქემენიდური ხანისაა. ახლახანს ადგილ გუმბათში აღმოჩნდილი სასახლის ნაშთები აქემენიდური ტიპის ბაზისებით [60; 61], შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთადერთი საბუთი აქემენიდთა არსებობისა. მაგრამ, მიუხედავად მაღად მეთოდოლოგიურ დონეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხევებისა, მნელი გასაფანტია ეჭვები, დაკავშირებული ამ ნაგებობის – არქიტექტურული თვალსაზრისით უაჭველად აქემენიდურის – აქემენიდური ხანით დათარიღებასთან. კულტურული ფენები, რომლებიც შეიცავენ სანდო მონაცემებს აქემენიდური ხანით დასათარიღებლად, არ აღმოჩენილა, და თუკი არსებობს, მათი დაკავშირება თავდაპირველ სამშენებლო ფაზასთან მნელია. აქემენიდური არქიტექტურული ტრადიციები ხომ საკმაოდ დიდხანს შემორჩა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ გუმბათი მდებარეობს თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს განაპირას, საქამაოდ მოშორებით იმ რეგიონებიდან, რომელთაც შემდგომში იბერიის სახელმწიფოს გული შეადგინეს. აქემენიდ მმართველთა არც ერთი მონეტა დღემდე არ აღმოჩენილა ჩვენთვის საინტერესო რეგიონში.

ეთნიკურად ახლოს მდგომ ან მათ იდენტურ ხალხად (დეტალურად იხ. [34, გვ. 116, 222-223]), თუმცა სასპერების ტერიტორია მდებარეობს კოლხეთის სამხრეთი, არაქსის ველზე, სადაც მათ აღარღიერებსა და მატინებთან ერთად შექმნეს მე-18 სატრაპია (Hdt., III, 94).

<sup>79</sup> რა თქმა უნდა, შეიძლება სკეპტიკურად ვიყოთ განწყობილი რომაელი ისტორიკოსის ამ მონაცემის მიმართ, რომელიც განადიდებს პომპეუსის საქმიანობას: მან მოახერხა იბერიილების დამორჩილება, რაც ვერ შეძლეს ვერც მიღილებმა, ვერც სპარსელებმა და ვერც მაკედონელებმა!

<sup>77</sup> რამდენადაც ვიცი, ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ წერილობით წყაროებში სახელი „იბერია“ პირველად სტრაბონთან გვხვდება (იხ. ზემოთ, შენ. 1), თუმცა თვითონ სტრაბონი აღინშნავს, რომ „იბერია“ და „ბერიილები“ აპოლოდორეს მიერ არიან ნახსენები (Strabo, I, 3, 21; II, 5, 12; [შდრ. 80, გვ. 76-77]).

<sup>78</sup> შეიძლება ვიფიქროთ, რომ პერიოდოტეს დროს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ტერიტორია მოიცავდა რეგიონს, რომელიც სასპერებით იყო დასახლებული, რომლებიც მიჩნეული არიან იბერებთან

<sup>77</sup> რამდენადაც ვიცი, ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ წერილობით წყაროებში სახელი „იბერია“ პირველად სტრაბონთან გვხვდება (იხ. ზემოთ, შენ. 1), თუმცა თვითონ სტრაბონი აღინშნავს, რომ „იბერია“ და „ბერიილები“ აპოლოდორეს მიერ არიან ნახსენები (Strabo, I, 3, 21; II, 5, 12; [შდრ. 80, გვ. 76-77]).

<sup>78</sup> შეიძლება ვიფიქროთ, რომ პერიოდოტეს დროს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ტერიტორია მოიცავდა რეგიონს, რომელიც სასპერებით იყო დასახლებული, რომლებიც მიჩნეული არიან იბერებთან

გასათვალისწინებელია აგრეთვე დემოგრაფიული ვითარება მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე რეგიონში. არქეოლოგიური მონაცემებით, ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულისთვის აქცხოვრება შეწყვეტილი ჩანს და აღმოსავლეთ საქართველოს კარგად შესწავლილი დასახლებების უმეტესობაზე, რომლებიც ჰყაოდა გვიან ბრინჯაოსა და ადრერეკინის ხანაში, ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებამდე ერთგვარი ლაკუნა დასტურდება [77, გვ. 92]. ეს განსაკუთრებით მტკვრის მარცხენა ნაპირს შეეხება. ვითარება მკვეთრად იცვლება ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან და III-II საუკუნეებში. ესაა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იძერის სამეფოს ფორმირების და მისი ადრეული ისტორიის ხანა [77, გვ. 148-158]. ამ პერიოდის არქეოლოგიური ნაშთები აღმოჩენილია მთელს აღმოსავლეთ საქართველოში და ახალი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მათი რაოდნობა უფრო და უფრო მატულობს.

ამრიგად, ახალგორის მდიდრულ სამარხში აქემენიდური კულტურისთვის ტიპიური პრესტიული ნივთების არსებობის ახსნა იმით, რომ ეს შედეგია აქემენიდების პოლიტიკური არსებობისა, ვერ პოლობს დამაჯერებელ არქეოლოგიურ დადასტურებას<sup>81</sup>. ამდენად უპირატესობა უნდა მიენიჭოს აღტერნატიულ ახსნას.

2. როგორც ცნობილია, აქემენიდოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ ზოგი მისი სატრაპი ჩრდილოეთში გაიქცა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი მათგანი დასახლდა თანამედრო-

მიერაა მოჭრილი – მიუთითებს აქემენიდური მონეტების კოლხეთში მიმოქცევაზე.

<sup>81</sup> ასეა თუ ისე, ჩემთვის უცნობია ძვ.წ. V-IV საუკუნის პირველი ნახევრის არქეოლოგიური კომპლექსები მტკვრის ჩრდილოეთით, რომლებიც შეიცავდნენ აქემენიდური ტიპის ნივთებს. მთანი რეგიონი – დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდობები – ერთგარი გამონაკლისია. აქედან მომდინარეობს არქეოლოგიური კომპლექსი, რომელიც ცნობილია „აგაზბეგის განძის“ სახელით (აღმოჩენილია სოფ. ხევში, თერგის ზემო დინებაზე). ბრინჯაოს მრავალრიცხვან ქანდაკებებთან და სამკაულებთან ერთად, რომლებიც დამასხსიათებელია კავკასიის მთანი რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის კულტურისათვის (დეტალები იხ. [116; 25]), ის შეიცავს ვერცხლის ომფალოსიან ფიალას, შემკულს გედების თავებით (იხ. ზემოთ შენ. 42, 44). ეს ფიალა, რომელსაც პირდაპირი ანალოგია მოეცოვება როდოსზე, როგორც ჩანს, ძვ.წ. V საუკუნის აღმოსავლურ-ბერძნული სახელოსნოს ნაწარმა [71, გვ. 28, 180; 81, გვ. 61, 64]. ფიალას არამეული წარწერა აქვს, რომლის თარიღი მკველევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ასეა თუ ისე, წარწერა მოწმობს იმას, რომ ფიალა ოდესიაც ეკუთვნოდა პიროვნებას, რომელიც იყენებდა არამეულ დამწერლობას. ეს დამწერლობა კი გავრცელებული იყო აქემენიდურ სამყაროში ძვ.წ. V-IV საუკუნეებში. მაგრამ საკითხი თუ როგორ შეაღწია ამ ნივთმა ამ კომპლექსში (იმპორტია, ნაძარცვია თუ სხვა) ღიად რჩება.

ვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და თან მოიტანა აქემენიდური სამეფო სასახლის წეს-ჩვეულებები და საოჯახო განხეულობა. მეტად საინტერესო ცნობა, დაცული „მოქცევაი ქართლისაი“-ში, შესაძლოა ამ მოვლენების გამოძახილი იყოს. ამ თხზულების დასაწყისი ნაწილი, რომელშიც მოცემულია მეფეთა სია, დაწერილია არაუგვიანეს ახ.წ. VII საუკუნისა (ზოგიერთი მკვლევარის აზრით, შესაძლო V საუკუნეშიც კი), მაგრამ უფრო ადრეული წყაროების საფუძველზე (რომლებიც, შესაძლოა, შეიცავდა ჩვენამდე მოუღწეველ ცნობებს იძერის მეფეთა მმართველობის შესახებ. დეტალურად იხ. [34, გვ. 23-62; 77, გვ. 11-12]). ამ წყაროს ცნობით, აღექსანდრე დიდმა ქართლის გამგებლად დანიშნა „აზო, მე არიან ქართლისა მეფესაÁ“. ამის შემდეგ „აზოÁ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყანა რვაÁ სახლი და ათნი სახლნი მამამბუძეთანი“ [ქც, გვ. 291]. ფართოდა გავრცელებული ის თვალსაზრისი, რომ „არიანი“ უნდა აღნიშნავდეს „ირანულს“ (ბველ-სპარსული „არიაბ“-იდან), ხოლო „არიან ქართლი“ – სამხრეთ საქართველოს პროგინციებს, რომლებიც აქემენიდური იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა [34, გვ. 276-279].

ძველი სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი (სომხეთის ისტორია, II, 8) პიროვნებას, რომელიც აღექსანდრე დიდმა დანიშნა იძერის მმართველად, უწოდებს „მიპრდატს, სპარსეთის მეფის დარეპის სატრაპს“.

ამრიგად, ძველი ქართული ისტორიული ტრადიციის ზემოთ მოტანილი ცნობა (ისევე როგორც ძველი სომხური წყაროს ცნობა) იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქემენიდი სატრაპები და მათი შთამომავლები აღექსანდრე მაკელონელის გამარჯვების შემდეგ მაღლება დასახლდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. და თუკი ძველ ქართულ ქრონიკაში აღწერილ მოვლენებს მართლაც ჰქონდა ადგილი, ისინი გამოგვადგება ე.წ. სასახლის პრესტიული აქემენიდური სამკაულებისა და სხვა ნივთების აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულის-III საუკუნის დასაწყისის მდიდრულ სამარხებში არსებობის ასახსნელად. სიმპტომატურია, რომ აქემენიდური კულტურის ელემენტები, რომლებიც აქამდე არ არის სანდოდ დადასტურებული აღმოსავლეთ საქართველოში, საკმაოდ მრავალფეროვანი სახით წარმოჩნდება პოსტ-აქემენიდურ ხანაში როგორც კერამიკაში (ყურძილიანი ჭურჭელი [6, გვ. 82-83, ტაბ. 12, 248, 249], ფიალები [36, გვ. 189 და შემდ., №№ 514-532]), ისე არქიტექტურაში (ორმაგ-პროტომიანი კაბიტელები ხარის თავის გამოსახულებით ციხიაგორადან [121, გვ. 88, სურ. 5, 6]).

†O. Lordkipanidze

**THE "AKHALGORI HOARD"  
(ATTEMPT AT DATING AND HISTORICAL INTERPRETATION)**

(Summary)

The so-called "Akhalgori Hoard", a complex of archaeological artefacts (over 150 gold, silver and bronze items), was found casually in 1908 near the village of Sadzeguri (Akhalgori district). At present, the "Akhalgori Hoard" is almost completely preserved in Tbilisi in the State Museum of Georgia and a few items in the State Museum of Arts of Georgia. Almost all researchers generally accepted Smirnov's dating of this complex to the 6<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cent. B.C. and its belonging to the cycle of relics of Achaemenid culture.

A functional analysis shows that the whole collection of the objects of the "Akhalgori Hoard" is subject to a clearly defined principle - not characteristic of a "hoard" but typical of grave goods: a) head ornaments (a diadem, temple- and earrings, torques, necklaces); b) hand ornaments (bracelets, rings), c) ornaments of the clothing and burial shroud (gold plaques, belt), d) burial offerings with ritual objects (silver and bronze vessels, parts of a standard, bronze bells); e) food (bones of animals, f) interment of horses with their harness (bronze bits, silver cheek-pieces, silver hoops and plaques, a silver lunula, ornamented gold plaques). Thus, the entire collection of articles points, somewhat convincingly, that the so-called "Akhalgori Hoard" actually constitutes remains of the burial of a rich - hence noble - person, interred with gold ornaments, luxuriously adorned garment and shroud, numerous burial gifts, magic objects, and food for future life. Most probably, this was a burial of a female, a representative of a family of the ruling elite.

The typological and stylistic features of the circular earrings from Akhalgori find a place among Achaemenid ear adornments both of the 5<sup>th</sup> as well as the first half of the 4<sup>th</sup> cent. B.C.

Three silver phialae from Akhalgori evidently find a place among the phialae widespread in the Achaemenid period and may be dated to both the 5<sup>th</sup> and the first half of the 4<sup>th</sup> cent. B.C. However, two flat, plate-like phialae tend rather to the post-Achaemenid period, and are possibly datable to the very end of the 4<sup>th</sup> or early 3<sup>rd</sup> cent. B.C.

A number of items from the so-called "Akhalgori Hoard", e.g. the gold torque, some types of application, silver cone plaques and the bronze bits find their place among artefacts of the Early Hellenistic period, not being known in reliably dated complexes of an earlier period, i.e.

the 5<sup>th</sup> and first half of the 4<sup>th</sup> cent. B.C. Thus, the Akhalgori Hoard actually constitutes a single burial complex, its grave goods being comprised of items of two chronological levels: a) 5<sup>th</sup> - first half of the 4<sup>th</sup> cent. B.C., i.e. the Achaemenid period. The bulk of the gold ornaments, including the circular earrings, as well as some silver phialai are assigned to this period; b) the second half of the 4<sup>th</sup> - beginning of the 3<sup>rd</sup> cent. B.C., i.e. post-Achaemenid time: some gold applications, gold torque, silver platelike phialai, bronze finial, silver and bronze accessories of horse harness. Thus, the very end of the 4<sup>th</sup> or the very beginning of the 3<sup>rd</sup> cent. B.C. may be presumed as the time of interment of a representative of the nobility (the objects of the burial forming the "Akhalgori Hoard").

**Under the above-proposed dating of the so-called "Akhalgori Hoard", the question naturally arises: How should one account for the presence of outstanding works of Achaemenid culture of the 5<sup>th</sup>-first half of the 4<sup>th</sup> cent. B.C., readily assignable to the cycle of the so-called "court style", in a burial of the end of the 4<sup>th</sup> or beginning of the 3<sup>rd</sup> cent. B.C. The following alternative explanations may be proposed:**

1. The burial belonged to descendants of the Achaemenid rulers of Caucasian Iberia, while the magnificent works of the so-called "court style" formed their family property. Or else, the items under discussion were made in the post-Achaemenid period, under a strong influence of Achaemenid cultural traditions still persisting in this region. In both cases such explanations presuppose a strong and long-term political presence of the Achaemenids on the territory of Caucasian Iberia, i.e. modern Eastern Georgia. However, so far there are no direct data on this in the literary sources. Nor is there any direct and reliable archaeological evidence on the political presence of the Achaemenids in the region of our interest (i.e. the territory of modern Eastern Georgia, to the north of the river Kura). The burial complexes with prestigious Achaemenid items prove to be of the post-Achaemenid period.

The recently discovered remains of a palatial structure with bell-shaped Achaemenid-type bases at the locality of Gumbati could be considered the only eloquent evidence of the political presence of the Achaemenids. However, notwithstanding the excavations conducted at the highest methodological level, it is hard to overcome the doubts arising in connection with the dating of this complex - doubtless Achaemenid in terms of its architecture - to the Achaemenid period.

Cultural layers with reliably dating material of the Achaemenid period are absent or – if present – it is difficult to relate them to the initial constructional phase.

The demographic situation in the region north of the river Kura should also be borne in mind. According to archaeological evidence, towards the end of the 6<sup>th</sup> cent. B.C. life appears to have ceased and a kind of lacuna is recorded till the middle of the 4<sup>th</sup> cent. B.C. at an absolute majority of well-studied settlements in Eastern Georgia that flourished in the period of the Late Bronze and Early Iron. This particularly refers to the left bank of the Kura. The situation changes drastically from the second half of the 4<sup>th</sup> and in the 3<sup>rd</sup>-2<sup>nd</sup> cent. B.C. This is the period of the formation of the Kingdom of Iberia on the territory of Eastern Georgia, and its early history. Archaeological remains of this period have already been brought to light throughout Eastern Georgia, their number continuously increasing with new field explorations.

Thus, the explanation of the discovery of prestigious items of Achaemenid culture in the rich burial from Akhalgori as a result of Achaemenid political presence, so far fails to find convincing confirmation archaeologically. Hence, perhaps preference should be given to an alternative explanation:

2. As is known, following the collapse of the Achaemenid empire, a number of satraps fled to the north. It may be presumed that some of them settled on the territory of modern Eastern Georgia, bringing along their family property and customs of the Achaemenid Royal Court. A very interesting report, found in the Old Georgian historical chronicle *Moktsevai Kartlisai* ("The Conversion of Georgia"), may be an echo of these developments. The initial part of the chronicle, featuring a list of the kings, was written not later than the 7<sup>th</sup> century but on the basis of earlier sources. According to the cited source, Alexander the Great appointed "Azo, the son of Arian-Kartli" as ruler of "Kartli" (i.e. Eastern Georgia-Iberia). Thereafter, "Azo went to his father in Arian-Kartli to bring from their eighteen houses of his kin". It is generally believed that "Arian" must denote "Iranian" (from the Old Persian "aryan"), while "Arian-Kartli" should imply south-Georgian provinces entering the Achaemenid empire. The old Armenian historian Movses Khorenatsi (*History of Armenia*, II, 8) calls the person appointed by Alexander the Great as ruler of Iberia "Mihrdat, satrap of the Persian king Dareh".

Thus, the above-cited evidence of old Georgian (as well as old Armenian) historical tradition would seem to point to the settlement of Achaemenid satraps and their offspring on the territory of Eastern Georgia immediately after the victory of Alexander the Great. And if the events told in the old-Georgian historical chronicle did actually take place, they could serve as an explanation of the presence of prestigious Achaemenid ornaments and utensils of the so-called "court style" in rich burials of the end of the 4<sup>th</sup> or early 3<sup>rd</sup> century B.C. of Eastern Georgia. Symptomatically, elements of Achaemenid culture – so far not attested convincingly in Eastern Georgia – occur in fair diversity in the post-Achaemenid period both in pottery (vessels with a tubular spout, phialai) and in architecture (a double-protome capital with bull's heads in Tsikhiagora).

#### ლიტერატურა

1. აბულაძე ი. (რედ.), ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. თბ., 1963.
2. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961.
3. აფაქიძე ა. (რედ.), საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959.
4. ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სინოპური კერამიკული დამლები. – ძიებანი, 3, 1999, გვ. 50-56.
5. გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ., 1964.
6. გაგოშიძე ი. არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის რაიონი). – კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შანაარსები, თბ., 1997, გვ. 16-17.
7. გოძევაშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1947.
8. გოგიძერიძე ნ. სალტებს შორის მოქცეული ბურცობებით დეკორირებული სამკაულის თარიღისათვის. – მაცნე, 2, თბ., 1986, გვ. 154-167.
9. დავლიანიძე ც. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან. – სსმმ, XXXII-B, თბ., 1976, გვ. 118-147.
10. დავლიანიძე ც. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბ., 1983.
- 11ა. ვანი, ტ. I, თბ., 1972.
- 11ბ. ვანი, ტ. II, თბ., 1976.
- 11გ. ვანი, ტ. IV, თბ., 1979.

12. თოლორდავა გ. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. – ვანი, II, თბ., 1976, გვ. 79-90.
13. თოლორდავა გ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980.
14. კაჭარავა დ. ბრინჯაოს ქანდაკებები ვანიდან. – მმ., 63, 1983, გვ. 33-34.
15. კაჭარავა დ., მუაგანაძე ზ. ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. – ვანი, VIII, თბ., 1986, გვ. 9-33.
16. ლორთქიფანიძე გ. უძველესი საბეჭდავი ბეჭდები იძერიდან და კოლხეთიდან. თბ., 1981.
17. ლორთქიფანიძე თ. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო. თბ., 1967.
18. ლორთქიფანიძე თ. ძვ.წ. V-I სს. ქართლის (იბერიის) ისტორიის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხების შესახებ. – მაცნე, 1, 1985, გვ. 141-163.
19. მარგოშვილი ს. ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები აღვეთის ხეობიდან. თბ., 1992.
20. ნადირაძე ჯ. საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ., 1990.
21. ქორდანია გ. დაბრუნებული საუნჯე. თბ., 1983.
22. ფუთურიძე რ. იმპორტული ამფორები ვანიდან. – ვანი, II, თბ., 1976, გვ. 79-90.
23. ფუთურიძე რ. კერამიკული ტარა. – ვანი, VII, თბ., 1983, გვ. 9-26.
24. ყაუხებიშვილი ს. (რედ.), ქართლის ცხოვრება, თბ., 1955.
25. წითლანაძე ლ. ზევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1976.
26. ჭყონია ა. ოქროს სამგაულები ვანიდან. – ვანი VI, თბ., 1981.
27. ჯაგახიშვილი ა. ქართული მხატვრული ხელოსნობის ისტორიიდან. – საბჭოთა ხელოვნება, 6, თბ., 1956, გვ. 21-38.
28. გაგოშიძე იუ. მ. სამადლო, თ. I. თბ., 1979.
29. გაგოშიძე იუ. მ. სამადლო, თ. II. თბ., 1981.
30. დავლიანიძე ც. О некоторых неопубликованных материалах раннеантичной эпохи из юго-восточной Грузии. – КСИА, 151, М., 1977, сс. 122-126.
31. ზეიმალ ე. ვ. ამუდარინის კლად. ლ., 1979.
32. ზოგრაფ ა. ნ. Находки античных монет на Кавказе. – Труды Отдела нумизматики Государственного Эрмитажа, Л., 1941.
33. კუფტინ ბ. ნ. Археологические раскопки в Триалети, т. I. თბ., 1941.
34. მელიკიშვილი გ. ა. К истории древней Грузии. Тб., 1959.
35. მონახოვ ს. ი. Динамика форм и стандартов синопских амфор. – Греческие амфоры, Саратов, 1992, с. 163-204.
36. ნარიმანიშვილი გ. კ. კерамиკა კატლი. თბ., 1991.
37. სმირნოვ ი. ახალგორიული კლად. თბ., 1934.
38. თაკაიშვილი ე. ს. Археологические экскурсии, разыскания и заметки, 5. Тифлис, 1915.
39. თილორდავა ვ. ა. Погребение с черепичным перекрытием в Даблагоми. – КСИА, 150, 1977, с. 48-54.
40. Abel A., Barrois A. Fouilles de l'École Archéologique Française de Jérusalem. – Syria, 1928, pp. 187-206.
41. Abka'I-Khavari M. Die achämenidischen Metallschalen. – AMI, 21, 1988, pp. 91-137.
42. Amandry P. Orfèvrerie achéménide. – AntKu, 1, 1958, Heft 1, pp. 9-24.
43. Amandry P. Argenterie d'époque Achéménide. – Collection Hélène Stathatos, 3, Strasbourg, 1963, pp. 260-272.
44. Barag D. An unpublished Achaemenid cut glass bowl from Nippur. – JGS, 10, 1968, pp. 17-20.
45. Becatti G. Oreficerie antiche. Roma, 1955.
46. Bivar A. D. H. A rosette phiale inscribed in Aramaic. – Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, 24, 2, 1961, pp. 189-199.
47. Boardman J. Pyramidal stamp seals in the Persian Empire. – Iran, 7, 1970, pp. 19-46.
48. Brentjes B. Die iranische Welt vor Mohammed. Wien, München, 1978.
49. Byvanck-Quarles van Ufford L. Le trésor de Tarente. – BullAntBeschaving, 33, 1958, pp. 43-89.
50. Byvanck-Quarles van Ufford L. Zilveren en gouden vaatwerk uit de griekse en Romeinse oudheid, Alkmaar, 1973.
51. Charriere B., Barrois A. Fouilles de l'École Archéologique Française de Jérusalem. – Syria, 8, 1927, pp. 201-212.
52. Collection Hélène Stathatos, III. Strasbourg, 1963.
53. Culican W. Syro-Achaemenian ampullae. – IranAnt, 11, 1975, pp. 100-112.
54. Curtis C.D. Sardis, 13. Jewelry and gold work. Roma, 1925.
55. Curtis J. Introduction. – J. Curtis (ed.), Mesopotamia and Iran in the Persian period: conquest and imperialism, 539-331 BC. Proceeding of a Seminar in Memory of Vladimir G. Lukonin. London, 1997, pp. 10-16.
56. Curtis J. E., Cowell M. R., Walker C. B. F. A silver bowl of Artaxerxes I. – Iran, 33, 1995, pp. 149-153.

- 57. Dalton O. M.** The treasure of the Oxus. London, 1905.
- 58. Dusinberre E. R. M.** Satrapal Sardis: Achaemenid bowls in an Achaemenid capital. – AJA, 103, 1999, pp. 73-102.
- 59. Ergil T.** Küpeler: Istanbul Arkeoloji Müzeelri küpeler katalogu. Istanbul, 1983.
- 60. Furtwängler A.** Gumbati. Archäologische Expedition in Kachetien 1994. – EurAnt, 1, 1995, pp. 177-211.
- 61. Furtwängler A., Knauß F.** Gumbati. Archäologische Expedition in Kachetien 1995. – EurAnt, 2, 1996, pp. 363-281.
- 62. Ghirshman R.** Iran. Protoiranier, Meder, Achämeniden. München, 1964.
- 63. Godard A.** Les bronzes du Luristan. – Ars Asiatica, 17, Paris, 1931.
- 64. Hamilton R. N.** A silver bowl in the Ashmolean Museum. – Iraq, 28, 1966, pp. 1-18.
- 65. Harper P. O., Aruz J., Tallon F.** (Eds.). The royal city of Susa, Ancient Near Eastern treasures in the Louvre. New York, 1992.
- 66. Haspels C. H. E.** Deux fragments d'une coupe d'Euphranios. – BCH, 54, 1930, pp. 422-451.
- 67. Herzfeld E. E.** Iran in the Ancient East, New York, 1988.
- 68. Hornbostel W.** (Ed.), Kunst der Antike. Schätze aus Norddeutschen Privatbesitz. Mainz/Rhein, 1977.
- 69. Howes Smith P. H. G.** A study of 9<sup>th</sup>-7<sup>th</sup> century metal bowls from Western Asia. – IranAnt, 21, 1986, pp. 1-88.
- 70. Javakhishvili A., Abramishvili G.** Jewellery and metalwork in the museums of Georgia. Leningrad, 1986.
- 71. Laurenzi L.** Necropoli Ialisie Scavi dell'anno 1934. – Clara Rhodos, 8, 1936, pp. 7-189.
- 72. Lazovic M.** Commentaire et catalogue. – M. Lazovic, N. Dürr et al., Objets byzantins de la collection du Musée d'art et d'histoire, Genava NS, 25, 1977, pp. 5-16.
- 73. Lordkipanidzé O.** La civilisation de l'ancienne Colchide au Ve-IVe siècles (à la lumière des plus récentes découvertes archéologiques). – RA, 2, 1971, pp. 259-288.
- 74. Lordkipanidzé O.** La Géorgie à l'époque hellénistique. – Dialogues d'histoire ancienne, 9, 1983, pp. 167-216.
- 75. Lordkipanidzé O.** Vani dans la structure du royaume colchidien. – O. Lordkipanidzé, P. Lévéque (eds.), La Pont-Euxin vu par les grecs, Paris, 1990, pp. 288-294.
- 76. Lordkipanidzé O.** Vani. An ancient city of Colchis. – GrRomByzSt, 32, 1991, pp. 151-195.
- 77. Lordkipanidzé O.** Archäologie in Georgien. Weinheim, 1991.
- 78. Lordkipanidzé O.** Vani – ein antikes religiöses Zentrum im Lande des Goldenen Vlieses. – GrRomByzSt, 42, 2, 1995, pp. 353-402.
- 79. Lordkipanidzé O.** Vani. Pompeji géorgienne. Paris, 1995.
- 80. Lordkipanidzé O.** Das alte Georgien (Kolchis und Iberien) in Strabos Geographie, Amsterdam, 1996.
- 81. Luschey H.** Die Phiale. Bleicherode am Hertz, 1939.
- 82. Luschey H.** Ein königliches Emblem. – AMI NF, 5, 1972, pp. 257-260.
- 83. Luschey H.** Thraker als ein Ort der Begegnung der Kelten mit der iranischen Metalkunst. – R. M. Boehmer, H. Hauptmann (Eds.), Beiträge zur Altertumskunde Kleinasiens. Festschrift für Kurt Bittel, Mainz, 1983, pp. 313-329.
- 84. Marshall F. H.** Catalogue of the jewellery in the British Museum. London, 1911.
- 85. McKeon Y. F. X.** Achaemenian cloisonné-inlay jewellery. An important new example in Orient and Occident. – H.A. Hoffner (Ed.), Essays presented to Cyrus H. Gordon, – AOAT 22, 1973, pp. 109-117.
- 86. Maxwell-Hyslop K. R.** Western Asiatic jewellery, c. 3000-612 BC. London, 1971.
- 87. McCown D. E., Haines R. C., Biggs R. D.** Nippur 2, The North Temple and sounding E: Excavations of the Joint Expedition to Nippur of the American Schools of Oriental Research and the Oriental Institute of the University of Chicago = OIP, 97, Chicago, 1978.
- 88. Mierse W. E.** The Persian period. – G.Hanfmann (Ed.), Sardis from Prehistoric to Roman times. London, 1983, pp. 100-109.
- 89. Moorey P. R. S.** Ancient Persian bronzes in the Adam Collection. London, 1974.
- 90. Moorey P. R. S.** Cemeteries of the First Millennium B.C. at Deve Hüyük, BAR International Series, 87, London, 1980.
- 91. Moreau I.** Die Welt der Kelten. Stuttgart, 1958.
- 92. Morgan J. de,** Découverte d'une sépulture achéménide à Suse. – MDP, 8, Paris, 1905, pp. 29-58.
- 93. Muscarella O. W.** Unexcavated objects and ancient Near Eastern art. – L. D. Levin, T. Cuyler Young (Eds.), Mountains and Lowlands: Essays in the Archaeology of Greater Mesopotamia = Bibliotheca Mesopotamica, 7, Malibu, 1977, pp. 153-207.
- 94. Muscarella O. W.** Excavated and unexcavated Achaemenian art. – D. Schmandt-Besserat (Ed.), Ancient Persia: the Art of an Empire, Malibu, 1980, pp. 23-42.

- 95. Musche B.** Vorderasiatischer Schmuck von den Anfängen bis zur Zeit der Achaemeniden (ca. 10 000-330 v. Chr.). Leiden, 1992.
- 96. Nagel W., Strommenger E.** Kalakent. Früheisenzeitliche Grabfunde aus dem Transkaukasischen Gebiet von Kirovabad/Jelisavetpol. – BBV, 4, Berlin, 1985.
- 97. Naumann F.** Anticker Schmuck. Katalog der Staatlichen Kunstsammlungen, Kassel 10. Melsungen, 1980.
- 98. Oliver A.** Persian Export Glass. – JGS, 12, 1970, pp. 9-16.
- 99. Pfrommer M.** Studien zu alexandrinischer und grossgriechischer Toreutik fruhellenistischer Zeit. Berlin, 1987.
- 100. Pitschikian I. R.** Oxos-Schatz und Oxos-Tempel: achämenidische Kunst in Mittelasien, Berlin, 1992.
- 101. Poppa R.** Kämid el-Loz 2. Der eisenzeitliche Friedhof. Befunde und Funde. – Saarbrücker Beiträge zur Altertumskunde, 18. Bonn, 1978.
- 102. Reade J.** A hoard of silver currency from Achaemenid Babylon. – Iran, 24, 1986, pp. 79-90.
- 103. Rehm E.** Der Schmuck der Achämeniden. – AVO, 2, Münster, 1992.
- 104. Robinson E.S.G.** A 'silversmith's hoard' from Mesopotamia. – Iraq, 12, 1950, pp. 44-51.
- 105. Rostovtzeff M.** Iranians and Greeks in South Russia. Oxford, 1922.
- 106. Rudolph W.** A golden legacy. Ancient jewellery from the Burton Y. Berry Collection at the Indiana University Art Museum, Bloomington, Indianapolis, 1995.
- 107. Saldern A. von,** Glass finds at Gordion. – JGS, 1, 1959, pp. 23-51.
- 108. Saldern A. von,** Achaemenid and Sasanian cut glass. – Ars Orientalis, 5, 1963, pp. 7-16.
- 109. Saldern A. von,** Two Achaemenid glass bowls and hoard of Hellenistic glass vessels. – JGS, 17, 1975, pp. 37-46.
- 110. Schmidt E.** Persepolis, 2. – OIP, 69, Chicago, 1957.
- 111. Sparkes B. A., Talcott L.** The Athenian Agora, 12, Black and plain pottery of the 6<sup>th</sup>, 5<sup>th</sup> and 4<sup>th</sup> centuries BC. Princeton, 1970.
- 112. Spycket A.** Women in Persian art. – D. Schmandt-Besserat (Ed.), Ancient Persia: the Art of an Empire, Malibu, 1980, pp. 43-45.
- 113. Stronach D.** Excavations at Pasargadae: Third preliminary report. – Iran, 3, 1965, pp. 9-40.
- 114. Stronach D.** Pasargadae. A report on the excavations conducted by the British Institute of Persian Studies from 1961 to 1963. Oxford, 1978.
- 115. Strong D. E.** Greek and Roman gold and silver plate. Methuen Handbooks of Archaeology. London, 1966.
- 116. Tallgren A. M.** Caucasian monuments: the Kazbek treasure. – ESA, 5, 1930, pp. 109-182.
- 117. Tallgren A. M.** Review on Smirnov 1934. – ESA, 10, 1936, pp. 264-266.
- 118. Vickers M.** Scythian treasures in Oxford. Oxford, 1979.
- 119. Walser G.** Persepolis. Die Königspfalz des Darius. Tübingen, 1980.
- 120. Woolley L.** A north Syrian cemetery of the Persian period. – LAAA, 7, 1914-116, pp. 115-129.
- 121. Zkitischwili G.** Der fruhellenistische Feuertempel von Kavtiskhevi. – AA, 1995, Heft 1, pp. 83-98.

### სურათების აღწერილობა

სურ. 1 – ტექსტში ნახსენები ძეგლების რუპა: 1. ახალგორი, 2. ვანი, 3. დაბლაგომი, 4. ოთხვისი, 5. საირჩე, 6. ტახტიძირი, 7. ციხიაგორა, 8. ყანჩაეთი, 9. ყაზბეგი, 10. შავსაყდარა, 11. ალგეთი (წინწყარო).

სურ. 2. – ახალგორის განძი. ოქროს თავსამკაული: 1. დიადემა, 2. სასაფეთქლები, 3-4. საყურები.

სურ. 3. – ახალგორის განძი. ოქროს თავსამკაული: 1. საყურები, 2. სასაფეთქლები.

სურ. 4 – ახალგორის განძი. ოქროს ხატისუღლები.

სურ. 5 – ახალგორის განძი. ყელ-საბამები.

სურ. 6 – ახალგორის განძი. 1. ოქროს სამაჯურები, 2-3. ოქროს საბეჭდავი-ბეჭდები.

სურ. 7 – ახალგორის განძი. 1-3. ტანსაცმლისა და სუდარის ოქროს სამკაული, 4. ქამარი.

სურ. 8 – ახალგორის განძი. ვერცხლის ფიალები.

სურ. 9 – ახალგორის განძი. ვერცხლის ფიალა.

სურ. 10 – ახალგორის განძი. ვერცხლის ფიალა.

სურ. 11 – ახალგორის განძი. ვერცხლის ფიალა.

სურ. 12 – ახალგორის განძი. 1. შტანდარტის მხედრის გამოსახულებიანი ბოლო, 2. ზარაქები. ბრინჯაო.

სურ. 13 – ახალგორის განძი. ცხენის აკაზმულობა: 1-4. ბრინჯაოს ლაგმები, 5. ვერცხლის ბალთები, 6. ნახევარმთვარისებური საკიდი.

სურ. 14 – ახალგორის განძი. ცხენის აკაზმულობის ოქროს სამკაული.

სურ. 15 – ახალგორის განძი. ცხენის აკაზმულობის ოქროს სამკაული.

სურ. 16 – ახალგორის განძი. ოქროს სამკაული.

სურ. 17 – ვანი. სამარხი № 9. ინვენტარი (ნაწილი): 1. სამაჯურები, 2. საკიდები, 3. სასაფეთქლე, 4. ღოქი, 5. მახვილი, 6. შუბისპირები, 7-11. ისრის-პირები, 12. შავლაკიანი კანთაროსი.

სურ. 18 – ვანი. სამარხი № 16. ინვენტარი (ნაწილი): 1, 7. სამაჯურები, 2. ხატისულელი, 3. ბრინჯაოს ლაგამი, 4. ბალთები, 5, 6. ამფორები, 8. ოქროს საყურე, 9. ვერცხლის ნახევარმთვარი-სებური საკიდი.

სურ. 19 – საირხე. სამარხის ინვენტარი (ნაწილი): 1, 2. ამფორები, 3. ვერცხლის კილიკი, 4. სამაჯურები, 5-7. ღოქები, 8. ოქროს ფირფიტები, 9, 10. ატიკური შავლაკიანი კერამიკა, 11, 12. თიხის უნგვენტარიუმები, 13. დასაკერებელი ფირფიტა, 14. საკიდები.

სურ. 20 – დაბლაგომი. სამარხის ინვენტარი (ნაწილი): 1. ოქროს საკიდები, 2. ვერცხლის ბალთები, 3, 4, 6. მმივები, 5. ცილინდრი, 7. ბრინჯაოს ლაგამი, 8. ოქროს საყურე.

სურ. 21 – ოქროს სამკაული. 1. წრიული საყურე, შავსაყდარა, 2. ფირფიტა, ციხიაგორა.

სურ. 22 – ყანჩაეთი. სამარხის ინვენტარი: 1. ფიალა, 2-4. ლაგმები, 5. ბალთა.

სურ. 23 – ყანჩაეთი. სამარხის ინვენტარი (გაგრძელება): 6. შტანდარტის ბოლო, 7. ღოქი, 8. სამაჯურები, 9. საკიდები.

სურ. 24 – ალგეთი (წინწყარო). სამარხის ინვენტარი (ნაწილი): 1, 2, 4. ფიალები, 3. ლაგმები, 5. სამაჯურები.

## Description of the figures

Fig. 1 – Map of the sites mentioned in the text: 1. Akhalgori, 2. Vani, 3. Dablagomi, 4. Itkhvisi, 5. Sairkhe, 6. Takhtidziri, 7. Tsikhia-gora, 8. Qanchaeti, 9. Qazbegi, 10. Shavsaqdara, 11. Algeti (Tsintsqaro).

Fig. 2 – Akhalgori hoard. Gold head ornaments: 1. diadem, 2. temple ornaments, 3, 4. earrings.

Fig. 3 – Akhalgori hoard. Gold head ornaments: 1. earrings, 2. temple ornaments.

Fig. 4 – Akhalgori hoard. Gold torques.

Fig. 5 – Akhalgori hoard. Necklaces.

Fig. 6 – Akhalgori hoard. 1. bracelets, 2, 3. seal rings.

Fig. 7 – Akhalgori hoard. 1-3. gold ornaments of clothing and burial shroud, 2. gold belt.

Fig. 8 – Akhalgori hoard. Silver phialai.

Fig. 9 – Akhalgori hoard. Silver phiale.

Fig. 10 – Akhalgori hoard. Silver phiale.

Fig. 11 – Akhalgori hoard. Silver phiale.

Fig. 12 – Akhalgori hoard. Ritual items: 1. bronze finial with representation of a rider, 2. bronze bells.

Fig. 13 – Akhalgori hoard. Horse harness: 1-4. bronze bits, 5. silver plaques, 6. silver lunula.

Fig. 14 – Akhalgori hoard. Gold adornment of horse harness.

Fig. 15 – Akhalgori hoard. Gold adornment of horse harness.

Fig. 16 – Akhalgori hoard. Gold ornaments.

Fig. 17 – Vani. Grave 9. Inventory (part): 1. bracelets, 2. pendants, 3. gold earring, 4. clay jug, 5. sword, 6. spearheads, 7-11. arrowheads, 12. black-glazed kantharos.

Fig. 18 – Vani. Grave 16. Inventory (part): 1, 7. bracelets, 2. torque, 3. bit, 4. plaques, 5, 6. amphorae, 8. earring, 9. lunula.

Fig. 19 – Dablagomi. Grave inventory (part): 1, 2. amphorae, 3. kylix, 4. bracelets, 5-7. jugs, 8. plaques, 9, 10. black-glazed pottery, 11, 12. unguentaria, 13. plaque, 14. pendants.


Fig. 20 – Sairkhe. Grave 1. Inventory (part): 1. pendants, 2. plaques, 3, 4, 6. beads, 5. cylinder, 7. horse bit, 8. earring.

Fig. 21 – Gold ornaments: 1. circular earring, Shavsaqdara, 2. plaque, Tsikhiagora.

Fig. 22 – Qanchaeti. Grave inventory: 1. phiale, 2-4. horse bits, 5. plaque.

Fig. 23 – Qanchaeti. Grave inventory (continued): 6. finial, 7. jug, 8. bracelets, 9. pendants.

Fig. 24 – Algeti (Tsintsqaro). Grave inventory (part): 1, 2, 4. phialai, 3. horse bits, 5. bracelets.



0 1 2

1




3




0 1 2

2



4

სურ. 2




1




2


სურ. 3




სურ. 4



სურ. 5



1                   3



1



2



|





|





3


სურ. 6






Նյու. 7



0                  4




Նյոր. 8






0 5 cm

Նյու. 9




სურ. 10

57




0 1 2

Նյու. 11




1




0 1 2 3


სურ. 12




სურ. 13



1




2




3


სურ. 14



1




2




3

0 1 2 3


სურ. 15




1



2




3






4


სურ. 16




სურ. 17



სურ. 18




სურ. 19



სურ. 20





1




2

სურ. 21




1

0 4




2

0 4





3

0 4




4



5


0 3

სურ. 22




6

0 1 2 3




7



8









0 1 2



9

0 3

სურ. 23



## დიმიტრი ახვლევიანი

### ქვ. გვ. IV-III სს-ის პოლიტიკური ისტორია გერამიკული დამღების მიხედვით

ჩვენი ნაშრომის მიზანია კოლხეთის ძვ.წ. IV-III სს-ის ისტორიის ზოგიერთი საკითხის განხილვა, მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკული ეპიგრაფიკის ძეგლების, ანუ კერამიკული დამღების მონაცემთა საფუძველზე.

კერამიკული ნაწარმის აღჭურვა დამღებით განსაკუთრებით პოპულარული ხდება ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთის ქვეყნებში გვიანკლასიკურ და ელინისტურ ხანაში. დამღები დაიტანებოდა სამშენებლო მასალებზე – აგურსა და კრამიტზე; კერამიკულ ტარაზე – ამფორებსა და ქვევრების მცირე ნაწილზე; სუფრის ჭურჭლის ზოგიერთ სახეობაზე.

სადღეისოდ დამღების შესწავლა სამი მიმართულებით არის საინტერესო: პირველი – ისინი იძლევიან ინფორმაციას თუ ვის ეკუთვნოდა ამ მასალის მწარმოებელი სახელოსნო, ვინ ახორციელებდა კონტროლს ამ წარმოებაზე და სხვა; მეორე – დამღების რეგისტრაცია საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას ანტიკური ხანის სხვადასხვა ცენტრებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა ისტორია; მესამე – კერამიკული დამღები სადღეისოდ წარმოადგენენ ანტიკური ხანის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ზუსტად დათარიღებულ ძეგლს. ამდენად, ისინი წარმოადგენენ კარგ დამათარიღებელ მასალას იმ კომპლექსებისა და ფენებისათვის, რომლებშიც ისინი არიან მოპოვებულინი [39, გვ. 5].

კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. IV-III სს-ის კერამიკული დამღები, წარმომავლობის მიხედვით ორ მირითად ჯგუფად იყოფა: ადგილობრივ და იმპორტულ. ადგილობრივი დამღები დატანილია კრამიტებსა და ამფორებზე კრამიტზე დატანილი დამღები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე და ისინი სამეფო დამღებს წარმოადგენენ. ამფორებზე დატანილი დამღები აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე და დიოსკურიის კუთვნილია.

კოლხური სამეფო დამდინარი კრამიტი განხილული გვაქვს ჩვენს მონოგრაფიაში [1] და იქიდან ზოგიერთ დასკვნას მოვიყვანთ:

– ადგილობრივ კრამიტზე დაიტანებოდა ორორი დამღა – დიდი და მცირე. დიდ დამღაზე ბერძნულად გაკეთებული იყო ორსტრიქონიანი წარწერა ვასილი | მილაბერი. მცირე დამღებზე – MHNO (2 ც.), OPAZO (8 ც.), XOPΣΠ (3 ც.), E[P?]MΩ (1 ც.) და X-XA (1 ც.). ერთ კრამიტზე დატანილი იყო, როგორც დამღები, ასევე ნიშანი – ვასილი | მილაბერი XOPΣΠ P.

– სამეფო დამღებზე აღნიშნული ვასილი და მილაბერი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა იქნას წაკითხული, სადაც ზედსართავი ვასილი აღნიშნავს, რომ კრამიტი სამეფოა, ანუ კერამიკული ვასილი. საკუთარი სახელი მილაბერი კო MHN-თან, OPAZO-თან, XOPΣΠ-თან, E[P?]MΩ-თან და X-XA-თან ერთად შესაძლებელია მეფის მოხელისა იყო, ოღონდ ამ უკანასკნელებზე რანგით უფრო მაღალი. ჩვენ გამოვრიცხავთ ამ პირების ხელოსნებისადმი მიკუთვნებას, ვინაიდან ერთ კრამიტზე დატანილია როგორც დამღები, ასევე ნიშანი. მივიჩნევთ რა ამ ნიშანს ხელოსნის კუთვნილად, შეუთავსებლად ვთვლით ერთ კრამიტზე ორი მეთუნის (XOPΣΠ და P) აღმნიშვნელი დამღლისა და ნიშნის არსებობას.

– სამეფო დამღებიან კრამიტს ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით ვათარიღებთ სტრატიგრაფიულ და პალეოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

– სამეფო დამღებით აღჭურვილი კრამიტის გამოშვების შეწყვეტის შემდეგ იწყება ნიშნიანი კრამიტის წარმოება, რაც, ჩვენი აზრით, სამეფო ხელისუფლების შესუსტების ან საერთოდ გაუქმების შედეგი უნდა იყოს. ამ დროს მეფის კუთვნილი (ან მის, ამა თუ იმ ფორმით კონტროლს ქვეშ მყოფი) სახელოსნო, მისი დაქვემდებარებიდან გამოიდის და ცალკეული ხელოსნის მფლობელობაში გადადის. გარდამავალ საუხებურად ნიშნიანი და დამღებიანი კრამიტის გამოშვება მიგვაჩნია.

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ადგილობრივი ამფორების ერთ ნაწილზე დასმულია ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერა ΔΙΟΣ | KΟΥ. გ. ლორთქიფანიძე ამ შემოკლებული წარწერის სრული აღდგნის ორ ვარიანტს იძლევა: ΔΙΟΣΚΟΥ [PIΑΔΟΣ], ანუ დიოსკურიის-ქალაქის დასახელებას, ან ΔΙΟΣΚΟΥ [PIΩΝ], ე.ი. დიოსკურიიელთა [28, გვ. 43].

ამ დამღებს მ. ტრაპში ზოგადად ელინისტური ხანით ათარიღებს [32, გვ. 227], გ. შამბა – ძვ.წ. IV ს-ით [38, გვ. 152], ი. ვორონოვი – ძვ.წ. III ს-ით [23, გვ. 164-165], გ. ცეცხლაძე – ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით [37, გვ. 105]. დამღებიანი ამფორების გამოშვების შეწყვეტის შემდეგ იწყება ნიშნიანი ამფორების წარმოება. ეს მოვლენა ჩვენი აზრით, გამოწვეულია ამ სახელოსნების დიოსკურიის, როგორც ქალაქის ხელისუფლების კონტროლიდან გამოსვლით.

ძვ.წ. IV-III სს-ის იმპორტული კერამიკული დამღები, რომლებიც კოლხეთის ტერიტორიაზე

არიან გამოვლენილი, მიეკუთვნებიან სინოპეს, ჰერაკლეას, თასოსსა და ქიოსს. დამღების უმეტესობა გამოქვეყნებულია [3; 4]. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ქრონოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დამღებში მოხსენიებული ეპონიმების სახელთა ერთმანეთთან შედარება (ეპონიმები არიან ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს ის მოხელეები, რომელთა სახელის მიხედვით აღინიშნებოდა წელი), ვინაიდან მათი თარიღები უფრო ზუსტად არის განსახლვრული, ვიდრე ფაბრიკანტტების. ამის საშუალებას იძლევიან სინოპური, ჰერაკლეური, თასოსური დამღები. რაც შეეხება ქიოსურ დამღებს – აქ ჯერ არ არის დადგენილი მათზე აღნიშნული სახელი ეპონიმს მიეკუთვნება თუ ფაბრიკანტს.

თავდაპირველად განვიხილავთ სინოპურ დამღებს, ვინაიდან მათი რაოდენობა, კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სხვა ცენტრების დამღებს შორის, ყველაზე უფრო დიდია.

სინოპური დამღები, ანუ სინოპელ ასტინომთა დამღები (ასე ერქვათ სინოპელ ეპონიმებს) ბ. გრაკოვმა დაპყო ექვს ქრონოლოგიურ ჯგუფად, გამოჰყო 192 ასტინომი და ისინი ზოგადად ძვ.წ. IV ს-ის ბოლოთი და ძვ.წ. 70 წ.-ით დაათარიდა. ყოველ ჯგუფში ასტინომები ალფაბეტის მიხედვით იყო დაღაგებული [26]. დამღათა ასეთი კლასიფიკაცია თითქმის უცვლელად სხვა მკვლევარებმაც გაიზიარეს. განსხვავება ცალკეული ჯგუფების აბსოლუტური თარიღების დადგენაში იყო, რაც თარიღების დამველებაში გამოიხატებოდა [იხ. 3; 39]. სინოპური დამღების შესწავლის მეორე ეტაპზე იწყება ასტინომთა ქრონოლოგიური სკალის შექმნის მცდელობა [34; 35; 40]. ამავე დროს ხდება ასტინომთა რაოდენობის შემცირება: 6. ფედოსეევმა ისინი 164-მდე დაიყვანა [33] და ძვ.წ. 376-212 წწ.-ით დაათარიდა [34]. 6. ფედოსეევის მეორე ნაშრომში ძვ.წ. 305 წლიდან 231 წლამდე ასტინომების ქრონოლოგიური სკალა მოცემული. ყველა ასტინომს თავისი თარიღი აქვს [35]. უახლესი გამოკვლევა, რომელიც სინოპელ ასტინომთა დამღების ქრონოლოგიას შეეხება, მიეკუთვნება 6. კონოვიჩს [40]. მან ასტინომთა დამღები ხუთ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაპყო; თითოეული ჯგუფი კიდევ ქვევეულებად (IV ჯგუფის გარდა). იქ, სადაც ეს შესაძლებელი იყო, ასტინომები ქრონოლოგიის მიხედვით დაალაგა, სადაც არა, ალფაბეტის მიხედვით. ასტინომთა რაოდენობა 161-მდე დაიყვანა და ძვ.წ. 355/350 – 190 წწ.-ით დაათარიდა. ეს მონაცემები იმიტომ მოგვყავს, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას არ იძლევა დამოუკიდებლად შევიტუშავოთ ასტინომთა ქრონოლოგია. ამიტომ გამოვყოფთ იმ მონაცემებს, რომლებიც ზოგადია და მოყვანილ ყველა ნაშრომზე დაყრდნობით არ მოღიან ერთმანეთთან წინა-აღმდეგობაში.

სტატიაში, რომელშიც გამოქვეყნებული გვაქს სინოპური დამღები, გრაკოვის შრომაზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილია ასტინომთა ყველა ჯგუფის დამღები, IV ჯგუფის გარდა. აქედან პირველი სამი ჯგუფის დამღები აღმოჩენილია ფიჭვარში, ეშერაზე, ნოქალაქევში, დაბლაგომში, ვანის ნაქალაქარზე, ხოლო V და VI ქრონოლოგიური ჯგუფის დამღები – მხოლოდ ვანის ნაქალაქარზე [3]. 6. ფედოსეევის ნაშრომის მიხედვით, სადაც მოყვანილია ასტინომთა ქრონოლოგიური სკალა ძვ.წ. 305 წლიდან ძვ.წ. 231 წლამდე, კოლხეთში სინოპური იმპორტის შემოსვლაში შეინიშნება 25 წლის წყვეტილი ძვ.წ. 286 წელსა და ძვ.წ. 261 წელს შორის (იხ. ცხრ. I). (ამ და სხვა ცხრილების სვეტებში მოყვანილი ციფრები, თითოეული ეპონიმის დამღების რაოდენობას აღნიშნავს). 6. კონოვიჩის ნაშრომის მიხედვით, კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 19 ასტინომის დამღები. ლაგუნა ასტინომებს მნესიკლესსა და ძენიოს აპოლოდოროსის ძეს შორის ძეს შორის ძეს. მნესიკლესი III ქრონოლოგიური ჯგუფის ბოლო ასტინომია, ანუ მისი დამღები ძვ.წ. 280 წლით თარიღდება. მნესიკლესსა და ძენიოს აპოლოდორისის ძეს შორის 6. კონოვიჩის ასტინომთა ქრონოლოგიური სკალის მიხედვით 34 ასტინომია, ე.ი. მათ შორის განსხვავება 34 წელია. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთში სინოპური ნაწარმის შემოსვლაში 34 წლიანი წყვეტილი შეიმჩნევა და მოიცავს ძვ.წ. 280-245 წლებს. ამ ქრონოლოგიური სკალის მიხედვითაც პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ასტინომთა დამღები აღმოჩენილია ფიჭვარში, ეშერაზე, ნოქალაქევში, დაბლაგომსა და ვანის ნაქალაქარზე, V ჯგუფისა კი – მხოლოდ ვანის ნაქალაქარზე (იხ. ცხრ. II).

რაც შეეხება ჰერაკლეურ ამფორათა დამღებს, ისინი კოლხეთში ძალზე სპორადულად შემოდიან. აქედან ორი კალის I-სა და მოლოსისის მიეკუთვნებიან ძვ.წ. IV ს-ის 70-იან წლებს; ჰერაკლედასის – ძვ.წ. 40-იანი წლების დასაწყისს; სილანოსის – ძვ.წ. IV ს-ის 30-იან წლებს; ხოლო ამფორა დამღით NI - ძვ.წ. 305-285 წწ. [4, გვ. 50]. ჰერაკლეური დამღების დათარიღებისას უპირატესობას ს. მონახვის მიერ შემოთავაზებულ თარიღებს ვანიჭებთ, ვინაიდან იგი კარგად დათარიღებულ კომპლექსებს ეყრდნობა [31]. ისინი ვრცელდებიან კოლხეთის, როგორც სამხრეთ-დასავლეთ მხარეს (ბათუმი, ფიჭვარი), ასევე შიდა რაიონებში (ვანის ნაქალაქარი). ასევე სპორადულად შემოდიოდნენ კოლხეთში თასოსური ამფორები. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სამი ამფორის დამღიდან მხოლოდ ერთის დათარიღება მოხერხდა – ჰეროდოტის დამღა ძვ.წ. 325-310 წწ.-ით თარიღდება [4, გვ. 51]. ქიოსური ამფორები, როგორც ცნობილია, ძალ-

ზე სპორადულად იდამღებოდნენ. ისინი კოლხეთშიც ასევე სპორადულად შემოდიან – ერთი ჰიკესიოსის და სამი, ერთი სიქით დატანილი – ჰეგასიასის. აქედან პირველი ძვ.წ. III ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება, დანარჩენი სამი – ძვ.წ. 200 წლის მახლობელი ხანით [4, გვ. 51].

კოლხეთში ჰერაკლეური, თასოსური და ქიოსური ამფორების გავრცელებაშიც ის კანონზომიერება შეინიშნება, რაც სინოპურ ნაწარმს ახასიათებს. თავდაპირველად იმპორტი ვრცელდება როგორც ვანის ნაქალაქარზე, ისევე კოლხეთის სხვა რაიონებში. შემდეგ დაახლოებით ძვ.წ. III ს-ის 80-იანი წლებიდან ფიქსირდება წყვეტილი, ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში იმპორტი განახლდა, ოღონდ ამჯერად მხოლოდ ვანის ნაქალაქარზე (იხ. ცხრ. III).

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: კოლხეთში დამღებით აღჭურვილი კერამიკული იმპორტის შემოსვლა ძვ.წ. IV ს-ის 70-იან წლებში იწყება. თავდაპირველად შემოდის ჰერაკლეური ნაწარმი. ის ვრცელდება როგორც სანაპირო ზოლში, ასევე შიდა რაიონებში. ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან იწყება სინოპური კრამიტისა და ამფორების შემოზიდვა. ისიც ვრცელდება როგორც კოლხეთის სანაპირო ზოლში, ასევე შიდა რაიონებში. დამღების მიხედვით სინოპური იმპორტის პიკი ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე გრძელდება. ამავე პერიოდს ეკუთვნის სამი ჰერაკლეური და ერთი თასოსური დამდა.

ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში ხდება კოლხეთში დამღიანი იმპორტის სრული შეწყვეტა. ეს ქრონოლოგიური ლაპუნა დაახლოებით 25-35 წელი გრძელდება.

ძვ.წ. III ს-ის შუა წლებიდან იწყება ამ სახის იმპორტის აღდგენა, ოღონდ ამჯერად კერამიკული დამღები გვხვდება მხოლოდ ვანის ნაქალაქარზე.

ამჯერად, შევეცადოთ ერთმანეთს შევაჯეროთ ადგილობრივი და იმპორტული კერამიკული დამღები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადგილობრივ კრამიტზე დასმული სამეფო დამღები და ამფორების დიოსკურიის დამღები თავის არსებობას ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში წყვეტენ. ადგილობრივი ნაწარმის დადამღვის პრაქტიკის შეცვლა მასზე ნიშნების დატანით რაღაც მნიშვნელოვან პირი გურ მოვლენებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ეს უნდა იყოს სამეფო ხელისუფლების შესუსტება ან საერთოდ გაქრობა კოლხეთის შიდა რაიონებში, და იმ პირი გური ინსტიტუტების ცვლილება, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა დიოსკურიაში. ასეთი სიტუაცია გაუარესებული პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული. ამ მოვლენის გამოხატულება ასევე ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში იმპორტულ კერამიკულ დამღებში 25-35 წლიანი ლაპუნა უნდა იყოს. ამდენად, კოლხური კერამიკული დამღების გაქრობა და მათი შეცვლა ნიშნებით, ქრონოლოგი-

ურად ძვ.წ. III ს-ში დამღიანი იმპორტული კერამიკული ნაწარმის იმპორტში წყვეტილის გაჩენას უნდა დავუკავშიროთ, რაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძვ.წ. 280-250 წლ.-ს მოცავს. ეს ქრონოლოგიური ლაპუნა დაკავშირებული უნდა იყოს კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოებულ სამხედრო მოქმედებებთან. ამის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ კოლხეთის უმსხვილესი სავაჭრო კონტრაგენტის, სინოპტის ექსპორტი სწორედ ამ პერიოდში აღწევს პიკს ბოსფორსა და ისტრიაში [40, გვ. 182].

გარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ამ პერიოდში შეინიშნება, სწორედ ამ სამხედრო მოქმედებებთან იყო დაკავშირებული:

– კოლხეთის სამეფოს დაშლა, რაც მტკიცდება ქსენოფონტესა და მემნონის ცნობებზე დაყრდნობით. ქსენოფონტე „ანაბაზისში“ აღნიშნავს: „(სტრატეგებმა – დ.ა.) გამოთქვეს აზრი, რომ უმჯობესია ფასისისკენ გაცურვა, რაკი ხომალდები არის, და ფასიანთა ქვეყნის დაპყრობა. იქ, მაშინ აიეტის შვილიშვილი მეფობდა“ [19, გვ. 113]. ეს ცნობა ეხება ძვ.წ. V-IV ს-ის მიჯნას. მემნონს, რომელიც მითრიდატე პონტოელის მიერ კოლხეთის დამორჩილებას აღწერს, მოჰყავს შემდეგი ცნობა: „მითრიდატემ ომით დაიპყრო იმ ხალხთა მეფებიც, რომელიც ცხოვრობენ ფაზისის გაყოლებაზე, ვიდრე კავკასიის გადაღმა ოლქებამდე (Memn., 30), (მემნონის ცნობის თარგმანი მოგვყავს მ. ბერძნიშვილის ნაშრომზე დაყრდნობით [5, გვ. 72]). აქ ძვ.წ. II ს-ის ბოლოს ამსახველი სიტუაციაა გადმოცემული.

ამ ორი წყაროს ერთმანეთთან შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ.წ. V-IV ს-ის მიჯნაზე კოლხეთის მთავარი მდინარის, ფაზისის ხეობას და შესაბამისად მთელ კოლხეთს ერთი ბასილევსი განაგებდა. ძვ.წ. II ს-ის ბოლოს, იგივე ფაზისის გაყოლებაზე, რამდენიმე – ორი ან ორზე მეტი ბასილევსის ხელისუფლება დასტურდება. აქედან გამომდინარე, კოლხეთის დაშლა ძვ.წ. V-IV ს-ის მიჯნასა და ძვ.წ. II ს-ის დასასრულს შორის უნდა მომხდარიყო.

– ძევლი ვანის, კოლხეთის სამეფოს ერთერთი აღმინისტრაციული ცენტრის რელიგიურ ცენტრად გადაქცევა ძვ.წ. III ს-ის შუა წლებში [16, გვ. 25].

– ნგრევა, რომელიც ფიქსირდება ვარციხის „გიორგობიანების გორაზე“, ვანსა და მთისძირის „აღვეშვილების გორაზე“ [9, გვ. 37; 25, გვ. 75].

– საირჩის, ასევე კოლხეთის სამეფოს ერთერთი აღმინისტრაციული ცენტრიდან, იბერიის პროვინციის აღმინისტრაციულ ცენტრად გარდაქმა [21, გვ. 152].

— ეშერის ნაქალაქარზე ცხოვრების დონის დაქვეითება ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. II ს-ის პირველ ნახევარში [24, გვ. 460].

— ძვ.წ. III ს-ის შუა წლებიდან ფაზისის დაკნინება, რაც კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტაში გამოიხატება [10, გვ. 24-25]. რაც შეეხება ფიჭვნარს, აქ აღმოჩენილი მასალა, ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

— ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან, კოლხეთის ტერიტორიაზე, რიონ-ყვირილის ხეობაში, ვანში, მთისძირში, დაბლაგომში, საირზესა და ითხვისში მდიდრულ სამარხებში მიცვალებულთა დაკრძალვის ტრადიცია წყდება:

ვანის ნაქალაქარის სამარხთა თარიღებია: სამარხი № 8 — ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი [22, გვ. 120]; სამარხი № 11 — ძვ.წ. V ს-ის შუა წლები [17, გვ. 239]; სამარხი № 6 — ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი [15, გვ. 9]; სამარხი № 9 — ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი [17, გვ. 203]; სამარხი № 10 — ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი ან ოდნავ გვიანი [17, გვ. 211]; სამარხი № 19 — ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [29, გვ. 327]; სამარხი № 16 — ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი — ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი [14, გვ. 25]; სამარხი № 17 — ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი — ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი [14, გვ. 26]; სამარხები №№ 1-4 — ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი [36]; სამარხი № 18 — ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი [30, გვ. 70-74]; სამარხი № 15 — ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი [12, გვ. 84]; სამარხები №№ 12-14 — ძვ.წ. III ს. [13, გვ. 27]. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი სამი სამარხი გაძარცულია, ამიტომ მათი თარიღი ზოგადად არის მოცემული.

მთისძირი — ძვ.წ. IV ს. [8, გვ. 69-81].

დაბლაგომი — ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი [11, გვ. 76].

საირზე: სამარხი № 5 — ძვ.წ. V ს-ის შუა წლები, მეორე ნახევარი [21, გვ. 45]; სამარხი № 10 — ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი [21, გვ. 97]; სამარხი № 8 — ძვ.წ. IV ს-ის შუა წლები [21, გვ. 58]; სამარხი № 4 — ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი [21, გვ. 61]; სამარხი № 9 — ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი [21, გვ. 64]; სამარხი № 6 — ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა [21, გვ. 65]; სამარხი № 1 — ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა [21, გვ. 79].

ოთხვისი — ძვ.წ. V ს-ის შუა წლები [7].

ეს გარემობა, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ ამ სამარხებში დაკრძალული იყვნენ კოლხეთის სამეფოს, მსახურეული არის-ტოკრატიის წარმომადგენლები და კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ საზოგადოების ამ ფენამ შეწყვეტა არსებობა [2].

— ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. II ს-ის 80-იან წლებამდე წყდება უცხოური მონეტების მიმოცვევა ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე [27].

კერძოდ რა სამხედრო მოქმედებებს უნდა ჰქონოდა ადგილი კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში, ამის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ყველაზე უფრო გავრცელებული მოსაზრება დაკავშირებულია იბერიის სახელმწიფოს წარმოშობასთან და ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენებთან, როდესაც ავტორთა აზრით (გ. გამყრელიძე, ოთლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, დ. მუსხელიშვილი და სხვ.) იბერიის ხელში გადადის კოლხეთის ტერიტორიის ნაწილი [9, გვ. 37-43; 18, გვ. 436-444, 455; 20, გვ. 455-458; 41, გვ. 76-97 და სხვ.]; მეორე მოსაზრება ეკუთვნის ი. გაგოშიძეს, რომელსაც მიაჩნია, რომ კოლხეთისა და იბერიის ქალაქების — ვანის, ურბნისის, უფლისციხისა და სარკინეს ნგრევა დაკავშირებულია დიადოხოსების მიერ წარმოებულ სამხედრო მოქმედებებთან [6, გვ. 87]; მესამე მოსაზრება ეკუთვნის თ. დუნდუას. მისი აზრით, ძვ.წ. III ს-ში აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთის ტერიტორიაზე მდებარე ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები დაიმორჩილებს ადგილობრივმა ხელისუფლებმა [10, გვ. 24-25]. ი. ვორონოვის აზრით, ძვ.წ. III ს-ში მცირეაზიერება ბერძნებმა განახორციელეს კოლხეთის შიდა რაიონების (კერძოდ, ვანი-სურიუმის) კოლონიზაცია, ძალისმიერი მეთოდებით [24, გვ. 465]. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ არ შევიცდებით ამ მოსაზრებების კრიტიკულ განხილვას. გარდა ამისა, ერთი სტატიის ფარგლებში ამ პრობლემის წარმოჩნდა მთელი სისრულით შეუძლებლად მიგვაჩნია.

დასკვნის სახით შეიძლება აღნიშნოთ, რომ დაახლოებით ძვ.წ. 280-250 წწ.-ის განმავლობაში კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოებული სამხედრო მოქმედებების შედეგად მოხდა: კოლხეთის სამეფოს დაშლა და შესაძლებელია მისი ზოგიერთი ტერიტორიის მითვისება იბერიის სამეფოს მიერ; სამეფო ხელისუფლების გაუქმება და შესაბამისად მისი სამოხელეო ფენის მოსპობა (კრამიტის დამღები, მდიდრული სამარხები); უცხოური ნაწარმის შემოსვლის შეზღუდვა (იმპორტული კერამიკული დამღები, უცხოური მონეტები); კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტა.

## D. Akhvlediani

### HISTORY OF COLCHIS IN THE 4<sup>TH</sup>-3<sup>RD</sup> CENT. B.C. AS SEEN IN CLAY STAMPS (Summary)

შქრანის სდფნ თევქზობ კშთსწმუაუგ წტ ერუ უჟაპშეწკნ წა სწდსრშთ ფტვ ვეუშტკ აკწე ერუ 4-3 კკ სუტეყ იყსყ სფტ იუ სდფთმაშუგ შტეწ ერუ აწდდწცშტკ ეცწ სრკწტწწწშსფდ პკწგზთშ ერუ აშკოე პკწგზ იუდწტპთ ეწ ერუ 4-3 იუპშტტშტკ წა ერუ 3 კკ სუტეყ იყსყ ფტვ შტსდგვუთ რუკუსდუფტბ მრფთშტტ ფტვ იშტწუფტ თევქზობ მრუნ ცუკუ იწწგპრე ეწ დშპრე შტ ერუ ზშსრმტფეშბ უთრუკუბ ტწლდფლუმშბ პფიდფაწწშბ მფტშ სშენ თშეუთო მრუ თუსწტვ პკწგზ შთ ვფაუგ ეწ ერუ თუსწტვ რფდა წა ერუ 3 კკ სუტეყ იყსყ უტვ შთ კუზკუთუტეუგ ინ იშტწუფტ ფტვ სრშტტ თევქზობ მრუ დფეუგ ცუფ წიეფშტუვ წტლნ წტ ერუ მფტშ სშენ თშეუყ ვ სრკწტწწწშსფდ პფტ წა თწქუ 25-35 ნუფათ დნშტკ იუეცუტ ერუთუ ეცწ პკწგზთ ცუფ სფგთუვბ შტ ერუ ფერწემთ მშუცბ ინ თწქუ ქშდშეფკნ ფსეშტტო ერფე ეწწლ ზდფსუ წტ ერუ ეუგკშეწკნ წა სწდსრშთ შტ სფყ 280-250 იყსყ ხზდე შმბ შმშბ შმჯყ შე სფტ იუ რნზწერუთშჭუკ ერფე ერშთ ზუკშწკნ წა გტეუთო კუთგდეუვ შტ ერუ კშთშტეუპკუეშტტ წა ერუ სწდსრშტტ ლშტკგწებ უტეფშდშტკ კუმუდწუტეთ ერფე ცუკუ კუადუსეუგ ფდოწ შტ ქფეუპშფდ სგდეგპუე

### ლიტერატურა

1. ახვლედიანი დ. კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან. თბ., 1999.
2. ახვლედიანი დ. ძ.წ. V-III სს-ის კოლექტის მდიდრული სამარხების სოციალური დეფინიცია. — ანტიკური ხანის კოლექტის არქეოლოგიის საკითხები, თბ., 2001, გვ. 21-25.
3. ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სინოპური კერამიკული დამღები. — ძიებანი, № 3, 1999, გვ. 50-56.
4. ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი პერაკლეურ, თასოსურ, ქიოსურ და კნიდურ ამფორათა დამღები. — ძიებანი, № 10, 2002, გვ. 50-51.
5. ბერძნიშვილი მ. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. თბ., 1969.
6. გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ., 1964.
7. გაგოშიძე ი. ითხვისის სამარხი. — სსმმ, XXV-B, 1968, გვ. 31-45.

8. გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982.

9. გამყრელიძე გ. აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის. — მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელობრების ისტორიის სერია), № 3, 1985, გვ. 86-97.

10. დუნდუება თ. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ., 1993.

11. თოლორდავა ვ. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. — ვანი II, თბ., 1976, გვ. 68-78.

12. თოლორდავა ვ. ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი. — ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 79-92.

13. კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე თთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე. — ვანი IV, თბ., 1979, გვ. 7-37.

14. კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ. ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. — ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 9-33.

15. ლორთქიფანიძე თთ. ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). — ვანი I, თბ., 1972, გვ. 7-80.

16. ლორთქიფანიძე თთ. ვანი „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი. მაინცი, 1995.

17. ლორთქიფანიძე თთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. — ვანი I, თბ., 1972, გვ. 198-242.

18. მელიქიშვილი გ. კოლხეთი ძვწ. VI-IV საუკუნეებში. ქართლი (იბერია) ძვწ. VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 400-467.

19. მიქელაძე თ. ქსენოფონტის „ანაბასისი“. თბ., 1967.

20. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977.

21. ნადირაძე ჯ. საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ., 1990.

22. ფუთურიძე რ., ხოშტარია ნ., ჭყონია ა. ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. — ვანი I, თბ., 1972, გვ. 111-134.

23. Воронов Ю.Н. К изучению керамического производства Диоскуриады. — СА, № 2, 1977, с. 162-171.

- 24. Воронов Ю.Н.** Восточное Причерноморье в системе эллинистического мира. – Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Тб., 1985, с. 459-468.
- 25. Гамкелидзе Г.А.** К археологии долины Фасиса. Тб., 1992.
- 26. Граков Б.И.** Древнегреческие керамические клейма с именами астонимов. М., 1929.
- 27. Дундуа Г.Ф.** Нумизматика античной Грузии. Тб., 1987.
- 28. Лордкипанидзе Г.А.** Колхида в VI-II вв. до н.э. Тб., 1978.
- 29. Лордкипанидзе О.Д.** Вани в системе колхидского государства. – Причерноморье в VII-V вв. до н.э. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья, Вани-1987, Тб., 1990, с. 327-337.
- 30. Лордкипанидзе О.Д., Путурдзе Р.В., Матиашвили Н.Н., Толордава В.А., Пирцхалава М.С., Чкония А.М., Квирквелия Г.Г., Инаури Г.А.** Ванская археологическая экспедиция. – ПАИ-1986, Тб., 1991, с. 70-74.
- 31. Монахов С.Ю.** Греческие амфоры в Причерноморье. Саратов, 1999.
- 32. Трапиш М.М.** Труды, т. 2. Сухуми, 1969.
- 33. Федосеев Н.Ф.** Уточненный список магистратов контролировавших керамическое производства в Синопе. – ВДИ, № 2, 1993, с. 85-104.
- 34. Федосеев Н.Ф.** Хронология синопских магистратских клейм. – Проблемы скифско-сарматской археологии Северного Причерноморья. Тезисы докладов, Запоржье, 1994, с. 188-190.
- 35. Федосеев Н.Ф.** Керамические клейма из раскопок "Бакланья скала." – Древности Боспора, т. 1, М., 1998, с. 253-270.
- 36. Хоштариа Н.В.** Археологические раскопки в Вани. – გავ II, 1962, გვ. 65-80.
- 37. Цецхладзе Г.Р.** Производство амфорной тары в Колхиде. – Греческие амфоры. Саратов, 1992, с. 90-110.
- 38. Шамба Г.К.** Амфорные клейма Диоскурии. – ИАБНИИ, V. Тб., 1976, с. 49-57.
- 39. Шелов Д.Б.** Керамические клейма из Танаиса III-I веков до н.э. М., 1975.
- 40. Conovici N.** Les timbres amphoriques de Sinope. – Histria, VIII, Bucarest, 1998.
- 41. Lordkipanidze O.** Das alte Georgien (Kolchis und Iberien) in Strabons Geographie. Amsterdam, 1996, S. 76-97.

## ცხრილი |

ასტინომთა საკუთარი სახელი	ფიჭვნარი	ეშერა	ნოქალაქევი	დაბლაგომი	ვანის ნაქალაქარი	
	ამფორა	კრამიტი	ამფორა	კრამიტი	ამფორა	კრამიტი
1. Βένις I ძვ.წ. 293 წ.			1			
2. Μικρός ძვ.წ. 292 წ.				1		
3. Μνησιχλῆς ძვ.წ. 286 წ.					1	
ლაპუნა 25 წელი						
4. Πασιχάρης □ Δημητρίου ძვ.წ. 261 წ.					1	
5. Ζεύς □ Ἀπολλοδώρου ძვ.წ. 241 წ.					1	2
6. Μαντόεος □ Πρωταγόρου ძვ.წ. 232 წ.						1

ცხრილი II

ასტინომთა საკუთარი სახელი	ფიჭვნარი	ეშერა	ნოქალაქევი	დაბლაგომი	განის ნაქალაქარი	
					ამფორა	კრამიტი
I ქრ. ჯგუფი (1-17) ძვ.წ. 355/350 - 335/330 წწ.						
1. K <sub>1</sub> φος Id (№6-8)					1	
2. A <sub>1</sub> λ <sub>1</sub> ηςII – If (№ 16-17)	1					
II ქრ. ჯგუფი (18-55) ძვ.წ. 333-296 წწ.						
3. Xαβρ <sub>1</sub> δις – IIa (№ 19)				1		
4. Πρωταγ <sub>1</sub> φας I - IIa (№ 20-22)				1		
5. M <sub>1</sub> ψιμος - IIa (№ 20-22)						1
6. Θε <sub>1</sub> ψειτος IIa (№ 24-28)						4
7. Καλλι <sub>1</sub> πτρατος - IIa (№ 24-28)						2
8. Ποσειδώνιος III - IIb (№ 29-33)					1(2?)	1(2?)
9. Xαρο <sub>1</sub> ξενθής - IIb (№ 29-33)					1	1
10. Φ <sub>1</sub> ιτις - IIc (№ 37-39)					1	
11. Ἀριστ <sub>1</sub> βουλος IIc (№ 48-51)		1				
12. ΠΙ <sub>1</sub> σις – IIc (№ 48-51)	1					
13. Θεοπε <sub>1</sub> θης IIId (№ 52-55)						2
III ქრ. ჯგუფი (56-71) ძვ.წ. 295-280 წწ.						
14. B <sub>1</sub> φυς IIId (№ 68)			1			
15. Μικρ <sub>1</sub> δις IIId (№ 69)					1	
16. Μνησικλ <sub>1</sub> ξ IIId (№ 71)						1
IV ქრ. ჯგუფი (72-93) ძვ.წ. 279-258 წწ. ლაკუნა 35 წელი						
V ქრ. ჯგუფი (94-161) ძვ.წ. 257-190 წწ.						
17. Z <sub>1</sub> ηις □ 'Απολλοიδώρου – Vb (№ 106)					1	2

18. Μαντίθεος <input type="checkbox"/> Πρωταγόρου Vb (№ 108)						1
19. Πασιχάρης <input type="checkbox"/> Δημητρίου Vc (№ 113)						1

ცხრილი III


	აჭარა	ვანის ნაქალაქარი		
	პერაკლეა	პერაკლეა	თასოსი	ქიოსი
ძვ.წ. 400 წ.				
390				
380----	■ Μολοσσός 1 ც.	■ Καλλάδης 1 ც.		
370----				
360				
350	■ Ἡρακλέας 1 ც.			
340	■ ΣΩλανος 1 ც.			
330			■ Ἡρόδοτος 1 ც.	
320				
310				
300	■ NI 1 ც.			
290				
280				
270				
260				
250-				
240				■ Ἰχειρίος 1 ც.
230				
220				
210				
200			■ Ἡγήσιος 3 ც.	

## თამარ შალიკაძე

### პერსულობარტერიანი მინის სასმისები გონიო-აფსაროსი

გონიო-აფსაროსის მინის ნაწარმში გამოიყოფა ფორმაში გამობერვის წესით დამზადებული ბერძნულწარწერიანი სასმისები. როგორც ცნობილია, მინის ამფორებსა თუ სასმისებზე რელიეფურადაა შესრულებული როგორც ორნამენტი, ასევე წარწერები. ამფორებზე ძირითადად სახუთარი სახელებია დატანილი, სხვადასხვა ჯგუფის სასმისებზე კი – გამონათქვამები ან სურვილები, სადღეგრძელოები; მაგალითად, „ჯანმრთელი იყავ და გაიხარე“, „გაიმარჯვე“ და ა. შ. [2, გვ. 220]. ამ სახის ნაკეთობანი პირველად აღმოჩნდა საქარ-

ვებულია გონიო-აფსაროსის ციხის დასავლეთი კედლის გარეთ გავლებულ თხრილში. წარმოდგენილია პირისა და ტანის სამი ნატეხის სახით. მინა გამჭვირვალე, მოყვითალო, მომწვანო ფერისაა; პირი ფართოა, პროფილირებული (ზედა კალთა მომრგვალებული, ქვედა შიგნით ღარისებრად შეწეული). ტანი ძირისკენ ოდნავ შევიწროებულია (ცნობილია ამ სახის ცილინდრულტანიანი სასმისებიც). ძირი არა დაცული, მაგრამ ანალოგიების მიხედვით ბრტყელი უნდა ყოფილიყო. მის გარეთა ზედაპირის ცენტრში რელიეფური წერტილი უკეთდებოდა. ტანის მთელი ზედაპირი დაფარული



სურ. 1

თველოს ზღვისპირეთში, ამიტომაც მეცნიერული ინტერესი მათ მიმართ განსაკუთრებულია. შედარებით უკეთესად დაცული ნიმუშები მოპო-

ყოფილა ორმაგი ხაზებით შემოფარგლული ბერძნულწარწერიანი რელიეფური ორნამენტით: წყვილ-წყვილადაა განლაგებული ოთხი გვირ-


გვინი, რომელთა ბოლოები განასკვულია ფოთლისებრ-ჯაჭვისებრი ბაფთებით. ერთ გვირგვინში შემორჩენილია სამი ბერძნული ასო KHN. დანარჩენ გვირგვინებშიაც უნდა ყოფილიყო სამსამი ბერძნული ასო, რომელთა გაშიფრვასაც ცოტათი ქვემოთ ვიძლევით. გვირგვინებისა და ბაფთების ბოლოებს შორის დარჩენილი არე შევსებულია ორმაგი რელიეფური წრეხაზებით. გვირგვინები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ვერტიკალურად განლაგებული პალმის მოზრდილი შტოების ორი რიგით. ესენი ფარავენ ფორმაში ჩამოსხმული სასმისის ნახევრების შეერთებისას წარმოქმნილ ნაწიბურებს. სიმაღლე 7,7 სმ-ია, პირის დმ – 8,2 სმ, ძირის დმ – 5,3 სმ (სურ. 1).

ყურადღებას იქცევს ბერძნული ასოები. ერმიტაჟში დაცულ გონიო-აფსაროსის მსგავს სასმისზე მოცემულია შემდეგი შინაარსის წარწერა ΛΑΒ ETH NNI KHN, რაც ნიშნავს „გაიმარჯვე“ [2, გვ. 222]. როგორც ვხედავთ, აფსაროსის ბერძნული ასოები და ერმიტაჟის წარწერის ბოლო სამი ასო ერთმანეთს ემთხვევა. ვითქმირობთ, რომ ჩვენს მონაპოვარზეც მთლიანობაში ასეთივე წარწერა უნდა ყოფილიყო. ოღონდაც, ერმიტაჟის ნიმუშზე ორსტრიქონიანი წარწერა გვირგვინებს შორისაა მოქცეული. როგორც ვნახეთ, აფსაროსისაზე ის ჩაწერილია თვით გვირგვინებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს შემთხვევაში ოთხ მოზრდილ გვირგვინში სამ-სამი ბერძნული ასო უნდა ყოფილიყო მოცემული: ΛΑΒ-ETH-NNI-KHN. ასეთივე ერთსტრიქონიანი წარწერა გახვდება ქერჩის მახლობლად აღმოჩენილ ცილინდრული ფორმის ჭიქაზე [2, გვ. 220-222, სურ. 1].

ჯერჯერობით ამ სახის მინის ჭურჭლის ერთადერთი ფრაგმენტია მოპოვებული გონიოს ციხის სამხრეთ კარიბჭესთან (გ. ა. 99. 5531). შერჩენილია პირის და ტანის მცირე ნაწილი. მინა გამჭვირვალე, მომწვანო-მოცისფროა. პირი – მომაღლო, სწორი, ოდნავ გარეთკენ გადაშლილი. ტანის დასაწყისი შემქულია წყვილი ჰორიზონტალური ზოლითა და პალმის სტილიზებული ფორმებით (სურ. 2). ეს ნატეხი ემსგავსება სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულ ცილინდრული ფორმის სასმისს, რომელიც ს. სტროგანოვის კოლექციიდან მომდინარეობს [3, გვ. 275, კატ. 115]. მასზე აფსაროსის მსგავსი ფრიზის შემდგომ მოცემულია ერთსტრიქონიანი წარწერა KATAI XAIPE KAIEΥΦΡΑΙΝΟΥ – „ჯანმრთელი იყავ და გაიხარე“. ამ ჭურჭლზე ვერტიკალურად განლაგებული შტოები დეკორსა და წარწერას ყოფს ორ ნაწილად და ფარავს ფორმის (მატრიცის) მიერ გაჩენილ ნაწიბურებს. სიმაღლე 7,4 სმ-ია, პირის დმ – 7 სმ, ძირის დმ – 6,8 სმ [2, გვ. 224, სურ 1, 2]. ერმიტაჟის გარდა, გონიო-აფსაროსის მინის

ჭურჭელს ეძებნება სხვა პარალელებიც [4, გვ. 163-183, ტაბ. XXIII-XXVIII; 6, გვ. 162, № 453].

რელიეფურორნამენტიანი აფსაროსის თანადროული მინის ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისის ნაქალაქარზე. ოღონდაც, მათზე ბერძნული წარწერები არაა მოცემული. გარდა ამისა ორნამენტი შესრულებულია მინის ბალზამარიებზე, ამფორისება და გრაფინზე [1, გვ. 69-89, ტაბ. X-XIII].



სურ. 2

რელიეფურორნამენტიანი და ბერძნულწარწერიანი სასმისების დანიშნულებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (პ. პერდრიზე, ა. კიზა, დ. პარდენი და სხვები), რომ ეს ჭურჭელი ხშირად გამოიყენებოდა სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა დასაჯილდოებელ პრიზებად, ასევე საჩუქრებადაც [3, გვ. 274]. ბერძნულ წარწერიანი სასმისები ძირითადად სირიულ პროდუქციადაა მიჩნეული. არ გამორიცხავენ მათ წარმოებას კუნძულ კვიპროსზეც. მინის ცნობილი მეცნიერები დ. პარდენი თვლიდა, რომ ქალაქ სიდონის მკვიდრი ენიონი იყო თვით გამობერვის პროცესის გამომგონებელიც [5, გვ. 102-105]. იგი ფილიალების მესაკუთრეც ყოფილა; მიუთითებენ, რომ სიდონელ ენიონს თავისი სახელოსნო პერიოდი იტალიაშიც კი [2, გვ. 223]. მ. საგინაშვილი აღნიშნავს, რომ ენიონის საწარმოები ამზადებდნენ სხვადასხვა ფორმის პროდუქციას: ამფორისებას, პატარა სურებს, ფიალებსა და თასებს, რომლებზეც რელიეფური ორნამენტი რამდენიმე ფრიზადაა განლაგებული [1, გვ. 83].

ამ სახის ჭურჭელი თარიღდება ა. წ. I სი-ით. [3, გვ. 275]. ის ფართოდ ჩანს გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ხმელთაშუა-ზღვისპირეთის ქვეწარებში; შეზღუდული რაოდგობით – პონტოსპირეთშიც.

როგორც ცნობილია, ძვ.წ. I ს-ში სირიაში დაიწყო ფორმაში გამობერვის ხერხით მინის ჭურჭლის დამზადება. თიხისა თუ თაბაშირისაგან წინასწარ ამზადებდნენ ფორმას ანუ მატრიცას. ფორმა ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა – სამი კედლისა და ერთი ძირის. არის სადა

თუ როგორი ფიგურული მატრიცები. ზოგიერთ ჭურჭელზე გამოსახული იყო ღვთაებისა თუ ადამიანის თავი, თევზი, ნიჟარა და ა.შ. დეტალები ხელით ემატებოდა. ბუქებრივია, ერთი და იმავე ყალიბის საშუალებით შესაძლებელი იყო ჭურჭლის სერიული წარმოება.

ასეთია გონიოს ციხეზე აღმოჩენილი მინის ნაწარმის ერთ-ერთი სახეობა. როგორც ითქვა, რელიეფურორნამენტიანი ბერძნულწარწერიანი მინის ჭურჭელი პირველად აღმოჩნდა საქართველოს ზღვისპირეთში, ამიტომაც მათი მეცნიერული მნიშვნელობა განსაკუთრებულია. ამ მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ აფსაროსში იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა სახის დღესასწაულები. განხილული საპრიზო ჭურჭლების გარდა ამის ნათელი დადასტურებაა პროკოფი კესარიელის ცნობა იმის შესახებ, რომ აფსაროსს თავის დროზე პქონია თეატრი და იპოდრომი.

## T. Shalikadze

### DRINKING VESSELS BEARING GREEK INSCRIPTIONS FROM GONIO-APSAROS (Summary)

Glass drinking vessels decorated with relief ornament and bearing Greek inscriptions have been discovered on the Georgian Black Sea littoral for the first time, naturally becoming the subject of special scholarly interest. While taking into consideration proper parallels, it is conjectured that the inscription must have run as follows: LAB ETH NNI KHN - "Win". Only the last three letters have survived and are discernible on our specimen. As is generally known, glass vessels of the above type were used as prizes or gifts for winners of sport competitions. They are considered to be Syrian goods and are dated to the 1st cent. A. D. The existence of prize-vessels prompts the assumption that sport competitions and various festivals were held in Apsaros. Even more interesting is Procopius' report that a theatre and hippodrome once existed in the fortified city.

## ლიტერატურა

1. საგინაშვილი გ. რელიეფურორნამენტიანი მინის ჭურჭელი ურბნისის სამაროვნიდან. – სას, თბ., 1985, გვ. 69-89.

2. Кунина Н. Стеклянные стаканы с греческими надписями в собрании Эрмитажа. – Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья. Л., 1968, с. 220-226

3. Кунина Н. Античное стекло в собрании Эрмитажа. Л., 1997.

4. Harden D. B. Romano-Syrian Glasses with Mould-blown Inscriptions. – JGS, vol. 25, 1935.

5. Harden D. B. Roman Mould-blown Glasses. – The Connoisseur. September, vol. 106, 1940.

6. Saldem A., von., Nolte B., La Baume P., Haevernick Th. E. Gläser der Antike. Sammlung Erwin Oppenländer. Hamburg-Köln, 1974.

## სურათების აღწერილობა

სურ. 1 – გონიო-აფსაროსის ციხის დასავლეთ კედლის გარეთ აღმოჩენილი რელიეფურორნამენტიანი, ბერძნულწარწერიანი მინის სასმისი.

სურ. 2 – გონიო-აფსაროსის სამხრეთი კარიბჭის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რელიეფურორნამენტიანი მინის სასმისის პირისა და ტანის ნატეხი.

## Description of the Figures

Fig. 1. – Glass drinking vessel decorated with relief ornament and bearing a Greek inscription, discovered outside the west wall of the fortress.

fig. 2. – Fragments of the mouth and body of the glass drinking vessel decorated with relief ornament, discovered on the territory of the southern gate of Gonio-Apsaros.

## მარიამ საგინაშვილი

### მინის ჭურჭელი დედოფლის გორის სასახლიდან (ახ. წ. I ს. ქართლის სამეფოს საგარეო-პროცესი კონტაქტებისათვის)

დედოფლის გორა მდებარეობს ქარელის რაიონში, დედოფლის მინდვრის სამხრეთ ბოლოში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის მდ. ფრონის შესართავთან.<sup>82</sup> იგი მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლია. ჩვენთვის საინტერესო მეორე კულტურული ფენა, ანტიკური ხანის სასახლე, რომელსაც გორის მთელი ზედაპირი ეჭირა, აგებულია ძვწ. I საუკუნის დასაწყისში. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, რაც რადიოკარბონულმა ანალიზმაც დაადასტურა, სასახლე განადგურდა ახ.წ. I საუკუნის ბოლოს, აღბათ, დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსთან ერთად [1, გვ. 48]. იგი უცარმა ხანძარმა იმსხვერპლა.<sup>83</sup>

სასახლის გათხრების დროს სხვა მრავალფეროვან ნივთიერ მასალასთან ერთად გამოვლინდა მინის რამდენიმე ჭურჭელიც, რომელშიც გამოიყო სამი ტიპი: I ტიპი – ღარებით შემკული ე.წ. კანელურებიანი ამფორისკი, II ტიპი – მოზაიკური ჭურჭელი და III ტიპი – კოლბისებური სანელსაცხებლები. თითოეული მათგანი გამობერვის წესითაა დამზადებული; ამასთან, პირველი ტიპი ფორმაშია გამობერილი, მეორე და მესამე კი – თავისუფლადნაბერია.

ტიპი I. ღარებით ამფორისკი მოთეთრომიისფერო (ლია ისფერი) გამჭვირვალე მინისაა; შერჩენილია ყელი, მხრების ნაწილი, ტანის დაღარული ფრაგმენტები და დეფორმირებული ყურები; იგი ხანძრისაგან იმდენადაა დაზიანებული, რომ მისი თავდაპირველი ფორმისა და დეკორის სრული აღდგენა შეუძლებელია. ჩვენი აზრით, ჭურჭელი უნდა ყოფილიყო ფიგურული სანელსაცხებლე დაახლოებით იმ ტიპისა, როგორსაც ჩვენ სამფრიზიანს ვუწოდებთ. ეს არის ჭურჭელი, რომლის ზედა და ქვედა ფრიზი ღარებით არის შემკული, შუა ფრიზი კი – რელიეფური ორნამენტით [4, გვ. 10-11, სურ. I<sub>1-3</sub>; 5, გვ. 154-156, ტაბ. XI; 6, ტაბ. X<sub>1-3</sub>; 7, გვ. 54, სურ. I]. დედოფლის გორის ამფორისკის ყელისა და მხრის ფრაგმენტებზე ღარები არ შეიძინება, რამაც დაბადა ეჭვი, ხომ არ არის ისი-

ნი სხვა ჭურჭლისა? ჩატარებულმა ქიმიურმა ანალიზმა ეს ეჭვი გაფანტა - ყველა ფრაგმენტი ერთი ჭურჭლისა აღმოჩნდა, ანუ აღწერილი ამფორისკისა.<sup>84</sup> ვფიქრობთ, იგი განსხვავებით სამფრიზიანი ჭურჭლისაგან, ორფრიზიანი უნდა ყოფილყო; მისი ქვედა ფრიზი დაღარებულია, ზემო ნაწილზე კი კარგად შეიმჩნევა რელიეფური სახეები, თუმცა ორნამენტის აღდგენა ვერ ხერხდება (ტაბ. I, ინვ. № 27-977:6810).<sup>85</sup>

ანტიკურ სამყაროში რელიეფური სახეებითა და ღარებით შემკული ამფორისკები საკმაოდაა გავრცელებული და კარგადაც არის შესწავლილი. მათ სირიულ, კერძოდ, სიღონურ პროდუქციად მიიჩნევნ და მირითადად, ახ.წ. I ს. შუა ხანებითა და მეორე ნახევრით ათარიღებენ [8, გვ. 55, № 107-111; 10, გვ. 121-122, სურ. 16-17]. მიუხედავად იმისა, რომ დედოფლის გორის ამფორისკს ზუსტი ანალოგი ვერ მოვამებენთ, იგი იმდენად ახლოს დგას სამფრიზიან ჭურჭელთან რომ, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ მასაც ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით დაგათარიღებთ და სირიულ პროდუქციად მივიჩნევთ.

ტიპი II. დედოფლის გორის მოზაიკური ამფორისკი, ჯერჯერობით, ერთადერთი ცალია საქართველოში. მსგავსი ტექნიკით დამზადებული სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჭურჭელი, მათ შორის ამფორისკებიც, საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ახ.წ. I საუკუნის რომაულ სამყაროში. ისნი თანაარსებობენ და გარკვეული თვალსაზრისით ენაცვლებიან ე.წ. „მიღეფიორის“ ტექნიკით დამზადებულ ჭურჭელს, რომელიც ძვირადღირებულ უუფუნების საგნად ითვლებოდა.

დედოფლის გორის მოზაიკური ამფორისკი, მართალია, ძლიერაა დაზიანებული, მაგრამ მაინც ხერხდება მისი ფორმის სრული რეკონსტრუქცია; იგი მოყვითალო ფერის გამჭვირვალე მინისაა, თხელკედლიანი; გადაშლილი, შიგნით უსწოროდ ჩაკეცილი პირით; ცილინდრული ყელით, რომელიც უშუალოდ გადადის კვერცხისებრ ტანში; მირი ძაბრისებურად ჰქონია შედრეკილი; ორყურა, მოცისფრო-მოლურ-

<sup>82</sup> სტატია გათვალისწინებულია გრანტით – INTAS, Ref. No:96-0054.

<sup>83</sup> დედოფლის გორაზე 1985-1993 წლებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპლოიცია (ზელმძღვანელი ი. გაგოშიძე).

ჯო ფერის გამჭვირვალე მინის ყურები პირთან და მხრებზეა მიმაგრებული. მისი ზედაპირი შემცულია წითელი, ღია ღურჯი და თეთრი ფერის გაუმჭვირვალე მინის ზოლებითა (ყელზე) და ლაქებით (მუცელზე); სიმაღლე – 11,0 სმ; მუცლის დმ – 7,2 სმ; პირის დმ – 3,0 სმ; ამფორისკი ნაწილობრივადაა აღდგენილი (ტაბ. I<sub>2</sub>, ინგ. № 27-977:6811).

ტექნიკა, რომელიც გამოყენებულია მოზაიკური ამფორისკის დასამზადებლად, რიგი მკვლევარების მიერ მიეწერება იტალიელ ხელოსნებს. მინის ჭურჭლის დამზადების ეს ძალზე საინტერესო მეთოდი შეისწავლა და დაწვრილებით აღწერა ფ. ფრემერსდორფმა [17, გვ. 118].<sup>86</sup> გამოსაბერი მილით იღებდნენ ერთფეროვანი გამჭვირვალე მინის მასას და ბერავდნენ ბუშტს – ნამზადს. შემდეგ მას ჩაუშვებდნენ წინასწარ მომზადებულ სხვადასხვა ფერის გაუმჭვირვალე მინის მცირე ზომის ნატეხებით სავსე ჭურჭლში, სადაც ნატეხები ეკვროდა ბუშტის კედლებს. შემდეგ ბუშტს საგანგებოდ აგორავდნენ რაიმე ბრტყელ ზედაპირზე მანამ, სანამ ნატეხები მჭიდროდ არ ჩაჯდებოდა ბუშტის კედლებში. ამის შემდგომ ნამზადს ხელახლა ათავსებდნენ ცხელ ღუმელში და ძლიერი გამობერვით აძლევდნენ სასურველ ფორმას. გამობერვის პროცესში ფერადი მინის ნამტვრევები იწელებოდა და ჭურჭლის ზედაპირზე სხვადასხვა ფორმისა და ზომის ლაქებად და ზოლებად რჩებოდა. ამრიგად მიიღებოდა ჭრელი ზედაპირი, რომელიც არსებითად იასპის ტიპის ნახევრადგვირვასი ჭრელი ქვის იმიტაციას წარმოადგენდა. სწორედ ამას ესწრავოდნენ ხელოსნებიც.<sup>87</sup>

მოზაიკური მინის ჭურჭლის დამზადების აღნიშნული მეთოდი ათვისებული უნდა ყოფილიყო გამოსაბერი მიღლის გამოგონების შემდგომ. როგორც ნ. კუნინა ვარაუდობს, ხელოსნებმა ამ ხერხით შეცვალეს მრავალფერადი მინის ჭურჭლის დამზადების ბევრად უფრო რთული და მრომატევვადი პროცესი, რომელიც „მიღეფიორის“ ტექნიკის სახელით არის ცნობილი [11, გვ. 150]. მიღეფიორის ტექნიკით ამზადებდნენ სქელკედლიან ფიალებს, რომელიც ერთი შეხედვით ძნელად გასარჩევი იყო ფერადი ქვებისაგან დამზადებული ფიალებისაგან. ორივე მეთოდს აგუთვნებენ ა. ტ. ე. მავრამ, აღბათ, მიღეფიორის ტექნიკა ხმარებაში უნდა შესულიყო უფრო ადრე,

<sup>86</sup> აღნიშნული ტექნიკის მოკლე აღწერილობა იხილე აგრეთვე ნაშრომში Sammlung Oppenländer [23, გვ. 87].

<sup>87</sup> ამ ტექნიკას ნ. კუნინა უწოდებს "Техника пестрой поверхности" [11, გვ. 150].

რადგანაც აქ იყენებდნენ ბევრად ძველ, ჩამოსხმა-ჩაწენების მეთოდს.

ფ. ფრემერსდორფმა აღწერა რა მოზაიკური ჭურჭლის დამზადების პროცესი, გამოთქავა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მისი სამშობლო არის ჩრდ. იტალია ან უშუალოდ მისი მოსაზღვრე რეგიონები – კრაინა და ისტრია. იგი გამოდიოდა იქიდან, რომ აღნიშნული ხერხით მიღებული ჭურჭლის უმრავლესობა აღმოჩენილი იყო აკვილეისა, ღუბლიანასა და ღოკარნისთან ახლოს გათხრილ სამაროვნებზე [17, გვ. 120-121]. ფ. ფრემერსდორფის ნაშრომის შემდგომ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებშიც მსგავსი ჭურჭელი თავს იყრის ღოკარნისთან ახლოს გათხრილ სამაროვნებზე [24, ტაბ. 10<sub>5</sub> (მარცხნივ); ტაბ. 11<sub>3</sub> (მარცხნივ)]. სხვადასხვა ფორმისა და ზომის „ჭრელზედაპირიანი“ ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა ვინდონისას გათხრების დროსაც [13, გვ. 34-35, № 60-72, ტაბ. 4].

აღნიშნული ტექნიკითა დამზადებული სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჭურჭელი: მოდილუსები, ქილები, ამფორისკები და სხვა. მაგრამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის სხვადასხვა ზომის ამფორისკები. ამფორისკების მთელი სერია არის აღმოჩენილი ღოკარნისთან ახლოს გათხრილ სამაროვნებზე. „ჭრელზედაპირიანი“ ამფორისკების ასეთ მნიშვნელოვან კონცენტრაციას შვეიცარიის ტერიტორიაზე ნ. კუნინა მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ისინი წარმოადგენენ ჩრდ. იტალიური სახელოსნოების პროდუქციას და ამაზე დაყრდნობით იგი პანტიკაპეიონში აღმოჩნდა ამფორისკებს ჩრდ. იტალიურ ნაწარმად მიიჩნევს [11, გვ. 151, ტაბ. I<sub>3,4,5</sub>].

ამფორისკებს, ძირითადად, ა. ტ. ე. კუთვნებენ [11, გვ. 151, № 3,4,5; 23, გვ. 140, № 392; 22, გვ. 15, № 23; 12, № 188-189]. ზოგჯერ კი უფრო კონკრეტულად, ა. ტ. ე. კ. პირველი ნახევრითაც კი ათარიღებენ. კერძოდ, ნ. კუნინას მიერ გამოქვეყნებული ერმიტაჟში დაცული ამფორისკებიდან ერთი, რომელიც ძალზე ახლოს დგას დედოფლის გორის ამფორისკებითან, სწორედ ა. ტ. ე. კ. პირველი ნახევრით არის დათარიღებული [11, გვ. 151, № 3].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დედოფლის გორის ამფორისკიც ჩრდილო – იტალიური წარმომავლობისა უნდა იყოს და შეიძლება დათარიღდეს ა. ტ. ე. კ. პირველი ნახევრით.

დედოფლის გორის სასახლის მინის ჭურჭლის მესამე ტიპი კოლბისებური სანელსაცხებლებია. გორაზე სულ თორმეტიოდე მინის კოლბისებური სანელსაცხებლე აღმოჩნდა, მათგან ოთხი მთელი ჭურჭელი იღო ერთად ზის ყუთში სასახლის № 1 ოთახში, ტახტის ქვეშ.

სიმხურვალისაგან ერთ მასად შედეულებული სამი-ოთხი სანელსაცხებლე აღმოჩნდა № 12 ოთახში. კიდევ ზუთი, მეტ-ნაკლებად მთელი სანელსაცხებლე, ნაპოვნია დედოფლის გორაზე 1926 წელს.<sup>88</sup>

დედოფლის გორის სასახლის კოლბისებურ სანელსაცხებლებში ფორმის, მინის ხარისხისა და ფერის მიხედვით გამოიყო ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში ერთიანდება 1926 წელს აღმოჩნდილი ჭურჭელი, რომელიც მინის ფერითა და ხარისხით ერთნაირია, ერთნაირადაც არის ირიზებული, ფორმით კი ერთმანეთისაგან განსხვავდება; წარმოდგენილია სანელსაცხებლების სამი ვარიანტი.

ვარიანტი 1. სანელსაცხებლე მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; ბრტყლადნაკეცილი უსწორო პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც მკვეთრად გამოიყოფა მხრებდაქანებული ძირისკენ გაფართოვებული მსხლის ფორმის ტანისაგან; ძირი მომცროა და ცენტრში ოდნავ შედრეკილი. ძლიერ ირიზებული – ზედაპირი დაზიანებულია; სიმაღლე – 15,6 სმ; პირის დმ – 3,2 სმ; ძირის დმ – 3,2 სმ (ტაბ. I<sub>3</sub>; ინვ. A, № 142<sup>o</sup> 2627).

საქართველოში მსგავსი სანელსაცხებლები შედარებით მრავლად აღმოჩნდილია ურბნისში გვიანანტიკური ხანის სამართვანზე (XXV უბანი). ისინი სამარხეული ინვენტარით თარიღდება ა.წ. I საუკუნით [4, № 80, 81, 99, 103]. ანალოგიური სანელსაცხებლები გვხვდება სომხეთში [8, № 53], ჩრდილო შავიზღვისპირეთში [9, გვ. 149, სურ. 2<sub>2,9</sub>]. საკმაო რაოდენობით ისინი აღმოჩნდილია ეგვიპტესა [16, ტაბ. VIII, 32643, 32647] და სირიაში [26, ტაბ. XLIV].

დედოფლის გორის სანელსაცხებლე იმდენად დიდ სიახლოვეს იჩენს დურა-ევროპოსში აღმოჩნდილ სანელსაცხებლებთან, რომ ვფიქრობთ ეჭვს არ უნდა იწვევდეს მისი სირიული წარმომავლობა. ცნობილია, რომ საქართველოში აღმოჩნდილი შემოტანილი მინის ჭურჭლის დიდი უმრავლესობა ა.წ. I საუკუნეში შემოდიოდა სირიიდან, რომელიც სწორედ ა.წ. I საუკუნეში იყო მინის ჭურჭლის მთავარი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ, ვფიქრობთ, საქართველოში აღნიშნულ ხანაში სხვა ჭურჭელთან ერთად ჩენოვის საინტერესო

<sup>88</sup> 1926 წელს ლ. ტიტვინიძემ ორგორის ტერიტორიაზე (შემდგომში გათხრილი დედოფლის გორის სასახლე) აკრიფა მინის ჭურჭელი და სხვა ნივთებთან ერთად შესწირა „ხელოვნების მეცნიერებათა კაბინეტს“. ამჟამად ეს ჭურჭელი ინახება შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სანელმწიფო მუზეუმში სანვენტარო ნომრებით: A, № 142<sup>o</sup>-2627; A, № 143<sup>o</sup>-2630; A, № 143<sup>o</sup>-2631; A, № 143<sup>o</sup>-2632; A, № 143<sup>o</sup>-2633

მინის სანელსაცხებლებიც უნდა შემოეტანათ სირიიდან.

პირველ ვარიანტს მივაკუთვნეთ მეორე და მესამე ჭურჭელიც. ორივე სანელსაცხებლე ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. ერთი (ტაბ. II, ინვ. A, № 143<sup>o</sup> 2632) ღია მწვანე გამჭვირვალე მინის სანელსაცხებლის ყელ-პირის ფრაგმენტია; სქელკედლიანი; გადაშლილი, ბრტყლად დაკეცილი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით; ირიზებული; პირის დმ – 3,6 სმ; ყელის სიმაღლე – 5,6 სმ; ყელის დმ – 2,4 სმ. მეორეც (ტაბ. II<sub>2</sub>, ინვ. A № 143<sup>o</sup> 2633) მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის კოლბისებური სანელსაცხებლის ყელ-პირის ფრაგმენტია; სქელკედლიანი, ბრტყლადდაკეცილი პირით; ირიზებული; პირის დმ – 3,6 სმ; ყელის დმ – 2,6 სმ.

ვარიანტი 2. სანელსაცხებლე მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; გადაშლილი, ბრტყლადდაკეცილი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც გადაღის მკვეთრად გამოყოფილ ტანში, ტანი ნახევარსფერულია, ძირი ბრტყელი; ძლიერ ირიზებული – დაფარულია ცისარტყელას ფერების ირიზაციის სქელი ფენით; ტანის ცალი გვერდის ნაწილი ჩამომტვრეულია. სიმაღლე – 10,3 სმ; პირის დმ – 3,3 სმ; ყელის სიმაღლე – 4,6 სმ (ტაბ. II<sub>3</sub>, ინვ. № 143<sup>o</sup> 2631).

აღწერილი სანელსაცხებლე ემსგავსება ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩნდილ ნახევარსფერულტანიან სანელსაცხებლებს, რომლებიც დათარიღდებულია ა.წ. I ს. შუა ხანებიდან – ა.წ. II ს. შუა ხანებამდე პერიოდით [9, გვ. 166, სურ. 10<sub>2,6,9,12</sub>].

არსებობს მოსაზრება, რომ ნახევარსფერულტანიანი სანელსაცხებლები, ძირითადად, დამახასიათებელია რომის იმპერიის აღმოსავლეური ტერიტორიებისათვის [19, გვ. 97, ფორმა 82, A<sub>1</sub>], თუმცა ისინი დასავლეთშიც გვხვდება, მაგალითად გალიაში [21, სურ. 77, 78]. თუ გამოცემული მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენი ჭურჭლის ახლოს არის დურა-ევროპოსში [26, ტაბ. XLI, XLIV, LIV] და რომის სხვა აღმოსავლეთ პოვინციებში აღმოჩნდილი მსგავსი ჭურჭელი [27, გვ. 137, ტაბ. VIII<sub>12-19</sub>; ტაბ. XVIII<sub>1-3</sub>], რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ დედოფლის გორის სასახლის სანელსაცხებლე სწორედ ამ ცენტრებიდან არის შემოტანილი, უფრო სირიიდან.

მკვლევართა შორის დიდ ინტერესს იწვევს ნახევარსფეროსებრტანიანი სანელსაცხებლები სამართვილიან აკეთ იმდენად, რამდენადაც ისინი მიეკუთვნებიან ა.წ. I საუკუნეს და ითვლებიან აღმოსავლეთში მსგავს ჭურჭელთა შორის ყვე-

ლაზე ადრეულ სანელსაცხებლეებად [18, გვ. 18, 20-21]. ჩვენი აზრით, დედოფლის გორის სანელსაცხებლეც, ვათარიღებთ რა მას ახ.წ. I საუკუნით, ხსენებული სამაროვნის სანელსაცხებლეებთან ერთად, ადრეულ ნიმუშად უნდა მივჩინოთ.

ვარიანტი 3. მეხუთე ჭურჭელი, რომლის მხოლოდ ყელ-პირი შემორჩა, უნდა ყოფილიყო დიდი ზომის ბოთლი დია მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისა სამკუთხაგანივეოთანი პირით, მაღალი ცილინდრული ყელით, დაქანებული მხრებით; ყელი უშუალოდ გადადის ტანზე, ძლიერ არის ირიზებული – ზედაპირი დაფარულია ცისარტყელას ფერების ირიზაციის სქელი ფერით; პირის დმ – 3,8 სმ; ყელის სიმაღლე – 7,1 სმ; ყელის დმ – 3,6 სმ (ტაბ. II<sub>4</sub>, ინვ. A № 143<sup>o</sup> 2630).

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ჭურჭელი ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი და მისი ფორმის აღდგენა ვერ მოხერხდა, ანალოგის მოძებნა გაგვიგირდა. მინის ხარისხითა და ფერით იგი მსგავსია ზემოთ აღწერილი სანელსაცხებლებისა და ისევეა ირიზირებული, რაც გვაფირებინებს, რომ სამივე ვარიანტის ჭურჭელი ერთი საწარმოო ცენტრის პროდუქციაა და ერთად უნდა იყოს შემოტანილი ჩვენში.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა და საყურადღებო დედოფლის გორის სასახლის კოლბისებურ სანელსაცხებლეთა მეორე ჯგუფი, რომლის შესწავლის შედეგად პირველად გვეძლევა საშუალება გამოვყოთ ახ.წ. I საუკუნის დასავლური, კერძოდ იტალიური ჯგუფი.

მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ დედოფლის გორაზე აღმოჩენილი პირველი ჯგუფისაგან სრულიად განსხვავებული ოთხი სანელსაცხებლე; ისინი განსხვავდებიან როგორც მინის ფერითა და ხარისხით, ასევე ფორმითა და ზომებითაც. მეორე ჯგუფშიც სამი ვარიანტი გამოიყო.

ვარიანტი 1. სანელსაცხებლე მოცისფრო გამჭვირვალე მინისა; ბრტყელად დაკეცილი (ზოგან უსწოროდ) დისკოსებრი პირით; მაღალი ცილინდრული ყელით, რომელიც გადადის მაღალ, ძირისკენ გაფართოვებულ მხრებდაქანებულ ტანში (ტანი ცალ მხარეს უფრო მეტად არის გამობერილი); ძირი ბრტყელია, ცენტრში ოდნავ შედრეკილი; მდარე ხარისხის მინისაა – დაფარულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბუშტებით; ზედაპირი ალგ-ალაგ დაზიანებულია; ირიზებულია მსუბუქად (დეფორმირებულია). სიმაღლე – 14,7 სმ; პირის დმ – 3,8 სმ; ძირის დმ – 3,9 სმ (ტაბ. III<sub>1</sub>, ინვ. № 27-977:964).

მისი მსგავსია მეორე ჭურჭელიც. მათ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მინის ბოთლები. მეორე ბოთლი, აგრეთვე, მოცისფრო გამჭვირ-

ვალე მინისაა, სქელკედლიანი; ბრტყელად დაკეცილი პირით, მაღალი ცილინდრული ყელითა და მხრებდაქანებული ძირისკენ გაფართოვებული მაღალი ტანით, რომელიც გადადის ფართო ბრტყელ ძირში (ძირი უფრო სქელია); ყელი ტანთან შეერთებისას ვიწროვდება და მკვეთრად გამოიყოფა ტანისაგან უწვრილესი დარებით; იგი მდარე ხარისხის მინისაა, დაფარულია უამრავი ბუშტით, ირიზებულია მსუბუქად; ყელისა და მხრების არეში მოცემულია მომცრო შავი წერტილები; ზედაპირი აქა-იქ დაზიანებულია. სიმაღლე – 16,3 სმ; პირის დმ – 4,0 სმ; ძირის დმ – 4,6 სმ (ტაბ. III<sub>2</sub>, ინვ. № 27-977:962).

მსგავსი ბოთლები საქართველოში აღმოჩენილია, აგრეთვე, კლდეეთსა [2, სურ. 5; ტაბ. XX<sub>2</sub>] და ზემო ავჭალაშიც [3, ტაბ. IX<sub>3</sub>].

ანალოგიური ჭურჭელი ყველგან თარიღდება ახ.წ. I საუკუნით [3, გვ. 174; 9, სურ. 4,28; 19, ფორმა 16, გვ. 34]. დედოფლის გორის სასახლის გათხრები კიდევ ერთი დამატებითი საბუთია ამ დათარიღების სისწორისა. ისინი ზოგიერთი მკლევარის მიერ მიჩნეულია იტალიურ პროდუქტად [20, გვ. 159, 58, R. 92; 25, ტაბ. 6,6], რასაც ჩვენც ვიზიარებთ.

ვარიანტი 2. ბოთლი მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე მინისა, თხელკედლიანი; შიგნით ჩაკეცილი, დისკოსებრი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც გადადის მხრებდაქანებულ ძირისკენ გაფართოვებულ ტანში; ყელი ტანისაგან მკვეთრად არის გამოიყოლი; ძირი ბრტყელი აქვს; ტანი აღდგენილია – ნაწილები აკლია; აქა-იქ ირიზებულია; სიმაღლე – 17,1 სმ; პირის დმ – 4,0 სმ; ძირის დმ – 3,8 სმ (ტაბ. IV<sub>1</sub>, ინვ. № 27-977:961).

როგორც ვხედავთ, აღწერილი ჭურჭელი მინის ფერითა და ხარისხით მსგავსია ზემოთ განხილული ბოთლებისა, ფორმით კი განსხვავდება, უფრო თხელკედლიანიცაა. მსგავსი ბოთლებიც ახ.წ. I ს-ით არის დათარიღებული [14, № 63, გვ. 56; 15, ტაბ. 27, 357].

რაც შეეხება მეოთხე ჭურჭელს – ვარიანტი 3, იგი განსხვავდება ზემოთ აღწერილი ბოთლებისაგან როგორც ფერით, ასევე ფორმითაც – დია მოწვანო ფერის გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი (მძიმეა); შიგნით ჩაკეცილი, დისკოსებრ დაბრტყელებული პირით, მაღალი ცილინდრული ყელითა და მხრებდაქანებული მაღალი (მსხლისებრი) ტანით; ბრტყელი ძირით; ყელი ტანთან შეერთებისას ვიწროვდება და მისგან მკვეთრად გამოიყოფა დარით; მდარე ხარისხის მინისაა – დაფარულია სხვადასხვა ფორმის ბუშტებით; ირიზებულია მსუბუქად, ზედაპირის დიდი ნაწილი დაზიანებულია.

ლია; სიმაღლე – 18,6 სმ; პირის დმ – 3,6 სმ; ძირის დმ – 4,1 სმ (ჭაბ. IV<sub>2</sub>; ინვ. № 27-977: 963).<sup>89</sup>

აღწერილი ბოთლი ფორმით ახლოს დგას ახ.წ. I საუკუნით დათარიღებულ ჭურჭელთან [7, სურ. 1, ჯგუფი 1, ვარიანტი A; სურ. 2] და, ვივიქრობთ, ისიც ახ.წ. I საუკუნით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება წარმომავლობას, ჯერჯერობით, გვიჭირს იმის თქმა, რომ იგი იტალიური ნაწარმია.

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი მინის ჭურჭელი კარგად ეთანხმება სასახლის გათხრებით მოპოვებული ნივთიერი მასალის საერთო ხასიათს; ეს მასალაც ძირითადად იმპორტულია და უკავშირდება რომის იმპერიის როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ პროვინციებს. ამასთან, ამ მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჯერჯერობით, უნიკალურია საქართველოსთვის, რაც დედოფლის გორის სასახლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში აღმოჩენილი რომაული ხანის მინის ჭურჭლის თანმიმდევრული შესწავლა საშუალებას გვაძლევს მუდმივად შევავსოდ და დავაზუსტოთ ჩვენი ცოდნა საქართველოს საკარო-ეკონომიკური კავშირების შესახებ რომის იმპერიის სხვადასხვა რაიონებთან.

M. Saginashvili

## GLASS VESSELS FROM THE PALACE OF DEDOPLIS GORA

(Summary)

The multilayered archaeological site Dedoplis Gora is situated in Kareli district, Eastern Georgia. A palace of the Classical period, representing the second layer of the site and covering the entire area of the mountain was apparently constructed at the beginning of the 1<sup>st</sup> cent. B.C. Judging by the archaeological data, the palace must have been destroyed by the end of the 1<sup>st</sup> cent. A.D.

Along with miscellaneous archaeological material brought to light during the excavations glass vessels have been found. They can be organized into three following types: type I – cannelured amphoriskos; type II – amphoriskos of mosaic glass; type III – flask-shaped vessels. All of them are blown. The cannelured amphoriscos is

mould blown, while the amphoriskos of mosaic glass and flask-shaped vessels are free blown.

The cannelured amphoriskos (Pl. I, 1), manufactured of light violet transparent glass, bears two friezes. The lower frieze is adorned with cannelure while the upper one reveals traces of relief decoration, though the initial ornament is no more discernible. The vessel is apparently a product of Syrian workshops.

The amphoriskos of mosaic glass (Pl. I, 2) is badly damaged, nevertheless, the author managed to reconstruct its shape. It is made of yellowish transparent glass with red, light blue and white strips and opaque glass splashes. The amphoriskos is manufactured by applying the “splashed glass technique” practiced in workshops of northern Italy for making mosaic glass vessels.

Two groups are distinguished in the flask-shaped vessels. The first group consists of greenish transparent glass vessels, considered by the author to represent Syrian production (Pl. I, 3; II). As to the second group comprising the bluish, transparent glass bottles (Pl. III-IV) and differing from those of the first group by colour, texture and size, they must have been manufactured in western, i. e. Italian centres. Thus, all glass vessels discovered on Dedoplis Gora are imported ones, datable to the 1<sup>st</sup> cent. A.D.

The rest of the archaeological material obtained on the spot is also imported and can be linked both to the Western and Eastern provinces of the Roman Empire. The bulk of the artefacts so far represents unique finds in Georgia, testifying to the special importance of Dedoplis Gora as an archaeological site.

## ლიტერატურა

1. გაგოშიძე ი., წოწელია გ. არამეულ-წარწერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან. – ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991, გვ. 47-78.
2. ლომთათიძე გ. კლდევეთის სამაროვანი. თბ., 1957.
3. მაკალათია ს. 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპლის დათარიღებისათვის. – სსმ, გ. IV, 1928, გვ. 169-188.
4. საგინაშვილი გ. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი. თბ., 1970.
5. საგინაშვილი გ. შემთხვევით აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ურბნისიდან. – სსმ, XXXVI-B, 1982, გვ. 154-169.

<sup>89</sup> ტაბულები შესრულებულია მხატვარ ე. გომარელის მიერ.

- 6.** საგინაშვილი მ. რელიეფურორნამებრტიანი მინის ჭურჭელი ურბნისიდან. – სას, III, თბ., 1985, გვ. 69-89.

**7.** საგინაშვილი მ. მინის სანელსაცხებლები ჯავახეთიდან. – მმ, № 3, 1988, გვ. 53-56.

**8.** Аракелян Б. Н., Тирацян Г. А., Хачатрян Ж. Д. Стекло древней Армении (I-IV вв.). – Археологические памятники Армении, 3. Памятники древней эпохи. Вып. I, Ереван, 1969.

**9.** Кунина Н. З., Сорокина Н. П. Стеклянные бальзамарии Боспора. – ТГЭ, 1972, т. XIII, с. 146-177.

**10.** Кунина Н. З. Сирийские выдутые в форме стеклянные сосуды из некрополя Пантикея. – Памятники античного прикладного искусства. Л., 1973, с. 101-150.

**11.** Кунина Н. З. К вопросу о западном импорте стекла на Боспор (по материалам некрополя Пантикея из собрания отдела Античного мира Эрмитажа). – ТГЭ, т. XXIV, 1984, с. 147-164.

**12.** Кунина Н. З. Античное стекло в собрании Эрмитажа. Каталог. Государственный Эрмитаж, 1997.

**13.** Berger L. Römische Gläser aus Vindonissa, Basel, 1960.

**14.** Bucovăla M. Vase antice de sticla la Tomis. Bucuresti, 1968.

**15.** Буюклиев X. Тракийският могилен некропол при Чаталка Старозагорски окръг – Разкопки и приучвания. Кн. XVI, София, 1986.

**16.** Edgar C. C. Catalogue général des antiquités égyptiennes du Musée du Caire. Craeco-Egyptian Glass. Le Caire, 1905.

**17.** Fremersdorf F. Römische Gläser mit buntgefleckter Oberfläche. Festschrift für August Oxe. Darmstadt, 1938.

**18.** Fortuna M. T. I verri soffiati della necropoli di Akko. – JGS, vol. VII, 1965, p. 17-25.

**19.** Isings C. Roman Glass from Dated Finds. Groningen, Djakarta, 1957.

**20.** Les Antiquités Egyptiennes, Grecques, Etrusques, Romaines et Gallo-Romaines du Musée de Mariemont. Bruxelles, 1952.

**21.** Morin-Jean. La verrerie en Gaule sous L'Empire. Romain. Paris, 1913.

**22.** Saldern A., von. Ancient Glass in the Museum of Fine Arts. Boston, 1968.

**23.** Saldem A., von., Nolte B., La Baume P., Haevernick Th. E. Gläser der Antike. Sammlung Erwin Oppenländer. Hamburg-Köln, 1974.

**24.** Simmonett Ch. Tessiner Gräberfelder. Basel, 1941.

**25.** Spatz E. Antike Gläser, Vollständiger Katalog, Staatliche Kunstsammlungen Kassel, Kassel, 1967.

**26.** Toll N. P. Excavations at Dura-Europos; Ninth Season 1935-1936, Part II (necropolis). New Haven, 1946.

**27.** Vessberg O. Roman Glass in Cyprus. – Opuscula Archaeologica, Lund, vol. VII, 1952, p. 109-165, pl. I-XXIV.

**ტაბულების აღწერილობა**

ტაბ. I – 1. ღია იისფერი გამჭვირვალე მინის კანელურებიანი ამფორისქი; 2. მოყვითალო ფერის გამჭვირვალე მინის მოზაიკური ამფორისქი ფერადი ლაქებითა და ზოლებით; 3. მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის კოლბისებური სანელსაცხებლე.

ტაბ. II – მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის სანელსაცხებლების ფრაგმენტები.

ტაბ. III – მოცისფრო-მოთეთრო ფერის გამჭვირვალე მინის ბოთლები.

ტაბ. IV – 1. მოცისფრო-მოთეთრო ფერის გამჭვირვალე მინის თხელკედლიანი ბოთლი; 2. ღია მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის ბოთლი, სქელკედლიანი.

**Description of the Plates:**

Pl. I. – 1. cannelured amphoriskos made of light violet transparent glass; 2. Mosaic amphoriskos made of yellowish transparent glass with coloured splashes and stripes; 3. Flask-shaped unguentarium made of greenish transparent glass.

Pl. II. – Fragments of flask-shaped unguentaria made of greenish transparent glass.

Pl. III. – 1, 2. Blue-whitish transparent glass bottles.

Pl. IV. – 1. Thin textured blue-whitish transparent glass bottle; 2. Thick textured light greenish transparent glass bottle.

ტაბულების აღწერილობა

ჭაბ. I – 1. ლია ისტერი გამჭვირვალე მინის  
კანელურებიანი ამფორისკები; 2. მოყვითალო ფე-  
რის გამჭვირვალე მინის მოზაიკური ამფორისკე  
ფერადი ლაქებითა და ზოლებით; 3. მომწვანო  
ფერის გამჭვირვალე მინის კოლბისებური სა-  
ნელსაცხებლე.

ტაბ. II - მომწვანო ფერის გამჭვირვალე  
მინის სანელსაცხებლების ფრაგმენტები.

ტაბ. III – მოცისფრო-მოთეთრო ფერის გამჭვირვალე მინის ბოთლები.

ტაბ. IV – 1. მოცისფრო-მოთეთრო ფერის  
გამჭვირვალე მინის თხელკედლიანი ბოთლი; 2.  
ღია მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის ბოთ-  
ლი, სქილ კედლიანი.

## Description of the Plates:


Pl. I. – 1. cannelured amphoriskos made of light violet transparent glass; 2. Mosaic amphoriskos made of yellowish transparent glass with coloured splashes and stripes; 3. Flask-shaped unguentarium made of greenish transparent glass.

Pl. II. – Fragments of flask-shaped unguentaria made of greenish transparent glass.



Pl. III. - 1, 2. Blue-whitish transparent glass bottles.

Pl. IV. — 1. Thin textured blue-whitish transparent glass bottle; 2. Thick textured light greenish transparent glass bottle.


გაბ. I




Φαδ. II



Φαδ. III



ঘোড়া. IV



## აზოლიდა ცუხიშვილი

### მედალიონი სამთავროდან

მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმის მიერ (ხელ. გ. მანჯგალაძე) 1979 წელს გაითხარა ქვაყუთი № 455, რომელიც გაძარცული აღმოჩნდა. ამოლებული იყო მხოლოდ ოქროს მედალიონი და მინის სანელსაცხებლის ძირის ფრაგმენტი [2, გვ. 70].

მასალა ინახება მცხეთის სახელმწიფო მუზეუმში (საინვ. № 4640). მედალიონი წარმოადგენს ცალმხრივ გამოსახულების მრგვალი ფორმის თხელ ოქროს ფირფიტას საკიდით. მისი მეორე მხარე გლუვია. წონა - 1,345 გრ. დიამეტრი - 2,6 სმ. მასზე გამოსახულია: ქურუმის სავარძელში მჯდომი ქალის (კონსტანტინოპოლის პერსონიფიცირებული გამოსახულება). თავზე, რომელიც მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, მუზარადი ახურავს. სახე სქემატურად არის გადმოცემული. აცვია გრძელი ქიტონი მოსასხამით. ზეაღმართულ მარცხენა ხელში გრძელი კვერთხი უჭირავს, მარჯვენაში - ჯვრიანი სფერო. გამოსახულების გარშემო შემოწერილია: EIC TH EOC BOH TH<sup>90</sup>, რაც ნიშნავს: επι θεος □ βιηθει - ერთი ღმერთი. შეეწიე. (ე. ი. ერთია ღმერთი შემწე - ამ მედალიონის მატარებლის).

წარწერის დასასრულს რვაქიმიანი ვარსკვლავია, გამოსახულების გარშემო კი - წერტილოვანი რკალი. წარწერა დაახლოებით IV საუკუნით თარიღდება.

მსგავსი წარწერა ამოკითხულია თუთიიდან ჩამოსხმულ მედალიონზე, რომელიც აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე წებელდის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში [6, გვ. 272]. რელიეფურად გამოსახული წარმართული ლეთაების თუ გორგონას გარშემო იგივე წარწერაა: „ერთია ღმერთი შემწე“ ამ მედალიონის მატარებლის. ასოების მოხაზულობა, შესაბამისი ფორმულების სიხშირე გვიანორმაულ და ადრებიზანტიურ წარწერებში, აძლევს საშუალებას თ. ყაუხჩიშვილს ეს მედალიონიც IV საუკუნით დაათარიღოს [1, გვ. 76].

არქეოლოგები ამ მედალიონს IV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებენ [6, გვ. 273].

სამთავროს და წებელდის სამაროვანზე აღმოჩენილ მედალიონებს აერთიანებს წარწერა: - „ერთია ღმერთი“. ეს წარწერა ანალოგიებს პოულობს მთელ ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე

[8], განსაკუთრებით კი - სირიაში (ანტიოქიაში) [7, № 567, 611, 617]. „ერთია ღმერთი“ შემცველი წარწერები ლ. ელნიცეპის მიერ 374 და 398 წლებით თარიღდება. ამავე პერიოდით იგი ათარიღებს წებელდის მედალიონსაც [3, გვ. 145].



სამთავროს სამაროვნის ოქროს მედალიონზე მოთავსებული კონსტანტინოპოლის პერსონიფიცირებული გამოსახულება უნდა გაჩენილიყო კონსტანტინე I (306-337) მიერ კონსტანტინოპოლის დაარსების შემდეგ, ე. ი. 324-330 წლების შემდეგ (4, გვ. 66).

სამთავროს მედალიონის იკონოგრაფია გვხვდება მხოლოდ არკადი კეისრის (395-408) ან თეოდოს II (408-450) და მისი მეუღლის ევდოკიას სოლიდების ან სპილენძის მონეტების ზურგზე [5, გვ. 17].

ვფიქრობთ, მედალიონის თარიღის დასაზუსტებლად გამოგვადგება ის ფაქტი, რომ მედალიონები, რომლის იკონოგრაფია ნასესხებია მონეტებიდან, მათივე მემკვეობით თარიღდებოდა [9, გვ. 26]. აქედან თუ გამოვალთ, სამთავროს მედალიონის თარიღი შეიძლება მათი მართველობის ხანას (395-450 წლებს) დაუკავშირდეს.

### I. Tsukhishvili

### A GOLDEN MEDALLION FROM SAMTAVRO (Summary)

In 1979 the Mtskheta Regular Archaeological Expedition excavated a rifled cist-grave, where a

<sup>90</sup> პალეოგრაფიულად მედალიონის განსაზღვრა ეკუთვნის ქ-ნ თ. ყაუხჩიშვილს, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.

golden medallion and a fragment of the bottom of the glass perfume bottle were found.

The medallion represents a round pendant made of a thin sheet of gold. A woman (personification of Constantinople) seated in a priest's armchair is depicted on one side, while the other is smooth. Her head is turned to the right. She is wearing a chiton and a cloak, as well as a helmet. The face is rendered schematically. The female is holding in her left hand a long scepter and a globe in the right hand. There is a legend around the image. It reads: "One god. Be saved". The image is enclosed in a linear border. Palaeographically the legend is dated to the 4<sup>th</sup> century A.D.

The iconography of the Samtavro medallion occurs only on the reverse of solids and copper coins of Arcadius (395-408) and Theodosius II (408-450) and his wife Eudocia. It is accepted that medallions with iconography, borrowed from coins, are dated on the grounds of these very coins.

Thus, the Samtavro medallion, the iconography of which is borrowed from coins, may be dated to 395-450.

### ლიტერატურა

1. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, დასავლეთ საქართველო, I. თბ., 1999.
2. Апакидзе А. М., Николаишвили В. А., Манджгаладзе Г. Н. Результаты полевых исследований на территории г. Мцхеты. – ПАИ, 1979 (1982), с. 70.
3. Ельницкий Л. А. О малоизученных или утраченных греческих и латинских надписях Закавказья. – ВДИ, 2, 1964, с. 134-148.
4. История Византии, т. I. Москва, 1967.
5. Толстой И. И. Византийские монеты, вып. I, СПб., 1912.
6. Трапиш М. М. Некоторые итоги раскопок Цебельдинских некрополей в 1960-1962 гг. – Труды АБНИИ, т. XXXIII-XXXIV, 1963, с. 273.
7. Jalabert L., Mouterde R. Inscriptions grecques et latines de la Syrie, II. Paris, 1939.
8. Peterson E. Εἰς θεῖ. Göttingen, 1926.
9. Славчев П., Иорданов И. Златни медалони еа Хан Омуртаг (814-831). – Археология, 2, София, 1979, с. 25-26.

## დაგით მინდორაშვილი

### დარიალის გზის ისტორიაზანი

არაგვისა და თერგის ხეობებზე გამავალი დარიალის გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ქეყნებს, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით წარმოგვიდება ერთ-ერთ უძველეს და მნიშვნელოვან მაგისტრალად [2, გვ. 56; 3, გვ. 144-156; 4, გვ. 30-38; 5, გვ. 74-90; 6, გვ. 49-55; 27, გვ. 25]. გზის ძირითადი მიმართულება ასეთი იყო: მცხეთიდან მთიულეთის არაგვის ხეობის ავლის შემდეგ, ჯვრის უღელტეხილთან გზა რამდენიმე მიმართულებით იყოფოდა და ეშვებოდა თერგის ხეობაში. დაბა სტეფანწმიდიდან (ყაზბეგიდან) სოფ. ლარსის ბოლომდე ის მიუყვებოდა თერგის ვიწრო ხეობას, რომელიც ცნობილია დარიალის სახელით. დარიალის შემდეგ, ჩინ-ბალთის მიდამოებში გზა თერგის შედარებით ფართო ხეობაზე, ბოლოს კი ჩრდილოეთ კავკასიის გაშლილ ველზე გადიოდა.

დარიალის გზა უკვე ძვ. წ. III ათასწლეულიდან ჩანს ფორმირებული. ამაზე მოუთითებს არაგვი-თერგის ხეობების აყოლებით: უინვალში [36, გვ. 59], დიდველზე [3, გვ. 144], სოფ. ტყარშეტში [9, გვ. 36] გამოვლენილი ადრეული ბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები. უჟველია, რომ ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელების ერთ-ერთი გზა არაგვი-თერგის ხეობებზეც გადიოდა. გზას თავისი მნიშვნელობა არც შუალა გვიანბრინჯაოს ხანაში დაუკარგავს [3, გვ. 144; 16, გვ. 14].

„სტეფანწმიდის განბის“ სახით თერგის ხეობაში მრავლისმეტყველი არქეოლოგიური მასალაა გამოვლენილი ძვ. წ. I ათასწ. შუა ხანებისათვის ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის დარიალის გზით განხორციელებული ურთიერთობების წარმოსაჩენად. „განბში“ შემავალი იმპორტული ნივთებით ირკვევა, რომ ამ გზით არამარტო სამხედრო-პოლიტიკური, არა-მედ კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობებიც ხორციელდებოდა [24, გვ. 114].

ნიშანდობლივია, რომ XI ს. ქართველი მე-მატიანე ლეონტი მროველი ამ გზას ერთ-ერთ უძველეს გზად მიიჩნევდა [19, გვ. 11, 12]. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით კონტაქტები სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას შორის კიდევ უფრო ინტენსიური ხდება ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის გარიურაჟზე. საჭიროებს შემთხვევაში ქართლის მეფეებს ამ გზით ხშირად გადმოჰყავდათ დამხმარე სამხედრო ძალები ჩრდილოეთ კავკასიიდან. ქართლის მესამე მეფის მირვანის ზეობისას (ძვ.

წ. II ს.) ჩრდილოკავკასიელებმა (დურმუკებმა) მოახრეს ქართლის სამეფო. მირვანმა საპასუხო ზომებს მიმართა და დურმუკეთში ილაშქრა. იმისათვის, რომ ჩრდილოკავკასიელებს აღარ ჰქონდათ საშუალება ამ გზით ქართლის სამეფოს აოხრებისა, მირვანმა დარიალის ხეობის ვიწრო გასასვლელი მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემით გააძაგრა [19, გვ. 28; 21, გვ. 368]. ამ აქტით ხელისუფლებამ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა მაგისტრალი, რაც დროული და აუცილებელი ღონისძიება იყო, რადგან თუ, ერთი მხრით, გზა ხელს უწყობდა ქართლის სამეფოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის კულტურულ-ეკონომიკური და სამხედრო კონტაქტების გაღრმავებას, მეორე მხრით, მუდამ არსებობდა საშიშროება, რომ იგივე გზა ჩრდილოკავკასიელებს ქართლზე თავდასასხმელად გამოეყენებინათ, რითაც საფრთხე ექმნებოდა არა მხოლოდ სახელმწიფოს პერიფერიულ ტერიტორიებს, არამედ დედაქალაქ მცხეთასაც, რადგან აღნიშნული მაგისტრალი უმოკლესი გზა იყო ჩრდილოეთ კავკასიასა და ქართლის სამეფოს დედაქალაქს შორის. გარდა ამისა, ჩრდილოკავკასიელთა დიდ დაინტერესებას დარიალის გზით აპირობებდა ის გარემოებაც, რომ ეს იყო უმოკლესი მაგისტრალი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილს, საიდანაც ჩრდილოკავკასიელთათვის გაცილებით მოხერხდებული იყო სამხედრო-სტრატეგიული მიზნების განხორციელება სამხრეთი კავკასიის ყველა რეგიონში. გასასვლელზე კონტროლის დაწესებით ქართლის სამეფომ თუ ერთი მხრით ჩაკეტა მაგისტრალი, მეორე მხრით, იქ შექმნა პლაცდარმი, საიდანაც შეეძლო აქტიური საგარეო პოლიტიკა განხორციელებინა ჩრდილოეთ კავკასიაში.

დარიალის გზას გულისხმობდა სტრაბონი, როცა იბერიაში შემოსასვლელი ოთხი გზიდან ერთ-ერთს აღწერდა: „ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარებებიდან დაახლოებით სამი დღის მნელი ამოსასვლელია, ხოლო ამის შემდეგ არის საცალფეხო გზა მდინარე არაგონის ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღის (სავალი), ხოლო გზის ბოლო მნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული“ [Strabo, XI, III]. აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით „გზის ბოლო“ და „მნელად ასაღები კედლის“ ლოკალიზაცია ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთასთან უნდა მოვახდინოთ თუ დარიალის ხეობაში [6, გვ. 49-53; 15, გვ. 2-4; 30, გვ. 25].

არაგოსის ვიწრო ხეობა, რომელიც ძნელად ასაღები კედლით იყო გამაგრებული, დარიალის ხეობასთან და ამ ხეობის დამცველ დარიალის ციხის საფორტიფიკაციო სისტემასთან იმსახურებს გაიგივებას [6, გვ. 49].

ახ. წ. I ს. რომაელი ავტორი პლინიუსი დარიალის ვიწრო გასასვლელს მოიხსენიებდა „კავკასიის კარებად“, რომელიც გამაგრებული ყოფილა რიცნით შემოსალტული და დაჭედილი მორებით. კარებს აქეთა მხარეს, კლდეზე მდგარა სიმაგრე კუმანია. ციხე აგებული ყოფილა ურიცხვ მომთაბარეთა შეკავების მიზნით. პლინიუსი იქვე დასძენდა, რომ იძერის ანუ კავკასიის კარებს ხშირად შეცდომით კასპიის კარებს უწოდებდნენ [Plin., NH, VI, 30].

რომის იმპერია დაინტერესებული იყო კავკასიის გასასვლელები საიმედოდ ყოფილიყო ჩაკეტილი, რათა ჩრდილოკავკასიელებს არ ჰქონდათ საშუალება ამ გზით რომის აღმოსავლეთ პროვინციების აოხრებისა. მართალია, იმ დროისათვის გასასვლელი რომის მოკავშირე ქართლის მეფებს ეკავათ, მაგრამ ეს კავშირი არ იყო მტკიცე. ქართლის მეფები ამ გზებს ხშირად რომის წინააღმდეგაც იყენებდნენ. ტაციტუსისა (50-117 წწ.) და დიონ კასიოსის (153-236 წწ.) ცნობებით, ახ. წ. I-II სს. კავკასიის გასასვლელების, მათ შორის დარიალის გზის მფლობელ იძერის (ქართლის) მეფებს რომიან და პართიასთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოჰყავდათ მომთაბარე ტომები და მათ ამ ქვეწების პროვინციებს შეუსევდნენ, რითაც ერთობ მძიმე მდგომარეობაში აგდებდნენ ორივე სახელმწიფოს [Tacit., Ann., VI, 33; Dio Cass., LXIX, 15].

სასანური ირანის ასპარეზზე გამოჩენამ და მისმა აგრესიულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ქართლის სამეფოს პოზიციები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. V ს. მეორე ნახევარში ირანელების წინააღმდეგ აჯანყების დაწყებამდე ჩრდილოეთ კავკასიაში გაძატონებულ ჰუნებს აქტიურად შეუტია ვახტანგ გორგასალმა. ზურგის გამაგრების მიზნით მას კავკასიის გასასვლელებზე და მათ შორის დარიალის გზაზე უშუალო სამეფო კონტროლი უნდა დაეწესებინა. ასეთ ვითარებაში ვახტანგ გორგასალს ნაკლები პრობლემები შეექმნებოდა ჩრდილოეთ კავკასიელებისაგან, რომელთაც ქართველთა მხრიდან გზის დაუცველობის შემთხვევაში შეეძლოთ ესარგებლათ ამიერკავკასიაში შექმნილი რთული სიტუაციით და მძიმე მდგომარეობაში ჩაეყენებინათ ქართლის სამეფო. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში ვახტანგ გორგასალს თვითონვე შეეძლო ამ გზით გადმოეყვანა დამხმარე სამხედრო ძალები. ვახტანგმა ჩრდილოეთ კავკასიაში დარიალის გზით ილაშქრა. წყაროს მითითებით, მას ისე გაუმაგრებია გასასვლელი, რომ ქართველთა მეფის

თანხმობის გარეშე ვერავინ ახერხებდა ამ გზის გამოვლას [19, გვ. 156].

ირანელების მიერ ქართველთა დამარცხების შემდეგ, კონტროლი ჩრდილოეთის გადმოსასვლელებზე ქართლის სახელმწიფოს მხრიდან სუსტდება. VI ს. 30-იან წლებში ქართლის საბოლოოდ დამორჩილებას და აქ მეფობის გაუქმებას მოჰყვა ირანელების მიერ კავკასიონის ყველა მნიშვნელოვანი გასასვლელის დაკავება. „მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით ირანელებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა გასასვლელებთან ერთად „ოსეთის კარი“ ანუ იგივე დარიალის კარი აუგიათ. მცველად აღგილობრივი მოსახლეობა – წანარები დაუდგენიათ, ხოლო წანარეთის ხევის მთავრად საკუთარი მოხელე დაუნიშნავთ [14, გვ. 95]. ჩაიგდეს რა ხელში დარიალის გზა, ირანელებმა ქართველებს ჩრდილოეთ კავკასიის ტომების დახმარების შესაძლებლობა მოუსპეს და თავისი სახელმწიფოც უზრუნველყველებს ამ მხრიდან შემოსევებისაგან. ხოსრო ანუშირვანის (531-579 წწ.) გარდაცვალების შემდეგ ირანში დიდი არეულობა დაიწყო. ირანელებს დარიალის გზისთვის აღარ ეცალათ და მათი გავლენა გასასვლელზე მნიშვნელოვნად შესუსტდა. VI ს. მეორე ნახევრისათვის ჩრდილოეთის გადმოსასვლელებს უკვე ქართლის ერისმთავარი გუარამი აკონტროლებდა [19, გვ. 219, 220].

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები დარიალის გზის მოხსენიებისას ხაზს უსვამენ მის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას და არაფერს მიუთითებენ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ამ გზით განხორციელებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე. VI ს-ის 30-იანი წლებიდან, ვიდრე VII ს-ის შუა ხანებამდე (არაბების მიერ სასანური ირანის განადგურებამდე), როცა ირანელებს მეტ-ნაკლები გავლენა ჰქონდათ დარიალის გასასვლელზე, ამ გზამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა ირანის ჩრდილოეთ კავკასიასთან კონტაქტების გაფართოების საქმეში. VI ს. შუა ხანებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში შეინიშნება სასანური ნივთების მომრავლება. სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შედეგად სხვა გზებთან ერთად ცენტრალურ ჩრდილოეთ კავკასიაში დარიალის გზითაც უნდა მოხვედრილიყო სასანური ნაწარმის ერთი ნაწილი (ვერცხლის თასები, მონეტები, გემები და სხვ.). ამაზე მეტყველებს არაგვისა და თერგის ხეობებში გზის გასწვრივ არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე (ჟინვალი, გველეთი, ჩმი და სხვ.) გამოვლენილი სასანური ნივთები [10, გვ. 16-22; 28, სურ. 7, 1-6].

ჩრდილოეთ კავკასიასთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ქართლიც აქტიურადაა ჩაბმული. ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი ზოგიერთი სახის ნივთები (მაგ. ჯვრისებური ფიბულები) იქ ქართლიდან

ვრცელდება [1, გვ. 111]. ქართლიდან ვრცელდება ჩრდილოეთ კავკასიაში მთლიანად სხმული და მძიგებით შემძული საკინძები, საყურეების ზოგიერთი ტიპი [34, ტაბ. XVI<sub>17</sub>, XIV<sub>18,19</sub>], მინის ბეჭდები და ჭურჭელი, კერამიკული ნაწარმი და სხვ. [31, გვ. 165].

ამ ურთიერთობაში არც ჩრდილოეთ კავკასია ჰასიურობდა, რისი დასტურიცაა დარიალის ხეობაში მდებარე გველეთის VI ს-ის დასასრულის - VIII ს-ის დასაწყისის სამაროვანზე მრავალრიცხოვანი ადგილობრივი (ქართული) წარმომავლობის ნივთებთან ერთად აღმოჩენილი ჩრდილოკავკასიური მასალა [12, გვ. 78; 13, გვ. 83, 84]. ჩრდილოკავკასიურია დარიალის ციხეზე და ლარსის სამაროვანზე გამოვლენილი შავად გამომწვარი კერამიკის ნიმუშები [8, გვ. 5; 23, გვ. 36]. დარიალის ხეობის ადრეული შუა საუკუნეების არქოლოგიურ ძეგლებზე სასანურ ნივთებს ჩრდილოკავკასიური ნივთები სჭარბობს და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასია უშუალოდ ესაზღვრება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს.

თერგის ხეობის ერთი მონაკვეთის, კერძოდ დარიალის ვიწრო გასასვლელის მიხედვით გზას ხშირად დარიალის სახელით მოიხსენიებენ. „დარიალი“, „დარიალანი“ სპარსულად ნიშნავს „ალანთა კარს“. თერგის ხეობის ამ ვიწრო გასასვლელის უფრო ძველი სახელწოდებაა „არაგვის კარი“ [19, გვ. 12]. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ სახელწოდება „დარიალი“, „დარიალანი“ საკმაოდ ძველია და ეს სახელი უკვ III ს. შაბურის წარწერაშია მოხსენიებული [31, გვ. 88], მაგრამ, როგორც ირკვევა წარწერაში, საუბარი უნდა იყოს არა „ალანთა კარზე“, არამედ „ალანთა კარზე“ - დარუებანდის გასასვლელზე [38, გვ. 295].

გასასვლელის სახელი „დარიალანი“ გაცილებით გვიან წარმოიშვა, VI ს. 30-იანი წლების შემდეგ, როცა სპარსელებმა თერგის ხეობა დაიკავეს და გასასვლელზე უშუალოდ გაბატონდნენ. ამასობაში გასასვლელის მეორე მხარეს, ჩრდილოეთით, თერგის ხეობის ქვემო წელზე (ბალთა-ჩმის მიდამოები) თანდათან დაიწყეს გამოჩენა ალანებმა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაჩენილიყო გასასვლელის სპარსული სახელი „დარიალანი“ - „ალანთა კარი“. ასე, რომ „დარიალანი“ ხეობის ამ მონაკვეთის და შესაბამისად გზის გვიანდელი სახელია [11, გვ. 82-83]. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით გასასვლელის (გზის) ძველი სახელწოდებაა „არაგვის კარი“ [19, გვ. 12].

დარიალის გზის მნიშვნელობის შესახებ არაერთ მკვლევარს გამოუთქმას აზრი. ეხება რა ალანურ-ირანულ ეთნოკულტურულ ურთიერთობას ადრეულ შუა საუკუნეებში, ს. მალა-

ხოვი სამართლიანად მიუთითებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სასანური გემების შემოტანა ხორციელდებოდა დარიალის ხეობით [35, გვ. 48]. ავტორი აღნიშნავს, რომ სასანური გლიპტიკის ნიმუშების გავრცელება აღმოსავლეთ ალანეთში გაპირობებული იყო არა მხოლოდ ირანის აქტიური პოლიტიკით იმიერკავკასიაში, არამედ ალანური და ირანული ეთნოკულტურული სამყაროს სიახლოვით [35, გვ. 48].

ჩრდილოეთ კავკასიაში სასანური ნივთების გავრცელება ზოგადი შეფასებით მართლაც ირანის აქტიური პოლიტიკის შედეგია, მაგრამ ეთნიკური სიახლოვე აქ არაფერ შუაშია. ჩრდილოეთ კავკასიაში გამოვლენილი სასანური ნივთები ძირითადად ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის საგანია. ვაჭრობა კი ისეთი ფენომენია, რომელიც ყველაზე ნაკლებად ან სულაც არ ითვალისწინებს ეთნიკურ, თუ გნებავთ რელიგიურ მომენტს. ვაჭარი საქონლის გასაღებისათვის ქვეყანას ირჩევს არა ეთნიკურ-რელიგიური ნიშნით, არამედ იმის მიხედვით სად მეტ მოგებას ნახავს.

ს. მალახოვი აღნიშნავს, რომ ალანებისა და ირანელების საკონტაქტო ზონა იყო დარიალის ხეობა. ჩრდილოეთ კავკასიიდან დაძრული და ნაწილობრივ ამიერკავკასიაში დასახლებული ალანური ტომები გამოდიოდნენ შუამავლად ალანებსა და სასანურ ირანს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში. ამის დასტური უნდა იყოს სასანური გემების აღმოჩენა ჩრდილოეთ ოსეთის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნებზე (კომუნთა, კუმბულთა, ჩმი) და სამხრეთ ოსეთშით (ედისი, სბა) [35, გვ. 48].

რას ნიშნავს ის, რომ ალანებსა და ირანელებს შორის საკონტაქტო ზონა იყო დარიალის ხეობა? თუ ს. მალახოვისეულ მსჯელობას მივყებით, ალბათ იმას, რომი VI ს. 30-იანი წლებიდან, როცა ირანელებმა დაიპყრეს ქართლი და დარიალის ხეობაც დაიკავეს, ხეობაში უშუალოდ გაუმეზობლდნენ ერთმანეთს ალანები და ირანელები. ს. მალახოვი დარიალის გზაზე საუბრისას რატომდაც სიტყვასაც არ ძრავს თერგის ხეობის ძირძევლ მოსახლეობაზე, ქართველ ტომებზე - წანარებზე. „მოქცევაი ქართლისაი“ - ს მითითებით კი ირანელებმა დარიალის გასასვლელის მცველად სწორედ ადგილობრვი მოსახლეობა ანუ წანარები დაადგინეს [14, გვ. 95]. ქართულ წყაროებს თავი რომ დაკანებოთ, უცხოური წყაროების მიხედვითაც წანარები მტკიცედ ფლობდნენ დარიალის გასასვლელს (კარს) [29, გვ. 16], მაგრამ ს. მალახოვის მიერ წარმოდგენილი სურათით წანარების ნაცვლად ხეობაში ჩანან მხოლოდ ალანები და ირანელები. ს. მალახოვამდე ვ. კუზნეცოვი შეეცადა დაეწერება აზრი, თითქოს წანარებს დარიალის ხეობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ერთ-ერთ ნაშრომში ის წერდა: „ . . .

восприятие Алании ... глазами ... цанаров, обитавших в горах южнее Дарьяльского ущелья“ [32, гл. 154]. 3. „კუზნეცოვის მიხედვით წანარები დარიალის ხეობაში კი არა, ხეობის სამხრეთით განსახლებული ტომია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხეობის სამხრეთი საზღვარი დაბა ყაზბეგის მიდამოებია, წანარები თავისთავად ყაზბეგის უფრო სამხრეთით მცხოვრები ტომი ყოფილა. ასე, რომ ვ. კუზნეცოვმა და ს. მალახოვმა წანარები „გამოაძევეს“ დარიალის ხეობიდან. სამაგიეროდ ხეობაში მათ განსახლეს ალანები, რომელთაც თურმე გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონიათ ირანელებთან. ს. მალახოვის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ დარიალის ხეობაში ალანების განსახლების საბუთად არ გამოდგება ჩიმის სამაროვნის დასახლება. თერგის ხეობის ერთ-ერთი მონაკვეთი – დარიალის ხეობა გეოგრაფიულად მკაფიოდ განსაზღვრული ტერიტორიაა. იგი იწყება დაბა ყაზბეგიდან, ხოლო ლარსს ქვემოთ თერგი ტოვებს დარიალს და მიედინება ფართო, ბრტყელ რიყეზე, რომელიც უკვე დარიალის ხეობა აღარაა [7, გვ. 200]. ჩიმი თერგის ხეობაში კი მდებარეობს, მაგრამ დარიალის ხეობიდან დაშორებულია. საკუთრივ დარიალის ხეობაში ალანთა განსახლება მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არც წერილობითი წყაროებით დასტურდება და არც არქეოლოგიური მასალებით. ხეობის ძირითადი მაცხოვებლები იყვნენ წანარები.

ვეჭვობ ს. მალახოვმა არ იცოდეს, რომ „ჩრდილოეთ ოსეთი“ და „სამხრეთ ოსეთი“ XX ს-ში შექმნილი ხელოვნური ტერმინებია. VI-VII სს. მოვლენებზე საუბრისას მათი გამოყენება ისტორიული სინამდვილის შეგნებული დამახინჯება. ავტორს დიდი სურვილი აქვს მკითხველი დაარწმუნოს იმაში, რომ ედისი, სბა, ეს საქართველო კი არა, ოსეთია და იგი VI-VII სს. ალანური ტომებითაა დასახლებული. ამით ს. მალახოვი ცდილობს თავისი „წვლილი“ შეიტანოს ოსების შიდა ქართლში „უძველესი დროიდან განსახლების“ ანტიმეცნიერულ თეორიაში და ამის დასამტკიცებლად მან ქართლის ტერიტორიაზე ადრეულ შუა საუკუნეებში ალანთა ტომები განსახლა [35, გვ. 48], რაც რეალური ვითარების შეგნებული გაყალბებაა.

რაც შეეხება შუამავლის როლს სავაჭრო ურთიერთობაში, ჯერ გასარკვევია საერთოდ სჭირდებოდათ თუ არა ირანელებს ალანებთან სავაჭრო ურთიერთობაში შუამავლი. თუ შუამავლი მაინც სჭირდებოდათ, ამ ფუნქციის შესრულება უფრო წანარებს შეეძლოთ, ვინაიდან ხეობის ჩამქეტ კარს კვლავ ისინი დარაჯობდნენ მას შემდეგაც კი, როცა ირანელებმა ხელში ჩაიგდეს დარიალის გასასვლელი [14, გვ. 95].

VII ს. შუა ხანებიდან ირანელთა ბატონობა ქართლში არაბთა დაპყრობით შეიცვალა. VIII

ს. დამდეგიდან არაბებს განუწყვეტელი ბრძოლები ჰქონდათ ხაზარებთან, რომლებიც ხშირად იყენებდნენ დარიალის გზას სახალიფოს ტერიტორიების დასარბევად. არაბები ცდილობდნენ უშუალოდ დაუფლებოდნენ დარიალის გასასვლელს, რათა ხაზარებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ამ გზით სახალიფოს ტერიტორიების აოხრებისა. ამასთან გზას თვითონაც აქტიურად იყენებდნენ ხაზარების წინააღმდეგ საომარი ოპერაციების განსახორციელებლად [19, გვ. 236; 37, გვ. 31].

გზის გასწვრივ მდებარე ძეგლებზე უპვე არაბული ნივთები ჩნდება. მაგ. სოფ. სიონში და „გიგიასსათიბის“ სამარვანზე (სოფ. ლარსის მახლობლად) გამოვლენილია არაბულწარწერიანი გემები. გიგიასსათიბის სამარხებში აღმოჩნდილია IX ს. დასაწყისში მოჭრილი ვერცხლის ორი არაბული მონეტა [25, გვ. 73-74]. ამ ნივთების გამოჩენა თერგის ხეობაში ძირითადად არაბულ ექსპანსიას უკავშირდება, მაგრამ იმის მანიშნებელიც უნდა იყოს, რომ დარიალის გზა სამხედრო-სტრატეგიულთან ერთად VIII-IX სს. სავაჭრო მაგისტრალის ფუნქციასაც ინარჩუნებდა. გიგიასსათიბის სამაროვანზე გამოვლენილი მოშავო მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი ჩრდილოკავკასიურია და იქიდანაა შემოტანილი დარიალის ხეობაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად. ამასთან ერთად ქართლის საწარმოო ცენტრებიდან დარიალის გზით, ჩრდილოეთ კავკასიაში მასობრივად გადიოდა მინის ბეჭდები, მინის სასმისები და სხვ. [18, გვ. 7]. ასე, რომ იმ შფოთიან დროშიც დარიალის გზას არ დაუკარგავს თავისი ფუნქცია.

გზას დიდი ფურადღება ეთმობოდა დავით აღმაშენებელის (1089-1125 წწ.) დროსაც. მუდმივი ჯარის შესაქმნელად დავითმა ყივჩაყები საქართველოში დარიალის გზით გადმოიყვანა. მანამდე კი მეფე საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი გასასვლელი, მათ შორის დარიალის გზაც [19, გვ. 366]. გაძლიერებული ქართული სახელმწიფოს მისწრაფება გზაზე ერთპიროვნული ბატონობისა წარმატებით დაგვირგვინდა. XI-XII სს. განუზომლად გაიზარდა საქართველოს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე. ეს ვითარება კარგად აისახა არა მარტო წერილობით წყაროებში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალებშიც, რომლებშიც მრავლადა წარმოდგენილი ქართული ნივთები [33, ტაბ. XIII<sub>1,2</sub>, XIV<sub>1,2</sub>; 34, ტაბ. XXIII]. მათი დიდი ნაწილი იქ დარიალის გზითაა მოხვედრილი.

მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრიბის შემდეგ დარიალის გზას კონტროლს კვლავ საქართველოს სამეფო ხელისუფლება უწევდა. იღხანთა წინააღმდეგ აჯანყებულმა დავით ულუმ (1247-1270 წწ.) შეცვლილი პოლიტიკუ-

რი ვითარების გამო ჰულაგუ ფაენთან შერიგება არჩია და ურდოში გაემგზავრა. დავითი ყაენის რისხვას ვერ გადაურჩებოდა, მაგრამ ერთმა გარემოებამ იხსნა იგი სიკვდილისაგან. ჰულაგუს აცნობეს, რომ ოქროს ურდოს ყაენი ბერქა დარუბანდისაკენ დაძრულა. ასეთ ვითარებაში იღხანთა ყაენი მოერიდა დავითის დასჯას და საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავებას, რადგან ქართველებს შეეძლოთ ბერქასათვის დარიალის გზა გაეხსნათ, რითაც იღხანთა სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა [26, გვ. 74-75].

1297 წ. დავით VIII-მ (1293-1311 წწ.) მონღლოლთა წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო. აჯანყებულთა დასაყრდენი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი იყო. აჯანყებულებთან საბორძოლველად მონღლოლები დარიალის ხეობაში მდებარე გველეთის ციხეზე აპირებდნენ გალაშქრებას, რადგან მეფე იქ ეგონათ გამაგრებული. სტეფანწმიდასთან მისულები დარწმუნდნდნ, რომ მათ ვერაფერს ავნებდნენ და უკან გამობრუნდნენ [20, გვ. 305]. ზემოთ მოყვანილი ორივე ცნობიდან ჩანს, რომ მაშინაც კი, როცა საქართველო მონღლოლთა დაპყრობილი ქვეყანა იყო, დარიალის გასასვლელს ფლობდნენ ქართველები, მონღლოლებს კი მასზე ხელი არ მიუწვდოდათ.

1386-1403 წწ. თემურ-ლენგის შემოსევებმა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ქვეყნას. თემურის პირველი შემოსევის მიზეზად ასახელებენ კავკასიის გასასვლელების, კერძოდ დარიალის ხელში ჩაგდებას [26, გვ. 185]. 1385 წ. ოქროს ურდოს ყაენი თოლთამიში დარიალისა და დარუბანდის გავლით ირანის აზერბაიჯანს შეესია. თოლთამიში დარიალის გზას ასე მოულონელად და სწრაფად ვერ გაივლიდა საქართველოს მეფისაგან თანხმობა რომ არ ჰქონდა. ოქროს ურდოს შემოსევების აღსაკვთად თემურ-ლენგს ჩრდილოეთის გადმოსასვლელი თვითონ უნდა დაეკეტა ან მისი მფლობელი ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რომ ოქროს ურდოსათვის გზის გახსნის სურვილი აღარ ჰქონდა [26, გვ. 185]. თემურმა არაგვის ხეობაში რამდენჯერმე იღაშქრა. ერთადერთი ქართული წყარო, სადაც აღნიშნულია, რომ მტერმა დარიალიც დალაშქრა, ესაა „ძეგლი ერისთავთა“ [22, გვ. 369]. ქართული წყაროს ცნობას ადასტურებს ორი სომხური წყარო. 1400 წ. სახარების მინაწერში აღნიშნულია, რომ თემური ჩრდილოეთ კავკასიის დარბევის შემდეგ, იქიდან დაბრუნდა აღანთა კარით და წავიდა თავის ქვეყნაში. „კვლავ გააძლიერა ლაშქარი და გაემართა ინდოსტანს“ [17, გვ. 27]. იმავე წლით დათარილებული მეორე სახარების მინაწერის მიხედვით: „თემურ-ლენგ სამარყანდელი რისხვად მოევლინა სამყაროს, გაიღო აღანთა კარი, რომელიც დიდხანს იყო დახშული... გადაირა

საქართველო, იშოვა ბევრი აღაფი და ტყვე“ [17, გვ. 28].

მას შემდეგ, რაც 1395 წ. თემურმა თერგის პირას სასტიკად დაამარცხა ოქროს ურდოს ყაენი თოლთამიში, უკან დაბრუნებისას საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასია, განსაკუთრებით ის ხალხები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან [17, გვ. 123]. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისით 1396 წ. ის ამიერკავკასიაში დაბრუნდა დარუბანდის გზით [17, გვ. 123], მაგრამ, როგორც ჩანს, თოლთამიშის დამარცხებისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის დარბევის შემდეგ, ჯარის ერთი ნაწილი დარიალის გზით დაბრუნებულა ამიერკავკასიაში. დარიალის აოხრებას ადგილი უნდა ჰქონდა 1395-1396 წწ. [17, გვ. 123-125]. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში თემურის ლაშქრობების სისასტიკეს, ადგილი წარმოსადგენია რა ვითარებაში აღმოჩნდებოდა დარიალის მაგისტრალი. იმ დროიდან უნდა დაწყებულებულიყო დარიალის გზის გაპარტახება-გაუკაცრიელების პროცესი. XV ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ის თანდათან არაგვის ერისთავთა გამგებლობაში მოექცა და ადგილობრივი მნიშვნელობის სამიმოსვლო გზად იქცა. XVI ს-ის 90-იანი წლებისათვის გზის მთიანი ნაწილი უკვე ძნელად გასასვლელ ნაგზაურს წარმოადგენდა [4, გვ. 31]. XVI-XVII სს. აღმოსავლეთ საქართველოში დიდი შფორთისა და არეულობის პერიოდში არც უცხოელი ვაჭრები თუ დიპლომატები ეტანებოდნენ ამ გზას (გამონაკლისს წარმოადგენდნენ რუსი ელჩები). XVIII ს. მეორე ნახევრიდან თანდათან გამოციცხლდა დარიალის გზა. შემდგომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებასთან ერთად გზის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდებოდა [4, გვ. 31].

## D. Mindorashvili

### THE DARIAL ROUTE (Summary)

The paper deals with the Darial route that once crossed the gorges of the rivers Tergi (Terek) and Aragvi and according to written sources and archaeological data appears as one of the most ancient routes connecting South and North Caucasus. It may be assumed that this route served as one of the ways of diffusion of the so-called Kura-Araxes culture into the North Caucasus. Beginning from the first centuries A.D. the Darial route acquired special importance, retaining it for a long time in future. Invasions of Timur by the end of the 14th cent. resulted in a decline of its strategic and trade-economic

functions and soon it became a route of only local significance. Nevertheless, after the second half of the 18th cent. along with intensification of the Russian-Georgian relations, importance of the Darial route was revived, enhancing gradually.

### ლიტერატურა

1. აფხაზები ნ. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1979.
2. ბერძენიშვილი ნ. გზები რუსთაველის ეპოქაში. თბ., 1966.
3. გვასალია ჯ. არაგვის კარი (დარიალანი). – ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 144-150.
4. გვასალია ჯ. საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის. – მაცნე, № 2, 1972, გვ. 30-44.
5. ითონიშვილი ვ. ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებანი. – მაცნე, № 1, 1974, გვ. 74-90.
6. ითონიშვილი ვ. არაგვი და არაგველები. თბ., 1989.
7. მარჯაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 1964.
8. მინდორაშვილი დ. დარიალის ციხე. პრეპრინტი, თბ., 1991.
9. მინდორაშვილი დ. მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა მდ. თერგის ხეობიდან. – მმ, № 2, 1993, გვ. 33-34.
10. მინდორაშვილი დ. სასანური გემები გველეთის სამაროვნიდან. – მმ, № 4 (99), 1997, გვ. 16-22.
11. მინდორაშვილი დ. დარიალის ციხის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – ძიებანი, № 2, 1998, გვ. 80-87.
12. მინდორაშვილი დ. გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა I. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 78-86.
13. მინდორაშვილი დ. გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა, II. – ძიებანი, № 7, 2001, გვ. 81-90.
14. მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (V-X ს.). წ. I. თბ., 1963.
15. ნიკოლაიშვილი ვ. ძველი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია ახალ აღმოჩენათა შუქწე. პრეპრინტი, თბ., 1990.
16. რამიშვილი რ. მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. – უნივერსიტეტის მუზეუმის მუნიციპალური მუზეუმის მუნიციპალური მუზეუმი (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1981, გვ. 98-154.
17. სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიმატაგარანების) ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1978.
18. უგრელიძე ნ. მინა ძველ საქართველო-ში. თბ., 1961.
19. ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბ., 1955.
20. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბ., 1959.
21. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ., 1973.
22. ძეგლი ერისთავთა. – მსკი, ნაკვ. 30, 1954.
23. წითლანაძე ლ. შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ექსპედიციის ყაზბეგის რაზმის 1962 წლის ანგარიში. – სამეცნიერო სესია მიმღვიწილი 1962 წლის საველუ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1963, გვ. 31-34.
24. წითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1976.
25. წითლანაძე ლ., განიძე ა., შატბერაშვილი ზ. გიგიასსათბის სამაროვანი (დარიალის ხეობა). – ფსამ, ტ. VI, თბ., 1998, გვ. 70-80.
26. ჯაფახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. III. თბ., 1982.
27. ჯანაშია ს. იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში. – შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 249-259.
28. აბრაмова М. П. Раннесредневековый могильник с. Чми в Северной Осетии. – НМАЦК, Орджоникидзе, 1986, с. 60-70.
29. Армянская география VII в. приписываемая Моисею Хоренскому, текст и перевод К. Патканова. СПБ., 1877.
30. Вейденбаум Е. Г. Путеводитель по Кавказу. Тифлис, 1888.
31. Ковалевская В. Б. Кавказ и аланы. М., 1984.
32. Кузнецов В. А. Очерки истории алан. Орджоникидзе, 1984.
33. МАК, т. I. М., 1888.
34. МАК, т. VIII. М., 1900.
35. Малахов С. Н. К истории алано-иранских этнокультурных контактов в раннем средневековье. – МИИАМСК, Орджоникидзе, 1988, с. 43-49.
36. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Глонти М. Г., и др. Работы Жинвальской археологической экспедиции. – ПАИ, 1981 (1984), с. 59-68.
37. Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Адербайджане, перевод Н.А. Карапулова. – СМОМПК, вып. 31, Тиф., 1902.
38. Фрай Р. Наследие Ирана. М., 1972.

# არქეოლოგიის ისტორია

## HISTORY OF ARCHAEOLOGY

### მართა მუმლაძე

#### განის აღმოჩენები XIX საუკუნის ქართულ პროცესი

ვანის ნაქალაქარმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებში. აქ ნაპოვნმა ცალკეულმა ნივთებმა თავი იჩინა 50-იან წლებში. ცნობილი ფაქტია, რომ მ. ბროსეს, ქუთაისში ყოფნის დროს, მიართვეს ვანში აღმოჩენილი მამაკაცის თავის ქანდაკება [13, გვ. 4].

პირველი ცნობა ვანის სიძველეების შესახებ ქართულ პრესაში გაჩნდა 1876 წელს. გაზეთ „დროებაში“ რუბრიკით „საქართველო“ დაიბეჭდა ცნობა იმერეთში, სოფ. საჩინოში (ვანი) შემთხვევით მონაპოვრის შესახებ. მისი აკტორი იყო დავით წერეთელი, „სხვიტორელის“ ფსევდონიმით.<sup>91</sup> სხვიტორელი დაწერილებით აღწერდა ვანში აღმოჩენილ სამარხებს, ოქროს ნივთებს და ამ ნივთების აღმოჩენის ვითარებასაც [5, გვ. 1].

ამ ცნობამ მეცნიერთა ინტერესი გამოიწვია, რადგან იგი ეხებოდა არაერთ მნიშვნელოვან საკითხს.

ვანის აღმოჩენებმა 1881 წელს თბილისში გამართული V არქეოლოგიური ყრილობის ყურადღებაც მიიცია. 1880 წლის 18 ნოემბერს, ყრილობის მოსამართებელი კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა გიორგი წერეთელი. მან გააკეთა საინფორმაციო მოხსენება რიონის ხეობაში არსებული ყორდანების შესახებ და კერძოდ მე-4 პუნქტში მოიხსენია საჩინოში 10-15 წლის წინათ (ე. ი. 1865-70 წლებში) ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა [15, გვ. 300].

1889 წელს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების დავალებით ვანში არქეოლოგიური გათხრები აწარმოა ცნობილმა მხარეთმცოდნებმ, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა ალექსანდრე ილიას ძე სტოიანოვმა [2, გვ. 15; 3, გვ. 32]. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ მასალებზე დაყრდნობით, სტოიანოვის მოლვაწეობის შესახებ საქართველოში და კერძოდ ვანში, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იროდიონ ერემეიშვილი [6, გვ. 119-124]. ქვემოთ მოგვაქს რამდენიმე წერილი ერემეიშვილის სტატიიდან.

„ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს, ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს ა. სტოიანოვს!

სამსახურატორო მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ მომმართა შუამდგომლობით რამ-

დენიმე დღით ქუთაისიდან თქვენი გაშვების ნებართვის მოსაცემად, იმ აკლდამების მეცნიერული გამოკვლევების ჩასატარებლად, რომელთა ნაშთები აღმოჩნდა ქუთაისთან ახლოს, დაბა საჩინოში. ამასთან დაკავშირებით მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, გაცნობოთ, სახელდობრ, როდის და რამდენი ხნით აპირებთ გამგზავრებას დაბა ვანში დასახული მიზნის განსახორციელებლად.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი  
ქ. ა. იანკოვსკი

25 თებერვალი, 1889 წ.“

(ქ.ც.ს.ა.ფ. 94, საქ. 943, ფურ. 195).

„თქვენო აღმატებულებავ, მოწყვალეო ხელმწიფევ, კირილე პეტრეს ძევ!

მაქვს პატივი მოგახსენოთ თქვენო აღმატებულებავ რომ გასულ თვეში საიმპერატორო მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებას ვაუწყე ქუთაისის მაზრის სოფელ ვანში აღმოჩენილი სამარხების თაობაზე და გავუგზავნე იქიდან ჩემს მიერ მოტანილი ლისიმაქეს ოქროს სტატერი. საზოგადოებამ, როგორც მის წევრს, დამავალა გავთხარ ეს სამარხები და სოხოვა ადგილობრივ გუბერნატორს ჩემზე დახმარების აღმოჩენა. საზოგადოებას ვაცნობე, რომ სასწავლო ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე ქუთაისიდან ჩემი გასვლა არ შეიძლება, რადგან უპირველეს ყოვლისა აუცილებლად ჩავთვალე ადგილზე გეგმის შედგენა და გადაწყვეტა საკითხისა მის შესახებ, თუ რომელი გათხრები წარმოებულიყო და რამდენ დროს მოითხოვდა ყოველივე ეს. რადგან შაბათსა და ოთხშაბათს გიმნაზიაში გაკვეთილები არა გვაქს, მე შემიძლია სასწავლო საქმისადმი ყოველგვარ ზიანის მიუყენებლად ჩამეტარებინა წინასწარი ძიებანი, ხოლო დიდი მარხვის მე-6 და მე-7 კვირას, თუ თქვენი ნებართვა იქნება, შემეძლო რამდენიმე დღით წავსულიყვავი იქ“.

ა. სტოიანოვი

1 მარტი, 1889 წ.“ (ქ.ც. ს. ა. ფ. 94, საქ. №843, ფურ. 196)

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ნება დაურთავს ა. სტოიანოვისთვის მისთვის ხელსაყრელ დღეებში ჩაეტარებინა არქეოლოგიური ძიებანი ვანში.

მიმოწერებიდან ჩანს, რომ სტოიანოვს გათხრები დაუწყია 1889 წ. 22 მაისს. იგი თავისი მუშაობის შესახებ პატაკს უგზავნიდა სასწავლო ოლქის მზრუნველს [6, გვ. 122-124].

<sup>91</sup> დავით წერეთელი – „სხვიტორელი“ – იყო აკაკი წერეთელის უფროსი ძმა.

სტოიანოვის მიერ ვანში წარმოებული გათხრების შესახებ ვრცელი სტატიები დაბიექტი იმდროინდელ რუსულ და ქართულ პრესაში.

გახტო „Тифлисские новости“ (1886 წ. №17) იუწყებოდა, რომ გათხრების დროს უპოვათ ოქროსა და ვერცხლის მონეტები. ვერცხლის მონეტის ამოზნექილ ზედაპირზე ამოკვეთილი ყოფილი თმაგაშლილი ქალის თავი, შუბლისა და ყურებზე შემოვლებული ლენტით, ხოლო მეორე მხარეს ბრტყელ ზედაპირზე – წრიული წარწერა ცენტრში ამოკვეთილი ცხენისამაგვარი ცხოველით, მთვარითა და ვარსკლავებით. ოქროს მონეტა ორივე მხრიდან ისეთივე გამოსახულებებით ყოფილი აღჭურვილი, როგორც ვერცხლის მონეტა. ა. სტოიანოვის ვარაუდით ეს მონეტები მოჭრილი უნდა იყოს ორი ათასი წლის წინათ. ამასთანავე ფიქრობენ, რომ ამ ადგილას ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადების ეპოქაში ცხოვრიბდნენ ბერძნები, რომელთაც აღბათ მოწყობილი პქონდათ ოქროვერცხლის სადნობი ქარხანა და ზარაფხანა.

გახტო „Кутаисская ведомость“ (1889, გვ. 124) იტყობინებოდა: „არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელსაც აწარმოებდა გიმნაზიის დირექტორი ა. სტოიანოვი, მაისის ბოლოს სოფ. ვანის მახლობლად (ქუთაისის მაზრა), აღმოჩნდა ძველებრძნული ეპოქის სამარხები. ამ ადგილას ნაპოვნი რამდენიმე ოქროს ნივთი დიდ სამეცნიერო ინტერესს იწვევს“ [6, გვ. 124].

ასეთივე მოკლე ცნობა მოათავსა გაზეთმა „ივერიაში“: „მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოებამ ამას წინათ დაავალა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს ბ-ნ ა. სტოიანოვს ქუთაისის მაზრაში ძველი აკლდამების გათხრა და გამოიძიება. ეხლა, როგორც „ქუთაისის უწყება“ გვატყობინებს, ბ-ნს სტოიანოვს სოფ. ვანის მახლობლად აღმოჩნდნა აკლდამები ძველი საბერძნეთის ეპოქისა; ბ-ნ სტოიანოვს ამას გარდა, ზოგიერთი შესანიშნავი ნივთიც უპოვნია“ [9, გვ. 1].

იმავე წელს (1889 წ.) ვანში გათხრები ჩაუტარებია ფრანგ მეცნიერს – იაკობს, რომელსაც იქ ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები გაუთხრია და იატაკქვეშა აკლდამა უპოვია [10, გვ. 6].

ზემოთ მითითებული ცნობები არაერთხელ გაშექებულა ვანის კვლევა-ძიების შესწავლის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში. ამჟამად გვინდა ფურადღება გავამახვილოთ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სხვა წერილებზე, რომელიც ფაქტიურად პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. მით უფრო, რომ ზოგიერთი საკითხი, როგორც ამას მოტანილი ციტირებიდან დაკინახავთ (ოქროს მაღნის ადგილზე მოპოვება და დამუშავება), განსაკუთრებულ ფურადღებას იმსახურება.

მოსაზრება ვანში აღმოჩნდილი ოქრომჭედლობის ნიმუშების ადგილობრივობის შესახებ

ეპუთვნის „თან-ნარელს“, რომლის წერილი სათაურით „ხმა რიონის მარცხენა ნაპირიდან“ გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1889 წლის ივლისში. მან ასევე ივარაუდა ვანში ოქროს საბადოს არსებობა, რის საფუძველიც ვანსა და მის მიმდებარე სოფლებში აღმოჩნდილმა მიწაში შერეულმა მბრწყინავმა ნაწილაკებმა მისცა. ვინ იყო თან-ნარელი, სამწუხაროდ დღემდე ვერ მოვახერხეთ ამისი გარკვევა. ერთის თქმა კი შესაძლებლად მიგვაჩნია. იგი ადგილობრივი კორესპონდენტი უნდა ყოფილიყო, რადგან „ივერიაში“ გამოქვეყნებული მისი ყველა წერილი ვანსა და მის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებს შეეხება. სხვა რეგიონების შესახებ ცნობები არ გვხვდება.

თან-ნარელის წერილში გკითხულობთ, რომ სოფელ ვანში, რომელიც ქუთაისის მაზრაში მდებარეობს, აზნაურ ახვლედიანების ეზოებში ხშირად ნახულობენ ოქროსა და ვერცხლის ფულებსა და ნივთებს (განსაკუთრებით წვიმის დროს). ეს ხმა შორს გავარდა და ბევრი მუქ-თად გამდიდრების მიმდევარი მოიზიდა ამ სოფელში. ბევრმა მოინდომა ამ ეზოების მოთხრა იმ იმედით, რომ აქ ბევრ ძველ ძვირფას ნივთს იპოვიდა.

თან-ნარელი გვამცნობს, რომ ახვლედიანებთან პირველად თავადი გ. შერვაშიძე მისულა. ავტორის აზრით, იგი სინდისიერად შეევაჭრა მემაშულებებს „მუშა და მუშის ქირა, თუ მოითხოვდა სახლების გატანისათვის და ყველებგვარი ხარჯი უნდა ეზლო თავად შერვაშიძეს. თუ რასმე აღმოაჩენდა, მესამედი ახვლედიანებს უნდა წაეღოთ, ხოლო ორი ნაწილი შერვაშიძეს. თუ არაფერი აღმოჩნდებოდა, ხარჯი საკუთრად იმისი იქნებოდა“ (7, 1889 წ., № 158). ახვლედიანები და გ. შერვაშიძე ვერ შეთანხმდნენ და იგი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

მისივე ცნობით, გ. შერვაშიძის შემდეგ ახვლედიანებთან მივიდა ვიღაც ფრანგი იაკობი, რომელმაც საქმე ისე მოიგდო ხელში, როგორც უნდოდა: „ეს კაცი აქ დიდი მეცნიერიც პგონიათ, არ ვიცი კი რა საბუთით. ამჟამად ახვლედიანების ეზოები ამ ფრანგის, იაკობის ხელშია; თავის თავს რადაც „კამპანიის“ მოთავედ ასახელებს. რა კამპანია ეს კამპანია, ან აქვს შეძლება თუ არა, ეს არავინ იცის. სხვა რა მოგახსენოთ და შეძლებაზედ კი ეს ვითომც და „კამპანია“ და იმისი წარმომადგენელი „მუსიე აკოფა“, როგორც აქ უწოდებენ, ჰერაც ცოტა სუსტად ბრძანებულა. ამას ახლავე გაგავებინებთ. ამ კამპანიის წარმომადგენელთან ერთად მონაწილეობას ღებულობს „მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების“ წევრი ბ-ნი სტოიანოვი (ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი), „რომელიც ისე იქცევა, თითქოს ახვლედიანების ეზოების „დირექტორიც“ იყოს“ (7, 1889 წ., № 158).

პირობის ძალით მუშაობა პირველი მაისიდან უნდა დაეწყოთ, მაგრამ „ჯეროვანი მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ“ – იუწყებოდა გაზეთი „ივერია“ – თუმცა რამდენიმე კაცი კი ამუშავეს ცოტა ხანს და გათხარეს რამდენიმე ადგილი. „არც ამ ცოტა მუშაობას ჩაუვლია უქმად. ბევრი ღირსშესანიშნავი ძველი ნაშთი იპოვნეს, რომელიც საზოგადოდ არხეოლოგიისათვის და განსაკუთრებით ჩვენი ისტორიისათვის ძვირფას მასალად უნდა მივიჩნიოთ. სხვათა შორის არშინ ნახევარზე მიწაში იპოვეს ერთი ქვითკირის კარგა მოზრდილი დაურღვეველი შენობა, რომელსაც ირგვლივ ქვითკირისვე გაღავანი აქვს შემოვლებული. თვითონ შენობა რამდენიმე საჟენი იქნება სიგრძით, სიგანე უფრო ნაკლები აქვს. სახერავი ქვისავე აქვს ეკლესიასავით თაღად შეკრული. ერთ ადგილას ეტყობა კარი უნდა ჰქონდეს. სიმაღლით საჟენზე ცოტა მეტია. რაც შეეხება სიმაგრეს, ისე გადაღულაბებულა ქვა-კირი, რომ მუჭისონდენ ქვასაც ვერ ამოამტვრევთ. მუსიე იაკობს უნდოდა გაეხსნა ეს შენობა, მაგრამ ახვლედიანებმა უთხრეს, ჯერ მუშები გაისტუმრე და მერე გახსენიო. ეს არ ესიამოვნა ფრანგს. აღმოჩნდა, რომ ამ ვითომდა კამპანიის წარმომადგენელს 120 მანეთის გადახდაც გაუძნელდა მუშებისთვის. 50 მანეთის მეტი არა ჰქონდა და ახვლედიანებს სთხოვა, შვიდი თუმანიც თქვენ დაუმატეთო. ახვლედიანები არ დათანხმდნენ. სტოანოვი რუსეთში წავიდა. დარჩა შენობა გაუხსნელი“ [7, გვ. 3].

თან-ნარელი წერილში სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ახვლედიანები იაკობსა და ა. სტოანოვს გაურიგდნენ და არა გ. შერვაშიძეს. „ამ გვარად ეს შენობა სამი კვირა იქნება გაუხსნელია და მუშაობაც შეჩერებულია. თვითონ „მუსიო“ სადღაც მიეფარა. ამბობენ, ქუთასი არისო და ვითომც „კამპანიიდან“ ფულს ელოდებათ. ვნახოთ რა იქნება. ყოველ შემთხვევაში სასაცილო კია, რაღაც ას ოცი მანეთი ვერ მოახერხა ხსენებულმა ვაჟბატონმა, რომ საწყალი მუშები გაესტუმრებინა. ბ-ნი სტოანოვი, რომელიც როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მონაწილეობას ღებულობდა ამ საქმეში (სტოანოვს ეს შენობა ჯერ არ უნახავს) ეს ხუთი კვირაა, რაც რუსეთში მოგზაურობს და შეიძლება იმის დაბრუნებას უცდის ეს ვიღაცა ფრანგი. მაგრამ მუშები რა შეუაში არიან? რატომ არ აძლევენ ნაოფლარს? ამ გვარად, ეს ამისთანა შესანიშნავი საქმე ამ გვარ კაცს ჩაუვარდა ხელში. არა სჯობდა თავად შერვაშიძისათვის მიეცათ, რომელსაც შეძლებაც ჰქონდა მუშაობის წარმოებისა და გაგებაც. მაგრამ აკი მოგახსენეთ, „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“ [7, გვ. 3].

თან-ნარელის ცნობის მიხედვით, ა. სტოანოვს და იაკობს ვანში აღმოჩნდათ თლილი ქვებისაგან გაწყობილი კედელი, აგრეთვე „ორი ქვევრის მსგავსი ორხელიანი თიხის ქილა, ერ-

თში რაღაც დამპალი შავი მარცვლები ეყარა (ა. სტოანოვის სიტყვით, ხორბალი უნდა იყოს), ორი გულამოჭრილი მომრგვალო მარმარილოს ქვა და სხვა ბევრი ნამტვრევი სხვადასხვა თიხის ჭურჭლის, რომელიც ისე ხელოენურად არის ნაკეთები, რომ მნახველს აოცებს. როგორც მცოდნე კაცები ამბობენ, აქ უნდა სახლებულიყვნენ ბერძნები ქრისტეს წინათ. ამას ამტკიცებს აქვე ნაპოვნი ორი (ერთი ოქროსი და მეორე ვერცხლის) ფული (წინათ ბევრი ამგვარი ფული უპოვნიათ ახვლედიანებს, მაგრამ თავისის უცოდინობით მუქთად დაუკარგავთ). ვერცხლის ფული ახალი რუსულის მანეთიანის ხელაა. ოთხი მისხალი წონით. ერთი გვერდი გამობერილი აქვს და ზედ მშვენივრად და ხელოვნურად არის ამოჭრილი ქალის თავი, რომელსაც თმა გაშლილი აქვს. შუბლსა და ყურებზე „ლენტი“ აქვს გადაყოლებული. მეორე გვერდზედ აწერია: "Basileuses eupatoros", შუაში ცხენის მსგავსი ფრთხილიანი მოგრძო ცხოველია ამოჭრილი და ერთ მხარეს ახალი მოვარე და შიგ ვარსკვლავი. ოქროს ფული პრტყელია ორივე გეერდით, ქართულის ორ აბაზიანის ოდენა და თითქმის იგივე ნიშნებია ზედ, რაც ვერცხლს სხედ. ბ-ნი სტოანოვის აზრით, ორი-ოდე ათასის წლის მოჭრილი უნდა იყოს. რადგანაც წინადაც ბევრი ამ ფულების მსგავსი ფული უპოვნიათ ახვლედიანებს (ორი ფული თვითონ ჩემი თვალით ვნახე) და სხვა ოქროს თუ ვერცხლის ძვირფასი ნივთები და აგრეთვე დღესაც პოულობენ მუშაობის დროს გადანადუღებ იქროს, თუ ვერცხლის დანაშთ ნაწილებს, ჯერ-ჯერობით იმ აზრისან არიან მცოდნე კაცები, ვითომ ახვლედიანების ეზოში ბერძნები სახლებულან ქრისტეს წინათ და აქ გამართული ჰქონიათ ოქროს და ვერცხლის მაღნის გასაკეთებელი და ფულის მოსაჭრელი ქარნები“ [7, გვ. 3].

აქვე ავტორი გამოთქვამს თავის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვანსა და მის მიმდებარე სოფლებში მიწაში აღმოჩნდილი მბრწყინვავი ნაწილაკები შესაძლოა რაიმე მაღნეულის არსებობაზე მიუთითებდეს.

„ახლო-მახლო სოფლებში ხშირად ნახავთ სხვადასხვაგარ მიწას, რომელშიაც რაღაც ყვითელი და თეთრი ბრწყინვალე ნაწილებია. სიმბიმეც მეტია ამ ნაირის მიწისა. ეჭვი არაა, რომ რაღაცა მაღნეული უნდა იყოს. მაგრამ ვინ არის ისეთი მცოდნე კაცი, რომ მიიღოს შრომა და გამოიკვლიოს ეს მიწები. ვინ იცის რამდენი სიმდიდრეა ამ მიყრუებულ საჩინოში?! ვინ იცის, ეგებ ამნაირსავე „მუსიოს“ ჩაუგარდეს ხელში მუქთად ეს საიდუმლოებით მოცული ადგილები. დროა მცოდნე ქართველები ჩაუკვირდნენ ამ აღგილებს და არ ჩაუგდონ ხელში საქმის უცოდინარ კაცებს“ [7, გვ. 3]. „თან-ნარელი“ იქვე პირდება მკითხველს შენობის გახსნისთანავე დაწვრილებით შეატყობინებს, თუ რა აღმოჩნდება შიგ.

სანამ ახვლედიანების მამულში აღმოჩენილი შენობის გახსნის შესახებ გამოჩნდებოდა ცნობა, „ივერიაში“ კვლავ დაიბეჭდა წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ავტორი ინიციალებით „ი.ე.“<sup>92</sup> წერილში დასახლებული იყო რამდენიმე ფაქტი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების შესახებ, რომლის შედეგადაც მოპოვებული მასალა არ იყო სათანადოდ დაცული ხელისუფლების უფრადღებობის გამო. ერთ-ერთ ასეთ ძეგლად დასახლებული იყო ვანი. ავტორი იმოწმებს თან-ნარელის წერილს (ივერია, № 158) და თავის მხრიდან ამატებს შემდეგს:

„ქუთაისის მაზრის სოფელ ვანში, აზნაურ ახვლედიანების მამულში, დიდი ხანია პპოულობენ ძეველს ფულებსა და ნივთებს, მაგრამ ამ ამბისათვის არავის უურადღება არ უთხოვება. წლიდან წლამდე ყველა ეს ნივთი და ფული იკარგებოდა და კიდევ სამუდამოდ დაიკარგა მე-მამულეთა უცოდინარობის გამო. ერთი სიტყვით, იმ დრომდე არავინ მიკხედა ახვლედიანების მამულებს, სანამ ეს შესანიშნავი ადგილები ხელში არ ჩაუვარდა ვიღაც იაკობს, რომელსაც როგორც კორესპონდენტის (იგულისხმება თან-ნარელი – მ.მ.) სიტყვებიდან ჩანს, სამეცნიერო კვლევისა და ძიებისა არა გაეგებოდა რა. ახვლედიანების მამულებში აღმოჩენიათ რამდენიმე ძეველი ფული, ძეველი ჭურჭელი და ერთი კარგად დაცული ქვითკირის შენობა, ქვითკირისავე გალავნით გარშემოვლებული. როგორც ჩანს, ახვლედიანების მამული სამეცნიერო კვლევისა და ძიების მეთოდით არ უთხრიათ და ამიტომ შესაძლოა ეს მამულები უთავბოლოდ მისჩიჩქ-მოსხიჩქნონ და შემთხვევით ნაპოვნი ნივთებიც კი დაიკარგოს. დღემდე არც ამ მამულებისათვის უთხოვებიათ თვალყური. თუმცა აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება მაღლ მოჰკიდონ ხელი მცოდნე კაცებმა. ეს მით უფრო მოსახერხებელია, რომ იმ ვიღაც იაკობს, რომელიც სოფ. ვანიდან უკვე გაქცეულა, ახვლედიანებთან შეკრული პირობა ვერ შეუსრულებია და უეჭველია იმათს პირობას ძალა დაკარგული ექნება კიდეც“ [10, გვ. 1].

ვანში აღმოჩენილი ქვიტკირის შენობა გაუხსნიათ სექტემბერში. თუ ვინ მიიღო მის გახსნაში მონაწილეობა, ცნობილი არ არის. „ივერიაში“ დაიბეჭდა ცნობა ამ ფაქტის შესახებ: „ის შენობა, რომელიც ახვლედიანების მამულში იპოვეს მიწის თხრის დროს და რომლის შესახებ „ივერიას“ 158-ში იყო მოხსენიებული, უკვე გახსნეს და აღმოჩნდა, რომ ეს შენობაც აკლდამა ყოფილა. ნივთეულობისა არა უპოვნიათ რა. ეხლა მუშაობა აღარ არის. ის ვიღაცა ვითომდა კამპანიის წარმომადგენელი, რომ ვეღარ იარგა იმ შენობაში ოქრო-ვერცხლი, სამუ-

დამოდ წაბრძანდა აქედან. ამიერიდან ახვლედიანების ეზოები ახლა სრულიად მიტოვებულია. ვნახოთ გამოჩნდება ვინმე თუ არა მსურველი კვლავ აიღოს ეს ეზოები“ [8, გვ. 1].

ვანის ნაქალაქარის მეცნიერული შესწავლის დასაწყისი დაკავშირებულია დიდი ქართველი მეცნიერის, აკად. ექვთიმე თაყაიშვილის სახელთან [დაწვრილებით იხ: 15, გვ. 303-304; 12, გვ. 105-107; 13, გვ. 7-8; 14, გვ. 7-8, 96-97; 2, გვ. 19-20].

მის მიერ პირველი არქეოლოგიური ექპედიცია არქეოლოგიური კომიის ხელშეწყობით მოეწყო 1896 წელს და პირველი ცნობა ამ გათხრების შესახებ ისევ ქართულ პრესაში დაიბეჭდა [8, გვ. 1-24], ხოლო ექსპედიციის მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა უფრო მოგვიანებით, 1907 წელს.

გათხრების შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილმა გამოოქანდა მეტად საყურადღებო მოსაზრება ვანში აღმოჩენილი სიძველებისა და მათ შორის ოქროს ნივთების წარმომავლობის შესახებ. მან ვანის ოქრომჭედლობის ძეგლები ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნია და ვანშივე ივარაუდა ოქროს მოპოვება. ამ მოსაზრებამ ძირეული გარდატეხა შეიტანა ვანის ნაქალაქარისა და საერთოდ ქართული მატერიალური კულტურის კვლევის საქმეში [12, გვ. 105; 14, გვ. 8]. ამ მიმართებით კიდევ ერთხელ გარკვეულ მნიშვნელობას იძენს „ივერიაში“ რამდენიმე წლით ადრე თან-ნარელის ფსევდონიმით გამოქვეწებული წერილი.

მართალია, თანამედროვე გეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გარკვეულად შეცვალა ე. თაყაიშვილის მოსაზრება, მაგრამ თავისთავად საყურადღებო იყო საკითხის ასე დაყენება. 1972 წლის ოქტომბერში, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თხოვნით, ვანსა და მის მიდამოებში სამუშაოები ჩატარა საქართველოს საწარმოო გეოლოგიის სამმართველოს პირველ-საძიებო პარტიამ, რომელმაც ვერ დაადასტურა აქ ოქროს არსებობა. ექვთიმე თაყაიშვილი შეცდომაში შეიყვანა ადგილობრივი ნიადაგის თავისებურმა ბზინვარებამ, რაც ქარსის მინარევების სიმრავლით აიხსნება [14, გვ. 97].

XIX საუკუნის ქართულმა პრესამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ვანის ნაქალაქარის აღმოჩენების პიპულარიზაციის საქმეში. მისი საშუალებით იმდროინდებოდა საზოგადოებამ მიიღო პირველი ინფორმაცია ვანის სიძველეების შესახებ. მან საფუძველი ჩაუყარა შემდგომში ძეგლის სისტემატურ მეცნიერულ შესწავლას, რაც საყოველთაოდ აღიარებული დიდმნიშვნელოვანი შედეგებით დაგვირგვინდა.

## ლიტერატურა

2. აბზიანიძე გ. ქართველი კლასიკოსები. თბ., 1950.

<sup>92</sup> ამ ინიციალებით „ივერიაში“ წერილებს აქვეწებდა გიორგი ერისთავის ძმა, ივანე ერისთავი [4, გვ. 44].

2. გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან. თბილისი, 1996.
3. გამყრელიძე გ. საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია. – საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, 1991.
4. გოცაძე გ. ქართული უერნალისტიკის ისტორია. თბ., 1954.
5. დოროშება 1876 წელი, № 52.
6. ერემეიშვილი ი. კვალი ნათელი. – განთადი, 1928, № 6, გვ. 119-124.
7. თან-ნარელი, ხმა რიონის მარცხენა ნაპირიდან. – ივერია, 1889 წ., № 158
8. თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. – მოამბე, 1900 წ., № 12, გვ. 1-24.
9. ივერია, 1889 წ. № 129.
10. ივერია, 1889 წ. № 160.
11. ივერია, 1889 წ. № 186.
12. ლომთათიძე გ. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხოვბელი არქეოლოგი. – აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოლგაწეობა. თბ., 1966, გვ. 105-106.
13. ლორთქიფანიძე ოთ. ვანის ნაქალაქარი, თბ., 1973.
14. ჭყონია ა. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. – ვანი VI, თბ., 1981.
15. ხოშტარია ნ. არქეოლოგიური გათხრები სოფელ ვანში. - მიმომხილველი, ტ. I, თბ., 1949, გვ. 297-308.

მილიცა  
CONGRATULATIONS

რამინ რამიშვილი 75 წლისაა

„რამინ რამიშვილი ისევ „თავის“ კოშქს მოუკლის, რომლის თხრა 1950 წელს დაიწყო, და, მისი ამბავი რომ ვიცი, ჯანს გააგდებინებს.“ ასეთ სიტყვებს ამოიკითხავთ ცნობილი არქეოლოგის გ. ლომთათიძის უჯარმის ექსპედიციის 1952 წლის დღიურის 5 ივნისის ჩანაწერში. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ბატონი რამინი უკვე 75 წლისაა, მაგრამ საყვარელ საქმეს ისეთივე ერთგულებით, შემართებითა და ენერგიით ემსახურება, როგორც მაშინ, როცა უჯარმის ექსპედიციაში პირველ პროფესიულ ნაბიჯებს დგამდა. კოლეგები და მეგობრები ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ დღეგრძელობასა და შემდგომ წარმატებებს.

რამინ რამიშვილი დაიბადა 1928 წლის 2 ივნისს თბილისში, ცნობილი მეცნიერის მაქსიმე რამიშვილის ოჯახში. 1947 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა მე-9 საშუალო სკოლა, 1952 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წელს გახდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ასპირანტი. 1957 წლიდან ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართლის სამეფო ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“ (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). 1962 წელს ის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1974-1984 წწ. სელმძღვანელობდა ინსტიტუტის ადრე შუასაუკუნეების პრიბლებურ ლაბორატორიას. 1984 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართლის სამეფო ახ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“ (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). იმავე წელს სათავეში ჩაუდგა და დღემდე ხელმძღვანელობს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეთა ხანის განყოფილებას. რამინ რამიშვილი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების ერთერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა. მას საქართველოს სხვადასხვა რეკიონის 60-მდე ექსპედიციაში აქვს მიღებული მონაწილეობა და მათგან 20-მდე ექსპედიციას თვითონ სელმძღვანელობდა. დიდი წელილი აქვს შეტანილი ბატონ რამინს საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიის განვითარების საქმეში. ის ავტორია 150-ზე მეტი ნაშრომისა და რამდენიმე მონოგრაფიისა, სადაც სრულიად ახლებურადაა

დასმული და გადაჭრილი იმ პერიოდის საქართველოს არქეოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები. განსაკუთრებით დიდი დაწყლი მიუძღვის მთისა და ბარის ურთიერთობის საკანონი საკითხების კვლევაში. იგი მონაწილეა არაერთი საერთაშორისო სესიისა. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა ბევრი მონოგრაფია, კრებული თუ პერიოდული გამოცემა. მათ შორისაა ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემები, როგორიცაა: „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, „შინგალის ექსპედიციის სამეცნიერო სესიის მასალები“, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში“, „არქეოლოგიური ძიებანი“ და სხვ. მისი მეცადინეობით არქეოლოგიური კვლევის ცენტრში შეიქმნა „ქრისტიანული არქეოლოგიის“ მუდმივმოქმედი სემინარი და უკვე ჩატარდა ოთხი სამეცნიერო კონფერენცია. რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით დაცულია 10-მდე საკანდიდატო დისერტაცია. თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სამსატვრო აკადემიაში წლების მანბილზე იგი კითხულობდა ლექციების კურსს „საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია და ძეგლთა დაცვის საფუძვლები“. 1992 წელს ტექნიკურ უნივერსიტეტის გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ რამინ რამიშვილი აირჩია პროფესორის თანამდებობაზე.

1971 წელს ბატონი რამინი სათავეში ჩაუდგა უნივალის (შემდგომში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის) არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომლის მიზანს შეადგენდა მთიულეთისა და ფავების არაგვის შესაყართან, უინგალის წყალსაცავის დატბორვის ზონაში მოქცეული ძეგლების შესწავლა. ექსპედიციის სამეცნიერო ინტერესების სფერო სულ უფრო ფართოვდებოდა და მალე მან არა მარტო დატბორვის ზონა, არამედ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოიცვა. ექსპედიციის ხელმძღვანელისა და წევრების თავდაუზოგავიშრობის შედეგად საკმაოდ შეზღუდულ დროში მოხერხდა სხვადასხვა პერიოდის არაერთი პირველხარისხოვანი არქეოლოგიური თუ ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის შესწავლა.

1975 წელს ბატონმა რამინმა დუშეთის რაიონის სოფ. მილახვრიანთ კარში შექმნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუდმივმოქმედი ბაზა.

ვისაც ახსოვს რა მდგომარეობაში იყო ახლანდელი ბაზა (XVIII ს-ში აგებული ჭილა-შვილების სასახლე), რომელსაც ხან მანქანატრაქტორთა სადგურად იყენებდნენ, ხანაც სოფლის კლუბად, და როგორ იქცა ის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ერთ-ერთ საუკეთესო, კეთილმოწყობილ სამეცნიერო უჯრედად, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, უთუოდ დიდად დააფასებს ბატონ რამინის ძალისხმევას ამ ფრიად საჭირო საქმეში. მისივე ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, ბაზის ეზოში მოეწყო ღია ცისქვეშ მუზეუმი, სადაც დატბორვის ზონიდან გადმოტანილ იქნა უნიკალური არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძეგლები, რითაც შთამომავლობას შეუნარჩუნდა სამუდამოდ დასალუპად განწირული კულტურული მემკვიდრეობა. ბაზაშივეა მოწყობილი ექსპედიციის წევრთა მიერ წლების მანძილზე საგულდაგულოდ მოგროვილი ეთნოგრაფიული ნივთების გამოფენა. არქეოლოგიური მასალების მდიდარი ფონდები, მდიდარი და მრავალფეროვანი ბიბლიოთეკა, კინო- და ფოტომასალების არქივი, სანიმუშოდ მოვლილი კარმიდამო და ყველაფერ ამას ბატონი რამინის მზრუნველი ხელი ატყვია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს დუშეთის რაიონში ვერ ნახავთ უფრო უკეთეს სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერას, ვიდრე მილაზვრიანთ კარის არქეოლოგიური ბაზაა, რომელიც სხვა ანალოგიური დაწესებულებებისაგან განსხვავებით გადაურჩა ძარცვა-გაპარტაქებას და, რა თქმა უნდა, ესეც მისი დამსახურებაა.

იუბილარს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი საქართველოს არქეოლოგიაში და ბევრ საინტერესოსაც მოველით მისგან კოლეგები. ის დღესაც დიდი ენთუზიაზმითა და ხალისით ეჭიდება ყველა ახალ საქმესა თუ წამოწყებას და მისი ამბავი რომ ვიცით, „ჯანს გააგდებინებს.“ ვულოცავთ ბატონ რამინს 75 წელს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესბ ჯანმრთელობასა და აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას.

# ქრონიკა

## CHRONICLE

არქეოლოგიური პლატფორმის ცენტრი 2002 წელს

2002 წლის 19 მაისს გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გერმანიის არქეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილი წევრი, ესპანეთის საისტორიო მეცნიერებათა სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრი, ალექსანდრე ჰემბილდტის საერთაშორისო და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ოთარ ლორთქიფანიძე.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი საანგარიშო წელს განაგრძიბდა და მომავალშიც ასევე თანამიმდევრულად წარმართავს ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის მიერ დასახული გეგმებისა და ამოცანების განხორციელებას.

### სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა კვლავ რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა: საქართველოს არქეოლოგიური ატლასი, „ქართლის ცხოვრების“ ტოპო-არქეოლოგიური ცნობარი, ბუნებრივი გარემო ძველი ქვის ხანაში და ადამიანის ადაპტაცია, კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის კულტურათა სისტემაში, საქართველოს უძველესი სახელმწიფოები (კოლხეთი, იბერია, ლაზიკა), შუა საუკუნეების ხანის საქართველოს ნამოსახლარები და ნაქალაქარები, საქართველო და კავკასია მსოფლიო კულტურულ-ისტორიულ პროცესში: კულტურათა დიალოგი და ურთიერთექმოქმედება, საქართველოს არქეოლოგიის ისტორია, არქეოლოგიის თეორიის საკითხები, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის კვლევა, საქართველოს არქეოლოგიის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ინტერდისციალინარული კვლევისა და ტექნიკური მეთოდების გამოყენება არქეოლოგიური მასალების ინტეპრეტაციისათვის, არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაცია.

### გრანტით შესრულებული სამუშაო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ თემებზე: ანტიკური არქეოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი. ნაკვეთი I. კერამიკა (დ. კაჭარავა - ხელმძღვ, გ. კვირკველია, ნ. ლორთქიფანიძე, მ. წელუეკიძე, არ. ჭანტურია); სამეცნიერო-ეკონომიკური სისტემის და სოციალურ ურთიერთობათა დინამიკა ადრელითონების ხანის სამხრეთ კავკასიის კულტურებში (ოთ. ჯაფარიძე - ხელმძღვ, მ. უკურიძე, ლ. ჭელიძე); კავკასიის მერიდიანული გზები და მათი კულტურულ-ეკონომიკური დინამიკა (ვ. ლიჩელი - ხელმძღვ, რ. რამიშვილი, თ. ჩიქოვანი, ვ. თოლორდავა, ვ. ჩიხლაძე, ც. ჩიკოიძე, მ. ჩხატარაშვილი, რ. რუსიშვილი); ლაზიკის (ეგრისის) ქალაქების, სამოსახლოების და საკულტო ნაგებობების (ქრისტიანული ტაძრები) ტოპოგრაფიის და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები ახ.წ. VI-IX სს. მასალები

პუბლიკაციისათვის – „ბიზანტიის იმპერიის ტაბულა.“ ლაზიკა, ნაწილი II (ვ. ჯაფარიძე - ხელმძღვ, რ. უკურიძე, მ. საგინაშვილი, ი. ცუხიშვილი, ელ. გიგოლაშვილი, კ. წერეთელი, ა. ჭყონია, ნ. მელაძე); საქართველოში აღმოჩენილი უცხოური მონეტების კორპუსი. ძ.წ. VI - ახ.წ. XVIII სს. (გ. დუნდუა - ხელმძღვ, ირ. ჯალალანია); უძველესი საფორტიფიკაციო ნაგებობების აერო-არქეოლოგიური კვლევა-ძიება აღმოსავლეთ საქართველოში (გ. მინდიაშვილი - ხელმძღვ, გ. ნარიმანიშვილი); საომარი იარალი და ფორტიფიკაცია ანტიკური ხანის საქართველოში (გ. გამყრელიძე - ხელმძღვ, დ. ახვლედიანი, მ. ფირცხალავა, თ. ჭანიშვილი, ვ. შატერაშვილი, მ. ჩარკვიანი); ქართული სოფელი შუასაუკუნეებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით) (რ. რამიშვილი - ხელმძღვ, დ. მინდორაშვილი, გ. რჩეულიშვილი, ეპ. ჯანდიერი, მ. მარგველაშვილი, ჯ. ამირანაშვილი, ჯ. სონდულაშვილი, ც. ლომაძე, ლ. ცერაძე); მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი ძეგლები მცხეთა-თიანეთის რეგიონიდან და მათი ადგილი კავკასიისა და წინა აზიის ადრელითონების კულტურათა სისტემაში (გ. მირცხულავა - ხელმძღვ, ბ. მაისურაძე, გ. ინანიშვილი); სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასია და ცენტრალური ჩრდილოეთ კავკასია ძ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. კულტურათა ურთიერთობის პრობლემები (გ. გოგოჭური - ხელმძღვ, გ. ჩიქოვანი); წოფის ენეოლითური ნამოსახლარი და ენეოლითიდან ადრეგბინჯაოზე გარდამავალი პერიოდის პრობლემები აღმოსავლეთ საქართველოში (ლ. ნებიერიძე - ხელმძღვ, ქ. ესაკია); ანტიკური ხანის ძეგლები სვანეთში (შ. ჩართოლანი - ხელმძღვ, მ. ცინდელიანი); შიდაქართლი ძ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით) (ალ. რამიშვილი); სასანური გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. საქართველოში მოპოვებული მასალები (ქ. რამიშვილი); მტკვარ-არაქსის და ადრეული ყორდანების კულტურათა ქვისა და ძვლის საბრძოლო-სანადირო იარაღების ტიპოლოგია-გავრცელება (საქართველო) და ურთიერ-

თობა აღნიშნულ კულტურებს შორის (აღ. ორჯონიშვილები); მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ნასახლარი და სამაროვნები სოფელ კოდიდან (გ. ფხაკაძე); საწურბლიას მღვიმური ნამოსახლარი (კ. კალანდაძე); პერგამონი და შავიზგისპირეთი – მასალები ელინისტური ხანის სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიისათვის (ნ. მათიაშვილი); ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურა (ჩამოყალიბების საფუძვლები და განვითარების საფეხურები ძვ.წ. XVII-VII საუკუნეებში) (კ. ფიცხელაური – ხელმძღვანელი, ც. მენაძე, თ. ხოჯაშვილი); დაკრძალვის წესებირიტუალები ბიჭვინტის სამაროვანზე (ორმოსამარქები) (ნ. კილურაძე); ბრინჯაო-რკინის ხანის თავებია საკინძების წარმომავლობა, გავრცელება, ქრონოლოგია (ლ. სახაროვა); ნუზალის სამლოცველო (ჩრდ. ოსეთი) – ისტორიულ-არქეოლოგიურ-ალეოგრაფიულ-ხელოვნებათმცოდნეობითი ძიებანი (გ. ლამბაშიძე); ლაკბის ხეობის (კახეთი) ქვედა პალეოლითი (თ. ბუგიანიშვილი); კოდორის ხეობის მეზოლითი (აფიანჩას მასალების მიხედვით) (ზ. წერეთელი).

### სამეცნიერო სესია-კონფერენციები

2002 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ჩატარა სამი სამეცნიერო სესია (აქედან ერთი – მემორიალური), ერთი კოლოქვიუმი (მემორიალური), სამი კონფერენცია (აქედან ორი – საერთაშორისო), ერთი საერთაშორისო სიმპოზიუმი. ინფორმაცია მათ შესახებ იხილეთ ქვემოთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

**18-19 თებერვალი.** არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთობლივი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გამოჩენილი არქეოლოგის ბორის კუფტინის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი. სხდომები გაიმართა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. წაკითხული იყო მოხსენებები: თ. აბულაშვილი – ბ. კუფტინი – ბიოგრაფიული ცნობები; ე. გოგაძე – ბ. კუფტინი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები; ოთ. ჯაფარიძე – ბ. კუფტინი – სამეცნიერო მოღვაწეობა; გ. მირცხულავა – ბ. კუფტინი და ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი; გ. ფხაკაძე – ბ. კუფტინი – ადრებრინჯაოს ხანის მკვლევარი; მ. ფუთურიძე – ბ. კუფტინი – თრიალეთის კულტურის მკვლევარი; მ. ბარაძიძე – ბ. კუფტინი და აფხაზეთის არქეოლოგია; ა. ორჯონიგიძე – საქართველოში არარატული კერამიკის გავრცელების საკითხისათვის; ე. ქორიძე, მ. ჯალაბაძე – მტკვარ-არაქსული ძეგლი სოფ. ტახტისძირთან; გ. მინდიაშვილი – „საჩხერის ყორდანების“ ხასიათისა და ასაკის გამო; ზ. მახარაძე – სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კუფტინისეული პარადიგმა და მისი თანამედროვე მდგომარეობა; მ. აბრაძიშვილი – ბ. კუფტინი და თრიალეთის კულტურის ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხი თანამედროვე კვლევის შუქზე; ა. რამიშვილი – ბ. კუფტინი და კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის სა-

კითხები; ზ. შატბერაშვილი – ადრეული ყორდანების კვლევის პრობლემა და ბ. კუფტინი; გ. გოგოშვირი – ბ. კუფტინის სამარშრუტო ექსპედიციები; ლ. წითლანაძე – გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული კერამიკა ბ. კუფტინის ნაშრომებში; რ. ჰაპუაშვილი – ნამოსახლარების და სამაროვნების ურთიერთმიმართებებისათვის კოლხეთში (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა); ლ. ჯიბლაძე – ბ. კუფტინი და კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლარები; ნ. სულავა – ბ. კუფტინი და კავკასიის ფიბულების პრობლემა. მოგონებებით გამოვიდნენ ა. აფაქიძე, ოთ. ჯაფარიძე, ს. ნადიმაშვილი, ლ. ფირალიშვილი, ქ. ქიქოძე, ვ. კოვალევსკაია, კ. ჩოლოევშვილი.

**28 აპრილი-3 მაისი.** საერთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია „არქეოლოგია XXI საუკუნეში: მემკვიდრეობა და პერსპექტივები“; მიეღვნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დაარსებიდან 25 და საქართველოში პირველი არქეოლოგიური გათხრების 150 წლისთავს. კონფერენცია გახსნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა აკადემიკოსმა ტოთარლორთქიფანიძემ უფლისციხეში – პირველი არქეოლოგიური გათხრების ჩატარების ადგილზე. კონფერენციაზე (არქეოლოგიური კვლევის ცენტრი) წარმოდგენილი იყო მოხსენებები: ტოთარლორთქიფანიძე – არქეოლოგია და საქართველოს ისტორია; რ. ზლოტა (ბოხუმი) – გამოფენა „საქართველო: არქეოლოგიური განძულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“, ა. ვეკუა, დ. ლორთქიფანიძე, მ. ნიორაძე – ახალი მონაცოვრები დმანისის ადრეული ჰომინიდების ადგილსამყიფელიდან; თ. ყაუხხიშვილი – ახალაღმოჩენილი ბერძულწარწერიანი ნივთები მცხეთიდან; ჰ. პარცინგერი (ბერლინი) – არქეომეტალურგიული კვლევა-ძიება ყიზილფუქსა და ირანის ზეგანს შორის ტერიტორიაზე (მიღწეული შედეგები და სამომავლო ამოცანები); მ. მიულერ-კარპე (მაინცი) – კულტურული კავშირები მესოპოტამიასა და კავკასიას შორის ძვ.წ. III-II ათასწლეულებში; რ. მუნჩავი (მოსკოვი) – ჩრდილო მესოპოტამიის სამარხეული კომპლექსები ძვ.წ. III ათასწლეულში; ა. ჰაუპტმანი (ბოხუმი) – არქეომეტალურგიული კვლევა: გამოცდილება და შემდგომი პერსპექტივები; კ. რუბინსონი (ნიუიორკი) – თრიალეთის თასის შესახებ; ნ. ტუნა (ანკარა) – ახალი აღმოჩენები ბაქო-თბილისივეკიპანის მიღსაღენის ტრასაზე; ჰ. კირილაისი (ბერლინი) – ოლიმპია. სამლოცველოს უდირესი ისტორია ახალი გათხრების შუქზე; უ. იალჩინი (ბოხუმი) – აღრეული მეტალურგია ანატოლიაში; ი. მოტცენბეკერი (ბერლინი) – აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური სამლოცველოების დასასრული რელიგიურ-არქეოლოგიური თვალსაზრისით; ი. იაკარი (თელ-ავივი) – აღმოსავლეთ ანატოლიის მთანეთის ძვ.წ. II ათასწლეულის დასახლების ხასიათი; ს. საჯადი (თეირანი) – შაპრ-ე სუხტეს (სამხრეთ-აღმოსავლეთი ირანი) ანთროპომორფული და ზოომორფული ქანდაკე-

ბების შესწავლის წინასწარული შედეგები; მ. ალმაგრო-გორბეა (მადრიდი) – Anticuario Perpetuo; კ. ფიცხელაური – არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ივრის ზეგანზე; მ. კორფმანი (ტუბინგენი) – ძვ.წ. II ათასწლეულში შავი ზღვისა და ეგეოსის ზღვის აუზის ლითონით მომარიაგების ზოგიერთი ასპექტი; ა. ფურტვენგლერი (ჰალე) – დაზვერვები კახეთში; ა. სმიტი (ჩიკაგო), რ. ბადალიანი (ერევანი) – ცახკაპოვიტის დაბლობი გვიანბრინჯაოს ხანაში; კ. კუშნარევა (სანკტ-პეტერბურგი) – კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ურთიერთკავშირების პრობლემებისათვის პალეომეტრალების ეპოქაში; გ. ისმაილზადე (ბაქო) – არქეოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბება და მისი განვითარების ეტაპები აზერბაიჯანში; ჰ. პარცინგერი (ბერლინი) – სკვითი წარჩინებულის სამარხი არქანში (ტუვა); ი. ნარიმანოვი (ბაქო) – სკვითები და აზერბაიჯანი; ე. ჩერნიხი (მოსკოვი) – სამთო-მეტალურგიული წარმოების მოდელი ევრაზიაში; მ. ვიკერსი (ოქსფორდი), ა. კახიძე, გ. თავამაიშვილი (ბათუმი) – საქართველო-დიდი ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები და პერსპექტივები; ა. ვეირი, ა. პლონტექ-ლიუნიგი (იენა), ა. კახიძე, შ. მამულაძე, მ. ხალვაში (ბათუმი) – საქართველო-გერმანიის არქეოლოგიური ექსპედიცია გონიო-აფსაროსში; მ. გაჯიევი (მაკარ्यალა) – ადრელითონების ხანის ძეგლების შესწავლის შედეგები და პერსპექტივები დაღესტანში; ა. ლარონდი (პარიზი) – ლატრუმის (ძევლი ერითრონი, აღმოსავლეთ ლიბია) B ბაზილიკის რესტავრაცია; ა. აბასოვი, გ. გოშგარლი (ბაქო) – არქეოლოგიური მეცნიერების განვითარების ძირითადი ეტაპები აზერბაიჯანში; ი. დესაი (ჩიკაგო) – ახალი საზღვრებისაკენ: იდენტურობისა და გეოგრაფიის გამოცდილება ასონისა და არგონავტების მითში; ვ. ლიჩელი, რ. რუსიშვილი – ახალი აღმოჩენები აწყურში.

თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმში შედგა სტენდური მოხსენებები: ა. ჭყონია, თ. აბულაშვილი, თ. ზარნაძე, ლ. მაღრაძე, მ. მუმლაძე, მ. რაზმაძე, ნ. ღოლობერიძე, მ. ჩარგვიანი, მ. ხუციშვილი, ხ. ჯორბენაძე – არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია საქართველოში; მ. აბრამიშვილი – არქეოლოგიური გათხრები თბილისში (გამოფენა); გ. ინანიშვილი – ინტერდისციპლინარული კვლევები; გ. მინდიაშვილი – აერო-ფოტოსურათების ფონდი და აერო-არქეოლოგიის პერსპექტივები; მ. გაბუნია – სამცხე-ჯავახეთის აშელური ხანის ადგილსაპოვებლები; გ. ჩიქვანი, ლ. ჭელიძე – ადრეულ მიწათმოქმედთა კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში: კერამიკა; გ. მირცხულავა – ბადანის ნასახლარი: საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური სტადიის განსაზღვრისათვის; გ. ნარიმანიშვილი, ნ. შანშაშვილი – ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები თრიალეთში; კ. კახიძი, ე. ღლილვაშვილი – ბრინჯაოს

ხანის ყორდანები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში; ზ. მახარაძე – ციხიაგორის მრავალფენიანი ნასახლარი და კავთისხევის ადრეული ყორდანები; ალ. რამიშვილი – წალვლის სამაროვანი (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები); მ. ბარამიძე, გ. ფხავაძე, ლ. ჯიბლაძე – ფიჩორის ნამოსახლარი და ბრინჯაოს ხანის კოლხეთის ქრონოლოგია; ნ. პაპუაშვილი, რ. პაპუაშვილი – კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ნამოსახლარები და სამაროვანები (უახლესი აღმოჩენები: ყულევი, ერგეტა); რ. პაპუაშვილი, ლ. სახაროვა, ნ. სულავა, ლ. ფანცხავა – კოლხურ და ყობანურ კულტურათა ურთიერთობის საკითხები; ი. სულთანიშვილი – სამხრეთ გავგასიის ლაგმები (გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანა); შ. ჩართოლანი – არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში; წოთარ ლორთქიფანიძე, დ. ახვლედიანი, დ. კაჭარავა, ნ. მათაშვილი – უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები განიდან; დ. ახვლედიანი, ნ. პაპუაშვილი, რ. ფუთურიძე – ბერძნული იმპორტის ახალი აღმოჩენები კოლხეთში (ყულევი); ვ. ლიჩელი, დ. ახვლედიანი, გ. გამყრელიძე, ვ. თოლორდავა, ალ. რამიშვილი, რ. რამიშვილი, ც. ჩიკოძე, ვ. ჩიხლაძე, თ. ჩიქოვანი, მ. ჩხატარაშვილი – აბრეშუმის გზის არქეოლოგია: საქართველოს მონაკვეთი; ვ. ჯაფარიძე – ლაზიერის ციხე-ქალაქები: საფორტიფიკაციო ნაგებობების ტოპოგრაფია და გეგმარება; ნ. პაჭიგაშვილი, ც. ჩიკოძე, მ. ჩხატარაშვილი – შუასაუკუნეების ქალაქი რუსთავი; ჯ. კოპალიანი – დმანისის ნაქალაქარი; ე. ჯანდიერი – ჯაგახეთის ახალქალაქი; კ. კახიძი, ჯ. კოპალიანი – ადრექრისტიანული ხანის ახალაღმოჩენილი ძეგლები ქვემო ქართლიდან; გ. ღამბაშიძე – ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაში; ნ. ხახუტაიშვილი (ბათუმი) – რკინის მეტალურგიის ძველკოლხური ცენტრის ჭოროხის საწარმოო კერა (2001წ. გათხრები).

გამსვლელი სხდომები ჩატარდა მცხეთში: ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაძე მშვილი, გ. ყიფაიანი – მცხეთის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები; ნ. მირიანაშვილი – ძალისას ნაქალაქარი; ღუშეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე წარმოდგენილი იყო სტენდური მოხსენებები – „არქეოლოგიური კვლევის ცენტრის რეგიონული კვლევები: არაგვის აუზი“: გ. ჩიქოვანი – ადრესამიწათმოქმედო კულტურა; მ. ღლონტი – მტკვარ-არაქსის კულტურა; გ. გოგოჭური – შუაბრინჯაოს ხანა; რ. რამიშვილი, ლ. წითლანაძე – ძვ.წ. I ათასწლეულის ძეგლები; რ. რამიშვილი, ვ. ჩიხლაძე – რომაული და ადრექრისტიანული ხანა; გ. რჩეულიშვილი – განვითარებული შუასაუკუნეები; მ. მარგველაშვილი – ქალაქი უინგალი; ივ. წიკლაური – აღმური ზონის ძეგლები.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მოეწყო თანამშრომელთა მიერ 1997-2001 წლებში გამოკვენებული ნაშრომების სტენდი.

17-18 ივნისი. სამეცნიერო სესია „საქართველოში 2001 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.“ მოსმენილი იყო მოხსენებები: ტოთარ ლორთქიფანიძე, დ. კაჭარავა – ვანის ექსპედიცია; ნ. ინაშვილი, გ. თავამაიშვილი (ბათუმი) – არქეოლოგიური კვლევა-ძიება ციხისძირში; შ. მამულაძე, გ. ხალვაში (ბათუმი) – ბეჟანიძეების ციხის გათხრები ს. ზენდიდში; ორ. ჩავლეიშვილი (ბათუმი) – არქეოლოგიური კვლევა-ძიება ს. სამებაში. შედგა სასტენდო მოხსენებების განხილვა: გ. ნიორაძე – პალეოლითური ძეგლი დამანისში; გ. გაბუნია – გათხრები ამხერის გორაზე; ზ. მახარაძე – კასპის რაიონის ექსპედიცია; გ. აბრამიშვილი – თბილისისა და მისი ქვეყნის ექსპედიცია; გ. ნარიმანიშვილი, ნ. შანშამვილი – წალკათრიალეთის ექსპედიცია; ვ. ლიჩელი – გათხრები აწყურში; კ. ფიცხელაური – არქეოლოგიური კვლევა-ძიება კახეთში; შ. ჩართოლანი – სვანეთის ექსპედიცია; ჯ. კობალიანი – შუასაუკუნეების ძეგლები დამანისში.

სესიის ერთი დღე დაეთმო მშენებლობებზე ჩატარებული გათხრების ანგარიშებს: ც. ჩიკოძე – გადარჩენითი სამუშაოები მარტყოფში; ნ. მირიანაშვილი – გათხრები მილსადენის ზონაში – იგორთი; ვ. სადრაძე – გათხრები მილსადენის ზონაში – გვიმბალაური; რ. პაპუაშვილი – მონიტორინგი ყულევის ტერმინალზე; გ. კახიანი – გადარჩენითი სამუშაოები ბოლნისის რაიონში; ვ. ჯაფარიძე, კ. კალანდაძე – მონიტორინგი ზესტაფონის რაიონში; გ. ბოლქვაძე – გაწმენდითი სამუშაოები თბილისის ახალმშენებლობათა ზონაში; ორ. ტყეშელაშვილი – გათხრები ორმოცმიწამეთის ნაეკლესიარზე.

